

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

ნანი ფუტკარაძე

ქართველი მუჰაჯირები თურქეთის შავიზღვისპირეთში

(ეთნომენტალური მარკერები და პოლიტიკურ-კულტურული

მეხსიერების საკითხები)

ისტორიის დოქტორის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია

სპეციალობა: საქართველოს ისტორია

სამეცნიერო ხელმძღვანელები:

ასოცირებული პროფესორი ზაზა შაშიკაძე
ასოცირებული პროფესორი თამაზ ფუტკარაძე

ბათუმი
2017

შინაარსი

შესავალი	3
თავი I. ინსტიტუციონალური მეხსიერება	18
I. 1 საარქივო მასალები	19
I. 2 პრესის მასალები	29
I. 3 სამუზეუმო მასალები	36
I. 4 ინტერნეტ რესურსები	38
I. 5 მემორიალური მემკვიდრეობა	43
თავი II. მუჰაჯირობა. მიზეზები და შედეგები	48
II. 1 პოლიტიკური და სოციალურ -ეკონომიკური წანამძღვრები	48
II. 2. მუჰაჯირობის შედეგები	59
თავი III. ქართველი მუჰაჯირები თურქეთის შავი ზღვის რეგიონში	62
III. 1. თურქეთის შავი ზღვის რეგიონის ადმინისტრაციული სტრუქტურა	62
III. 2. მუჰაჯირთა განსახლების არეალი და სტატისტიკური მონაცემები შავი ზღვის რეგიონში	64
თავი IV. პოლიტიკური და კულტურული მეხსიერების საკითხები	81
IV. 1. ზეპირი ისტორიები შავიზღვისპირეთის მუჰაჯირთა სოფლებში	81
IV. 2. ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ეთნომენტალური მარკერები	125
ა) საქორწინო ტრადიციები; ბ) ხალხური სამზარეულო;	
გ) სტუმარ-მასპინძლობა; დ) ანდაზები და ლექსები	
IV. 3. ქართული ენა მუჰაჯირთა შთამომავლების მეხსიერებაში	146
დასკვნები	154
ტექსტში გამოყენებული სიტყვების განმარტება	160
გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა	167
დანართები	181

შესავალი

საკვლევი თემის აქტუალობა: პოლიტიკური და კულტურული მეხსიერების საკითხების შესწავლა, ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის ანალიზი თანამედროვე პერიოდში იქცა კვლევის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად.

„მუჰაჯირობა“ XIX ს-ის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული მოვლენაა. 1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომი და ომის შემდგომი მოვლენები ფართოდ არის შესწავლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში. მუჰაჯირობის ისტორია ხშირად გამხდარა ქართველი მკვლევრების ინტერესის საგანი. დამუშავებული და შეჯერებულია მაშინდელი პერიოდისთვის თითქმის ყველა ხელმისაწვდომი საარქივო დოკუმენტი თუ გამოკვლევა რუსულ და ქართულ ენებზე.

უნდა ითქვას, რომ აღნიშნული გამოკვლევები ყოველთვის განიცდიდნენ ნაკლოვანებას. ობიექტური მიზეზების გამო, მათში საერთოდ არ არის გათვალისწინებული ამ უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენის ერთ-ერთი მთავარი მონაწილის, თურქეთის საისტორიოგრაფიო მიღწევები. ამავე მიზეზების გამო, არცერთ მათგანში არ არის გაშუქებული, თუ რა ბედი ეწია ომის შედეგად იძულებით გადასახლებულ ხალხს, როგორ განვითარდა მათი შემდგომი ცხოვრება, სად წავიდნენ ისინი კონკრეტულად, როგორი იყო მათი განსახლების არეალი ახალ საცხოვრისში.

XX ს-ის 90-იანი წლებიდან, თურქეთსა და საქართველოს შორის ურთიერთობის ახალი ეტაპის დაწყების შემდეგ, შესაძლებელი გახდა ქართველ მეცნიერებს არაერთ, დღემდე უცნობ და საინტერესო საკითხზე ეწარმოებინათ კვლევა-ძიება, მაშინ, როდესაც, არც თუ ისე დიდი ხნის წინ, იმავე თურქეთშიც, ეთნიკური ერთეულების შესახებ საუბარი თითქმის შეუძლებელი იყო. მათ შორის მუჰაჯირობის საკითხებზეც.

ბოლო პერიოდში, არაერთი სამეცნიერო ჯგუფი მუშაობს აღნიშნულ საკითხებზე. აღმოჩნდა, რომ მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებული, ამ მიმართულებით საკვლევი ველი, თურქეთის ტერიტორიაზე ბევრად უფრო ფართოდ არის გაშლილი, ვიდრე ეს ჩვენ მანამდე წარმოგვედგინა. გამომდინარე აქედან, საკვლევიც ძალზე ბევრია. მიხედვად იმისა, რომ კვლევა უკვე გარკვეულ ეტაპზეა

მისული, დღემდე რჩება უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა.

აღმოჩნდა, რომ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებები კონცენტრირებულია ანატოლიის ორ რეგიონში - შავიზღვისპირეთსა და მარმარილოს ზღვისპირეთში. შავიზღვისპირეთში დაახლოებით 280 ქართული სოფელია, მათ შორის უმრავლესობა მხოლოდ ქართველებითაა დასახლებული. არის შერეული სოფლებიც, ქართველებთან ერთად თანაცხოვრობენ ლაზები, ან თურქები.

წარმოდგენილი კვლევა ითვალისწინებს როგორც ისტორიული (პოლიტიკური პროცესები, ისტორიული წანამდღვრები და სხვა), ასევე ეთნოლოგიური ასპექტების (ეთნო-კულტურული მახასიათებლები) შესწავლას. ამ კომპონენტების ერთობლიობაში წარმოჩენა იძლევა მათი ეთნო-იდენტიფიკაციის შესაძლებლობას.

ერთობ აქტუალურია თურქეთის შავი ზღვის რეგიონში მცხოვრებ მუჰაჯირთა შთამომავლების ეთნო-მენტალური მახასიათებლების, ასევე, ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებულ შეხედულებათა ცვლილებების, ისტორიული და პოლიტიკურ-კულტურული მეხსიერების საკითხების შესწავლა.

კვლევა აქტუალურია იმ თვალსაზრისითაც, რომ მუჰაჯირობა და მასთან დაკავშირებული ინფორმაცია თაობიდან თაობამდე იშლება მეხსიერებიდან და გადადის კულტურულ მეხსიერებაში. კერძოდ, თაობა, რომელსაც ჯერ კიდევ ახსოვს მუჰაჯირობის პერიოდი, ძალიან შემცირდა და ამ ცოდნის მოპოვება დროთა განმავლობაში უკვე შეუძლებელი იქნება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ აუცილებელია ჯერ კიდევ გადარჩენილის აღწერა და ფიქსაცია.

აქვე უნდა ითქვას, რომ აღნიშნული საკითხი თურქულ ტრადიციულ ისტორიოგრაფიაში საერთოდ არ არის გაშუქებული. ნაშრომზე მუშაობის დროს ჩვენ გავეცანით ისეთ წამყვან თურქ ისტორიკოსთა მონოგრაფიებსა და გამოკვლევებს, როგორცაა ი.კ.უზუნჩარშილი (Uzunçar ılı, 1954), დანიშმენდი (Dani mend, 1972), ი.ჰამერი (Hammer, 1998) და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ და სხვა ავტორებთან ფართოდ არის გაშუქებული 1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომი, არაფერია ნათქვამი ქართველთა მუჰაჯირობის შესახებ. თუმცა ამავე დროს საკმაოდ საუბრობენ ბალკანელების მიგრაციის შესახებ. საკუთარი წარსულით თურქეთში მხოლოდ მუჰაჯირთა შთამომავლები ინეტერესდებოდნენ და ზოგიერთ ადგილზე

მონოგრაფიებიც კი შექმნეს კონკრეტული სოფლის წარსულის, თუ გარკვეულ ლოკალურ ტერიტორიაზე მათი წინაპრების დასახლების შესახებ, თუმცა ისინი ძირითადად იდეოლოგიური გავლენით და საკითხის არასწორი გააზრებით ხასიათდებიან და მათი მეცნიერული ღირებულებაც არასათანადოა. ყოველივე ეს წარმოდგენილ ნაშრომს უფრო აქტუალურს ხდის.

კვლევის მიზნები და ამოცანები: მიჩნეულია, რომ ამა თუ იმ ერის ეთნო-მენტალური ხასიათი გენეტიკური მახასიათებლების და ისტორიული პროცესების გავლენით ყალიბდება. მუჰაჯირთა შემთხვევაში აღნიშნულ ფაქტორებს ემატება უცხო ეთნიკურ გარემო პირობებში ცხოვრება. სადისერტაციო ნაშრომის ამოცანაც სწორედ ესაა - თურქეთის შავი ზღვის რეგიონში მცხოვრები მუჰაჯირთა შთამომავლების ეთნო-კულტურული თუ მენტალური მახასიათებლების გამოვლენა, ამ პროცესთან დაკავშირებული მეხსიერების საკითხების შესწავლა.

კვლევის მიზანია მუჰაჯირთა რთულ უცხო გარემოში დამკვიდრების, ახალ გეოგრაფიულ, სოციალურ და ეთნიკურ გარემოსთან შეგუების, მათი შთამომავლების დღევანდელი ყოფის შესწავლა. მნიშვნელოვანია გავარკვიოთ მათი წინაპრების საცხოვრებელი ადგილი რეგიონების მიხედვით. შევისწავლოთ მათი დღევანდელი განსახლების არეალი, თუ რომელ ადმინისტრაციულ ერთეულებში, რა რაოდენობით ცხოვრობენ ისინი. აღნიშნული საკითხების დადგენა სრულად დღემდე არავის უცდია და ვფიქრობთ, რომ ეს ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა.

თურქეთის რესპუბლიკა პირობითად დაყოფილია შვიდ რეგიონად. მათ შორის ქართველი მუჰაჯირების ძირითადი განსახლების არეალს მოიცავს მხოლოდ ორი. ესენია: შავი ზღვისა და მარმარილოს ზღვის რეგიონები. შავი ზღვისპირა რეგიონში ამასია, ბოლუ, დუზჯე, გირესუნი, ორდუ, რიზე, სამსუნის, სინოპი, თოქათი, ქასთამონუ, ხოლო მარმარილოს ზღვის რეგიონში ქართველების კომპაქტური დასახლებაა ბალიქსეჟირის, ბურსის, იალოვას, საქარიას, ქოჯაელის პროვინციებში.

მოცემულ ჭრილში საკითხის შესწავლა და ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების წარსულის თუ დღევანდელი სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანა და დაინტერესებული საზოგადოებისთვის გაცნობა, ვფიქრობთ აუცილებელი უმნიშვნელოვანესი საქმეა.

მეცნიერული სიახლე: მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხს არაერთი ქართველი თუ უცხოელი მკვლევარი შეეხო, ახალი გარემოებების წარმოშობიდან გამომდინარე კვლევის გაგრძელება და გარკვეული გადაფასება აუცილებლად მიგვაჩნია.

ნაშრომში ახალ, დღემდე უცნობ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, შევისწავლეთ და შევეცადეთ დაგვედგინა რეალურთან ყველაზე მიახლოებული რიცხვი მუჰაჯირებისა. ვფიქრობთ, რომ აჭარის ტერიტორიიდან 1878 წლიდან 80-იანი წლების ჩათვლით გადასახლებულთა რიცხვი 22-დან 25 ათასამდე მერყეობს. ამ ციფრთან დაახლოებული ვარაუდები ქართულ კვლევებშიც არსებობს (სახოკია, იაშვილი, ვარდმანიძე), თუმცა ისინი მხოლოდ ცალმხრივ, მხოლოდ რუსულ მონაცემებს ეყრდნობა.

წარმოდგენილი ნაშრომის ერთ-ერთი სიახლეა ის, რომ წარმოჩენილია უშუალოდ მუჰაჯირთა შთამომავლებისაგან ჩაწერილი ზეპირი გადმოცემები. ნაშრომში შესწავლილია თურქეთის შავი ზღვის რეგიონის სხვადასხვა სოფლებში მცხოვრები ქართველების ისტორიული და კულტურული მეხსიერების საკითხები.

დღემდე უცნობი იყო მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებული პუნქტები და მათი რიცხვი. ნაშრომში მთლიანად არის განსაზღვრული თურქეთის შავი ზღვისპირეთის ქართული სოფლები, მათი გეოგრაფიული და ადმინისტრაციული მდებარეობა.

მონაცემები შეგროვებულია ძირითადად ექსპედიციების შედეგებზე დაყრდნობით. დისერტაციაში სათითაოდ არის მოცემული ქართველებით დასახლებული სოფლების სია; შეძლებისდაგვარად წარმოჩენილია საკვლევ რეგიონში დასახლებულ ქართველთა წარმომავლობა ხეობების და სოფლების მიხედვით (ქობულეთი, ბათუმი, აჭარა-მაჭახელი). მაქსიმალურად შევეცადეთ დაგვეფიქსირებინა ცალკეულ სოფლებში მცხოვრებთა ძველი გვარები და დემოგრაფიული მდგომარეობა.

ნაშრომში გათვალისწინებულია სხვადასხვა კვლევები, თუმცა, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ძირითადი მონაცემები ეყრდნობა საველე-საექსპედიციო მუშაობის დროს მოპოვებულ ახალ მასალებს. 2012 წლიდან ბათუმის შოთა რუსთაველის

სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრმა მოაწყო ხუთი ხანგრძლივი კომპლექსური ექსპედიცია, მათ შორის სამი თურქეთის შავი ზღვისპირა რეგიონში. ორ მათგანში, რომელიც შედგა კონკრეტულად ჩვენს საკვლევ რეგიონში, უშუალოდ მივიღეთ მონაწილეობა. ექსპედიციებში მოპოვებული მასალები თითქმის მთლიანად არის გამოყენებული ნაშრომში.

კვლევის მეთოდები: ნაშრომი წარმოადგენს ისტორიულ-ეთნოლოგიურ კვლევას. ამიტომ, პირველ რიგში, დავამუშავეთ ჩვენ ხელთ არსებული მუჰაჯირობის ისტორიასთან დაკავშირებული სამეცნიერო ლიტერატურა და საარქივო მასალა; შემდეგ ეტაპზე, საველე მასალების მოპოვების მიზნით ვმონაწილეობდით საველე ექსპედიციებში თურქეთის შავი ზღვის რეგიონში, ანუ ჩვენს საკვლევ ველზე.

თურქული საარქივო მასალები ბოლო პერიოდში ხდება ხელმისაწვდომი და მათდამი ინტერესიც თანდათან უფრო იზრდება. ნაშრომში მაქსიმალურად გამოყენებული გვაქვს არქივებში ბოლო პერიოდში მოპოვებული მასალა და თურქულ ენაზე გამოქვეყნებული სპეციალური ლიტერატურა საკვლევ თემასთან დაკავშირებით.

მიუხედავად იმისა, რომ მუჰაჯირობამ მთელი ისტორიული სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველო მოიცვა, ჩვენ მაქსიმალურად შევეცადეთ ჩავმჯდარიყავით დღევანდელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფარგლებში.

კვლევის სწორი მეთოდის შედგენა აუცილებელია, თუმცა წინასწარ ყოველივეს განსაზღვრა შეუძლებელია, მით უფრო, როცა საველე მუშაობა მიმდინარეობს ეთნიკურად რთულ რეგიონში. საჭირო იყო სიფრთხილე ქართველებით დასახლებულ პუნქტებში და გარკვეული პერიოდის განმავლობაში მათ გვერდით ყოფნა, შემონახულ ტრადიციებზე დაკვირვება და შესწავლა. ნებისმიერი ისტორიული ფაქტი არ უნდა იქნას შესწავლილი ცალკე, იზოლირებულად, გარეშე პირობებისა თუ მოვლენების გათვალისწინების გარეშე. საჭიროდ მიგვაჩნდა ქართველი ეთნოგრაფების მიერ უკვე წლების განმავლობაში მიღებული ისტორიულ-შედარებითი და კომპლექსურ-ინტენსიური მეთოდების გამოყენება.

კვლევისას გამოვიყენეთ ინტერვიუებისა და დაკვირვების მეთოდები. საკვლევი

მასალა (ზეპირი ისტორიები) მოვიპოვეთ თურქეთის შავი ზღვის რეგიონის მიმდებარე სოფლებში მცხოვრებ მუჰაჯირთა შთამომავლების, განსაკუთრებით ასაკოვანთა შორის ინტერვიუების საშუალებით. სხვადასხვა სოციალური ფენის და ასაკის პირებში შევარჩიეთ ინფორმატორები. წინასწარ შედგენილი კითხვარების მიხედვით ჩავიწერეთ ფოლკლორული, ისტორიული და ეთნოლოგიური მასალები, ხდებოდა აგრეთვე, კითხვების დასმა სპონტანურად საუბრის დროს.

მუშაობის პროცესში დავაკვირდით თურქეთის შავი ზღვის რეგიონში მცხოვრებ მუჰაჯირთა შთამომავლების ყოფა-ცხოვრებას და საერთოდ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებს. ველზე დაკვირვებამ მოგვცა ინფორმაცია ჩვენთვის საინტერესო საკითხებზე. დაკვირვების მეთოდი დაგვეხმარა ბუნებრივ პირობებში შეგვესწავლა რეალური ვითარება.

კვლევაში გამოყენებულ იქნა საქსპედიციო და სტაციონარული ფორმები, რაც გულისხმობს მასალების შეკრების მიზნით წინასწარ გასვლას დასახლებულ პუნქტში. ექსპედიცია ამყარებდა კავშირს და არჩევდა პიროვნებებს, რომლებიც მეგზურობასა და დახმარებას გაგვიწევდნენ მომავალში უკვე სტაციონარული (ხანგრძლივად ცხოვრების დროს) ფორმით კვლევისას.

მნიშვნელოვანია თანამედროვე ტექნიკური, ფოტო-ვიდეო საშუალებების გამოყენება. რადგან მოცემულ საკითხებისადმი მიდგომა განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს, წინასწარ შეუძლებელი იყო იმის განსაზღვრა, თუ რა დაგვხვდებოდა კონკრეტულ დასახლებულ ადგილას. ხშირად არ ხერხდებოდა „ჩვენებურთა“ გულდია საუბარი. საჭირო იყო მათთან დაახლოება და ჩვენი ჩასვლის მიზეზის გაცნობა.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა: კვლევის შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას ზოგად და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ნაშრომი მნიშვნელოვნად დაეხმარება, როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის სტუდენტებს და ზოგადად ყველას, ვინც დაინტერესებულია მუჰაჯირობის ისტორიით, მუჰაჯირთა შთამომავლების თანამედროვე ყოფითა და სადაურობის შესწავლით. სამეცნიერო მიმოქცევაში შემოსულია უშუალოდ მუჰაჯირთა შთამომავლებისაგან ჩაწერილი ბევრი ახალი მასალა, რაც განაპირობებს,

აგრეთვე ნაშრომის თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას.

კვლევის შედეგები: კვლევის პროცესში მიღებულ შედეგებს აქვს მნიშვნელოვანი სამეცნიერო ღირებულება, როგორც პრაქტიკული ისე სამეცნიერო თვალსაზრისით. სამეცნიერო მიმოქცევაში შემოდის მე-19 საუკუნის 80-იან წლებში თურქეთის შავი ზღვის რეგიონში გადასახლებულ ქართველთა შესახებ სტატისტიკური მონაცემები, მათი განსახლების არეალი, ეთნოგრაფიული მონაცემები, ფოტო მასალა, მუჰაჯირთა შთამომავლებისაგან მიღებული ზეპირი ისტორიები, რის საშუალებითაც გარკვეული წარმოდგენა გვექმნება, თურქეთის შავი ზღვის რეგიონის სხვადასხვა სოფლებში მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების თანამედროვე ყოფასა და სხვა საკითხებზე.

ნაშრომი შეძლებისდაგვარად წარმოაჩენს, ერთის მხრივ მუჰაჯირობასთან დაკავშირებულ ინსტიტუციონალურ და ზეპირი მეხსიერების საკითხებს, მეორე მხრივ, მოპოვებული მასალები მნიშვნელოვანია ეთნოლოგიის და საქართველოს ისტორიის რიგი საკითხების შესწავლისა და გააზრების თვალსაზრისით.

ნაშრომის აპრობაცია: სადისერტაციო ნაშრომი შესრულებულია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტში, სადაც შედგა მისი განხილვა-აპრობაცია 2016 წლის 28 ივნისს (ოქმი №3).

საკვალიფიკაციო ნაშრომის ავტორს რეკომენდაცია მიეცა საძიებელი აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

ნაშრომის ცალკეული ქვეთავები გამოქვეყნებულია საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალებსა და შრომათა კრებულებში, წაკითხულია საერთაშორისო კონფერენციებზე.

საკითხის შესწავლის ისტორია: თურქეთში მცხოვრები ქართველების შესახებ ცნობები დაცული აქვს თურქ ავტორს მეჰმედ არიფს (ავტორის ბიოგრაფია არ არის ცნობილი), რომელმაც XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს იმოგზაურა შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე მუჰაჯირი ქართველების სოფლებში. მუჰაჯირ ქართველებთან შეხვედრა-გამოკითხვის, მათი ყოფა-ცხოვრების შესწავლისა და გაანალიზების შედეგები გამოაქვეყნა ნაშრომი - „ქართული სოფლები.“ აღნიშნულ

ნაშრომზე დაყრდნობით ფართო გამოკვლევა გამოსცა ქართველმა თურქოლოგმა მ.სვანიძემ. წყაროს თარგმანი ეკუთვნის მ.ილურიძეს (სვანიძე, 1996). აღნიშნული წყარო ოსმალურიდან თანამედროვე თურქულ ენაზე თარგმნა და გამოსცა ფაჰრეთინ ჩილოღლუმ (ჩილოღლუ, 2002).

როგორც, მეჰმედ არიფი შენიშნავს, გამოკვლევის ერთი ნაწილი „გზაზე საკუთარი თვალთ ნანახისა და გაგონილისაგან“, ნაწილი კი შემდეგში ჩატარებული გამოკვლევებისაგან შედგება. ავტორი სამსუნის პროვინციაში ერთ თვეს იმყოფებოდა, რასაც მიუთითებს მისი სიტყვები: „ჩემი ჩამოსვლის ერთი თვის შემდეგ.“ შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე ქალაქების შესახებ იგი წერდა: „დაბები, სოფლები დავათვალერე, შევისწავლე და დავრწმუნდი, რომ არ მოიძებნება სიამოვნების მომგვრელი ისეთი ქვეყანა, რომელსაც სამსუნისნაირი სახე ექნებოდა“ (სვანიძე, 1996:9). მეჰმედ არიფის ცნობებიდან ირკვევა, რომ ქართველებმა თავიანთი შრომით და ნიჭით ახლად დასახლებული ადგილები კეთილმოწყობილ მხარედ აქციეს. ასე ახასიათებს ქართველებს მეჰმედ არიფი: „ქართველებმა ამჟამინდელი საცხოვრებელი მიწა, რომელიც ერთ დროს ტყეებით იყო დაფარული და გარეული ცხოველების სამყარო იყო იყიდეს, ყოველი მხარე კეთილმოაწყვეს და ისეთი ადგილებიც კი გამოაცოცხლეს და ნოყიერი გახადეს, რომლებიც მიწათმოქმედებისათვის სრულიად გამოუსადეგარი იყო. ხუთი, ათი სულისგან შემდგარმა ოჯახმა, რომელიც გაჭირვებით მოვიდა, მოკლე დროის განმავლობაში სული მოითქვა, ცხოვრებისთვის აუცილებელი ნივთები შეიძინა, ცხოველები გაიმრავლა, გაჭირვებისგან თავი დაიხსნა და ისეთ კეთილდღეობას მიაღწია, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ, რომლებიც აქ ადგილობრივ მინდვრებსა და მთებში საუკუნეებიდან მოყოლებული წლების მანძილზე მუშაობს, მხოლოდ ერთი ორი მინდვრის მფლობელი მუჰაჯირი ქართველებისაგან სესხება დაიწყო. გარჯა და შრომა რას არ აკეთებს, რას“ (სვანიძე, 1996:106,107). ავტორის თქმით: „ქართული ენა მეტად ტკბილია. ამ სოფლებში არსებული ქართული ენის მდგომარეობის შესახებ ჩემს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგად შევიტყვე, რომ იგი მდიდარია, არც ერთ ენას არ საჭიროებს და ამასთან კანონზომიერებას ექვემდებარება. კიდევ ამბობენ, რომ დამწერლობა აქვთ, მაგრამ სოფლებიდან მშობლიურ ენაზე წერა არავინ არ იცის.

როგორც მითხრეს, თავიანთი ენა ყველაზე კარგად იციან, წერენ და კითხულობენ ქობულეთელები“ (სვანიძე,1996:112). როგორც ვხედავთ, ავტორი დაწვრილებით საუბრობს მუჰაჯირი ქართველების ყოფა-ცხოვრების, ადათ-წესების, სასოფლო-სამეურნეო ტრადიციების და სხვა მსგავსი საკითხების შესახებ.

თურქეთში მცხოვრებ ქართველებთან დაკავშირებით საყურადღებოა ევგენი დალეჯიო დ'ალესიოს წიგნი „ქართველები კონსტანტინეპოლში და სპარსეთში“. წიგნის ავტორი წარჩინებულ იტალიელთა ოჯახის შთამომავალია. ის დაუახლოვდა კონსტანტინეპოლში მცხოვრებ ქართველებს, მან იმოგზაურა საქართველოში, ისწავლა ქართული ენა. იგი დაინტერესდა თურქეთში გადახვეწილი ქართველებით და 1921 წელს მათ შესახებ დაწერა წიგნი. ნაშრომი მნიშვნელოვანი წყაროა კონსტანტინეპოლში მცხოვრები ქართველების, მათი რაოდენობის, ქართული ენის მდგომარეობის შესწავლის თვალსაზრისით. ავტორი ახასიათებს ქართველების მდგომარეობას, განმარტავს მათი წარმატების მიზეზებს. ქართული ენის შესახებ წერს: „ქართველთა სამშობლო ენა მაინც დღემდის შენახული აქვთ, თუმცა ოსმალეთის მთავრობა იმათ გათურქებას ძალიან ცდილობს. ქართველ მუსლიმანთა სოფლებში ყველა ოჯახის ენა-ქართულია, რადგან ქალი საზოგადოებაში ვერ გადის და ასე თუ ისე თურქებთან დიდი მიმოსვლა არა აქვს, სამშობლო ენა დღემდის დაცულია; მხოლოდ დღეს ქართულ ენასაც დიდი განსაცდელი მოეღოს (დ'ალესიო, 1991:14). დ'ალესიო ასევე საუბრობს ქართველთა ეროვნული შეგნების-ცნობიერების საკითხზე და წერს: „ეროვნული შეგნება ქართველ მუსლიმანებში საერთოდ არ არის განვითარებული, რადგან სჯულის ფანატიზმს მარადის დაუქვეითებია იგი. თუმცა სისტემატიურად თურქიზმი სპობს მას, მაგრამ, პრაქტიკულად კი, ეროვნული გრძნობა დღესაც ძალზე ცოცხალია მათში. საერთოდ ყველანი ამაცობენ, რომ გურჯები-ქართველები არიან და თუ სადმე ან თავიანთში ქრისტიან ქართველს შეხვდნენ, საზოგადოდ გარეგნულად მაინც პატივს სცემენ და შეგნებულნი კი, ყოველნაირ დახმარებასაც აღმოუჩენენ თუ შესაძლებელია“ (დ'ალესიო,1991:14).

ადგილობრივი მოსახლეობის გადასახლების და სტატისტიკური მონაცემების შესახებ მნიშვნელოვან ცნობებს ვხვდებით ა.ფრენკელს ნაშრომში - „ნარკვევები ჩურუქ-სუზე და ბათუმზე“ (ფრენკელი, 2012:189). ა. ფრენკელი წარმოშობით

ებრაელი, განათლებით იურისტი რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე ჩამოსულა საქართველოში. მის მიზანს შეადგენდა რუსული ჯარის ბათუმში შესვლისა და თურქეთის ხელისუფალთა მიერ ბათუმის ჩაბარების ამბების ასახვა და საზოგადოებისათვის მიწოდება. ავტორი რუსეთის ხელისუფლების მხრიდან მუჰაჯირობის მხარდაჭერაზე მოურიდებლად წერს: „ჩვენ გულდამშვიდებით არ უნდა ვუცქერდეთ ბათუმის ოლქის მცხოვრებთა გადასახლებას თურქეთში, ასეთი გადასახლება შეგვიმცირებს მამაცი მოსახლეობის მნიშვნელოვან კონტიგენტს და ამავე დროს, სახელს გაუტეხს ჩვენს გავლენას მცირე აზიაში. იგი მომავალში მრავალი გაუგებრობის მიზეზი გახდება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მცირე აზია მალე გახდება თურქეთთან და მის მოკავშირე ინგლისთან ჩვენი საბოლოო ანგარიშსწორების სარბიელი. მაშინ ჩვენ ვინანებთ ამ „დაუდგრომელ“ აჭარლების გამო, რომელთა თავიდან მოშორებასაც ახლა ასე ვცდილობთ“ (ფრენკელი, 2012:190).

აღსანიშნავია მ.ილდიზთაშის წიგნი-„ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში“, სადაც მოცემულია მუჰაჯირებით დასახლებული სოფლების სახელების, მოსახლეობის, მეჩეთების, სასწავლებლების, მედრესეების და წისქვილების რაოდენობის სოფლის საზღვრების დადგენის შესახებ, რომელშიც ვკითხულობთ, რომ: „წარმოდგენილი იქნა დავთარი, რომელიც შეიცავს ორდუს კაზას ტერიტორიაზე დასახლებული ქართველი მუჰაჯირების სოფლების სახელების, მოსახლეობის, მეჩეთების, სასწავლებლების, მედრესეების და წისქვილების რაოდენობას და სოფლის საზღვრების დეტალებს. სხვა კაზებში მცხოვრები მუჰაჯირების განსახლება ჯერ კიდევ დამთავრებული არ არის და ისინიც სხვებივით შესაფერის ადგილებში განთავსდებიან, რის შესახებაც დავთრები მოწესრიგდება და გამოიგზავნება. ქართველი მუჰაჯირების უნაკლოდ განთავსების დამთავრება დიდი ძალისხმევის შედეგად მოხერხდა. არის თხოვნა, რომ ორდუს კაზას კაიმაკამი ქამილ ეფენდი და ფინანსური განყოფილების გამგე სულიეიმან შევკი ეფენდი, ასევე სხვა პირები, რომლებმაც აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დიდი ძალისხმევა გასწიეს, დაჯილდოვდნენ შესაფერისი ორდენებითა და წოდებებით. წერილი დათარიღებულია 1886 წლის 18 ივლისით (ილდიზთაში,2012:293).

აქვე ვხდებით ცნობებს სოფელ ჰამიდიეში დასახლებული ქართველი მუჰაჯირებისათვის წყლის გაყვანის, მეჩეთის და შადრევანის აშენების ხარჯების სულთნის მიერ ანაზღაურების გაცემის შესახებ და ფადიშაჰის მიერ შილემი დასახლებული ბათუმელი მუჰაჯირებისათვის დახმარების გაწევის შესახებ შემდეგ ცნობებს: „ფადიშაჰის ყურამდე მიაღწია ცნობამ, რომ შილეს კაზას სოფელ უვეზლიში დასახლებულ ბათუმელ მუჰაჯირებში თავი იჩინა ავადმყოფობამ, რის გამოც გაჭირვებაში მყოფ პირებს სასწრაფოდ ას-ასი ლირის დახმარება გამოეყოთ. ასევე სასახლის აფთიაქიდან წამლებთან და საჭირო ინსტრუმენტებთან ერთად სასახლეში მომსახურე თითო მკურნალი, ქირურგი და აფთიაქარი გაიგზავნა. ბატონმა მკურნალმა შეგვატყობინა, რომ ხსენებული მუჰაჯირები ამჟამად სახლების აშენებით არიან დაკავებული და მხოლოდ სიმინდით იკვებებიან. შესაძლებელია, რომ მათი მოთხოვნილებები ახლომდებარე სოფლებიდან მოტანილი სურსათით დაკმაყოფილდეს, რაც უზრუნველყოფს მათ ჯანმრთელობას და სიმშვიდეს. მაღალი ფადიშაჰის უმაღლესი ნებაც ასეთია. მუჰაჯირების საქმეთა კომისიაშიც ეს საკითხი ამგვარად იქნა მოხსენებული.“ დავთარი დათარიღებულია 1306 წლის 21 საფერით ანუ 1888 წლის 27 ოქტომბერით (ილდიზთაში, 2012:295,303).

მუჰაჯირობის პროცესის შესასწავლად მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ს.მესხის „წერილები აჭარაზე“. ავტორი ინფორმატორთა გადმოცემების და წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, გვაწვდის ცნობებს ომის წინა ხანის აჭარაზე, თურქეთისა და რუსეთის მცდელობებზე, მუჰაჯირობის მიზეზებსა და სხვა საკითხებზე. თავის ჩანაწერებში, სერგეი მესხი გამოდის ადგილობრივი მოსახლეობის გადასახლების (მუჰაჯირობის) მოწინააღმდეგედ (მესხი, 2000:29). ს. მესხი ეხება რა მუჰაჯირობის მიზეზებს, აკრიტიკებს მათ, ვისაც ამ საქმეში პირდაპირ თუ არაპირდაპირ ედებოდათ ბრალი. მოუწოდებს ქართველ მამულიშვილებს, ნუ იქნებიან გულხელდაკრეფილები, გავიდნენ სამუსლიმანო საქართველოში და აგრძნობინონ დაბრუნებულ ძმებს, რომ მათ გვერდში მდგომნი და ჭირ-ვარამის გამზიარებელნი არიან. იგი წერს: „დედამიწას, ხეებს, სახლებს, ყველაფერს სულიერსა და უსულოს, რასაც კი სტოვებენ, ცხარე ცრემლის ღვრით, გულდამწვავ ტირილით ეთხოვებიან და ისე მიდიან. იქაც უკეთესი ბედი არ მოელით, იქაც შიმშილი ხვდება,

უპატრონობა, ადგილს არ აძლევენ, რასაც ჰპირდებოდნენ, მოტყუებულნი რჩებიან და ამნაირად, რამდენიმე თვის განმავლობაში, უცხო ქვეყანაში ხეტიალისა და წვალების შემდეგ, ზოგიერთები ისევ თავის ქვეყანაში ბრუნდებიან, მაგრამ ბრუნდება ორში ერთი, დანარჩენი კი გაჭირვებისა და შიმშილის გამო იხოცება“ (მესხი, 2000:35,36).

თურქეთის შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ქართველი მუჰაჯირების შესახებ ცნობებს გვაწვდის ე. ნაკაშიძე (ემილ ევენდი). მან 1909 წელს იმოგზაურა აღნიშნულ რეგიონში. მისი ცნობით, კერასუნში ქართველი მაჰმადიანები ცოტაა, სულ 15 კომლი იქნება. ე. ნაკაშიძე ორდუს ქართველებზეც მოგვითხრობს: „ორდუ ტრაპიზონის ვილაიეთის ქალაქია, ზღვის პირას მდებარეობს, ახლომდებარე სოფლებში ძირითადად ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. აქაური ქართველები სულ ქობულეთიდან არიან გადმოსახლებულნი, ადგილი ალი ფაშა თავდგირიძეს ამოურჩევია და დაურიგებია ამათთვის, როგორც თავისი მეზობლებისთვის“ ავტორი მიუთითებს ზოგიერთ სოფელს და მცხოვრებთა გვარს. ეს სოფლებია: ოჯელი, ჩაუშლარი, ყუმული, დელუკაი, თეინელი, ხასანჯუდი, კაბალთაღი, ულუბეი და ყარადერე. გვარები: ქარცივაძე, წულუკიძე, გოხაძე, ანანიძე, ბეჟუაშვილი, მგელაძე, ბაჯელიძე, კილაძე, ტაკიძე, ჯაფარიძე, მურვანიძე, ხაბაზი, ქათამაძე, ხინიკაძე, ცეცხლაძე, სადრაძე, ნაკაიძე, მოწყობილი, ინაიშვილი, შავიშვილი“ (სვანიძე, 1996:17). ავტორი მიუთითებს მუჰაჯირების წარმომავლობასაც. ასახელებს იმ სოფლებს, საიდანაც ისინი წამოსულან, აღწერს მათ გვარებს.

მუჰაჯირობის საკითხებს ეხება შ. მეგრელიძის ნაშრომი: „აჭარის წარსულიდან-მუჰაჯირობა 1878-1882 წ.წ. ნაშრომში, ძირითადად იმდროინდელი პრესის მასალებზე დაყრდნობით, განხილულია მუჰაჯირობის მიზეზები და მისი ხელშემწყობი ფაქტორები, გადასახლების ეტაპები, გადასახლებულთა რაოდენობა, გადასახლებულთა მდგომარეობა და სხვა საკითხები (მეგრელიძე, 1964:41,64). რუსეთ-თურქეთის 1877-78 წლების ომს, აჭარის განთავისუფლებას აგრეთვე, მოსახლეობის თურქეთში გადასახლების ცალკეულ საკითხებს განიხილავს შ. მეგრელიძე წიგნში: „აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან (მეგრელიძე, 1956:48,83).

მუჰაჯირობის საკითხი განხილული აქვს ზ. ჭიჭინაძეს წიგნში-„ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება და ალი ფაშა თავდგირიძე“. ავტორი განიხილავს

ემიგრაციაში წასულთა მდგომარეობას, მიგრაციის შედეგად გავრცელებულ ავადმყოფობას და მიუთითებს იმ მსხვერპლზე, რომელიც გაიღო ადგილობრივმა მოსახლეობამ (ჭიჭინაძე, 1908:160). მისივე ნაშრომში „ქართველ მაჰმადიანთ დიდი გადასახლება ოსმალეთში მუჰაჯირი-ემიგრაცია“ აღნიშნავს: „რაკი გადასახლების შესახებ ისტორიული ცნობები არ გვაქვს, ამიტომ მეზავრობის დროს, ზეპირი ამბები ვკრიბე ამის შესახებ. არ არის ისეთი კუთხე ქართველ მაჰმადიანთა, რომ იქ მოხუცებულთ არ ეამბნათ ცნობები მასზედ, თუ ძველად ოსმალთ მათ ხეობიდან რამოდენა ხალხი აჰყარეს და გადასახლეს (ჭიჭინაძე, 1914:28). ავტორი ნაშრომში ასახელებს დაცარიელებულ სოფლებს, გვაწვდის მონაცემებს თუ რომელი სოფლიდან რამდენი კომლი წავიდა მუჰაჯირად. დასახელებულ ნაშრომში გვხვდება ცნობები, ლაზებისა და აფხაზების გადასახლების შესახებაც (ჭიჭინაძე, 1914:162).

მუჰაჯირობის საკითხი განიხილა ვ.სიჭინავამ წიგნში: „ბათუმის ისტორიიდან“ (სიჭინავა,1959). მიგრაციის შედეგად დაცარიელებული ადგილების სახელები შესულია აჭარის ტოპონიმიკურ აღწერილობაში (სიხარულიძე, 1959).მუჰაჯირობის საკითხი ზოგადად განიხილა ა. ბენდიანიშვილმა, საქართველოს ისტორიის დამხმარე სახელმძღვანელოში (ბენდიანიშვილი, 1999).

თურქეთში მცხოვრები ქართველი მუჰაჯირების გადასახლებისთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია შ. ფუტკარაძის მიერ შეკრებილი მასალა. ავტორი წერს: „მუჰაჯირი ქართველების შვილები და შვილიშვილები, ჩვენებურები, თურქეთის სხვადასხვა ქალაქებსა და სოფლებში ცხოვრობენ. მათ შორის დავასახელებ შემდეგ მხარეებსა და რაიონებს: „ტრაპიზონი, გირესუნი, სამსუნი, სინოპი, ზონგულდაქი, იზმითი, იზნიქი, იზმირი, ქუთაჰია, ბალიქესირი, ადანა, ქონია, ესქიშეჰირი, ადაფაზარი, ბოლუ, ჩორუმი, ამასია, თოქათი, ორდუ, უნია, ბურსა, ინეგოლი, დუზჯე, იალოვა, გემლიქი, მერზიფორი, ფაცა, გონენი, ჩუმრა, გულებაში... ჩვენებურებს მრავლად შევხვდებით აგრეთვე ანკარასა და სტამბოლში. დასახელებულ ადგილებში უმთავრესად ცხოვრობენ აჭარა-ქობულეთიდან და ტაო-კლარჯეთიდან გადმოსახლებული ჩვენებურები (ფუტკარაძე,1993:18).

კვლევის დროს დიდი დახმარება გავციწია ბოლო პერიოდში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრში

მომზადებულმა და გამოცემულმა მონოგრაფიებმა: „მუჰაჯირთა შთამომავლებთან.“ წიგნში მოთხრობილია თურქეთის რესპუბლიკის სხვადასხვა პროვინციებში ჩატარებული ექსპედიციის შედეგები. ავტორი განიხილავს, თურქეთის შავი ზღვის რეგიონში მუჰაჯირთა დასახლებებს, სოფლებში მცხოვრებთა გვარებს, ტოპონიმებს, მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირ ისტორიებს, კერძებს, მრავალ ფოკლორულ და დიალექტოლოგიურ მასალას. განიხილავს, გადასახლებულთა შთამომავლების ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებას და სხვა საკითხებს (ფაღავა, 2016);

„ქართული ენის გეოგრაფია თურქეთში“ (წიგნი პირველი), სადაც მოთხრობილია მარმარილოს რეგიონის ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების შესახებ (ჩოხარაძე, 2016);

„მუჰაჯირობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში,“ სადაც განხილულია მუჰაჯირობის წინაპირობები, მიმდინარეობა, შედეგები, აჭარიდან გადასახლებულთა რაოდენობა და თანდართულია საზოგადოებრივი აზრი მუჰაჯირობის შესახებ. წიგნში გაანალიზებულია ოსმალეთის და რუსეთის იმპერიების როლი მოსახლეობის გადასახლების საქმეში, ქართველ მუსლიმთა გადასახლების ეტაპები (1878-1882 წწ.), განხილულია აჭარიდან და სამცხე-ჯავახეთიდან მუჰაჯირთა გადასახლების ისტორია და XIX ს-ის 30-40-იან წლებში განვითარებული მოვლენები. ავტორი საარქივო დოკუმენტებისა და სხვადასხვა სტატისტიკური მონაცემების შეჯერების საფუძველზე მუჰაჯირთა საერთო რაოდენობას 21-38 ათასით ვარაუდობს (ვარდმანიძე, 2013:154,155);

პეტრე უმიკაშვილის ცნობები, რომელიც გამოქვეყნდა ვლ.მგელაძის წიგნში: „პეტრე უმიკაშვილი და ოსმალეთის დროინდელი სამხრეთ საქართველო“ (მგელაძე, 2014). პეტრე უმიკაშვილი ეხება მუჰაჯირობას, შემდგომ პერიოდში მუჰაჯირობის გამოცოცხლების მიზეზებს, მოსახლეობის სხვადასხვა ფენის დამოკიდებულებას ამ მოვლენის არსსა და გადასახლების თავისებურებებს.

აღსანიშნავია ასევე პროფესორ ა.ნიკოლეიშვილის წიგნი „თურქეთის შავიზღვისპირეთში - ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებთან.“ ავტორის მიერ განხილულია თურქეთის შავი ზღვის რეგიონში (ორდუში, ფაცაში, უნიეში, სამსუნში,

სინოპში) მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ისტორიულ და თანამედროვე ყოფასთან დაკავშირებული საკითხები (ნიკოლეიშვილი, 2016).

საკვლევ თემასთან დაკავშირებით ასევე აღსანიშნავია: ნ. კახიძის, აბ. სურგულაძის, მ.სიორიძის, თ. ფუტყარაძის, ჯ. კარალიძის, ნ. მგელაძის, მ. ჩოხარაძის, ი.ბარამიძის, რ.მაღაყმაძის, თ. შიოშვილის, ზ.შაშიკაძის, ნ.შოშიტაშვილის, ი.ღუტიძის, რ. გუჯეჯიანის, ნ.ოქროსცვარიძის, პ.მაგნარელას, უ. გურქანის, სხვათა ნაშრომები და სტატიები.

საკმაოდ დიდი დახმარება გაგვიწია თურქეთის ქართული დიასპორის პერიოდულმა გამოცემებმა და ინტერნეტრესურსებმა რომლის შესახებაც ქვემოთ ვრცლად ვისაუბრებთ.

თავი I. ინსტიტუციონალური მეხსიერება

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მეხსიერების კვლევები (Memory Studies) ინტერდისციპლინური შესწავლის ერთ-ერთ საყურადღებო მიმართულებად ჩამოყალიბდა. მისი მიზანია, შეისწავლოს წარსულის დამახსოვრების ხერხები და მისი ასახვის მეთოდები სხვადასხვა დროსა და სივრცეში. 20-იან წლებში ფრანგმა სოციოლოგმა მორის ჰალბვაქსმა (1877-1945) სამეცნიერო ლიტერატურაში შემოიტანა „კოლექტიური მეხსიერების“ ცნება და ამ ტერმინით გარკვეული ჯგუფის თუ საზოგადოების მიერ გაზიარებული საერთო მეხსიერება აღნიშნა. კოლექტიური მეხსიერების კვლევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლებმა (პიერ ნორა, იან და ალეიდა ასმანები, ალონ კონფინო, ჯეფრი ოლივი, ჯეიმს ვერჩი და სხვ.). მეხსიერების რეალური მატარებელი ინდივიდია, მაგრამ მისი მეხსიერება ჯგუფზე/კოლექტივზეა დამოკიდებული. მეხსიერება შუამავალია წარსულსა და აწმყოს შორის, მას გამოაქვს დავიწყების განაჩენი, ან სიცოცხლეს ანიჭებს წარსულს, შესაბამისად, ერთმანეთთან აკავშირებს ადამიანებს/ადამიანთა ერთობებს, ან განაცალკევებს მათ (<http://interculture.ucoz.com>).

წარსულთან შეხება მხოლოდ ჩვენი კულტურის გადასახედიდან, მისი კატეგორიებისა და სქემების მეშვეობით შეგვიძლია. სწორედ კულტურა განსაზღვრავს ამა თუ იმ საზოგადოების ფასეულობით ორიენტაციას, სპეციფიკურ ისტორიულ მეხსიერებას. ერთ-ერთი ტერმინი, რომელიც ხშირად გამოიყენება მეხსიერების კვლევათა სფეროში, არის **ინსტიტუციური მეხსიერება**. იგი აღნიშნავს პოლიტიკური ელიტების, მათ მხარდამჭერთა და ოპონენტთა ძალისხმევას, მნიშვნელობა მიანიჭონ წარსულს და დაამკვიდრონ ეს მნიშვნელობა საზოგადოებაში (ჩიქოვანი, 2012:2).

არქივები და ბიბლიოთეკები, მუზეუმები და მემორიალები - ეს ყველაფერი მეხსიერების ადგილებია. ეს არის წარსულის ნაშთი. კოლექციები, მემორიალური დაფები, მონუმენტები და სხვა მისთანანი ეპოქის მოწმეებია, რომლებიც მარადიულობის ილუზიას ქმნიან. თვით სრულიად მატერიალური ადგილიც კი,

მაგალითად, საარქივო საცავი, ვერ იქცევა მეხსიერების ადგილად, თუ მას ჩვენ არ მივანიჭებთ სიმბოლურ მნიშვნელობას. მეხსიერება კარნახობს, ისტორია კი, იწერს და ინახავს. ჯგუფის/საზოგადოების მიერ გაზიარებული მეხსიერება ყალიბდება არქივების, მუზეუმების, მონუმენტების, ცერემონიების, სიმბოლოების მეშვეობით. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ისტორიული ფაქტები, ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია მუჰაჯირობის, როგორც ერთ-ერთი ტრაგიკული ისტორიული ფაქტის განხილვა, როგორც ინსტიტუციონალური (საარქივო, სამუზეუმო, მემორიალური (ქუჩებსა თუ დაწესებულებებზე სახელის მინიჭება და ა.შ), ასევე ინდივიდუალური და კოლექტიური მეხსიერების კუთხით.

I.1. საარქივო მასალები - მუჰაჯირობის შესახებ საინტერესო მასალებია დაცული საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში. საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ ომის დასრულების შემდეგ გათავისუფლებული მხარის ადმინისტრაციული მოწყობისა და სხვა საკითხების გადასაწყვეტად შექმნილა სპეციალური კომისია, რომლის გადაწყვეტილებით თურქებს ქობულეთ-ჩაქვი, ასევე დანარჩენი აჭარა (ბათუმითურთ) უნდა დაეცალათ 23-25 აგვისტოს (სსცსა, ფ. 416, ან. 3, ს. 819, ფურც. 1, 2, 3). უნდა ითქვას, რომ იმ დროისათვის ქობულეთში მოსახლეობა ძალზე შემცირებულია. მრავალი სოფელი მოსახლეობისაგან დაცლილი იყო.

კომისიის გადაწყვეტილებით, ახლად განთავისუფლებული ტერიტორიები დაიყო ერთ სანავსადგურო ქალაქად (ბათუმი) და სამ ოკრუგად: 1. ბათუმის (შედგებოდა ბათუმის, კინტრიშის და გონიოს უბნებისაგან), 2. აჭარის (შედგებოდა ზემო და ქვემო აჭარის, ასევე მაჭახლის უბნები), 3. ართვინის (შედგებოდა ართვინის, არტანუჯის და შავშეთ-იმერხევის უბნებისაგან) ოკრუგებად (სსცსა, ფ. 229, ან. 1, ს.48, ფურც. 1).

საარქივო დოკუმენტებში არაერთი საბუთია წარმოდგენილი თურქების მიერ დაკავებული ტერიტორიების გათავისუფლების და რუსეთის იმპერიისათვის გადაცემის საკითხებთან დაკავშირებით. რუსთა შემოსვლას რაიმე ინციდენტი არ მოჰყოლია. რუსეთის ხელისუფლების ოფიციალური განცხადების მიხედვით, ხელშეუხებელი უნდა დარჩენილიყო ადგილობრივი მოსახლეობის რელიგია, ქონება (სსცსა, ფ. 416, ან. 3, ს.163, ფურც. 11).

მუჰაჯირობის პარალელურად სწრაფად დაიწყო რუსების მიერ ახლადშემო-
ერთებული მიწების კოლონიზაცია. გენერალ-ადიუტანტ სვიატოპოლკ-მირსკის
კავკასიის მეფისნაცვლისადმი გაგზავნილ დოკუმენტში პირდაპირ წერია : „მუჰა-
ჯირობას აქვს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა თურქეთთან ჩვენი ახალი საზ-
ღვრების გამაგრებისა და კავკასიაში ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯო-
ბესებისათვის. ამიტომ : 1. ხელი არ უნდა შევუშალოთ მუსლიმანებს თურქეთში
გადასახლებაზე არც პირდაპირ, არც ირიბად. 2. უნდა გავატაროთ ღონისძიებები,
რათა მუჰაჯირთა მიწები მოხდეს მხოლოდ მთავრობის განკარგულებაში. დანა-
ხარჯი, მილიონიც რომ იყოს, მიზანიმართული და სასარგებლოა. მთავარია ჩავა-
სახლოთ რაც შეიძლება მეტი რუსი. წინააღმდეგ შემთხვევაში საბოლოოდ უნდა
დავემშვიდობოთ აზრს კავკასიაში რუსების ჩამოსახლების შესახებ. ამას აქვს რო-
გორც სამხედრო, ისე ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა. რუსების და-
სახლება აქაურებს გაუჩენს თურქეთში გადასახლების სურვილს,“ წერია მოხსენე-
ბაში (სცსსა, ფ.416, ან.3 ფურც. 9,19). მართლაც, მალე აქ გაჩნდა არაერთი რუსუ-
ლი კოლონია, კერძოდ : სმეკალოვკა–ქობულეთის მახლობლად (გენერალ-გუბერ-
ნატორ სმეკალოვის პატივსაცემად), კომაროვკა (ბათუმის ოლქის პირველი გუ-
ბერნატორის კომაროვის პატივსაცემად), რომანოვკა, ხოლოდნაია სლობოდა (ეხლ.
ბონი), სტეპანოვკა, გოროდოკი, ალექსეევკა და ა.შ. მდ. ჭოროხისპირეთში დღემ-
დეა შემორჩენილი ამ მოვლენის ამსახველი გვარსახელოვანი ტოპონიმებიც : სინი-
ცინი, ბიკოვი, სახაროვი და ა.შ.

მუჰაჯირობა განაპირობა სხვადასხვა მიზეზისა და ფაქტორების ერთობლიობამ.
საისტორიო საბუთებში ამ თვალსაზრისით გვხვდება არაერთი მეტად საგულისხმო
დოკუმენტი. სხვადასხვა სახის ღონისძიებებთან ერთად ცარიზმის პოლიტიკა
მიზნად ისახავდა აუტანელი ეკონომიკური მდგომარეობა შეექმნა მკვიდრი
მოსახლეობისათვის. ამ მიზნით ისედაც გადატაკებულ მოსახლეობას დაეკისრა
ახალი გადასახადები, ნატურალურის ნაცვლად შემოიღეს ფულადი გადასახადი,
შეიცვალა ვაჭრობისა და მდ. ჭოროხზე ნაოსნობისათვის დაწესებული ტარიფები და
ა.შ. ეს მაშინ, როცა ოსმალეთის ხელისუფლება გადასახლების შემთხვევაში
პირდებოდა სხვადასხვა შეღავათს (სცსსა, ფ.7, ან.1, ს. 1107,ფურც. 2,5) ამიტომაც,

უკმაყოფილო ხალხმა იგრიალა და ერთად რამდენიმე ასი კომლი (გასულ ზაფხულში) გადაიხვეწა ოსმალეთში“ (დროება 1881, № 4).

საისტორიო საბუთებში ვხვდებით საინტერესო მასალებს, რომლებშიც წარმოდგენილია ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნა ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ, მაგრამ რუსეთის ხელისუფლებამ არად ჩააგდო მათი თხოვნა, პირიქით, იქეთ დასდო მათ ბრალი, როგორც „სასწრაფოდ მოსაცილებელ“, „არასანდო ხალხს“ მის წინააღმდეგ მოქმედებაში“ (სცსსა, ფ. 229, ან. 1, ს.30, ფურც. 85).

საარქივო დოკუმენტებში საუბარია მუჰაჯირობის გამომწვევ სოციალური ხასიათის სხვა მიზეზებზეც. რუსულმა ხელისუფლებამ პენსიები მოუხსნა იმ დიდებულებს, რომლებსაც ჯამაგირი ოსმალეთის ხელისუფლებამ დაუნიშნა. თანზიმათის შემდეგ ოსმალეთმა ბეგების ნაწილს დაუნიშნა პენსიები. ბერლინის კონგრესამდე აჭარა-ქობულეთის 19 ბეგს ჰქონდა ასეთი პენსია (სცსსა, ფ. 229, ან. 1, ს. 30, ფურც. 62; ასევე, აჭარის. სახელმწ. მუზ. ხელნაწ. ფონდი, ტ.640, გვ. 34,35). კავკასიის მთავარმართებლის 1880 წ. 29 დეკემბრის პატაკში პირდაპირ ვკითხულობთ: „ბეგებს, რომლებსაც ოსმალეთი ჩამორთმეული მამულების ნაცვლად უხდიდა პენსიას, ძალზე დიდია. მათი გაცემა რუსეთის ხელისუფლების მიერ შეუძლებელია, რადგან ხაზინა დაკარგავს მნიშვნელოვან თანხას. ამიტომ გადაწყდა, რომ ის ბეგები, რომლებიც ამ სამი წლის განმავლობაში არ ისურვებენ აქ დარჩენას, არ მიეცეთ პენსია. პენსია მიეცეთ იმ ბეგებს, რომლებიც აქ დარჩებიან, მაგრამ თავისუფალი გადასახლების ვადის დასრულების შემდეგ უნდა გადავამოწმოთ საბუთები, რომლის მიხედვით მათ ეძლეოდათ პენსია“ (სცსსა, ფ. 229, ან. 1, ს. 30, ფურც. 8).

ცარიზმის მოხელეები ცდილობდნენ თავისთვის შეექმნათ უზრუნველი ცხოვრების პირობები, რასაც ეწირებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესები. ისინი შეურაცხყოფდნენ ადგილობრივი მოსახლეობის პიროვნულ ღირსებას, წესჩვეულებებსა და ადათებს. ესეც იყო ერთ-ერთი ფაქტორი მუჰაჯირობისა. ერთ-ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ გენერალმა კომაროვმა ქალაქში ააშენა პურის საცხობი, იქაური მაცხოვრებლები კი აასახლა, რათა მისი ობიექტი თვალსაჩინო

ყოფილიყო მოსახლეობისათვის. უფრო მეტიც, მათ აუკრძალა ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე გავლაც კი (სცსსა,ფ.7, ან. 1, ს. 2066, ფურც. 43,45).

რუსეთის ხელისუფლება ცდილობდა ადგილობრივი მოსახლეობისათვის ჩამორთმეული და მათგან დაცლილი საცხოვრებლები თუ მიწის ნაკვეთები აუქციონის წესით გაყიდულიყო. ამით მათ სარფიანი მოგება რჩებოდათ. „ბათუმის ოლქში - წერდა სამხედრო გუბერნატორი უმაღლეს ხელისუფლებას - უძრავი ქონების გაყიდვა უნდა მოხდეს ოთხჯერ, რადგან აქ მხოლოდ ახლა იწყება უძრავი ქონების აღებ-მიცემა. ამიტომ ჩვენ უნდა შევუწყოთ ხელი ამ პროცესის განვითარებას“ (სცსსა, ფ. 7, ან. 3, ს.1970, ფურც. 7,9)

საარქივო ფონდებში დაცული მასალებიდან ჩანს ცარიზმის კოლონიზატორული მიზანდასახულობაც. გადასახადებიდან ამოღებული თანხები სწორედ უცხო ეთნიკური ელემენტების საჭიროებისათვის უნდა გამოეყენებინათ. 1880 წლის დასაწყისში ბათუმის ოლქში ჩამოსახლებული რუსი და გერმანელი კოლონისტებისთვის გამოიყო რამდენიმე ათასი მანეთი (სცსსა ფ.7. ან.4 ს. 1293, ფურც.1,2). ცხადია, რუსეთის ხელისუფლების ამდაგვარი დამოკიდებულება უბიძგებდა მკვიდრი მოსახლეობის გადასახლებას. უფრო მეტიც, გადასახლების მოსურნე და გადასახლებული ბეგები ეწეოდნენ პროპაგანდას და ხშირად „სულთნის კარზე თავიანთი ქვეშევრდომებიც მიყავდათ“, რითაც სულთნის კარზე იქმნიდნენ სასურველ იმიჯს (სცსსა, ფ. 229, ან. 1, ს. 30, ფურც. 80-84, ასევე, ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმის რუსულ ხელნაწთა ფონდი, ტ. 223, ფურც.1,4) თუმცა, იმჟამინდელი პრესის მონაცემებით, მუჰაჯირობა „სულაც არ იყო ნაყოფი მოღების აგიტაციისა“. იგი ფაქტორთა მრავალფეროვნებით იყო განპირობებული (Голос 1881, ტ. 95), მაგრამ არც ხოჯა-მოღების აგიტაციის უგულებელყოფა შეიძლება. ზოგიერთმა ხოჯამ „იმის გამო, რომ აღარ ჰქონდა საარსებოდ რაიმე საშუალება, დაიწყო მოსახლეობის აგიტაცია თურქეთში გადასახლებლად“ (სცსსა, ფ. 5, ან.1, ს. 7089, ფურც. 1,3). მათ ოსმალობის დროს ჰქონდათ სამსახური, გავლენა. ყოველივე ეს დაკარგეს. შესაბამისად, გააქტიურეს აგიტაცია ოსმალეთში ხალხის გადასახლების მიზნით. რუსული მმართველობა კი დასახული მიზნის მისაღწევად მოქმედებდა წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით (სცსსა, ფ. 5, ან. 1, ს. 7089, ფურც. 3).

დოკუმენტების ერთი ნაწილის მიხედვით მუჰაჯირობის ერთ-ერთ მიზეზად პორტო-ფრანკოს რეჟიმია დასახელებული. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სახმელეთო გზით გასვლისას ცალკეული პირებს უნდა გაეცლოთ შემოწმება საგუშაგოებზე, რასაც ითვალისწინებდა პორტო-ფრანკოს წესდების მე-14 და მე-15 პარაგრაფები. საქონლის გატანა პორტო-ფრანკოს სასაზღვრო ზოლიდან დაშვებული იყო მხოლოდ იქ, სადაც ფუნქციონირებდა საბაჟო დაწესებულება. რუსული ნაწარმის გარდა ყველა საქონელი იბეგრებოდა. დადგენილი წესების დარღვევა მკაცრად ისჯებოდა (ასსსსა, ფ. 13, ს. 41, ფურც. 55,63).

მუჰაჯირობის ერთ-ერთ მიზეზად პორტო-ფრანკოს რეჟიმის დასახელება ჩანს სხვა საარქივო დოკუმენტებიდანაც. ამის შესახებ საუბრობს კონტრ-ადმირალი გრევე (ბათუმის პორტის უფროსი) კავკასიის გენერალიტეტისადმი 1880 წელს მიწერილ ერთ-ერთ კორესპონდენციაში. იგი დაინტერესებულა მუჰაჯირობის მიზეზებით და უსაუბრია გადასახლების მსურველ მოსახლეობასთან, რომლისგანაც მიუღია შემდეგი პასუხი: „როდესაც ქალაქი სულთანს ეკუთვნოდა, ჩვენ სოფლიდან მიგვქონდა იქ გასაყიდად კვერცხი, რძე, ყველი, თაფლი და საერთოდ ყველაფერი, რაც განკუთვნილი იყო გასაყიდად. ამის სანაცვლოდ ვყიდულობდით იმას, რაც გვჭირდებოდა. ჩვენ არავინ არ გვებეზობდა, მაგრამ ახლა ყველას ისე გვჩხრეკენ, როგორც ქურდებს და რაც ყველაზე შეურაცხმყოფელია, ამოწმებენ ჩვენს ქალებს. ეს ეწინააღმდეგება ჩვენს წეს-ჩვეულებას. ჩვენი აქ დარჩენა აუტანელია და უნდა გავეცალოთ აქაურობასო“ (სცსსა, ფ.7, ან. 1, ს. 3165, ფურც. 4,7)

საარქივო დოკუმენტებში გვხვდება ინფორმაციები გადასახლებულთა სტატისტიკური მონაცემების შესახებაც. გენერალ-გუბერნატორ კომაროვს, დ. ბაქრადის მიერ მოძიებული ციფრობრივი მონაცემების საფუძველზე შეუდგენია დოკუმენტი, რომელშიც წარმოდგენილია ბათუმისა და აჭარის ოკრუგებიდან წასული მუჰაჯირების რაოდენობა. დოკუმენტში მითითებულია, რომ ბათუმის, კონტრიშისა და გონიოს უბნებიდან 1878-1880 წწ. მუჰაჯირად წავიდა 1813 კაცი (897 კაცი და 916 ქალი). ზემო და ქვემო აჭარის, ასევე, მაჭახლის უბნებიდან კი- 12 351 კაცი (6197 კაცი, 6154 ქალი). ე.ი. სულ 14 164 კაცი (სცსსა, ფ. 229, ან. 1, ს. 12, ფურც. 2,4). ცხადია, მუჰაჯირთა რაოდენობა გაცილებით მეტი იყო. ამაში ქვემოთ ჩვენს მიერ

მოტანილი ახალი მონაცემებითაც დავრწმუნდებით. ხშირ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მასობრივ გადასახლებებს, მუქართა და დაშინებით განპირობებულ მიგრაციებს, რაც ამ დოკუმენტში ასახული არაა. საარქივო დოკუმენტებში წარმოდგენილია, აგრეთვე სხვა საინტერესო მასალები, კერძოდ: ახალციხის გუბერნატორის თხოვნა კავკასიის მთავარმმართველისადმი ახალციხიდან თურქეთში 1500 ოჯახის გადასახლების თაობაზე (სცსა, ფ.5, ან.1, ს. 622), სხვადასხვა სახის კერძო თხოვნები მუსლიმთა თურქეთში საცხოვრებლად გადასვლასთან დაკავშირებით (სცსა, ფ.12, ან. 2 ს. 263), აფხაზების თურქეთში გადასახლების შესახებ (სცსა. ფ.545, ან.1, ს.191).

აჭარის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული მასალები - აჭარის საარქივო სამმართველოს ფონდ-საცავებში მუჰაჯირობის პროცესებთან დაკავშირებული მასალები საკმაოდ მწირია. გამონაკლისს წარმოადგენს ბრიტანული კოლექცია, რომელშიც მრავლადაა დოკუმენტები რუსეთ-თურქეთის ომში ერთის მხრივ, აჭარის საქართველოსთან დაბრუნების მნიშვნელობის, მეორეს მხრივ კი, იმ უარყოფით მოვლენების შესახებ, რამაც განაპირობა ძირძველი ქართული რეგიონებიდან მკვიდრი მოსახლეობის აყრა-გადასახლება. გადასახლებას დაექვემდებარენ აჭარლები, ლაზები და ქართველი ხალხის სხვა ჯგუფები, ასევე აფხაზები, ჩრდილო კავკასიელები. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია ლაზების საკითხზე. ეს პრობლემა საარქივო დოკუმენტებში დაკავშირებულია სანსტეფანოს ზავის შემდეგ ბათუმის დაბრუნების საკითხთან. დოკუმენტებიდან ჩანს, რომ ლაზების საკითხი ბერლინის კონგრესზეც გამხდარა მსჯელობის საგანი. ბრიტანეთს არ სურდა ბათუმის გადასვლა რუსეთის ხელში. ამიტომ წამოუყენებიათ ინგლისელებს ლაზისტანის სახანოს შექმნის იდეა. იკვეთება, რომ ბრიტანელებს სურდათ ლაზების გამოყენება რუსების წინააღმდეგ, თუმცა მოგვიანებით, ბრიტანეთმა მიაღწია რა გარკვეულ წარმატებას ბერლინის კონგრესზე, შეეცადა დაეშოშმინებინათ აჯანყებული ლაზები (აგსა,ფ.83, ან.1, ს. 1, ფ.348). ვიცე კონსულ ბილიოტის მიერ 1878 წ. 21 აგვისტოს მარკიზ სოლსბერისადმი გაგზავნილი წერილიდან ნათლად ჩანს თურქეთის ხელისუფლთა სურვილი-აიყაროს მკვიდრი მოსახლეობა მამა-პაპისეული ადგილებიდან. დოკუმენტში ვკითხუ-

ლობთ : „დერვიშ ფაშამ დაავალა ბათუმის მუთასერიფს, შეატყობინოს მოსახლეობას, რომ რუსები შემოვლენ მიმდინარე თვის 27-ში და ვინც აპირებს ემიგრაციაში წასვლას, უნდა წავიდნენ. მუთასერიფმა უდევკემა სამგზავრო გემებს დაიტვირთონ შიდა რაიონებიდან ჩამოსული ემიგრანტების ოჯახებით და ბარგით (აცსა, ფ.83, ან.1, ს. 1 ფ.349).

ბათუმის მოსახელობაში თურქების დამარცხების შემდეგ ხმა დაირხა : ვისაც ახლავე არ უნდა წასვლა მუჰაჯირად, შეუძლია ასე მოიქცეს 3 წლის განმავლობაში, მანამდე კი, იქნებიან რუსების ქვეშევრდომობაშიო. თურქულმა ტრანსპორტმა ამ დღეებში ბათუმიდან გაიტანა 1200 შეკვრა სამხედრო საჭურველი, უამრავი წერაქვი, ნიჩაბი და ა.შ.” დოკუმენტებიდან ნათლად ჩანს თურქი აგენტების პროპაგანდა, რომლებიც ომში დამარცხების შემდეგ ცდილობენ მკვიდრი მოსახლეობის მუჰაჯირობისათვის შეეწყოს ხელი (აცსა, ფ. 83, ან.1,ს.1 ფ.348).

ეს ის დროა, როცა წყდებოდა ომის შედეგების და აჭარის რუსეთის იმპერიასთან შეერთების საკითხი, როცა ოსმალეთს ჯერ კიდევ სჯერა, რომ ბრიტანეთის დახმარებით დაიბრუნებს ომში დამარცხების შედეგად დაკარგულ ტერიტორიებს. რუსების ბათუმში შემოსვლა კი გვიანდებოდა. 18 სექტემბერს შედგენილ დოკუმენტში ვკითხულობთ, რომ ციხისძირში 17 სექტემბრისათვის ელოდებოდნენ რუსებს, რომლებმაც იქ განიმტკიცეს პოზიციები, რომ რუსები აპირებენ ართვინში შესვლას, ბათუმი კი ემზადება და მზადაა ევაკუაციისათვის (აცსა, ფ. 83, ან.1, ფ.353). დოკუმენტების მიხედვით ფაშა ირწმუნებოდა, რომ რუსები ლაზებს და აჭარლებს ერეკებიან თურქეთისაკენო, თუმცა კონსულის აზრით რუსები მათ დარჩენას თხოვდნენ.

რუსეთ-თურქეთის ომში დამარცხება და ქართული პროვინციების დაკარგვა საარქივო დოკუმენტების მიხედვით, პირად ტრაგედიად აღუქვამს ტრაპიზონის გუბერნატორს იუსუფ ფაშას. ამიტომაცაა, რომ ის რუსებზე ქალაქის ჩაბარების წინა ღამეს წასულა ბათუმიდან, რათა მონაწილეობა არ მიეღო ქალაქის ჩაბარებაში. „რამდენიმე დღე ბათუმში ჩემი დარჩენის საჭიროება რომ ყოფილიყო, ავად გავხდებოდიო,” ასე უთქვამს იუსუფ ფაშას (აცსა,ფ. 83,ან.1,ს.1 ფ.354,355).

საარქივო დოკუმენტებში ნათლად ჩანს ბრიტანული დიპლომატიის დამოუკიდებლობა მუჰაჯირობის პრობლემებისადმი. ლაზისტანის სახანოს შექმნის იდეა მიზნად ისახავდა იმას, რომ ბათუმი არ გადასულიყო რუსების ხელში. საარქივო დოკუმენტებში ვხვდებით მონაცემებს, რომლებშიც საუბარია მუჰაჯირობის გამომწვევ მიზეზებზე. ეს დოკუმენტები დაახლოებით იმავე შინაარსისაა, როგორც საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში დაცული მასალები. განსაკუთრებული ყურადღება გადატანილია პორტო-ფრანკოს რეჟიმის უარყოფით მხარეებზე (აცსა, ფ.13,ს. 41, ფ.55,63).

ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში (ქცსა) - დაცულია მასალები, რომლებიც ეხება მუჰაჯირობას, მუჰაჯირების მიწის ნაკვეთებს, რომლებიც შემდეგ იჯარით გადაეცა სხვა მფლობელს. დოკუმენტში აღწერილია ნაკვეთების ფართობი მესაკუთრის გვარებისა და სოფლების მიხედვით, მოცემულია მამულის ძველი და ახალი მფლობელი (ქცსა, ფ.20.ან.1,ს. 74).

მუჰაჯირებთა გასხვისებული მიწის ნაკვეთები

კინტრიშის მონაკვეთი			
№	ყოფილი მფლობელის ვინაობა	მამულის მდებარეობა და ნაკვეთების რაოდენობა	ახალი მფლობელის ვინაობა და ნაკვეთის ფასი

სოფელი აჭყვა

1	სულეიმან უსუფ ოღლი	2 ნაკვეთი კოიხიდან	პოდპოლკ. სოლოვცევი - 4 მანეთად
2	არიფ თონალ ოღლი	2 ნაკვ. კოიხიდან	პოდპოლკ. სოლოვცევი - 8 მანეთად
3	ოსმან ხარატ ოღლი	2 ნაკვ.კოიხიდან	პოდპოლკ. სოლოვცევი - 8 მანეთად
4	დურსუნ ჩახმახ ოღლი	3 ნაკვეთი	პოდპოლკ.სოლოვცევი - 5 მანეთად

5	სულიმან და დურსუნ ხარატოლლები	6 ნაკვეთი	პოდპოლკ.სოლოვცევი - 6 მანეთად
6	მუხამედ ხინიკაძე	5 ნაკვეთი	პოდპოლკ. სოლოვცევი - 5 მანეთად
7	ბექირ მუხ ოღლი	1 ნაკვეთი	პოდპოლკ. სოლოვცევი - 4 მანეთად და 50 კაპ.
8	დილბერ მუხოღლი	1 ნაკვეთი	პოდპოლკ. სოლოვცევი - 1 მანეთად და 50 კაპ.
9	ბექირ ყარამედოღლი	1 ნაკვეთი	პოდპოლკ. სოლოვცევი - 2 მანეთად
10	ხასან მუსოღლი	1 ნაკვეთი	პოდპოლკ. სოლოვცევი - 1 მანეთად
11	მემია ქარცივაძე	1 ნაკვეთი	პოდპოლკ. სოლოვცევი - 4 მანეთად
12	ლომან ქოროღლი	1 ნაკვეთი	პოდპოლკ. სოლოვცევი - 2 მანეთად
13	სალიხ კირჩხელი	1 ნაკვეთი	პოდპოლკ. სოლოვცევი - 2 მანეთად
14	ალი კეშოღლი	1 ნაკვეთი	ესტატე კობალაძეს - 3 მანეთად
15	დილბერ კოჩალოღლი	1 ნაკვეთი	ლაზარ პარუნდუჭი - 10 მანეთად
16	არიფ კირჩხელი	1 ნაკვეთი	მირზა ოღლი - 15 მანეთად

სოფელი სახალგაშო

№	ყოფილი მფლობელის ვინაობა	მამულის მდებარეობა და ნაკვეთების რაოდენობა	ახალი მფლობელის ვინაობა და ნაკვეთის ფასი
---	-----------------------------	---	---

1	მელეგ ოსმან ჩილაგ ოღლი	1 ნაკვეთი	მემი ზაიახტაროთლი - 2 მანეთად
2	ხასან ქობულ ოღლი	5 ნაკვეთი კოიხიდან	მემედ ალი ვასაძე - 2 მანეთად
3	უსუფ ხოკერაძე	5 ნაკვეთი კოიხიდან	მემედ ალი ვასაძე - 2 მანეთად
4	მემედ ემინ ოღლი	2 ნაკვეთი	ხუსეინ კაროღლი - 3 მანეთად
5	მემედ ხოკერაძე	2 ნაკვეთი	მემედ გორდელაძე - 3 მანეთად
6	ხასან გუჩმანიძე	1 ნაკვეთი	შირან ბაუჟოღლი - 2 მანეთად
7	ალი გულთ ოღლი	2 ნაკვეთი	საიდ ხალვაში - 2 მანეთად
ჯამში 17 მანეთი			
სოფელი ხალა			
1	არიფ გორგილაძე	2 ნაკვეთი	მურად ლამპარაძე - 1 მანეთად
2	ხასან ალა ჩაიდარ ოღლი	7 ნაკვეთი	ხუსეინ ალა ჩაიდარ ოღლი - 1 მანეთად
3	სულეიმან ბასილაძე	1 ნაკვეთი	ალი ალა გვარელოღლი - 2 მანეთად
4	მუსტაფ ახმედ...	3 ნაკვეთი	ახმედ ვასაძე -1 მანეთად და 50 კაპ.
5	სეიდ ახმედ ჩუბოღლი	3 ნაკვეთი	ფერათ ბეგ ბეჟანოღლი - 10 მანეთად
6	მუხამედ სელიმ ოღლი	2 ნაკვეთი	მამუდ სარიოღლი - 1 მანეთად
7	სოლ ალა გორგილაძე	2 ნაკვეთი	ახმედ გოგმაჩაძე - 2 მანეთად
10	მემედ ლაზი ოღლი	3 ნაკვეთი	ემინ მონალ ოღლი - 2 მანეთი
11	ისმაილ იბრაიმ ოღლი	6 ნაკვეთი	სეფერ ალა სამბაშოღლი - 2 მანეთად ჯამი 26 მანეთი 50 კაპ

გარდა ცხრილში მოცემული სოფლებისა, დოკუმენტში აღწერილია ორთაბათუმის, ყოროლისთავის, მახინჯაურის, გორგაძეების, ჩაქვისთავის, ბარცხანის, ურეხის, ახალშენის, ზემო ხინოს, ცხემლოვანის, ზერაბოსელის მიწები, ნაკვეთები და მათი მფლობელები. დოკუმენტის მიხედვით, მიწის ნაკვეთებზე მთლიანად აღებულია დაახლოებით 1082 მანეთი და 70 კაპიკი, დოკუმენტზე მითითებულია, რომ მიწის ნაკვეთებიდან აღებულია 617 მანეთი და 70 კაპიკი, ხოლო ასაღები დარჩა 465 მანეთი (ქცსა, ფ.20.ან.1,ს.74). დოკუმენტის მიხედვით შეგვიძლია ვიმსჯელოთ აღწერილ სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობის გვარობრივ შემადგენლობაზე.

აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით რუსული საარქივო მასალები გარკვეულწილად დამუშავებულია ქართველი ისტორიკოსების მიერ, რომლებსაც ნაშრომზე მუშაობის დროს გავიცანით. რაც შეეხება თურქულ საარქივო მასალას, მისი გარკვეული ნაწილი ხელმისაწვდომი გახდა ჩვენთვის (ძირითადად მუჰაჯირობამდელი სააღწერი მასალები) და მათი მონაცემები მაქსიმალურად გათვალისწინებულია ჩვენს ნაშრომში.

1.2. პრესის მასალები იმდროინდელ პერიოდიკაში (გაზეთები: „დროება“, „ივერია“, „გოლოსი“, „ობზორი“, ჟურნალი „ივერია“, „კვალი“ და სხვა) ხშირადაა საუბარი რუსეთ-თურქეთის ომისა და ომის შემდგომი პერიოდის მოვლენების, განსაკუთრებით, მუჰაჯირობის შესახებ. მათში გამოქვეყნებული ინფორმაცია მნიშვნელოვნად ავსებს ინსტიტუციონალურ დაწესებულებებში დაცულ მონაცემებს. პრესაში გამოქვეყნებულ მასალებში გვხვდება საინტერესო ინფორმაცია პორტო-ფრანკოს რეჟიმის დაწესების, მუჰაჯირობის მიზეზების (ეკონომიკური მდგომარეობა, პორტო-ფრანკოს რეჟიმი, რელიგიური ფაქტორი, საკუთრების უფლებების შელახვა, მძიმე გადასახადები, რუსეთისა და თურქეთის პოლიტიკა, პიროვნების უფლებების შელახვა და ა.შ.), მუჰაჯირთა რაოდენობის და სხვა საკითხების შესახებ. უნდა ითქვას, რომ მუჰაჯირობისადმი ხელისუფლების დამოკიდებულება განსხვავდებოდა მოსახლეობის დამოკიდებულებისაგან და წინააღმდეგობაში მოდიოდა საზოგადოებრივ აზრთან.

პერიოდულ გამოცემებში დიდი ადგილი ეთმობა ბათუმისათვის პორტო-ფრანკოს სტატუსის მინიჭებას. პუბლიკაციებში საუბარია რუსეთის პოზიციაზე, რომელიც ყოყმანობდა ამ საკითხთან დაკავშირებით, რაც კონგრესის მონაწილეებში უკმაყოფილებას იწვევდა (**დროება 1878, №129**). 6 ივლისის სხდომაზე გორჩაკოვმა თანხმობა განაცხადა ერზრუმის, ბაიაზეთის, ალაშერტის დათმობასა და ბათუმის თავისუფალ ქალაქად გამოცხადებაზე, რაც „ყველა მოვაჭრე ქვეყნის“ ინტერესებს შეესაბამებოდა (**Голос 1878, №5,6**).

ოსმალთა ძალადობას წინ აღუდგნენ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები. ერთ-ერთი მათგანი იყო ნური ბეგ თავდგირიძე, რომელსაც უცნობებია ეს ფაქტი გრ. გურიელისათვის და დახმარება უთხოვნია. „დროების“ ინფორმაციით, გრ. გურიელს სასწრაფოდ გაუგზავნია შეიარაღებული რაზმი, რომელიც გადაუდგა ოსმალებს და გადასასახლებლად გამზადებული ხალხი სახლებში დააბრუნა (**დროება 1878, №190**).

გაზეთ „ობზორში“ ვხვდებით საინტერესო ინფორმაციას, რომელიც ადასტურებს ადგილობრივ მოსახლეობის დიდი ნაწილის სურვილს, წინ აღუდგეს მუჰაჯირობას და ამ საქმეში ეყრდნობა საკუთარ ძალებს, რასაც ხშირად შედეგად მოსდევდა ოსმალებთან შეტაკება. გაზეთში საუბარია 1878 წ. 14-15 აგვისტოს შეტაკებაზე ქობულეთის მოსახლეობასა და ოსმალებს შორის (**Обзор 1878, №231**). ერთი კორესპონდენციის მიხედვით ადგილობრივებს შეუტყვიათ, რომ „ოსმალეთის მთავრობა გზავნის ბათუმში კომისიას თუ ერთს აგენტს, რომელსაც მინდობილი ექნება, რომ ფულით და სხვა სახსრებით გაუადვილოს გადასახლება ახალშემენილ ოსმალოს საქართველოს მაზრიდან იმ მცხოვრებლებს, რომელნიც ოსმალეთში გადასახლებას მოინდომებენ. ოსმალოს კომისია, ანუ აგენტი ყოველ საშუალებას მოიხმარს, რომ რაც შეიძლება მომეტებული ხალხი გადასახლოს იქიდან ოსალეთში“ (**დროება 1878, №189**). ნიშანდობლივია, რომ ოსმალები ასეთ საქმიანობას აგრძელებენ რუსების დამკვიდრების შემდეგაც, რაც არც რუსეთის იმპერიის მიზნებს ეწინააღმდეგებოდა. „წლებანდელი მკაცრი ზამთრისა და სიძვირისაგან ყველაზე უფრო მომეტებული ზარალი ამ ახლადშემენილ მაჰმადიან საქართველოს მიეცა, რომელსაც ჯერ ვერ წამოეწია წელი განვლილ ომის შემდეგ. ხალხი დიდ გაჭირვებაშია და ამით ყველაზე მეტად ოსმალოს აგენტები სარგებლობენ. ისინი

ავრცელებენ ხალხში აზრს, რომ ღმერთი სჯის იმათ ქრისტიან ქვეშევრდომად დარჩენისათვის, რომ ოსმალეთში ისინი ერთი ათად უკეთესად იცხოვრებენ. ამგვარმა აგიტაციამ თავისი გააკეთა. ქვემო აჭარა მთლიანად გადასახლდა და ბევრი კიდევ აპირებს წასვლას **(დროება 1878, №95)**. იგივე შინაარსისაა სხვა პუბლიკაციაც: „სტამბოლიდან მოსული მოლები და საზოგადოდ ოსმალთს მქადაგებელნი, ხალხს ეუბნებიან: წავიდეთ ოსმალეთში, აქ თქვენ დასადგომი პირი არ გაქვთ, რუსის ხელში ვერ გაძლებთ. გიაური მართლმსაჯულ მაჰმადიანს არასოდეს არ შეიწყნარებს“ **(დროება 1880, №118)**.

ოსმალთა ბატონობის დროს მოსახლეობა ძალიან მძიმე პირობებში იმყოფებოდა. 1876 წ. ოსმალებმა მოსახლეობას ორი წლის გადასახადი გადაახდევინეს. მალე დაიწყო საბრძოლო მოქმედებები. ქობულეთის უბნის 20 სოფლიდან დარბეული და გადამწვარი იყო ხუცუბანი, ქაქუთი, ქობულეთი, ციხისძირი, მუხაესტატე, ლეღვა, სამება, კვირიკე. სოფელი გვარა კი საერთოდ აღარ არსებობდა. ჩანაგდებოდა საცხოვრებელი სახლები, ბაღ-ვენახები **(Голос 1879, №158)**. გიორგი წერეთლის თქმით - „კონტრიშის გადმოღმა ქობულეთის მხარე სულ გავერანებული იყო. მდიდარი სოფლების მაგივრად აქა-იქ ტიტველი ბუხრის მილებს ამოეყოთ თავი. ხუცუბანში ყოფნა შეუძლებელი იყო. ერთ ნაჭერ პურში ექვს შაურს ვაძლევდით. ვისაც შიმშილით სიკვდილი არ უნდოდა, ის უნდა გაქცეულიყო ამ უბედური ადგილებიდან“. ასეთ პირობებში მყოფ მოსახლეობას ოსმალები სხვადასხვა სახის შეღავათებს პირდებოდნენ, რუსები კი პირიქით, ერთი-ორად ამძიმებდნენ გადასახადებს. ნიკო ნიკოლაძის თქმით, „ხალხმა ვერც კი მოასწრო ომის უბედურებისაგან თავის დაღწევა, რომ მათგან გასულ წელს გადასახადი აიღეს 6-დან 10 მანეთამდე და ამავე დროს მისი აკრეფისათვის იყენებდნენ ყველაზე უხეშ მეთოდებს“ **(დროება 1878, №14)**. გაზეთ „დროების“ ინფორმაციით, 1878 წ. ზემო აჭარაში ჩაუტარებიათ აღწერა, რომლის მიზანი იყო გადასახადების აკრეფა. ხალხის თხოვნა, რომ გამვალტყავებულ მოსახლეობას არ შეუძლია გადასახადების გადახდა, უყურადღებოდ დარჩენილა, რის გამოც აბოზოქრებულ ხალხს აღწერის მასალები გაუნადგურებია **(დროება 1878, №267)**. გადასახადების დამძიმება კიდევ ერთი სტიმული იყო მოსახლეობის მუჰაჯირობისა. გაზეთ „Голос“-ში ხალხთა

გადასახლების მიზეზად პირდაპირაა დასახელებული ეკონომიკური ფაქტორები (Голос 1881, №95). იმდროინდელ პრესაში დასახელებულია ეკონომიკური ფაქტორით განპირობებული მოსახლეობის გადასახლების კონკრეტული მაგალითები. ერთ-ერთი პუბლიკაციის მიხედვით, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის მიუხედავად ხალხს აუკრებია 5-5 მანეთი, მაგრამ „ნაჩალნიკისათვის ეს არ აღმოჩნდა საკმარისი“, რის გამოც „უკმაყოფილო ხალხმა იგრიალა და ერთად რამდენიმე კომლი გადაიხვეწა ოსმალეთში“ (დროება 1881, №4).

მუჰაჯირობის საკითხს ვრცლად შეეხო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ილია ჭავჭავაძე. ჟურნალ „ივერიის“ 1879 წ. მეორე ნომერში იგი აქვეყნებს სტატიას „შინაური მიმოხილვა“, სადაც გამოთქვამს შეშფოთებას მუჰაჯირობის პროცესისა და გადასახლებულთა რაოდენობის ზრდასთან დაკავშირებით (ივერია 1879, №2). ილია ამავე წერილში ეხება მუჰაჯირობის მიზეზებსაც და მას რუსი ჩინოვნიკების თვითნებობას უკავშირებს. მისი თქმით „ახლად შემოერთებულ ქვეყანას კალიასავით მიესია ყველა კალიაზე უფრო მსუნაგი, უფრო ხარბი, გაუმაძღარი წვრილი ჩინოვნიკობა. ბრალი იმათ უნდა დავდოთ, ვინც აქამდე მიიყვანა საქმე“ (ივერია 1879, №2).

პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე პარმენ ჭანიშვილი გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში-„ქობულეთი“ მუჰაჯირობის მიზეზებს შორის ასახელებს თურქეთის მზაკვრულ პოლიტიკასაც, რომელიც ძალასაც კი იყენებდა ადგილობრივთა გადასახლების მიზნით. აქვე ავტორი აღწერს გადასახლების პროცესსა და მუჰაჯირთა უმძიმეს მდგომარეობასაც (დროება 1878, №190). ასეთივე პათოსითაა გაჟღერებული ბავრელის ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილები (ბავრელი, 2008:31), ლევან მჭედლიშვილის, ს.ასლანოვის და სხვა ავტორთა კორესპონდენციები (დროება 1879, №208,177,1880, №4). ზოგიერთი ავტორი საყვედურობს ქართველებს გულგრილობაში, რომ შემოერთების სიხარული მალე ყველამ დაივიწყა და როცა ჯერი საქმეზე მიდგა, დაპირებების შესრულება არავინ ისურვა. ერთი წერილი მთავრდება სიტყვებით: „ნაპოვნი ძმა არ უნდა დაკვარგოთო“ (დროება 1880, №196). ვინმე მესხი (ივანე გვარამაძე) საუბრობს, რა 300-400 წლის განმავლობაში დაკარგული ტერიტორიების შემოერთების მნიშვნელობაზე,

სინანულით აღნიშნავს: „აღარავის ახსოვს იმათი გასაჭირი. ისინი გარბიან ოსმალეთში და ამის მიზეზის გამოძიებას და მოსპობას არავინ ფიქრობსო“ **(დროება 1880, №196)**.

მუჰაჯირობის ერთ-ერთ მიზეზად პერიოდული პრესის ინფორმაციით დასახელებულია საკუთრების უფლების შელახვა. ცარიზმმა გადასახლებულებს ჩამოართვა მიწა და სახაზინო საკუთრებად აქცია, რამაც გული აუცრუა დარჩენილ მოსახლეობასაც. მოსახლეობის უკმაყოფილებამ რუსეთის ხელისუფლება იძულებული გახადა შეერბილებინა პოლიტიკა, თუმცა ფრაგმენტული ხასიათის ღონისძიებებს არ შეეძლო პოზიტიური შედეგის მოტანა **(დროება 1880, №168)**.

პერიოდულ პრესაში პორტო-ფრანკოს რეჟიმთან დაკავშირებით ვხვდებით მეტად საინტერესო პუბლიკაციებს. ცნობილი საზოგადო მოღვაწე გიორგი წერეთელი საგანგებოდ ეხება ამ საკითხს და სათანადო გაფრთხილებასაც აძლევს ხელისუფლებას **(დროება 1879, №24)**. პუბლიკაციებიდან ირკვევა, რომ ყველაფერი, რაც კი გლებს უნდა გაეყიდა ან შეესყიდა, საბაჟო გადასახადებს დაექვემდებარა: „იყიდიან რაიმეს და იმასაც მამასისხლად. სამი-ოთხი არშინის გამოტანა არ შეუძლიათ უბაჟოდ და მთელი დღე ტამოჟნიის კარებზე დგას ბეჭდის დასასმელად. ხალხს თავის ეზოში მოწეული ხილის გაყიდვაც არ შეუძლია მოხელის ბილეთის გარეშე **(დროება 1879, №35)**. ამავე საკითხზე ამხვილებს ყურადღებას პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე სერგეი მესხი: „საახალუხე ჩითი და საპერანგე მიტკალი ვერ უყიდია გლებს ისე, რომ არ გააჩერონ საბაჟოზე, სადაც ბეჭედი უნდა დააკრან. ადრე მოდიოდა ბათუმში გლები, ყიდულობდა ოსმალს ან ფრანგის საქონელს და უშიშრად მიდიოდა შინ, იცოდა, რომ საბაჟოს ყარაულები შინ არ დაუხვდებოდნენ და არ წაართმევდნენ ნავაჭრს. ახლა კი, ამ პორტო-ფრანკოს შემოღებამ ეს გვიყო“ **(დროება 1879, №40)**. ამავე საკითხს ეხება სხვა არაერთი პუბლიკაციაც. მაგალითისთვის მოვიყვანთ ამონარიდს ერთი წერილიდან: „ერთი აჭარელი კაცი მიდიოდა ცხენით ბათუმიდან სახლში. კახაბრის ტამოჟნიის პოსტზე სალდათებმა უპოვეს ამ კაცს უნაგირის ქვეშ სამი უბრალო ხელსახოცი. დაიჭირეს და წარადგინეს, როგორც კონტრაბანდის მფლობელი. ტამოჟნიის კანონებით მეკონტრაბანდეს უნდა გადაეხადა ხუთჯერ მეტი იმ ფასისა, რაც დაჭერილი საქონელი ღირს. საქონელიც

უნდა გაიყიდოს. უბედური აჭარელი ამასაც არ დააჯერეს და ცხენიც გაუყიდეს. კანონით ყველაფერი გადახდა მეკონტრაბანდეს. ცხენი რაღა შუაში იყო. ნუთუ ესეც კონტრაბანდა იყო? (დროება 1883, №245). ამიტომაც, საჭიროდ თვლიდნენ თანამდებობებზე კარგი ზნე-ჩვეულებების მცოდნე და პატივისმცემელი ხალხის დანიშვნას (დროება 1878, №253).

პერიოდული პრესაში სისტემატურად ქვეყნდებოდა მასალები, რომლებიც შეეხებოდა რუსი ჩინოვნიკების დამოკიდებულებას ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. ჩვეულებრივ მოვლენად იქცა პიროვნული ღირსების ფეხქვეშ გათელვა და შეურაცხყოფა. პრაქტიკულად, მკვიდრთა და რუსი ჩინოვნიკების ურთიერთობა ემსგავსებოდა „გამარჯვებულისა და დამარცხებულის“ ურთიერთობას. გაზეთ *Голос*-ის ინფორმაციით დაბალი ჩინის მატარებელი რუსი მოხელეც კი ისე არ ჩაუვლიდა ადგილობრივს, რომ შეურაცხყოფა არ მიეყენებინა ან არ შეეგინებინა თუ ომამდე ხელისუფლების, ადგილობრივი მოსახლეობის, ინტელიგენციის შეხედულებები რუსეთ-თურქეთის ომთან მიმართებაში ერთმანეთს ემთხვეოდა, ახლა პირიქით. საზოგადოებრიობა, მოწინავე ინტელიგენცია წინ აღუდგა რუსი მოხელეების თავგასულ მოქმედებებს, რაც ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი იყო მოსახლეობის გადასახლებისა. მაღალჩინოსნები კი, მკვიდრთა დასამცირებლად ზოგჯერ ჯობსაც კი იყენებდნენო (*Голос* 1881, №95). ამავე საკითხზე ამახვილებს ყურადღებას გაზეთი „დროებაც“: „დედ-მამის გინების, მკვიდრების შეურაცხყოფის მეტი თითქმის არაფერი გაგვიგონია ამ „ნაჩალნიკებისაგანო“ (დროება 1881, №4). ცხადია, ასეთი დამოკიდებულება იწვევდა უკმაყოფილებას, ამიტომაც „აქ დარჩენას გადასახლება ვარჩიეთო“ -წერს ერთი ადგილობრივი კორესპონდენტი (დროება 1880, №151).

საგაზეთო პუბლიკაციებში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული რელიგიურ ფაქტორზეც. ოსმალური ძალმომრეობის შედეგად მკვიდრი მოსახლეობა გამუსლიმანდა, მაგრამ პრესაში გამოქვეყნებული მასალები ისლამურ ფანატიზმს არ მიიჩნევს მუჰაჯირობის გამომწვევ ფაქტორად, რადგან ადგილი ჰქონდა ქრისტიანების გადასახლებასაც. „მუსლიმანები, ვთქვათ ფანატიკობენ და მიდიან, ქრისტიანებს რაღა მოუვიდათ, რომ ართვინიდან წლეულს ორასი კომლი აპირებს გადასახლებას?“, სვამს რიტორიკულ შეკითხვას ერთ-ერთი (დროება 1880, №131).

ქართული საზოგადოების შეხედულება ამ საკითხზე ნათლად გამოხატა ცნობილმა საზოგადო მოღვაწემ გიორგი წერეთელმა. იგი გამორიცხავდა ისლამური ფანატიზმის ფაქტორს და პირველ რიგში ყურადღებას ამახვილებდა დასაქმებასა და რუსი ჩინოვნიკების თავნებობაზე **(დროება 1879, №24)**. თუმცა, პრესაში გამოქვეყნებულ ზოგიერთ პუბლიკაციაში ცალკეული ავტორი (მაგ. პარმენ ჭანიშვილი) მუსულმანურ ფანატიზმს თვლიდა მუჰაჯირობის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად **(დროება 1878, №190)**. მუჰაჯირობის საკითხებს არაერთი პუბლიკაცია მიუძღვნა ზაქარია ჭიჭინაძემ. იგი მუჰაჯირობის ერთ-ერთ მიზეზად თურქი მოლა-ხოჯების აგიტაციას მიიჩნევდა და მოითხოვდა, რომ ისინი არ შემოეშვათ აჭარაში. „ისინი მტრობასა და სიძულვილს უნერგავენ ქართველების და ქართული ენის მიმართ და ყველა იმას უქადაგებს, რომ თქვენს რჯულზედ მაგრად იდექით და ოსმალეთისაკენ გადასახლებაზე იზრუნეთო. რაც რამ ვნება მოსდით ქართველ მაჰმადიანებს, სულ იმათ გამო ემართებათო“ **(ივერია 1892, №149)**.

ზ.ჭიჭინაძე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე, გადასახლებულ მუჰაჯირთა აუტანელ მდგომარეობაზე, რათა მაჰმადიან ქართველებს ააღებინოს ხელი გადასახლებაზე, ამავე დროს ეს პრობლემა აქციოს ქართველი საზოგადოებრიობის ინტერესების საგნად. ქართულ საზოგადოებას ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი რელიგიისადმი ფაქიზი დამოკიდებულების აუცილებლობა. „ჩვენ არ უნდა შევეხოთ ახლადშეძენილი ქართველების სარწმუნოებას. სარწმუნოება სინდისის საქმეა. ამას ერთობ ფრთხილად უნდა შეეხოს კაცი“ **კვითხულობთ ერთ-ერთ პუბლიკაციაში (დროება 1878, №41)**.

როგორც სხვა შემთხვევებშიუ, ვერც იმდროინდელი პრესის საშუალებით ხდება მუჰაჯირად წასულთა თუნდაც დაახლოებითი რაოდენობის განსაზღვრა, თუმცა ცალკეული პუბლიკაციები წარმოდგენას იძლევა გადასახლების მასშტაბებისა და ცალკეული სოფლებიდან წასულთა რაოდენობის შესახებ. გაზ. Голос-ს ინფორმაციით ქობულეთის ორი ათასი მცხოვრებიდან 1879 წელს დარჩენილა ხუთასი კაცი **(Голос 1879, №158)**. იმავე წელს ქვემო აჭარიდან და მაჭახლიდან წასვლის განცხადება 800 კომლს დაუწერია **(დროება 1879, №127,145)**. ეს მონაცემები ყოველდღე იზრდებოდა. ზოგიერთი სოფელი მთლიანად დაიცალა.

გაზეთი „კვალი“-ში აღწერილია ოსმალეთის შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ქართველების რაოდენობა, კერძოდ: ხოფაში-10 კომლი, ბირქავაში-100, მაფაურაში-120, იროზაში-100, სურმენეში-150, ტრაპზონში-100, ფლატანში-100, თრიპოლში-100, გირესუნში-100, ორდუში-100, უნიაში-1000, თერმეში-100, შერშეგმეში (ჩარშამბა - ნ.ფ) -100, სამსონაში-140, სინაპში-130 (კვალი, 1895:№49). ამავე გაზეთის ცნობით ქ. ბოლომანში 200 კომლი ლაპარაკობს ქართულად (კვალი 1995,№49). ფაქტია, რომ ამ მონაცემების პრესაში გამოქვეყნების დროს მუჰაჯირობის ძირითადი პროცესის დასრულებიდან ათ წელიწადზე მეტია გასული და იგი გარკვეულ წყაროს ეყრდნობა, მაგრამ მაინც არ უნდა იყოს ბოლომდე სანდო. მისი პირდაპირ გაზიარება შეუძლებელია თუნდაც იმიტომ, რომ მუჰაჯირობა მხოლოდ სამი წლით არ შემოფარგლულა. მცირე ტალღებით იგი ბევრად უფრო დიდხანს გრძელდებოდა. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ უნიეში ქართველთა სოფლებია, სადაც მუჰაჯირები XX ს-ის 30-იან წლებში გადასახლებულან.

პრესაში ვხვდებით მასალებს აფხაზი მუჰაჯირების შესახებაც, რომლებსაც მოსურვებით პირველსაცხოვრისში დაბრუნება, მაგრამ ამაოდ. მათი ნაწილი აჭარაში დარჩა, რაშიც დიდი იყო ქართველი საზოგადოებრიობის დამსახურება (დროება 1880,№234).

იმდროინდელ პრესაში დიდი ადგილი დაეთმო აჭარის დაბრუნებით გამოწვეული სიხარულის გამოხატვას. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია პუბლიკაციები, რომლებიც თბილისში, მუხრანსკის სასახლეში დიმიტრი ყიფიანის ინიციატივით გამართულ საზეიმო ბანკეტს ეხება (დროება 1878,№239). უნდა ითქვას, რომ პრესაში დაცული ინფორმაციები ავსებს საარქივო დოკუმენტებში არსებულ ცნობებს.

I.3. სამუზეუმო მასალები: ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდებში ჩვენთვის საინტერესო არაერთი დოკუმენტის ასლია დაცული. აღნიშნულ მასალაშიც თვალნათლად არის ასახული მუჰაჯირობის გამომწვევი ფაქტორები და რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკის ნამდვილი სახე. რუსთა ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი იყო მკვიდრი მოსახლეობის აყრა და გათავისუფლებულ ტერიტორიებზე კოლონიზატორული ელემენტების ჩამოსახლება. სწორედ ამ მიზნით

ჩამოასახლეს რუსი, გერმანელი და სხვა ეროვნების კოლონისტები, რომლებსაც უნდა უზრუნველყოთ რუსული პოლიტიკის გატარება. მუჰაჯირთა მიწები მათ ხელში გადადიოდა. ქობულეთელი ქესკინ ნიჟარაძის დაკვირვებით გენერალ კომაროვის გუბერნატორობის დროს ქობულეთში ბევრი რუსი სამხედრო მაღალჩინოსანი ჩამოსახლდა, კერძოდ, გენერლები: გდენევიჩი, საფაროვსკი, აგანოვსკი, ეგლევესკი, ასასკი და სხვები (**ხარიტონ ახვლედიანის მუზ. ქართულ ხელნაწ. ფონდი №247**). ხელნაწერთა ფონდში საუბარია მუჰაჯირობის გამომწვევ სხვა მიზეზებზეც. კერძოდ, რუსული ხელისუფლების მიერ ადგილობრივი დიდებულებისათვის ზემოთ უკვე ნახსენებ ჯამაგირის მოხსნაზე, რომელიც თავის დროზე ოსმალეთის ხელისუფლებამ დაუნიშნა მათ. აღნიშნული მოვლენა მუჰაჯირობის ერთ-ერთ ფაქტორადაა წარმოდგენილი (**აჭარის სახელმწ. მუზ. ხელნაწ. ფონდი, ტ. 640, გვ.34,35**). ხელნაწერთა ფონდებში დაცული დოკუმენტები ეხება მუსლიმ სასულიერო პირთა აგიტაცია-პროპაგანდისა და რუსი ჩინოვნიკების მიერ გატარებული ანტიხალხური პოლიტიკის საკითხებს. საუბარია იმის შესახებაც, რომ პროპაგანდისტი ხოჯა-მოლები ახერხებდნენ მათი ქვეშევრდომების გადასახლებას, რითაც სულთნის კარზე იმაღლებდნენ ავტორიტეტს და იუმჯობესებდნენ მდგომარეობას (**ხარიტონ ახვლედიანის მუზ. რუსულ ხელნაწ. ფონდი, ტ. 223, ფურც.1-4**). გარდა ამისა ეს პროპაგანდა იყო ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკის ნაწილი, პირდაპირი ინტერესი სახელმწიფოსი, რომელზეც ქვემოთ უფრო ვრცლად გვექნება საუბარი. სამუზეუმო ფონდებში რუსი ჩინოვნიკების აღვირახსნილ საქმიანობის შესახებაც ვხვდებით საინტერესო მასალებს დოკუმენტის მიხედვით, რუსი ჩინოვნიკები არ ერიდებოდნენ ადგილობრივი მოსახლეობის შენობა-ნაგებობების დანგრევა-მოშლასაც. საუბარია ერთ-ერთი ჩინოვნიკის მიერ მოსახლეობისათვის წართმეული ხალხის სახსრებით აშენებული „თექე“-ს (თავშეყრის ადგილი) შესახებ. უფრო მეტიც, ქართველი მუსლიმებისათვის მთავარ, მარინეს ქუჩაზე გავლაც კი აუკრძალავთ (**ხარიტონ ახვლედიანის მუზ. ხელნაწ. ფონდი 94, გვ. 104,105**). მუზეუმში დაცულია ქედის რაიონის სოფელ ცხემლისიდან მუჰაჯირად წასული ახმედ ეფენდის წერილები. უცხოეთში გადახვეწის მიზეზს, იქ ცხოვრების მომენტებსა და განწყობილებას, თვით ქვეყნის ვითარებას გვამცნობს ნათესავებისადმი, სხვადახვა ადგილიდან

გამოგზავნილი ოთხი ბარათი. მათგან ორი დაწერილია 1912 წლის 12 აგვისტოს და 5 დეკემბერს, ერთი 1913 წლის 10 თებერვალს და ერთიც 1918 წელს. მუზეუმში დაცული დედნები არაბულ ენაზე შესრულებული ტექსტია, ნაწერია შავი მელნით, გარკვეული კალიგრაფიით. ორი წერილისათვის გამოყენებულია რვეულის უჯრიანი ფურცლები, ორიც დაწერილია უხაზო ქაღალდზე, ერთზე დასმულია ავტორის პატარა მრგვალი ბეჭედი. ახმედს ხშირი მიმოწერა ჰქონია სოფელში დარჩენილ ძმასთან, დისშვილებთან და სხვა ნათესავებთან. მხოლოდ 1912 წელს ერთი თვის განმავლობაში, მას სამი წერილი გამოუგზავნია. ამდენად, უნდა ვიფიქროთ, რომ მუზეუმში დაცული ბარათები მდიდარი მიმოწერის მცირე ნაწილია. ერთ წერილში ჰაჯი ახმედ ეფენდი ძმას ამცნობს ჯანმრთელად ყოფნას, მაგრამ მიუთითებს „უფსკრულში“ ჩავარდნაზე, ე.ი დავალიანებაზე („ათიათასი ყურუმი ვალი მაქვსო“). ამის გამო ფიქრობს სამშობლოში გამომგზავრებაზეც, მაგრამ ადარდებს გზის ხარჯი. წერილებიდან ვგებულობთ, რომ აჰმედს უმცროსი და მერიემი ავად გაუხდა „ეხლაც შეუძლოდ არისო,“ დისშვილი ისმაილი მასთან საათის ხელობას ითვისებდა, ხოლო დის უმცროსი შვილიშვილი ჯარში მომკვდარა“. თითოეული ნათესავისადმი განსაკუთრებული მოკითხვა და სურვილებია გამოთქმული 1918 წლის წერილში. აქვე მითითებულია ოსმალეთში აჰმედის გადახვეწის მიზეზი „რუსეთის ჩაგვრამ ფირალი გამხადაო“-ერთგვარი სინანულია გამოთქმული სახლ-კარის მიტოვების გამო, აგრეთვე საყვედური დის შვილებისადმი „არ იკითხეთ, ბიძავ ცოცხალი ხარ ან სად ხარ, რითაც თქვენი არაკეთილობა გამომჟღავნდაო“. წერილებში ასახულია მუჰაჯირად გადახვეწილი კაცის სოციალური ყოფაც (**აჭ. სახელმწ. მუზ. ხელნაწ. ფონდი, ს. №122**).

I.4. ინტერნეტ რესურსები: საქართველოსთან კავშირების განმტკიცების და ქართული ენის შენარჩუნებისა და უკეთ შესწავლია მიზნით მუჰაჯირთა შთამომავლები და ზოგადად ქართული ემიგრაცია აქტიურად იყენებს ინტერნეტ სივრცეს. ძირითადი ცნობები ქართულ ემიგრაციაზე, უცხოეთში მოქმედ ქართულ ორგანიზაციებზე, გამორჩეულ პირებზე, სახელმწიფო პოლიტიკაზე ემიგრანტებთან დაკავშირებით ასახულია ოფიციალურ საიტზე -<http://diaspora.gov.ge>. საიტზე წარმოდგენილია სხვადასხვა გამოკვლევა თუ მონოგრაფია, მრავალმხრივი ცნობები

ქართული დიასპორების შესახებ. მათ შორის ფართოდაა წარმოდგენილი სხვადასხვა სახის ინფორმაცია თურქეთის ქართული დიასპორის შესახებ (<http://diaspora.gov.ge.index> 2548).

აღსანიშნავია მუჰაჯირთა შთამომავლების მიერ შექმნილი ვებგვერდები, სადაც წარმოდგენილია ვრცელი ინფორმაცია ქართველი მუჰაჯირების შესახებ (ისტორია, დღევანდელი მდგომარეობა, კულტურა, ლიტერატურა). კერძოდ, ცნობები ქართული ენის შესახებ, მუჰაჯირთა ამსახველი სურათები (ისტორიის, ყოფისა და კულტურის ამსახველი ფოტომასალა), შემორჩენილი ფოლკლორის ნიმუშები და ა.შ., რაც ასახავს იმ ცოდნას, რაც მუჰაჯირების გარშემო არსებობს. გარდა ამისა ამ გვერდებზე განთავსებულია ცნობები მუჰაჯირების გარემოში მომხდარი უახლესი ამბების, გამორჩეული ადამიანების ცხოვრების, თურქეთსა და საქართველოში მიმდინარე მოვლენებისა და სიახლეების შესახებ. ვებ სივრცეში განთავსებული გვერდების ამ ნაწილს კოლექტიური შეგნებისა და მეხსიერების ფორმირების მხრივ დიდი ადგილი ეთმობა. ამასთანავე ის ფაქტი, რომ გვერდების დიდი ნაწილში ინფორმაცია ქართულ ენაზეცაა მოცემული, საშუალებას აძლევს მუჰაჯირთა შთამომავლებს, შეინარჩუნონ და განამტკიცონ კავშირი ისტორიულ სამშობლოსთან (**ბარამიძე, 2013:120**), ესენია: www.chveneburebi.net - ერთ-ერთი ინტერნეტ რესურსი, სადაც უამრავ საინტერესო ინფორმაციასთან ერთად წარმოდგენილია მიმდინარე სიახლეები. საყურადღებო ვებგვერდებს წარმოადგენს აგრეთვე <http://www.genatsvale.wordpress.com> - უნივერსიტეტის მცხოვრები ქართველების საიტი, რომელშიც მოცემულია უამრავი ცნობა ეთნოგრაფიის, ენის, კულტურისა და ყოფის შესახებ. ჩვენებურების პარტნიორი ვებ-გვერდები <http://www.pirosmani.com.tr>. ჟურნალი ფიროსმანი. <http://www.livanem.tr.gg/> - ლივანეს ქართველების გვერდი. <http://www.imerhev.org> - იმერხევის ქართველთა გვერდი, <http://www.artvinli.com> - ართვინელ ქართველთა გვერდი.

ვებგვერდების დიდი ნაწილი ლოკალური ხასიათისაა. მათში წარმოდგენილია ინფორმაცია და სიახლეები კონკრეტული მხარის, ან უფრო ზუსტად კონკრეტული სოფლის ქართველების შესახებ. ასეთი ვებგვერდებია: www.kurbanpinari.com - გირესუნის მხარის სოფელ ყურბანფინარის გვერდი, <http://tepekoylu.tr> - გირესუნის მხარის, სოფელ თეფეკოის გვერდი, www.guldibikou.com - საქარას მხარის

ქართველების გვერდი, www.akbabakoyu.com - სოფელ აქბაბას გვერდი, <http://www.kabakulakkoy.com> - ორდუს მხარის სოფელ ქაბაქულაქის გვერდი, www.macaheli.net - ასახავს ცნობებს ართვინ, ბორჩხა და მაჭახელის ქართველების შესახებ, www.nuzhetiye.com.tr/index.php სოფელ ნუზჰეთიეს გვერდი, სადაც განთავსებულია ქართულ-თურქული ლექსიკონიც.

არის კიდევ არაერთი ჩვენთვის საინტერესო ვებგვერდიც. ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები ვებსივრცეში წარმოდგენილია არიან ასევე სოციალურ ქსელებშიც. მათი ნაწილი ზოგადი ხასიათისაა-ქართული სახეები - <http://www.facebook.com/gurcuyuz>, პროფილები საქართველოზე ან ბათუმზე <http://www.facebook.com/gurcukartveli>. Kartveli.

მუჰაჯირობის საკითხებთან დაკავშირებით ინტერნეტ სივრცეში განთავსებულ მონაცემებს შორის რაოდენობრივი თვალსაზრისით გამორჩეულია აფხაზთა მუჰაჯირობის საკითხები, თუმცა საინტერესო ინფორმაციები განთავსებულია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის მუჰაჯირობის შესახებაც. ინტერნეტის მასალებში წარმოდგენილია მონაცემები გადასახლებულთა რაოდენობის, მუჰაჯირობის წინააღმდეგ ბრძოლის, განსახლების გეოგრაფიის, მუჰაჯირთა მდგომარეობისა და სხვა საკითხებზე. ცალკეა წარმოდგენილი „ბათუმის ნავსადგურიდან ოსმალეთისკენ-მუჰაჯირობის ისტორია პრესაში“. ეს მონაცემები ძირითადად ეფუძნება იმდროინდელი პრესის მასალებს. ასევე ამ საკითხზე გამოქვეყნებულ სტატიებსა თუ მონოგრაფიებს (www.wordpress.com, <https://iberiana.wordpress.com>). აქვე წარმოდგენილია ამონარიდი ერთი საგაზეთო პუბლიკაციიდან, რომელშიც დახასიათებულია ახლადგადასახლებულ მუჰაჯირთა აუტანელი მდგომარეობა ([http://oldbatumi. Wordpress. Com](http://oldbatumi.Wordpress.Com) 2009/11/22).

ინტერნეტში განთავსებულია აგრეთვე, ამ პროცესების ამსახველი დოკუმენტური ფილმები, რომელთა შორის გარკვეულ ინტერესს იწვევს საარქივო მონაცემებზე დაყრდნობით გადაღებული ფილმი აფხაზთა მუჰაჯირობის შესახებ, სადაც ვხვდებით საინტერესო ინტერვიუებს აჭარაში მუჰაჯირთა შთამომავლებთან. ფილმის ავტორია ლევან ამირანაშვილი ([www. Youtube.com/watchv=obxx9Iei3TY](http://www.Youtube.com/watchv=obxx9Iei3TY)).

მუჰაჯირობასთან, ქართულ ენის შენარჩუნები საკითხებთან დაკავშირებით, ასევე საინტერესოა ინტერნეტში განთავსებული რობერტ სტურუას ფილმი „დედის ენა ქართული“, რომელიც გადაღებულია ანზორ ქათამაძის მიერ (www.adjara.ge). ფილმში გადმოცემულია, არა მხოლოდ მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების ტრადიცია და ყოფის მრავალი საკითხი, არამედ იგი გვაცნობს თურქეთში მცხოვრე ქართველთა ჯგუფებს, რომლებსაც დღესაც შესანიშნავად აქვთ შენარჩუნებული ქართული ენა (www.adjara.ge).

ქართველების ყოფა ცხოვრების, ეთნოგრაფიული თემატიკის ამსახველ ფილმებთან დაკავშირებით ვებ-გვერდებზე წარმოდგენილია ფილმები. ისინი მაყურებელს თურქეთში არსებულ თანამედროვე ქართულ ყოფასა და კულტურაზე მოუთხრობენ. აცნობენ იქ მცხოვრებ ქართველებს მშობლიურ მხარეს, სოფელს, წეს-ჩვეულებებსა და რიტუალებს, ფოლკლორის ნიმუშებს და სხვა საინტერესო საკითხებს (www.adjara.ge; www.youtube.com).

ისტორიკოსმა მურად ქასაბმა მუჰაჯირ ქართველებზე დოკუმენტური ფილმი გადაიღო. ფილმი, რომლის სახელწოდებაცაა “მუჰაჯირები ოსმალეთის დროს,” 13 სერიანია. ფილმი ოსმალეთსა და ახლანდელ თურქეთში მცხოვრებ ქართველების ისტორიას, ყოფა-ცხოვრებას და კულტურაზე მოგვითხრობს. ფილმი ერთი წლის განმავლობაში თურქეთსა და საქართველოში 14 ქალაქში გადაიღეს. ამ ფილმების პრეზენტაცია ქალაქ ესქიშეჰირში (www.kvira.ge. 23.05.2014). ინტერნეტში განთავსებულია ამ პროცესების ამსახველი რამდენიმე ფოტოც. ყურადღებას იქცევს ასევე, ვებგვერდი-<http://www.mygeorgia.ge> ენათმეცნიერების ჯგუფი დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა იმისთვის, რომ ერთიანი ელექტრონული სივრცე, „საქართველოს ლინგვისტური პორტრეტი“ შეექმნა, სადაც თავმოყრილია ქართული ენისა და მისი დიალექტების ტექსტები, ლექსიკონები, ცნობარები. ტექსტი ენათმეცნიერისთვის მასალაა, ხოლო ისტორიის თვალსაზრისით-ზეპირი ისტორია. გულისმომკველ ტექსტებს წააწყდებით ლინგვისტურ კორპუსში, უკვე თურქეთში მცხოვრები ქართველებისგან ჩაწერილს:

„ახლა გურჯისტანსა რომე მუახლოვდით, გულმა დიმიწყო ბანბგალი, მეშინია, რამე არ დემემართოს. ღმერთო, ერთი დამანახიე ჩემი დიდუანების ნამყოფნი ძერები და მემრე, როიცხა გინდა, წემიყვაჲ შენთან.

„ახლა გურჯისტანისკენ მივალოთ და გული დიდი გუაქ, ჩუენ მემლექეთში მივალოთ. ჰამა მე ახლავენ წამოსლას ვჩივი. აქეთ რომ შამოვბრუნდებით და წამუალოთ, მაშინ მოგვიჭირეფს გულზე, სარფის კარსა რომე გამეცძრავთ, მაშინ ვიქნებით ცოდვა“.

„რა ვქნათ, ღმერთსა ასე დუუწერია ჩუენტვინ. ღმერთმა გააყოლავოს (გაადვილოს - ნ.ფ.) წასლა-მოსლა და მოგვაყაჭირების ერთმანები, მალ-მალე გედევდეთ, გადმოვდეთ“.

„სიზმარში ვითამ დედეს სახლში მიველ გოგნიავრზე. ეზოში ჩიჩეგები (ყვავილები - ნ.ფ.) იყო ამოსული, წყაროც მოდიოდა ცივი. ჩემი დედეი წყალ სვემდა. რომ დიმინახა, ხის საფლი წყლით აამსო, მომცა და მითხრა, ეს ეზო-კარი მენატრებოდა და ძვილაი მუელ აქაო. წყალი ვსვი და გემელვიძა. გერმელი წყალი იყო, სუბუქი, ჰალადვენ პირში მაქ იმის გემო“ [http:// www. Mygeorgia. Ge/ gdc/ Default.aspx](http://www.Mygeorgia.Ge/gdc/Default.aspx). ინტერნეტში განთავსებულია თურქეთში მცხოვრებ ქართველთა შორის გამორჩეული ისტორიული პიროვნების აჰმედ მელაშვილის შესახებ ორ სერიანი დოკუმენტური ფილმი, რომლის ავტორია „თიბისი არტარეა“. ფილმში დიდი რაოდენობით უნიკალური საარქივო, ფოტო და ვიდეო მასალაა გამოყენებული. ფილმი ორ ნაწილადაა და მაცურებელს მოუთხრობს ჩვენებურთა „თავკაცის“ თავგადასავალს ახალგაზრდობიდან მის ქუჩაში დახვრეტამდე (<https://www.youtube.com/watch>).

თურქეთის ეროვნული უსაფრთხოების საბჭომ, “თურქეთში ეთნიკური ჯგუფების განსახლებასთან დაკავშირებით,” მოამზადა ანგარიში, რომელშიც ქვეყანაში არსებული სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის განსახლების არეალი და მათი რაოდენობაა გამოკვლეული. კომპაქტურად ისინი ცხოვრობენ: ართვინის ვილაიეთში და მარმარილოს ზღვის მიმდებარე პროვინციებსა და მთელ შავიზღვისპირა რეგიონში, განსაკუთრებით კი, ორდუს პროვინციასა და სამსუნის მიმდებარე დასახლებებში. გარდა ამისა, ქართველები ცხოვრობენ ბევრ დიდ ქალაქში. ანგარიშში აღნიშნულია ისიც, რომ, ბოლო წლებში, ქართული წარმოშობის მოსახლეობაში

ეროვნული თვითიდენტიფიკაცია და თვითშეგნება მატულობს (<http://www.tspress.ge>).

ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ ინტერნეტ სივრცეს. ინტერნეტ სივრცეში წარმოდგენილი გვერდების ავტორები დიდ ყურადღებას უთმობენ საკუთარი საქმიანობის პოპულარიზაციას, მათი წარსულისა და დღევანდელი წარმოჩენას.

ჩვენი მიდგომა ინტერნეტ რესურსებისადმი მდგომარეობს შემდეგში: ცნობილია, რომ ინტერნეტი არც თუ ისე დიდი ხნის მცნებაა და სამეცნიერო კვლევებშიც, როგორც უამრავი მასალისადმი ხელმისაწვდომობის საშუალებამ, ბოლო წლებში დაიწყო გამოჩენა. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ინტერნეტში განთავსებული მასალა ხშირად პოპულარული ხასიათისაა და აკადემიურობა აკლია, თუმცა ხშირად მასში სასურველ ინფორმაციასაც ხვდებით. რა თქმა უნდა, აკადემიური კვლევებიც ხშირად მოიპოვება. ზემოთ დასახელებული ზოგიერთი ვებ გვერდი სამოყვარულო და პოპულარული ხასიათისაა, თუმცა მასში ხშირად შესაძლებელი ხდება ჩვენთვის საინტერესო მასალის გამორჩევა. ამგვარ ინფორმაციას კვლევის დროს მაქსიმალური სიფრთხილითა და კრიტიკით ვეპყრობოდით და მხოლოდ ჩვენთვის საჭირო, სანდო მასალას (ხშირად სხვა წყაროებით გადამოწმებულს) ვიყენებდით.

რაც შეეხება ზემოთ მოცემულ ტექსტებს, ჩვენი კვლევის მიმართულებიდან და თემატიკიდან გამომდინარე, მათ ჩვენ არ განვიხილავთ ენათმეცნიერების კუთხით. ამდენად მათი ზუსტი ასახვა ჩანაწერებში არ წარმოადგენს ჩვენს მიზანს. ისინი უბრალოდ გამოხატავენ მთქმელთა მსოფლმხედველობა, მათ დამოკიდებულებას წარსულისადმი, წინაპრებისადმი, მშობლიური სოფლისა თუ ფუძისადმი.

I.5. მემორიალური მემკვიდრეობა: მუჰაჯირობის პროცესის, ხალხთა გადასახლების წინააღმდეგ მებრძოლი გმირების უკვდავსაყოფად, სამწუხაროდ, ბევრი არაფერი გაკეთებულა, თუმცა ზოგიერთი მათგანის უკვდავსაყოფად გაიხსნა მათი სახელობის მუზეუმი, სკოლა, ქუჩა თუ მემორიალური დაფა. მუჰაჯირობის პროცესს წინ უძღვოდა რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი, რომელმაც თავისი

კვალი დატოვა ხალხის მეხსიერებაში. ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბანში დღემდეა შემორჩენილი ამ ომში დაღუპულ გმირთა უკვდავსაყოფად აგებული მემორიალი, იგი აგებულია 1902 წელს ზაქათლის 104-ე ქვეითი პოლკის ოფიცერთა საზოგადოების მიერ ომში მონაწილე რუსი სამხედროების ხარჯით. მემორიალი ოფიციალურად გაიხსნა 1903 წელს, ომის დამთავრებიდან 25 წლისთავზე.

ხულოს რაიონის სოფელ ქოჩახში, შერიფ ხიმშიაშვილის საფლავზე არის მის უკვდავსაყოფად აგებული მემორიალი. იგი იყო ერთ-ერთი მთავარი ფიგურა 1877-78 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის კავკასიის, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ფრონტზე. მას უშუალო ურთიერთობა ჰქონდა რუსეთის საიმპერატორო ოჯახთან. აღნიშნული მემორიალი მოეწყო კულტურის და მეცნიერების მოღვაწეთა დაფინანსება-ქველმოქმედებით 1980- იან წლებში.

2002 წელს ხულოს რაიონის სოფელ სხალთაში დაფუძნდა მემორიალური ტიპის მუზეუმი, რომელიც შეიცავს 342 ექსპონანტს. მუზეუმი ფუნქციონირებს ცნობილი საზოგადო მოღვაწის შერიფ ხიმშიაშვილის ყოფილ. მუზეუმში დაცულია ხიმშიაშვილების ოჯახის კუთვნილი ყოფილი ნივთები და მე-19 საუკუნის ცნობილ საზოგადო მოღვაწეთა ჩანაწერები, ფოტოები და სხვადასხვა დოკუმენტები. სახლმუზეუმში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს შერიფ ხიმშიაშვილის 20 შვილის (11 ვაჟისა და 9 ქალის) შთამომავალთა ფოტო-მასალებსა და ჩანაწერებს, მათი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მამულიშვილურ საქმიანობაზე ქვეყნის გადარჩენის საქმეში.

შერიფ ხიმშიაშვილის სახელი ეწოდა ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ მთისუბნის საჯარო სკოლას - „სსიპ შერიფ ხიმშიაშვილის სახელობის მთისუბნის საჯარო სკოლა“. ქალაქ ბათუმში მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში გაიხსნა შერიფ ხიმშიაშვილის სახელობის ქუჩა, რომელიც წარმოადგენს ე. ნინოშვილის ქუჩის გაგრძელებას და განლაგებულია ზღვის სანაპიროს მიმდებარე ტერიტორიაზე (კომახიძე,1998:169).

მუჰაჯირობის წინააღმდეგ აქტიურად გამოდიოდა და იბრძოდა გულო (გულო-აღა) ხასანის ძე კაიკაციშვილი (ზოიძე,1993:257). 1895 წელს მისი თაოსნობით და ფინანსური მხარდაჭერით ქობულეთში გაიხსნა პირველი ქართული სკოლა, რომლის

შენობის მშენებლობისა და მიწის ნაკვეთის შესაძენად გაიღო ხუთასი მანეთი, რაც მაშინ საკმაოდ დიდ თანხას შეადგენდა. ქობულეთში პირველ ბიბლიოთეკა-სამკითხველოც გულოს სახლში გაიხსნა, სადაც 20 ათასამდე წიგნია დაცული. გულო კაიკაციშვილის სახელს უკვდავყოფს, მისივე სახელობის ქუჩა (**კომახიძე, 1998:104**). საცხოვრებელ სახლზე კი, სადაც ის ცხოვრობდა გაიხსნა, მემორიალური დაფა. გულო კაიკაციშვილმა მე-19 საუკუნის 70-იან წლებში აქტიურად გამოდიოდა ოსმალთა ბატონობის წინააღმდეგ და მას ილია მართალმა „აჭარის გული“ უწოდა (**გაზ.„აჭარა“, 2011, №80**). გულო კაიკაციშვილის შვილიშვილის მ. კაიკაციშვილის თქმით: „ჩოლოქთან იგეგმება დაიდგას მემორიალური დაფა, რომელზეც ამოიტვიფრება გულო კაიკაციშვილის მიერ 1878 წლის 17 აგვისტოს წარმოთქმული სიტყვები (**გაზ. „აჭარა“ 2013, №99**).

მუჰაჯირობის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიური წვლილი მიუძღვის ქვემო აჭარის მაზრის უფროსს-თუფან ბეგ შერვაშიძეს. თედო სახოკიას თუფან ბეგის შესახებ უთქვამს: „მასზე უკეთესს, ბუნებისაგან ჭკუით დაჯილდოებულს, დარბაისელს და გავლენიანს ამ მხარეში ვერც იპოვიდნენ-ო“ (**გაზ.„აჭარა“ 2011, №53**). ანალოგიურია ზაქარია ჭიჭინაძის დახასიათებაც. მისი თქმით, თუფან ბეგი იყო: „დიდი ერთგული თავისი ქვეყნის, მებრძოლიც, რომ ქართველი მაჰმადიანები ოსმალეთში არ წასულიყვნენ“. თუფან ბეგის ერთ-ერთი ვაჟი იყო ყადირ შერვაშიძე. ამიერკავკასიის სეიმის წევრი, საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების მონაწილე, რომელმაც ქედამი მამისეული ორსართულიანი სახლი საავადმყოფოს გადასცა უსასყიდლოდ (**გაზ. „აჭარა“ 2011, № 53**).

ქედამი, სოფელ ოქტომბერში, თუფან-ბეგ შერვაშიძის საფლავზე აჭარის შერვაშიძეთა საგვარეულოს ინიციატივით 2011 წელს გაიხსნა მემორიალური დაფა თუფან ბეგი 1914 წელს გარდაიცვალა ბათუმში, თავისივე სახლში (**გაზ. „აჭარა“ 2011, №100**). პუშკინის ქუჩაზე ეს სახლი (პუშკინის ქ.№78) დღესაცაა, სადაც 2011 წელს გაიხსნა თუფან ბეგ შერვაშიძის მემორიალური დაფა.

მუჰაჯირობის წინააღმდეგ გამოდიოდნენ პროგრესულად მოაზროვნე ქართველი მუსლიმებიც. მათ იცოდნენ, თუ რა ელოდებოდათ გადასახლებულებს და, საერთოდ თუ რას მოუტანდა საბოლოოდ მათ ეს პროცესი. ასეთ პირთა შორის

უპირველესად აღსანიშნავია ლომან ეფენდი ქარცივაძე, რომელიც 1812 წელს დაიბადა ზემო აჭარაში, ოლადაურში. უმაღლესი განათლება სტამბოლში ჰქონდა მიღებული, იგი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა სულთან აბდულ აზიზის კარზე. XIX საუკუნის ბოლოს აჭარაში დაბრუნდა. მუჰაჯირობის დროს ქართველ მუსლიმებს სხვა დეპუტატებთან ერთად ოსმალეთში გაუგზავნიათ, რათა ენახა მუჰაჯირთა დასასახლებლად განკუთვნილი მიწები და გაეგო საცხოვრებელი პირობები. მას იქიდანვე მოუწერია წერილი, რომლითაც აფრთხილებდა ხალხს არ გადმოსახლდეთ, თორემ სილატაკისა და უბედურების მეტი არაფერი მოგელითო. მას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ გადასახლების პროპაგანდისტები, ითვალისწინებდნენ რა მოსახლეობის მტკიცე რწმენას, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენდნენ რელიგიურ ცნობიერებაზე. ამის საპასუხოდ უთქვამს: „ნამდვილი მაჰმადიანობა ჩვენთან დარჩენილა, რჯული ჩვენისთანა სუფთად და წმინდად არავის უჭირავს სახონთქრეთში, სადაც ყველგან გიაურობა შეპარულა, ამის გამო, არ გირჩევთ ოსმალეთში გადასახლებას” (ჩოხარაძე, 2016:18). მისმა ასეთმა დამოკიდებულებამ ბევრს გადააფიქრებინა მუჰაჯირად წასვლა და სამშობლოს მიტოვება.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია აღნიშნულ საკითხების ანალიზში ბევრად თავისუფალი იყო ვიდრე თურქული. მუჰაჯირობის მიზეზებზე საუბრისას ობიექტურად განიხილებოდა რუსეთის იმპერიის და ოსმალეთის როლი ამ პროცესში, რასაც ვერ ვიტყვით თურქ ისტორიკოსებზე.

მუჰაჯირთა ისტორიული მეხსიერების საკითხებზე საუბრისას ხაზგასასმელია, რომ ახალ მიწებზე გადახვეწილებს აბსოლუტურად სხვა გარემო დახვდათ. ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფოებრივი, რელიგიური და შემდგომში თურქეთის რესპუბლიკის იდეოლოგიური გავლენის შედეგად, მათ მთლიანად ცალმხვრივად აქვთ გააზრებული მუჰაჯირობის მიზეზები და შედეგები. მოვლენების ჭეშმარიტი ანალიზისგან ისინი ჯერ კიდევ შორს არიან და მუჰაჯირობის მიზეზებად მხოლოდ რუსულ და რელიგიურ ფაქტებს მიიჩნევენ. ამის შედეგია ის, რომ მათ მხოლოდ გარკვეულ ტერიტორიებზე შეინარჩუნეს ქართული თვითმყოფადობისა და მსოფლმხედველობის ელემენტები.

მონუმენტების, მუზეუმების, არქივების, მემორიალების, ანუ ზოგადად მემორიალური მემკვიდრეობის შექმნას როგორც მესხიერების ადგილებს დიდი მნიშვნელობა აქვს კოლექტიური მესხიერებისა და იდენტობის ჩამოყალიბების პროცესში. მესხიერების ადგილების შექმნა ერთგვარი საშუალებაცაა უწყვეტი იდენტობის შესანარჩუნებლად, აწყმოსა და წარსულის დასაკავშირებლად.

თავი II. მუჰაჯირობა. მიზეზები და შედეგები

II.1. პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური წანამდგრები

მუჰაჯირობასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ არაერთ მონოგრაფიაში, გამოკვლევასა თუ, საგაზეთო სტატიაში დაწვრილებითაა საუბარი მუჰაჯირობის მიზეზებსა და შედეგებზე, მისი შეჩერების შესაძლებლობებზე, ამ პროცესით სხვადასხვა სოციალურ ძალთა თუ სახელმწიფოთა დაინტერესებაზე და სხვა. მაგრამ თემის სრულყოფილად წარმოდგენის თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიგვაჩნია მოკლედ მიმოვიხილოთ და ჩვენეულ ხედვებთან ერთად შემოგთავაზოთ მუჰაჯირობის წინაპირობები, მისი გამომწვევი მიზეზები და შედეგები.

XIX საუკუნის 60-70-იან წლებში რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიზანს ყირიმის ომის შედეგად შედეგად შელახული საერთაშორისო ავტორიტეტის აღდგენა წარმოადგენდა. რუსეთის საგარეო პოლიტიკაში ძირითადი კვლავ „აღმოსავლეთის საკითხი“ იყო. 1877 წლის 12(24) აპრილს იმპერატორმა ალექსანდრე II კიშინიოვში ხელი მოაწერა მანიფესტს ოსმალეთთან ომის დაწყების შესახებ. რუსეთი ამ ომში წარმატების შემთხვევაში გეგმავდა ყირიმის ომის შედეგად დაკარგული სამხრეთ-ბესარაბიის დაბრუნებას და ბათუმის შემოერთებას. ქართველი ხალხი იმედით შეხვდა ოსმალეთთან ომის დაწყებას, ვინაიდან მიიჩნევდა, რომ მას შედეგად მოჰყვებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქთა ბატონობისაგან განთავისუფლება (სიჭინავა, 1958:440). საომარი მოქმედებები ერთდროულად ორ ფრონტზე - ბალკანეთსა და კავკასიაში გაჩაღდა. საომარი მოქმედებების მსვლელობისას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ოსმალთა მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე მცხოვრებ მაჰმადიანი ქართველების პოზიციას, მით უფრო მხარდაჭერას. რუსეთის ჯარებს დიდი წარმატებები ჰქონდათ ბალკანეთში, სადაც აიღეს პლევნა და კონსტანტინეპოლს მიუახლოვდნენ. რუსეთის არმიამ გადამწყვეტ წარმატებას მიაღწია კავკასიის ფრონტის ძირითად მიმართულებაზე - აიღეს ძლიერი ყარსის ციხესიმაგრე. ყარსისა და პლევნის დაცემის შემდეგ, ოსმალეთმა დაკარგა ომის წარმატებით დასრულების იმედი და ევროპის სახელმწიფოებს მიმართა რუსეთთან საზავო მოლაპარაკებაზე შუამდგომლობის თხოვნით. ამ დროს ბათუმი ჯერ კიდევ ოსმალთა ხელში რჩებოდა. მაშინ, როცა რუსეთს ბათუმისადმი, როგორც

ბრწყინვალე ნავსადურისა და მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტისადმი განსაკუთრებული ინტერესი გააჩნდა (კარალიძე, 2009:36). 19 (31) იანვარს ადრიანოპოლში ხელი მოეწერა ომის დროებით შეჩერებას და მომავალი საზავო ხელშეკრულების საფუძვლებს. წინასწარი შეთანხმების თანახმად, სერბია, ჩერნოგორია და რუმინეთი ღებულობდა დამოუკიდებლობას, ხოლო ბულგარეთის სამთავრო-ავტონომიას. ამავე შეთანხმების მიხედვით, კავკასიაში რუსეთის მფლობელობაში გადმოდიოდა ერზრუმი, ხოლო ზედა და ქვედა აჭარა, ბათუმისა და ქობულეთის ჩათვლით, შავშეთი, ლაზისტანი და ბაიაზეთი უნდა დაეტოვებინათ ოსმალთა სამხედრო შენაერთებს 1878 წლის თებერვალში. სან-სტეფანოში დაიწყო საზავო ხელშეკრულებაზე მოლაპარაკება. რუსეთის მხარეს წარმოადგენდა ნ. იგნატიევი და პ. ნელიდოვი, ხოლო ოსმალთა მხარეს-საფვეთ-ფაშა და სადულაჰ-ფაშა. 1878 წლის 19 თებერვალს (3 მარტს) გაფორმდა საზავო ხელშეკრულება, რომლის პირობები სავსებით შეესაბამებოდა რუსეთის ინტერესებს. მე-19 პუნქტის „დ“ პარაგრაფის თანახმად, რუსეთს აზიაში გადაეცა არტაანი, ყარსი, ბათუმი, ბაიაზეთი და ტერიტორია სოღანლუღამდე. ხელშეკრულების 21-ე მუხლის თანახმად, ოსმალეთის მიერ რუსეთისათვის დათმობილი ტერიტორიის მოსახლეობას, სამი წლის ვადაში თავისუფალი გადასახლება-გადმოსახლების უფლება ეძლეოდა (ვარდმანიძე, 2013:106). სან-სტეფანოს საზავო პირობები რუსეთის სერიოზულ წარმატებებს აკანონებდა, როგორც ბალკანეთში, ისე კავკასიაში. რაც მიუღებელი იყო ევროპის სახელმწიფოებისათვის, განსაკუთრებით ინგლისისათვის. მას მხარს უჭერდნენ ავსტრია-უნგრეთი და საფრანგეთი. ევროპის სახელმწიფოებმა ომისთვის დაიწყეს მზადება. ასეთ ვითარებაში 1878 წლის 1 (13) ივნისს ბერლინში გაიხსნა ევროპის სახელმწიფოთა კონგრესი, რომელსაც უნდა გადაესინჯა სან-სტეფანოს საზავო პირობები. ესწრებოდნენ რუსეთის, თურქეთის, ინგლისის, გერმანიის, ავსტრია-უნგრეთის, საფრანგეთისა და იტალიის დელეგაციები. რუსეთი ამ კონგრესზე აშკარა იზოლაციაში აღმოჩნდა. საბოლოოდ, კონგრესზე მიღებული იქნა შემდეგი გადაწყვეტილება: კონგრესმა ძალაში დატოვა სან-სტეფანოს ზავის პირობების ერთი ნაწილი. ოსმალეთმა რუსეთს დაუთმო ყარსის, არდაგანისა და ბათუმის ოლქები (გოგოლიშვილი, 2009:61). ინგლისი დათანხმდა ბათუმის პორტო-

ფრანკოდ გამოცხადებას იმ მიზნით, რომ მომავალში ქალაქი რუსეთის წინააღმდეგ სამხედრო და ეკონომიკური შეტევისათვის გამოეყენებინა (სიჭინავა, 1958:70). სპეციალურმა კომისიამ გადაწყვიტა, თურქებს ქობულეთ-ჩაქვის მხარე 17-24, ხოლო აჭარა (ბათუმითურთ) 23-25 აგვისტოსთვის უნდა დაეცალათ.

1878 წლის 25 აგვისტოს ბათუმი ოფიციალურად გადაეცა რუსეთს. სვიატოპოლსკ-მირსკიმ აჭარის მოსახლეობას განუცხადა იმპერიის ნება, რომლის მიხედვით ხელშეუხებელი იქნებოდა მკვიდრთა ქონება და რელიგია, მოსახლეობას იგივე მოვალეობები ეკისრებოდა რუსეთის მიმართ, როგორც იყო ოსმალთა ბატონობის დროს. უცვლელი დარჩებოდა ადგილობრივი მმართველობა, გადასახლების მსურველებს მიეცემოდათ ქონების გაყიდვის დრო და საშუალება (მეგრელიძე, 1964:13). მათი მთავარი მიზანი მკვიდრთა აყრა და სასურველი ეთნოსის ჩამოსახლება იყო. ეს ჩანს სვიატოპოლსკ-მირსკის მიერ საიმპერატორო ხელისუფლებისადმი (1878 წ. 15 ოქტომბერს) გაგზავნილი პატაკიდან, რომლის მიხედვით იმპერიის უმთავრესი ამოცანაა „ბათუმის ოლქის მოსახლეობის თავიდან მოცილება. მითუმეტეს, რომ ამის საშუალებას გვაძლევს სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულების 21-ე მუხლი. მოსახლეობის მიმართ გატარებული უნდა იქნას, რაც შეიძლება მკაცრი ზომები, იარაღის გამოყენების ჩათვლით, მათი მორჩილებაში მოყვანის მიზნით. მსგავსი ღონისძიება საშუალებას მოგვცემს გავწმინდოთ მხარე ჩვენთვის მიუღებელი ელემენტებისაგან.“ სამწუხარო ისაა, რომ ასეთი დამოკიდებულება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისადმი იყო გამოხატულება არა მხოლოდ ერთი პიროვნების პოზიციისა, არამედ შეესაბამებოდა მთელი რუსეთის პოლიტიკურ კურსს. ეს კურსი იმთავითვე მიზნად ისახავდა გადასახლებული ქართველ მოსახლეობის ხარჯზე რუსული ელემენტის მომძლავრებას, რასაც თან სდევდა დარჩენილი ქართული მოსახლეობის უფლებების შევიწროვება-შეზღუდვა (ბარამიძე, 1999:58). რუსული მმართველობა თავისი საქმიანობით წინ აღუდგა ხალხში ტრადიციულად დამკვიდრებულ ძველი ცხოვრების ნორმებს, რითაც მკვიდრი მოსახლეობის უკმაყოფილება გამოიწვია (მეგრელიძე, 1964:13), გარდა ამისა, როგორც ირ. ბარამიძე შენიშნავს: „რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად გაერთიანება მოხდა არა ორი დამოუკიდებელი ქართული

სხეულისა-ქართულ სახელმწიფოში, არამედ ოსმალეთისა და რუსეთის საქართველოში-უცხო რუსული სახელმწიფოს შიგნით. მუჰაჯირობის ხასიათი და საერთოდ მუჰაჯირობა განაპირობა არაქართულ სახელმწიფოებში წლების მანძილზე არაქართული სისტემით აღზრდილი ქართული სხეულების არატრადიციულმა გაერთიანებამ. მართალია, მე-19 ს-ის ბოლოს აჭარა დაუბრუნდა საქართველოს, მაგრამ ფაქტობრივად კი, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა (ბარამიძე, 1999:50). რუსეთის ხელისუფლებამ აჭარა, ისევე როგორც საქართველოს დანარჩენი მხარეები (გურია, სამეგრელო და სხვა) ქუთაისის გუბერნიის შემადგენლობაში კი არ შეიყვანა, არამედ ცალკე ოლქად გამოყო, რომელიც პირდაპირ ემორჩილებოდა კავკასიის მეფისნაცვალს. ცხადია, ასეთი პოლიტიკის მიზანი, საქართველოს, როგორც ერთიანი ეკონომიკური თუ პოლიტიკური ორგანიზმის ჩამოყალიბებისადმი ხელის შეშლა იყო. აღნიშნულმა პოლიტიკამ თავის შედეგს მიაღწია (ვარშანიძე, 2005:51). სწორედ რუსული მმართველობის დამყარებით შექმნილი პოლიტიკური ვითარება გახდა აჭარის მკვიდრთა ოსმალეთში გადასახლების ერთ-ერთი მიზეზი.

თურქეთის ქართული დიასპორა შეიძლება პირობითად ორ კატეგორიად დაიყოს. **პირველი** - ავტოქტონური ქართველები, რომლებიც ოსმალეთმა მიწებიანად მიიტაცა და ისტორიულად მამაპაპისეულ მიწებზე ცხოვრობენ; **მეორე** - მუჰაჯირები, რომლებიც მე-19 საუკუნის 30-იანი და 70-იანი წლებიდან ოსმალეთის შიდა პროვინციებში გადასახლდნენ და მათი შთამომავლები.

გადასახლებას ერთი ან ორი კონკრეტული მიზეზი არ ჰქონია, იგი მიზეზთა მთელ კომპლექსს წარმოადგენდა, რომელშიც ერთნაირი დოზით შედიოდა რუსული და ოსმალური იმპერიალისტური ზრახვები, ხალხის განათლების დონე, ფანატიზმით გამსჭვალული სასულიერო პირები, რენეგატი ქართველები, რომლებიც შეიძლება ითქვას ოსმალთა დასაყრდენს წარმოადგენდნენ. 1877-1878 წლების მუჰაჯირობა სამეცნიერო ლიტერატურაში ორი განსხვავებული ეტაპითაა წარმოდგენილი: პირველი ეტაპი მოიცავს პერიოდს ომის გაჩაღებიდან 1878 წლის აგვისტო-სექტემბრამდე, როცა დასრულდა რუსეთის ჯარის მიერ სამხრეთ-

დასავლეთ საქართველოს ათვისება და მის მთელ ტერიტორიაზე დამყარდა რუსული მმართველობა.

მუჰაჯირობის შესახებ არსებული ვრცელი მასალის ანალიზის საფუძველზე ჩანს რომ პროცესის ძირითადი ფაქტორი იყო საქართველოს მიმართ ოსმალეთისა და რუსეთის ოფიციალური პოლიტიკა-ერთიც და მეორეც ცდილობდა ამ ვრცელი რეგიონის მოსახლეობის აყრა-გადასახლებას, თანაც, რაც შეიძლება მეტი რაოდენობით. თურქი ავტორებიც აღნიშნავენ, რომ ქართველი მუჰაჯირებით თვით აბდულჰამიდ II (1876-1909) იყო დაინტერესებული, რადგან ეჭვი არ ეპარებოდა რა ისლამისადმი მათ ერთგულებაში და მიაჩნდა, რომ ამ ხალხით შეიძლება ანატოლიის დემოგრაფიული მდგომარეობის მოწესრიგებას (**Muammer, 2009:40**). ოსმალეთი ამით გეგმავდა, ჯერ ერთი, ვრცელი ადგილების შევსებას, მცირე აზიის ჩრდილოეთით-შავი და დასავლეთით-ეგეოსის ზღვების სანაპიროებზე, რომლებიც ჯერ კიდევ მეჩხრად იყო დასახლებული. მეორეც, ჩასახლებულთა სახით იგი მიიღებდა კულტურულ მეურნეთ, რომლებიც დააჩქარებდნენ მათთვის დასასახლებლად გამოყოფილი რეგიონის ეკონომიკურ გამოცოცხლება-აღმავლობას და ადგილობრივი მოსახლეობის კულტურულ დაწინაურებას. ამით აიხსნება ის, რომ მუჰაჯირ ქართველებს მომთაბარეთა მეზობლად ან ერთად ასახლებდნენ (**სამხრეთ.., 2008:68**) და მესამეც რუსეთის წინააღმდეგ მომავალ ომში ოსმალეთს ეყოლებოდა ჯარის უაღრესად საიმედო კონტიგენტი, რომლის შურისძიების გრძნობა და ბრძოლისუნარიანობა მნიშვნელოვნად მაღალი იქნებოდა. 1878 წელს ოსმალეებმა კიდევ შექმნეს და შურისმაძიებელთა რაზმები - ე.წ გურჯისტანის ჯარი“, რომლის მეზობლები მთავრობას 6 წელი ჰყავდა დაქირავებული (**დროება, 1882, №59**).

ლიტერატურაში მუჰაჯირობის ერთ-ერთ მიზეზად დასახელებულია რელიგიური ფანატიზმი, მაგრამ ი.ჭავჭავაძე, გრ.ორბელიანი, ს.მესხი, ნ.ნიკოლაძე, გ.წერეთელი მუჰაჯირობის ძირითად მიზეზად მიიჩნევენ ცხოვრების აუტანელ პირობებს, მმართველი წრეების დამოკიდებულებას ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. მათი აზრით, ამ საქმეში რელიგიური ფანატიზმი შედარებით ნაკლებ როლს თამაშობდა. ამ მხრივ საინტერესოა გრ. ორბელიანის წერილი სვიატოპოლსკ-მირსკისადმი, რომელიც იყო კავკასიის არმიის მთავარსარდლის უფროსის

მოადგილე: „აჭარიდან და ყარსიდან გრძელდება ოსმალეთში გადასახლება. რას მივაწეროთ ეს მოვლენა, სხვა მორწმუნეთა გაქცევა რუსეთის თვითმპყრობელობისაგან.“ გრ.ორბელიანს მიაჩნია, რომ რელიგიას, ფანატიზმს გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ძირითად მიზეზად იგი თვლის ხალხის ყოფას, ცხოვრების პირობებს. მისი სიტყვებით: „სადაც მმართველობა კარგია, იქ ხალხის კეთილდღეობაც კარგია და არც ფანატიზმი არ მჟღავნდება მთავრობის წინააღმდეგ. ადამიანი რა რელიგიასაც არ უნდა ეკუთვნოდეს უპირველეს ყოვლისა ეძებს დამშვიდებულ, წყნარ, ცხოვრებას და ემორჩილება სამართლიან კანონებს რა ენაზეც არ უნად იყოს დაწერილი იგი“ (მეგრელიძე, 1964:23). ირ. ბარამიძე აღნიშნავს: „პირველ ეტაპზე რელიგიური ფაქტორის გამორიცხვა მართლაც შეუძლებელია, მაგრამ საერთოდ, მუჰაჯირობა რელიგიური შემწყნარებლობის ნიადაგზე მომხდარი პროცესი არ იყო, რასაც ადასტურებს, თუნდაც ის ფაქტი, რომ ოსმალეთში მუსლიმანებთან ერთად ქრისტიანებიც სახლდებოდნენ“ (ბარამიძე, 1999:151). აჭარის მოსახლეობას, მართლაც, რომ კარგი პირობები ჰქონოდა რუსული მმართველობის დამყარების პირველივე დღეებიდანვე, დამშვიდებული ცხოვრება რომ ყოფილიყო, ვერ შეძლებდნენ მოსახლეობის ოსმალეთში გადასახლებას, მაგრამ საუბედუროდ, მმართველი წრეები ყოველნაირად ხელს უწყობდნენ ამ პროცესს. ასეთ საქმიანობას შორსგამიზნული პოლიტიკა ედო საფუძვლად. ეს კარგად ჩანს სვიატოპოლსკ-მირსკის მიმართვიდან, სადაც ვკითხულობთ: „ბათუმის ოლქის მიღებით რუსეთმა მიიღო ბუნებრივი სიმაგრე კავკასიის საზღვრების ყველაზე უფრო საშიშ კუთხეში, რომელსაც ყავს მეზრძოლი და ნახევრად დაუმორჩილებელი მოსახლეობა, „ხალხი, რომელიც თურქეთთანაა დაკავშირებული რელიგიით, ამიტომ იგი საშიშ ელემენტს წარმოადგენს ციხის შიგნით და მისი იქ ყოფნა შეუძლებელია. ადგილობრივი მოსახლეობა უნდა მოვიცილოთ“ (მეგრელიძე, 1964:30). იგი აშკარად მოითხოვდა ამ ხალხის ასიმილაციას ან გადასახლებას. გარდა ამისა, მუჰაჯირობას ხელს უწყობდნენ და მოსახლეობას აქეზებდნენ სხვებიც, კერძოდ, ბათუმის სამხედრო გუბერნატორი გენერალი კომაროვი, გენერალი სტეფანოვი და მსგავსი მოხელეები (ფუტკარაძე, 1993:120).

პეტრე უმიკაშვილი კი, მუჰაჯირობის ძირითად მიზეზებს ორ ჯგუფად ყოფს:

პირველი ჯგუფის ფაქტორებად ქვეყნის შიდა მოვლენებია დასახლებული, ხოლო ავტორის აზრით, მიზეზთა მეორე ჯგუფს საგარეო ვითარებით შექმნილი მოვლენები განსაზღვრავდა. ავტორის თქმით, გახიზნვის ადგილობრივი ფაქტორები ყოფილა აჭარის მკვიდრი მოსახლეობის უმეცრება, საზოგადოებისა და ინტელიგენციის უქონლობა და უყოლობა, ძველი ქართული კულტურის დაცემა, ნაკლებად განვითარებული ვაჭრობა, ქვეყნის შიგნით არსებული უგზოობა. შეერთებულ საქრისტიანო და სამუსლიმანო საქართველოს მხარეებს შორის სარწმუნოებრივი განსხვავება და ადგილობრივი მუსლიმანური სასულიერო წრეების უკიდურესი უმეცრება, ავტორის აზრით, მუჰაჯირობის ფაქტორები გახდა, აგრეთვე ამას თავმოყვარეობა გავლენიანი კაცების, ასევე, ზოგიერთი მკვიდრი მოსახლეობის შრომისადმი შეუჩვევლობა, სიხარბე და იმედი ოსმალეთში პატივის პოვნისა (მგელაძე, 2014:151).

ემიგრაციის პროცესის დაჩქარებისა და ამავე დროს, გადასახლებულთა რაოდენობის გაზრდის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი, როგორც ვთქვით სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა იყო. ისედაც გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილ მოსახლეობას ახალმა ხელისუფლებამ იმპერიისათვის ხარკის გადახდა დააკისრა. ეს კი მაშინ ხდებოდა, როცა ოსმალეთის ხელისუფლებამ აჭარის მკვიდრთა გადასახლების შემთხვევაში, სხვადასხვა მოვალეობათა მოხდისას შეღავათებს ჰპირდებოდა. აქ ხელისუფლების მხრიდან ცოტაოდენი დახმარების შემდეგ გლეხს სრულიად უნდა მოეხადა ვალდებულება, ოსმალეთში, შეღავათებს ჰპირდებოდნენ. ასეთ გაუგებარ მდგომარეობაში აღმოჩენილ მოსახლეობას ცარიზმმა, მათი ოსმალეთში გახიზნვის მიზნით, ისედაც მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა საერთოდ აუტანელი გახადა. ახალმა ხელისუფლებამ გარდა იმისა, რომ დამკვიდრებისთანავე ომისგან შევიწროებულ მოსახლეობას გადასახადები დააწერა, დაიწყო ვაჭრობაზე ადრე დაწესებული საგადასახადო სისტემისა და მოვალეობათა შეცვლა მისგან შემოსავლის გაზრდის მიზნით. მაგალითად, 1878 წლის 27 ოქტომბერს ყარსსა და ბათუმში შემოიღეს ახალი საგადასახადო სისტემა, რომელიც სასმელით, მარილითა და თამბაქოთი ვაჭრობას ეხებოდა, ან კიდევ რუსულმა მმართველობამ შეცვალა მდ. ჭოროხზე ნაოსნობისათვის დაწესებული ტარიფები.

თუ ოსმალთა მმართველობისას მდინარეზე ნაოსნობისათვის ნავების მეპატრონეები გადასახადს ყველა გაკეთებული რეისისთვის იხდიდნენ, ახლა მათ დაეკისრათ წლიური გადასახადი, რაც გუბერნატორის მოსაზრებით, გაზრდიდა ოლქის შემოსავალს. მოსახლეობისგან აკრეფილ თანხას კი იყენებდნენ ჩამოსახლებული რუსი და გერმანელი კოლონისტების ყოფის მოსაწყობად, რადგანაც ისინი სახლდებოდნენ იქ, სადაც ადრე მუსლიმანები ცხოვრობდნენ (**ვარდმანიძე, 2013:127-128**). ნ. ნიკოლაძე წერს: „ხალხმა ვერც კი მოასწრო ომის უბედურებისა და დარბევისაგან თავის დაღწევა, რომ მათგან გადასახადი აიღეს ექვსიდან ათ მანეთამდე და ამავე დროს მისი აკრეფისათვის ყველაზე უხემ მეთოდებს იყენებდნენ“ (**ფუტკარაძე, 1993:12**). ფაქტიურად, რუსეთის იმპერიამ გადასახადების ნაადრევად გაწერით, საგადასახადო სისტემისა და მოვალეობათა დამძიმებით, პირობები შეუქმნა ადგილობრივ მოსახლეობას თავშესაფარი ოსმალეთში მოეძებნა.

მცირემიწიანობას და ოსმალთა ბატონობის შედეგად შექმნილ საერთო ეკონომიკურ გაჭირვებას დაემატა ბათუმის, როგორც მხარის ძირითადი სავაჭრო ცენტრის პორტო-ფრანკოდ გამოცხადება (1878 წლის 29 ოქტომბერი), რის შემდეგაც დასავლეთ ევროპის ძლიერი კაპიტალისტური ქვეყნების, განსაკუთრებით, ინგლისის საქონელს შეეძლო დაეპყრო ბათუმის კონკურენტუუნარო ბაზარი. ეს მოშლიდა რუსეთის მრეწველობას, გასაქანი მეიცემოდა კონტრაბანდულ ვაჭრობას და ადგილობრივი საქონელი ვერ გასაღდებოდა. პორტო-ფრანკოს წესდების მიხედვით: „ბათუმიდან სახმელეთო გზით მიმავალი პირები შემოწმებას გადიან საგუშაგოებსა და სადარაჯოებზე, როგორც საზღვარზე გადასვლისას, ამასთან დაუშვებელია ღამით ბათუმიდან რაიმე ნივთის ან საგნის გატანა“ (**ზარამიძე, 1999:62**). ამავე დროს, პორტო-ფრანკოს სასაზღვრო ზოლზე საქონლის გატანა მხოლოდ იმ პუნქტებში იყო დასაშვები, სადაც საბაჟო დაწესებულებები იყო მოწყობილი. აკრძალულ ადგილზე გადამსვლელები ისჯებოდნენ კავკასიაში მოქმედი საბაჟო წესების შესაბამისი დადგენილების მიხედვით, ბათუმისა და ახლომახლო რაიონების მცხოვრებლებს პორტო-ფრანკოს ზოლს იქეთ უბაჟოდ მხოლოდ რუსული საქონლის გატანის უფლება ჰქონდათ, უცხოურ ნივთებზე კი ბაჟი უნდა გადაეხადათ. ეს კი, ერთის მხრივ, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს

ტერიტორიაზე რუსული საქონლის გავრცელებისა და მხარის ეკონომიკური ათვისებისაკენ იყო მიმართული, მეორე მხრივ, იგი, ზღუდავდა ადგილობრივ მკვიდრთა უფლებას, შეეძინა ის საქონელი, რომელიც მისი მოთხოვნილებებიდან გამომდინარეობდა. უცხოური საქონლის უპრობლემოდ გატანას შეჩვეული მოსახლეობა იძულებული ხდებოდა შეესყიდა რუსული საქონელი, რაც ბაჟის გადახდას და საზღვარზე მოსალოდნელ პრობლემას ააცილებდა თავიდან **(ბარამიძე, 1999:64)**.

ასეთმა მკაცრმა საბაჟო-საკარანტინო რეჟიმმა ბათუმის ოლქის მოსახლეობის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა კიდევ უფრო დასცა. ასეთი ვითარება ადგილობრივ მოსახლეობასა და რუსულ ადმინისტრაციას შორის ურთიერთობას უფრო ამწვავებდა: „პორტო-ფრანკოს შედეგად დაწესებული რუსული რეჟიმი იმდენად აუტანელი შეიქმნა ადგილობრივი მოსახლეობისათვის, რომ ხალხი ტოვებდა თავის მშობლიურ, საყვარელ კუთხეს და თურქეთში გარბოდა. მეფის მოხელეები ხელს უწყობდნენ კიდევ მოსახლეობის მასობრივ ემიგრაციას **(სიჭინავა,1958:100)**. დავით წერეთელი, რომელიც მუჰაჯირობის გამომწვევ მიზეზებზე საუბრობს, ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად მიაჩნია „დამოჟნა“. იგი ამბობს, რომ „პორტო-ფრანკოდ ბათუმის დატოვებამ სულ ბოლო მოუღო ხალხს“ **(ნიკოლეიშვილი, 2011:123)**.

საბოლოოდ, მთავრობაც დარწმუნდა, რომ პორტო-ფრანკო მის ინტერესებს ნაკლებად შეესაბამებოდა. მას აწუხებდა არა მუჰაჯირობა, არამედ ის, რომ ვერ იყენებდა ბათუმს, როგორც სამხედრო ბაზას. რუსეთს აუკრძალეს აქ სიმაგრეების მშენებლობაც, რადგან იგი ვერ ურიგდებოდა საქართველო ამიერკავკასიაში ინგლისელთა ეკონომიკურ მეტოქეობას, ისარგებლა საზოგადოებრივი აზრის მოთხოვნით და შეუდგა თავისუფალი ქალაქ ნავსადგურის სტატუსის შეზღუდვას. საბოლოოდ 1886 წლის 27 ივნისს ცარიზმმა უმტკივნეულოდ გააუქმა ბათუმის პორტო ფრანკო სტატუსი **(ბარამიძე,1996:66)**.

რაც შეეხება მიწისმფლობელობის საკითხს, „მიწაზე უფლების მცირეოდენი შეზღუდვა, თუ შეზღუდვის მცდელობა, ყოველთვის იწვევდა და იწვევს მიწისმფლობელთა უარყოფით რეაქციას. ხანგრძლივი დროის მანძილზე

მიწისმფლობელობის მხრივ გაურკვეველ მდგომარეობაში ყოფნა, რასაც განიცდიდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობა, გავლენას ახდენდა ხელისუფლებისადმი მათ სიმპათიებზე და აძლიერებდა სხვაგან გადასახლების სურვილს. მაგრამ რეგიონის მკვიდრნი მარტო საადგილმამულო ურთიერთობების მხრივ გაურკვეველობას როდი განიცდიდნენ. ამას ემატებოდა ხელისუფლების ცალკეული ღონისძიებები, რაც, საბოლოო ჯამში, მათ მუჰაჯირობისკენ უბიძგებდა“ (ზარამიძე,1999:76).

ოსმალთა აგიტაცია ჯერ კიდევ რუსეთის ჯარის აჭარაში შემოსვლამდე მიმდინარეობდა. ხოლო რუსეთის შემოსვლის შემდეგ ოსმალეთის მთელი სასულიერო აპარატი და ბეგები გასახლებას ქადაგებდნენ. დავით წერეთელი ერთ-ერთ მიზეზად ასახელებს ბეგებს და აღებს, რომლებიც ავიწროებდნენ ადგილობრივ მოსახლეობას (ნიკოლეიშვილი, 2011:123). გასახლების ორგანიზატორები მხოლოდ აგიტაციით როდი კმაყოფილდებოდნენ, ისინი პროვოკაციულ მეთოდებსაც მიმართავდნენ. ალი ფაშა და ოსმან ბეგ თავდგირიძეებმა ქობულეთელებს იარაღი დაურიგეს, ვითომც ცოლ-შვილის დასაცავად, მაგრამ ცოლ-შვილი სადღაც წაიყვანეს და ისინი ციხისძირის გასამაგრებლად გარეკეს. პროვოკაციის მიზნით ოსმალეთის აგენტები აჭარის ცალკეულ სოფლებში არჩევდნენ საიმედო პირებს და ხალხის სახელით გზავნიდნენ ოსმალეთში ვითომც დასასახლებელი ადგილების წინასწარ შესარჩევად და ბინების მოსამზადებლად. ცხადია, ისეთ რთულ ვითარებაში, აგიტაციამ და პროვოკაციამ გარკვეული გავლენა იქონია მოსახლეობაზე. ხალხის ნაწილმა, დარწმუნებულმა ოსმალეთში კარგ ცხოვრებას ვეწევიო „სამშობლო მიატოვა და უცხოეთში გადასახლდა“ (მეგრელიძე, 196:26-27). ოსმალეთი მარჯვედ ახერხებდა ახალი დამპყრობლების მიმართ მკვიდრი მოსახლეობის ნეგატიური დამოკიდებულების გამოყენებას, აგიტატორების მეშვეობით უნერგავდა შიშს, სიძულვილსა და უნდობლობას.

გულგატეხილ მოსახლეობას ანუგეშებდნენ და ეხმარებოდნენ: ი.ჭავჭავაძე გრ.ორბელიანი, გრ.გურიელი, ს.მესხი, ნ.ნიკოლაძე, გ.წერეთელი, თ.სახოკია, ნ.მეფისაშვილი (ზემო აჭარის მაზრის უფროსი) და სხვები (ფუტკარაძე,1993:11). გ.წერეთელი სხვა საკითხებთან ერთად გადასახლების ძირითად მიზეზად მიიჩნევს

ეკონომიკურ საფუძველს. აჭარის ერთ-ერთ გავლენიან პირთან სულიმან ევენდისთან საუბრისას შენიშნავს: „მასხრობის დრო არ არის ძმაო, შენ ჩემზე ნაკლებად არ იცი წარსული ამ მხარისა, კარგად ხედავ ყველაფერს და გესმის. ფანატიზმის გამო არ ხდება ეს გადასახლება, არამედ მიზეზი სხვაა, რომლის შესახებ არც შენ გსურს საუბარი“ (მეგრელიძე,1964:23). გ.წერეთელი იმდროინდელი აჭარის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას გულისხმობდა. ეკონომიკური მხარე რომ გადამწყვეტი იყო, ამას ადასტურებს შემდეგი ფაქტიც, ქობულეთელ ჰუსეინ ბეგს, როდესაც ოსმალები არწმუნებდნენ ოსმალეთში გადასახლებულიყო, უპასუხია: „ნუთუ თქვენ მე იქ მომცემთ ამ მიწებს, მინდვრებს, ტყეებს, სახლს, რომელსაც მე აქ ვფლობ?“ მე თურქეთში არაფერის საქმე არ მაქვს, აქაც კარგად ვგრძნობ თავს (მეგრელიძე,1964:24).

სპეციალურ ლიტერატურაში კარგად არის შეფასებული მუჰაჯირობის ისტორია და მისი გამოწვევის სხვადასხვა ფაქტორები: შიში (რუსეთის მიმართ), პროპაგანდა (ოსმალეთში ოქროს მთების არსებობის შესახებ), იძულება (ოსმალელებისა და გაბატონებული წოდების მხრიდან), ეკონომიკური (ომით გამოწვეული დიდი ზარალი, ნგრევა და გაპარტახება), რელიგიური (მოვლენ და გაგვაქრისტიანებენ), კოლონიური ადმინისტრაცია (კერძოდ მათი საქმიანობა), ომგადახდილ მოსახლეობაზე გადასახადების ნაადრევი გაწერა, ადგილობრივი მოსახლეობის დაუსაქმებლობა, ბეგების სამსახურიდან ჩამოცილება და საარსებო წყაროს მოსპობა, მიწისმფლობელობის საკითხის მოუგვარებლობა და სხვა მრავალი.

მუჰაჯირობის სხვა მთელი რიგი ფაქტორების და წინაპირობების განხილვას ჩვენ არ შევუდგებით, ვინაიდან ამასთან დაკავშირებით საკმაოდ ვრცელი სამეცნიერო ლიტერატურა არსებობს, სადაც ეს საკითხები ფართოდ არის გაშლილი და წარმოჩენილი.

II.2. მუჰაჯირობის შედეგები

რუსეთ-თურქეთის ომის დასრულების შემდეგ აჭარა შეუერთდა საქართველოს, მაგრამ ფაქტობრივად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა. შესაბამისად, მკვიდრი მოსახლეობა დარჩა საკუთარ ეთნიკურ ტერიტორიაზე. მათ შეინარჩუნეს ეთნიკური თავისთავადობა, ქართული ყოფისა და კულტურის თავისებურებანი, მაგრამ რელიგიური თვალსაზრისით განიცადეს ტრანსფორმაცია, რის შედეგადაც საკუთარ სამშობლოში იქცნენ რელიგიურ (მუსლიმარ) უმცირესობად. რელიგიური განსხვავებულობა ქმნიდა ერთგვარ წინაპირობებს მოძმე ქართველებისაგან გაუცხოებისათვის. მოწინავე ქართული ინტელიგენცია ცდილობდა ყოველგვარი გაუცხოების წაშლას, მაგრამ რუსეთისა და ოსმალეთის ხელისუფლება აღვივებდა წინააღმდეგობებს და ქმნიდა დაპირისპირების წინაპირობებს. რუსებმა ახლად შემოერთებული ქართული მოსახლეობა არ მიიღეს ქართველებად, თურქებისათვის კი, ისინი არ იყვნენ თურქები. სამწუხაროდ, ქართველებს შორისაც აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებმაც ვერ მიიღეს მათი ისტორიული ძმები (ფუტკარაძე, 1993:14). ამ შემთხვევაში ხდებოდა რელიგიური ფაქტორების წინა პლანზე წამოწევა, რაზეც შეგნებულად ამახვილებდნენ გადამეტებულ ყურადღებას რუსი და ოსმალე ჩინოვნიკები. ქართული ინტელიგენციის თავდაუზოგავ მოღვაწეობას ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ჰქონდა გარკვეული მნიშვნელობა, მაგრამ მათ ხელში არ იყო მართვის ბერკეტები, შესაბამისად პოლიტიკურ პროცესებზე მათი გავლენა ვერ იქნებოდა განვითარებული მოვლენების ადეკვატური.

ადგილობრივი მოსახლეობის დამოკიდებულება ოსმალეთის ხელისუფლების მიმართ გარკვეულწილად შეიცვალა, ხალხის მენტალობაში მოხდა გარკვეული ცვლილებები. ისინი დარწმუნდნენ, რომ „უძლეველ და ზღაპრულ“ ოსმალეთში სასიკვდილოდ განწირულნი და ბედის ანაბარა მიტოვებული აღმოჩნდნენ. უბინაო, გამოუვალ, მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილმა მუჰაჯირებმა ვერ მიიღეს არათუ აღქმული უზრუნველი ცხოვრება, არამედ ის მცირედიც კი, რომელიც მათ ოჯახებს სიკვდილისგან იხსნიდა. გადასახლებული ხალხის ნაწილი გზაში იხოცებოდა, ზოგი კი ადგილზე ჩასვლის შემდეგ. ოსმალეთში ჩასული მუჰაჯირები უმძიმეს პირობებში

აღმოჩნდნენ. მუჰაჯირების მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ დაიწყეს ფიქრი უკან დაბრუნებაზე. ოსმალეთში გადასახლებული ქართველების მდგომარეობაზე მეტყველებს მუჰაჯირთა გამოგზავნილი ბარათები ნათესავებთან სამშობლოში. ერთ-ერთი მუჰაჯირი თავის ძმას აცნობებდა: „ღმერთის ნება იყოს, შინ რომ დავბრუნდე. ქალ-ბაღანას პური არ აქვს, ტანთ არაფერი აცვიათ, ფარაც არ გვაქვს. გვიშველეთ რაიმეთი, ჩვენ სულ ვკდებით შიმშილით და სიცივით, ჩვენი ქვეყანა კარგი არის, აქეთ ნუ წამოხვალთ. ჩვენი თხოვნა ეს არის“. ანალოგიურია მეორე მუჰაჯირის წერილი: „შვილო მევლუდ ცოტა ფარა მიშოვე და მაშინვე წამოვალ, აქეთ ნურავინ წამოვა, ყველანი გააფრთხილეთ მანდ სიკვდილი სჯობია, უბედურება ვნახეთ, დაიღუპა ჩვენი საქმე (მეგრელიძე, 1964:68). მუჰაჯირთა მძიმე მდგომარეობა ოსმალეთში აშკარა გახდება თუ გადავხედავთ ოსმალეთის მაშინდელ საერთო ვითარებას. ომში დამარცხებული ქვეყანა გამოუვალ ეკონომიკურ პირობებში აღმოჩნდა, გაჩანაგებული იყო სოფლის მეურნეობა, დავალიანება ევროპის სახელმწიფოსადმი იმდენად გაიზარდა, რომ თურქეთს 30 წლის მანძილზე არ შეეძლო მისი გადახდა. სახელმწიფო აივსო მუჰაჯირებით, კავკასიის სხვადასხვა კუთხიდან, ქვეყანაში დათარეშობდა დაუმორჩილებელი, მომთაბარე ქურთთა ტომები. ინგლისელი დიპლომატის სიტყვებით ეს იყო „ხალხთა დიდი გადასახლების ეპოქა“ (მეგრელიძე, 1964:69).

“ქართველები ყველგან ვართ და არსად კი არ ვჩანვართ” აღნიშნა იასე რაჭველიშვილთან (მუხუზლა) საუბარში ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწემ ჰასან ფაშამ (ქართველმა მაჰმადიანმა), “ჩვენს მეტმა ვერც ერთმა ეროვნებამ ვერ შეინარჩუნა თავისი ელფერი ოსმალეთში. ვინც კი გამუსლიმანდა ყველა სრულიად გადაგვარდა, გაქრნენ, გაითქვიფნენ ოსმალეებში, ჩვენ კი ასე თუ ისე, სახელი “გურჯი” მაინც შეგვრჩა და ეს კი იმის მასწავლებელია, რომ ქართველების კულტურა უფრო ძლიერია ეროვნულ ფსიქიკაში” (ბოსტაშვილი, 1991:105).

ამრიგად, მუჰაჯირობის შედეგად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით ნახევარმა მიატოვა საკუთარი საცხოვრებელი და ანატოლიის ცენტრალურ პროვინციებში გადასახლდა. ამ პროცესს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ხელს უწყობდა როგორც რუსეთის, ისე ოსმალეთის

ხელისუფლება. რუსეთის კოლონიზატორულ პოლიტიკას ემატებოდა ოსმალეთის გეგმები, რაც გამოიხატებოდა ანატოლიის აუთვისებელ ტერიტორიებზე ახალი დასახლებების შექმნაში.

გადასახლებულმა ქართველებმა ოსმალეთის შიდა პროვინციებში ახალი დასახლებები შექმნეს. ხშირ შემთხვევაში ადგილზე მისულები აწყდებოდნენ სხვადასხვა სახის წინააღმდეგობებს დამხვედური მოსახლეობის მხრიდან. მიუხედავად იმისა, რომ ძალზე რთული იყო ახალ მიწებზე დამკვიდრების პროცესი, დროთა განმავლობაში მათ შეძლეს ახალ გარემოსთან ადაპტაცია და საკუთარი, ტრადიციული მეურნეობის გამართვა.

ახალ გარემოში ცხოვრების მიუხედავად, შეძლეს დღემდე მოეტანათ ეროვნული თვითმყოფადობის უამრავი ელემენტი.

თავი III. ქართველი მუჰაჯირები თურქეთის

შავი ზღვის რეგიონში

III.1. თურქეთის შავი ზღვის რეგიონის ადმინისტრაციული სტრუქტურა

ადმინისტრაციული მოწყობის ყველაზე მცირე ერთეული თურქეთში არის Mahalle ანუ უბანი. იგი წარმოადგენს სოფლის ან ქალაქის ნაწილს. სოფლის Mahalle-ს ადმინისტრაცია არ ჰყავს, ქალაქის Mahalle-ს მუხტარი (რწმუნებული) უდგას სათავეში. სიდიდის მიხედვით შემდეგია სოფელი (Köy). სოფელსაც სათავეში მუხტარი უდგას. სოფლის და უბნის მიმართება ყოველთვის ერთგვაროვანი არაა. ერთ შემთხვევაში უბნად შეიძლება იწოდებოდეს ტერიტორია დასახლებული პუნქტის შიგნით, მეორე შემთხვევაში უბანი დასახლებული პუნქტის ცენტრალური ნაწილისგან შეიძლება რამდენიმე კილომეტრით იყოს დაშორებული და დამოუკიდებელი სოფლის შთაბეჭდილებას ტოვებდეს. ამ შემთხვევაში განმსაზღვრელია სამუხტრო. ანუ, ერთი მუხტარი შეიძლება რამდენიმე სოფელს განაგებდეს და ეს სოფლები ფორმალურად ერთ სოფლად ითვლება. ზოგჯერ პირიქით ხდება: ერთი სოფელი ორად იყოფა და ორ დამოუკიდებელ დასახლებულ პუნქტად ყალიბდება. სიდიდით შემდეგი ადმინისტრაციული ერთეულია Belde, რომელიც შეესაბამება ქართულ დაბას. „ბელდედ“ იწოდება დასახლებული პუნქტი, რომლის მოსახლეობა 2000-ს სჭარბობს. ზოგჯერ Belde-ს ქმნის რამდენიმე სოფლის გაერთიანება. Belde-ს ანუ „დაბის“ შესატყვისი სიტყვები თურქულში არის Bucak (ბუჯაქ) და Kasaba (ქასაბა), მაგრამ ეს ე.წ. ხალხური თქმებია და ოფიციალური სტატუსი არ გააჩნია. რაც შეეხება ქალაქებს, დასახლებული პუნქტის ქალაქად ცნობა უკვე დამოკიდებულია არა მაინცდამაინც მოსახლეობის რაოდენობაზე, არამედ სახელმწიფოს პოლიტიკურ გადაწყვეტილებაზე. თურქეთში ქალაქის განსხვავებული გაგება არსებობს: ქალაქად იწოდება პროვინციის (ილის) ცენტრი. ამდენად, სიტყვებს İçe და 1 გააჩნია როგორც ქალაქის (რაიონის ან პროვინციის ცენტრის - Merkez), ასევე საკუთრივ „რაიონის“ და „პროვინციის“ გაგება. რამდენიმე გამონაკლისის გარდა, თურქეთში პროვინციებს, როგორც წესი, იგივე სახელი აქვს, რაც მათ შესაბამის პროვინციულ დედაქალაქს, რომელსაც ასევე ცენტრალური რაიონი ჰქვია (ქესქინი, 2015:12).

თურქეთის პროვინციები (ილები) დაჯგუფებულია 7 რეგიონში. ესენია: 1) ეგეოსის რეგიონი (Ege Bölgesi), 2) შავი ზღვის რეგიონი (Karadeniz Bölgesi), 3) ცენტრალური ანატოლიის რეგიონი (İç Anadolu Bölgesi), 4) აღმოსავლეთ ანატოლიის რეგიონი (Doğu Anadolu Bölgesi), 5) მარმარილოს ზღვის რეგიონი (Marmara Bölgesi), 6) ხმელთაშუა ზღვის რეგიონი (Akdeniz Bölgesi), 7) სამხრეთ ანატოლიის რეგიონი (Güneydoğu Anadolu Bölgesi). დაყოფა ემსახურება მხოლოდ სტატისტიკურ მიზნებს და არ გააჩნია არანაირი ადმინისტრაციული დაყოფის სტატუსი. იგი გეოგრაფიული სტრუქტურაა და არა ადმინისტრაციული; ანუ რეგიონებად დაყოფა არაოფიციალურია, მაგრამ მიღებული. რაც შეეხება ოფიციალურ ადმინისტრაციულ სტრუქტურას, რეგიონები იყოფა პროვინციებად (ილებად). თურქეთში სულ 81 პროვინციაა, ხოლო შავი ზღვის რეგიონი შედგება 18 პროვინციისაგან (ილისაგან) ესენია: 1. ამასიის პროვინცია; 2. ართვინის პროვინცია; 3. ბართინის პროვინცია; 4. ბაიბურთის პროვინცია; 5. ბოლუს პროვინცია; 6. ჩორუმის პროვინცია; 7. დუზჯეს პროვინცია; 8. გირესუნის პროვინცია; 9. გუმუშქანეს პროვინცია; 10. ყარაბუქის პროვინცია; 11. კასთამონუს პროვინცია; 12. ორდუს პროვინცია; 13. რიზეს პროვინცია; 14. სამსუნის პროვინცია; 15. სინოპის პროვინცია; 16. თოქათის პროვინცია; 17. ტრაპზონის პროვინცია; 18. ზონგულდაქის პროვინცია (იხ.დანართი №1). მათ შორის, ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების კომპაქტური დასახლებები, მეტ-ნაკლები რაოდენობით, ძირითადად გვხვდება ათ პროვინციაში. სოფლების ნაწილი შერეულია, ნაწილი კი მხოლოდ მუჰაჯირთა შთამომავლებითაა დასახლებული. მართალია, აღნიშნულ რეგიონში მცხოვრები ქართველთა ზუსტი რაოდენობის განსაზღვრა შეუძლებელია, მაგრამ სამეცნიერო ექსპედიციების შედეგების საფუძველზე შეიძლება ვთქვათ, რომ თურქეთის შავი ზღვის რეგიონში ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ყველაზე დიდი რაოდენობა ცხოვრობს.

III. 2. მუჰაჯირთა განსახლების არეალი და სტატისტიკური

მონაცემები შავიზღვისპირეთში

მუჰაჯირთა განსახლების არეალი თურქეთის შავიზღვისპირეთში ვრცელია და მოიცავს სხვადასხვა ილჩებს. მუჰაჯირები რეგიონების მიხედვით კომპაქტურად არიან დასახლებული. თურქეთში ქართველებით დასახლებული სოფლების შესახებ სხვადასხვა მონაცემებია დაცული. საყურადღებოა XX ს-ის 50-იან წლებში ამერიკელი მეცნიერის ენდრიუს აღწერილი ქართული სოფლების სია, რომელიც სწავლობდა ეთნიკურ ჯგუფებს თურქეთში (**Andrews, 1993:98,106**). ავტორი მიუთითებს, თუ რომელ ადმინისტრაციულ ერთეულს, ვილაეთს ან ილჩეს განეკუთვნება ესა თუ ის სოფელი. თუ ქართული სოფელი მონოეთნიკური არ არის, მაშინ მითითებულია იქ მცხოვრები სხვა ეროვნების წარმომადგენლები, მაგალითად: აფხაზები, ჩერქეზები, თურქები და სხვა.

1935 წელს თურქეთში მიღებული იქნა გვარის კანონმდებლობა. იგი მიზნად ისახავდა ქვეყნის პასპორტიზაციას. ამ კანონის განხორციელების დროს მაჰმადიან ქართველებს, რომელთაც ჰქონდათ თავიანთი გვარი, არ მიეცათ ოფიციალურად ტარების უფლება და ახალი თურქული გვარები მიიღეს. ხანგრძლივი დროის შემდეგ მუჰაჯირთა შთამომავლების გარკვეულმა ნაწილმა ქართული გვარი თითქმის დაივიწყა. ეს განსაკუთრებით შეიმჩნევა ქალაქად მცხოვრებლებს შორის, რომლებმაც მიატოვეს საკუთარი სოფლები. დღეს თურქეთში შეხვდები წარმომავლობით ქართველებს, რომლებსაც აღარ ახსოვთ თავიანთი ქართული გვარები, მაგრამ იციან, რომ მათი წინაპრები ქართველები იყვნენ.

ქართველ მუჰაჯირთა დასახლებები თურქეთში ძირითადად შავი და მარმარილოს ზღვის რეგიონებშია. დაახლოებით 280 სოფელი შავი ზღვის რეგიონშია, 140 კი მარმარილოს ზღვის რეგიონში. საზოგადოდ, შავი ზღვის რეგიონში დასახლებულთა შორის სჭარბობს აჭარიდან - აჭარისწყლის ხეობიდან, მაჭახლიდან, ბათუმის მახლობელი სოფლებიდან, ჩაქვიდან და ქობულეთიდან გადასახლებულთა სოფლები (**ჩოხარაძე, 2016:282**).

თურქეთის შავი ზღვის რეგიონში მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლებით დასახლებული სოფლებია:

1. ამასიის პროვინცია (ილი) - ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების 11 ქართული სოფელია. ესენია:

ცენტრალური რაიონი (Merkez): ჩივი, აქიაზი, ელიქთექე, იუვაქოი, ბელდადი, ჩათალჩამი.

თაშოვას რაიონი: ალთინლი (თენექე), ილფინარი (ძველი ჩერმუქი), თათლიფინარი (დარმადერესი).

სულოვას რაიონი: ქილიჩასლანი.

2. დუზჯეს პროვინცია - 23 ქართული სოფელია (**ჩოხარაძე, 2016:289**).

ცენტრალური რაიონი: აიდინფინარი (Aydınpinar) - აჭარა¹; ასარი (Asar) - აჭარა; გოლორმანი (Gölormanı) - აჭარა; დოდანლი (Doğanlı) - აჭარა; იეშილჩამი (Yeşilçam) - აჭარა; მუნჯურლუ (Muncurlu) - აჭარა (შუახევი, ხულო); მუსაბაბა (Musababa) - აჭარა (შუახევი); ფინდიკლიაქსუ (Fındıklıaksu) - აჭარა; ჩაქირჩაჯიიბრაჰიმი (Çakırhacıbrahim) - აჭარა; ჩიფთლიქქოი (Çiftlikköy) - აჭარა (შუახევი, ხულო); შიმშირი (Şimşir) - აჭარა.

აქჩაკოჯას რაიონი: დოდანჯილარი (Doğancılar) - აჭარა; ესმეჰანიმ (Esmahanım) - აჭარა; მელენაღზი (Melenagzi) - აჭარა (ბათუმი); უღურლუ (Uğurlu) - აჭარა; ჩიჩეკვინარი (Çiçekpınar) - კლარჯეთი (ნიგალი).

ჩილიმლის რაიონი: იეშილმაჰალესი (Yeşilmahalesi) - აჭარა-მაჭახელი; იეშილთეფე (Yeşiltepe) - აჭარა; მაჰირაღა (Mahırağa) - აჭარა; ჰიზარდერე (Hızardere) - აჭარა.

გოლიაქას რაიონი: ჰამამუსტი (Hamamüstü) - აჭარა (ქედა). ჰაჯიიაკუფი (Hacıyakup) - აჭარა.

ილიჯას რაიონი: ქირიქ (Kırık) - აჭარა.

3. გირესუნის პროვინცია - 20 სოფელია ქართველებით შთამომავლებით დასახლებული.

¹ ყოველი სოფლის დასახელებისას გვერდით ვუთითებთ, თუ საიდან არიან მათი წინაპრები მუჰაჯირად წასულები. შეძლებისდაგვარად ვცდილობთ დავაკონკრეტოთ რაიონი და სოფელიც კი. აჭარა, ამ შემთხვევაში მხოლოდ აჭარისწყლის ხეობას აღნიშნავს (როგორც მათშია შემორჩენილი). ხშირ შემთხვევაში საერთოდ არ ახსოვთ, თუ საიდან წავიდნენ მათი წინაპრები და ზოგადად ბათუმს ასახელებენ. ტერმინ ბათუმში კი კონკრეტულად იგულისხმება ქალაქი ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტითურთ, მაჭახლის ხეობის გამოკლებით. ჩურუქსუ ქობულეთის ძველი, ოსმალური სახელწოდებაა, მაჭახელში მხოლოდ მაჭახლის ხეობა იგულისხმება და. ა.შ.

ცენტრალური რაიონი: ანზარალანი, იჩმესუ (İçmesu) - აჭარა (ქედა);
ოაიქინლიქი (Yaykınılık)- ბათუმი.

დერელის რაიონი: აქქაია (ბაშჩუქური).

ბულანჯაქის რაიონი: დამუდერე (Damudere) - აჭარა (ქედა); ეზელთერე (Ezeltere) - აჭარა (ქედა); გუნეიქოი (Güneyköy) - აჭარა (ქედა); ჰაჯეთი (Hacet) - აჭარა (ხულო), ბათუმი; ქარააღაჩი (Karaağaç) - აჭარა (შუახვევი, ხულო); ქაიაბაში (Kayabaşı) - აჭარა (შუახვევი, ხულო); ქიშლა (Kışla) - აჭარა (ხულო), ბათუმი; ქუჩუქდერე (Küçükdere) - აჭარა (შუახვევი); ოდადუზუ (Odadüzü) - აჭარა (შუახვევი, ხულო); თეფეორენი (Tepeören) - აჭარა (შუახვევი, ხულო); თოქმადინი (Tokmadin) - აჭარა (შუახვევი, ხულო); იენიქოი (Yeniköy) - აჭარა (შუახვევი, ხულო); იეშილთეფე (Yeşiltepe)-აჭარა.

ქეშაფის რაიონი: ქურბანფინარი (Kurbanpınarı) - აჭარა.

4. ორდუს პროვინციაში: ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების 129 სოფელია (ჩოხარაძე, 2016:282). ესენია:

ა) **უნიეს რაიონი:** აღიდერე (Ağidere) - აჭარა; ათაქოი (Ataköy) - აჭარა; აიდინთეფე (Aydintepe) - აჭარა; ბაშქოი (Başköy) - აჭარა; ჯევიზდერე (Cevizdere) - აჭარა; ჩათალფინარი (Çatalpınar) - აჭარა (ქობულეთი); ჩათალთეფე (Çataltepe) - აჭარა (ქედა); ჩინარჯიქი (Çınarcık) - აჭარა; (დენიზბუქუ) Denizbükü - აჭარა; ექინჯიქი (Ekincik) - აჭარა-მაჭახელი; ელმალიქი (Elmalık) - აჭარა; ერენიურთი (Erenyurt) - აჭარა; ესენქალე (Esenkale) - აჭარა; გობუ (Göbü) - აჭარა; გუნფინარი (Günpınarı) - აჭარა; გუზელიალი (Güzelyalı) - აჭარა (ქედა); ჰიზარბაშიგუნლუქი (Hızarbaşigünlük) - აჭარა (ქედა). ჰიზარბაშიქუმარლი (Hızarbaşıkumarlı) - აჭარა (ქედა), ინქური (İnkur) - აჭარა (ქედა), ქობულეთი; ქადილარი (Kadılar) - აჭარა; ქილლიქი (Killik) - აჭარა-მაჭახელი; ქუშდოღანი (Kuşdoğan) - აჭარა (ქედა); ნადირლი (Nadirli) - აჭარა; ნურეთთინი (Nurettin)-აჭარა-მაჭახელი; ორთაქოი (Ortaköy)-აჭარა; სარაიჯიქი (Saraycık) - აჭარა; სეილანი (Seylan)- ქობულეთი; სოფუთეფესი (Sofutepesi) - აჭარა; თაფლანჯიქი (Taflancık) - აჭარა; თეფექოი (Tepeköy) - ქობულეთი; თექქირაზი (Tekkiraz) - აჭარა-მაჭახელი; უღურლუ (Uğurlu) - აჭარა; იავი (Yavı) - აჭარა; იაიჯი (Yaycı) - აჭარა; იაილალი (Yaylalı) - აჭარა (ქედა); იაზქონაღი (Yazkonağı) - აჭარა;

იენიქიზილჯაქესე (Yenikızılcakeşe) - აჭარა-მაჭახელი; იენიქენთი (Yenikent)-აჭარა-მაჭახელი; იენიქოი (Yeniköy)-აჭარა; იუჯელერი (Yüceler) - აჭარა (ქედა); ქობულეთი.

ბ) ფაცას რაიონი: აიაზი (Ayazlı) - აჭარა; ბაღლარჯა (Bağlarca) - აჭარა (ქობულეთი), ბაჯანაქი (Bacanak) - აჭარა (ქედა), ქობულეთი; ბოზდაღი (Bozdağı) - ქობულეთი; ბუჯაქლი (Bucaklı) - ქობულეთი; დუაიერი (Duayeri) - ქობულეთი; დუღუნლუქი (Düğünlük) - ქობულეთი; ჰოილუ (Hoylu) - ქობულეთი; ჰამლიქი (Hamlik) - აჭარა (ქედა); ისლამდაღი (İslamdağ) აჭარა (ქედა); ქაბაქდაღი (Kabakdağı) - ქობულეთი; ქარათაში (Karataş) - ქობულეთი; ქარაქუჯაქი (Karakucak) - აჭარა (ქედა), ქობულეთი; ქონაქბაში (Konakbaşı) - ქობულეთი; მეჰმეთაქიფი (Mehmetakif) - ქობულეთი; ოლუქლუ (Oluklu) -ქობულეთი; გეიქჩელი (Geykçeli) - ქობულეთი; სალიჰლი (Salihli) - ქობულეთი; საზჯილარი (Sazcılar) - ქობულეთი; სუდერე (Sudere) - აჭარა (ქედა); ქობულეთი, თაჰტაბაში (Tahtabaşı) - ქობულეთი; აშაღი თეპე (Aşağı tepe) - აჭარა (ქედა); ქობულეთი; იენიქარგიჯაქი (Yenikargıcak) აჭარა (ქედა), ქობულეთი; იუსუფლუ (Yüsüflü) - ქობულეთი; ჯეჯილო (Cecilo) - ქობულეთი.

გ) ქუმრუს რაიონი: ბალი (Balı) - აჭარა; ესენჯე (Esence) - აჭარა; გუნეიჯიქი (Güneycik) - აჭარა; ქადინჯიქი (Kadıncık) - აჭარა; ქუჩუქაქჩაქესე (Küçükakçakese) - აჭარა; იენიაქჩაალანი (YeniAkçaalan) - აჭარა (ქედა); იენიჩოქდეირმენი (Yeniçokdeğirmen) - აჭარა; იენიდივანე (YeniDivane) - აჭარა (ქედა); იენიერგანი (Yeniergen) - ქობულეთი, ბათუმი; იემიშქენი (Yemişken) - აჭარა (ქედა).

დ) ფერშემბეს რაიონი: ბოლათლი (Bolatlı) - აჭარა; ჩაქა (Çaka) - ქობულეთი; დერეიჩი (Dereici) - აჭარა; ეფირლი (Efirli) - აჭარა; გაჯალი (Gacalı) - აჭარა; თონგელდუზუ (Tongeldüzü) - აჭარა; სელიმიე (Selimiye) - ქობულეთი; შენიურთი (Şenyuet) - აჭარა; იენიქოი (Yeniköy) - ქობულეთი.

ე) გოლქოის რაიონი: ჯიჰადიე (Cihadiye) - აჭარა-მაჭახელი; ჩათაქი (Çatak) - აჭარა; იჩიაქა (İçyaka) - აჭარა-მაჭახელი; ქონაქი (Konak) - აჭარა-მაჭახელი; ფაშაფინარი (Paşapınar) - შავშეთი; იუვაფინარი (Yuvapınar) - შავშეთი.

ვ) ორდუს ცენტრალური რაიონი: აქქესე (Akkese) - აჭარა; ალემბეი (Alembey) - აჭარა; ბაჰარიე (Bahariye) - ჩაქვი; ბოზთეფე (Boztepe) - აჭარა; ბურჰანეთთინი (Burhanettin) - ქობულეთი; გუნიორენი (Günören) - აჭარა.

ზ) ქორგანის რაიონი: დუზდაღი (Düzdağ) - ქობულეთი; სარიალიჩი (Sarılıç)-აჭარქობულეთი); სოღუქფინარი (Soğukpınar) - ქობულეთი; იაზლიქი (Yazlık) - ქობულეთი; იეშილალანი (Yeşilalan) - ქობულეთი.

თ) ჩაიბაშის რაიონი: აქბაბა (Akbaba) - აჭარა-მაჭახელი (ქედა); ჩინარი (Çinar) - აჭარა, მაჭახელი, ქობულეთი; ქოქლუქი (Köklük) - აჭარა (მაჭახელი); ქურუდერე (Kurudere) - აჭარა.

ი) გურგენტოეფს რაიონი: ჰასანჯიქი (Hasancık) - აჭარა (ხულო); ოქჩუბელი (Okçubel) - ქობულეთი; შირინქოი (Şirinköy) - აჭარა, მაჭახელი, ქობულეთი.

კ) ულუბეის რაიონი: აქოლუქი (Akoluk) აჭარა; რეფაიე (Refahiye) - აჭარა-მაჭახელი, (ქედა); იენისაიაჯა (Yenisayaca) - აჭარა-მაჭახელი (ქედა).

ლ) აქქუმის რაიონი: ესენტეფე (Esentepe) - აჭარა-მაჭახელი; დუმანთეფე (Dumantepe) - აჭარა-მაჭახელი.

მ) იქიზჯეს რაიონი: ქაინარფინარი (Kaynarpınar)-აჭარა-მაჭახელი; იაღდაში (Yağdaş) - აჭარა-მაჭახელი.

ნ) ქაბადუზის რაიონი: ქირაზდერე (Kirazdere) - ქობულეთი; იოქუშდიბი (Yokuşdibi) -ქობულეთი.

5.რიზეს პროვინცია:

ფაზარის რაიონი: ჰამიდიე (Hamidyе) - ქობულეთი, ჩაქვი.

6. სამსუნის პროვინცია: - 37 ქართული სოფელია.

ა) სალიფაზარის რაიონი: აიაზმა (Ayazma) - აჭარა; ბიჩმე (Biçme) - აჭარა-მაჭახელი; ფიდანჯიქი (Fidancık) - ბათუმი; ქარადერე (Karadere) - მაჭახელი; ქარაჯაორენი (Karacaören) - მაჭახელი; ქარამანი (Karaman) - მაჭახელი; ქირგილი (Kırgıl) - მაჭახელი; ქიზილოთი (Kızılot) - აჭარა; ქუშჯილაზი (Kuşçığaz) - ქობულეთი; მუსლუბეი (Muslubey) - მაჭახელი; იენიდოღანი (Yenidoğan) - აჭარა; იეშილქოი (Yeşil Köyü) - აჭარა; იუქარიქესტანეფინარი (Yukarıkestanepınarı) - მაჭახელი.

ბ) ჩარშამბას რაიონი: აჰუბაბა (Ahubaba) - მაჭახელი; ჩათაქი (Çatak) - მაჭახელი; გულიაზი (Gülyazı) - მაჭახელი; ქარაბაჰჩე (Karabahçe) - მაჭახელი; ქარამუსტაფალი (Karamustafalı) - მაჭახელი, ბათუმი; ქესტანეფინარი (kestanepınarı) - მაჭახელი; ოვაჯიქი (Ovacık) - მაჭახელი, ბათუმი; იუქარიდიქენჯიქი (Yukarıdikencik) - მაჭახელი.

გ) თერმეს რაიონი: აქჩაი (Akçay) - მაჭახელი; დუმანთეფე (Dumantepe) - აჭარა (ქედა); ქესიქაია (Kesikkaya) - აჭარა (ქედა); ქოჯამანბაში (Kocamanbaşı) - აჭარა (ქედა); მაჭახელი; ქოიბუჯაქი (Köybucağı) - აჭარა (ქედა); ქუშჩა (Kuşca) - აჭარა (ქედა); ოზიურთი (Özyurt) - აჭარა (ქედა).

დ) ლადიქის რაიონი: არსლანთაში (Arslantaş) - აჭარა; აივალისოქადი (Ayvalısokağı)-მაჭახელი; ჰაჯიალიფინარი (Hacılipınar) - მაჭახელი; ჰამამაიალი (Hamamayağı)- აჭარა.

ე) ბაფრას რაიონი: დუზქოი (Düzköy); გოქჩეაღაჩი (Gökçeagaç).

ვ) ვეზირქოფრუს რაიონი: იურთდაღი (Yurtdağı) - კლარჯეთი (ნიგალი)².

ზ) ათაქუმის რაიონი: ქარაქოვუქი (Karakovuk).

7. სინოპის პროვინცია:- 40 ქართული სოფელია (ჩოხარაძე, 2016:287).

ა) სინოპის ცენტრალური რაიონი: ავდანი (Avdan) - კლარჯეთი (ნიგალი); ალოღლუ (Aloğlu); აჰმეთიერი (Ahmetyeri) - აჭარა-მაჭახელი; გოლლერი (Göller); ერიქლი (Erikli)- კლარჯეთი; თანგალი (Tangal) - კლარჯეთი (ნიგალი); ლალა (Lala) - კლარჯეთი (ნიგალი); მელექშაჰი (Melekşah) - კლარჯეთი; ოსმანიე (Osmaniye)- ქობულეთი; ორდუქოი (Orduköy) - კლარჯეთი; სინეჯანი (Sinecan) - კლარჯეთი (ნიგალი); ქაბალი (Kabalı) - კლარჯეთი; ქარაფინარი (Karapınar) კლარჯეთი (ნიგალი); ქილიჩლი (Kılıçlı) -ჩაქვი; ჩობანლარი (Çobanlar) - კლარჯეთი (ნიგალი).

ბ) ერფელექის რაიონი: აბდურაჰმანფაშა (Abdurrahmanpaşa) - კლარჯეთი (ნიგალი);

ბაშარანი (Başaran) - კლარჯეთი (ნიგალი); დეირმანჯილი (Değirmencili) - კლარჯეთი; აჭარა, ნიგალი, მაჭახელი; ერფელექი (Erfelek) - კლარჯეთი (ნიგალი); ვეისელი (Veysel)- - კლარჯეთი (ნიგალი), აჭარა, მაჭახელი; თექქე (Tekke) - კლარჯეთი; იენიჩამი (Yeniçam) - კლარჯეთი (ნიგალი); ინჯემეიდანი (İncemeydan)-კლარჯეთი (ნიგალი); ჰამიდიე (Hamidiye) - კლარჯეთი (ნიგალი); ჰასანდერე (Hasandere) - კლარჯეთი; თუფანი (Tufan) - კლარჯეთი (?).

² ამ რაიონებში მრავლადაა ნიგალის ხეობიდან წასულთა შთამომავლები. ისინი ძირითადად მარადიდი, კირნათი, ბორჩხის და ქლასქურის ხეობის მუჰაჯირთა შთამომავლები არიან.

გ) გერზეს რაიონი: აქკირაჩი (Akkıracı) - კლარჯეთი (ნიგალი); იაიქილი (Yaykıl)-კლარჯეთი (?); იაკადიბი (Yakadibi) - კლარჯეთი; იუვალი (Yuvalı)- აჭარა-მაჭახელი; ჰიზარჩაი (Hizarçayı) - კლარჯეთი.

დ) აიანჯიქის რაიონი: მესტანი (Mestan)-კლარჯეთი; ფაზარჯიქი (Fazarcık)-კლარჯეთი (?); გოლდაღი (Göldağı)-კლარჯეთი; თევფიქიე (Tevfikiye) - მაჭახელი; მადენი (Maden)-კლარჯეთი; ქირან ჰარმანი (Kıran harman)-კლარჯეთი.

ე) თურქელის რაიონი: საზქიშლა (Sazkışla) - აჭარა (აჭარისწყლის ხეობა); ქუზქოი (Kuzköy) - აჭარა; ჰაჯიქოი (Haciköy) - აჭარა, იაფრაქლი (Yapraklı) - აჭარა.

8. თოქათის პროვინცია: 18 ქართული სოფელია.

ა) ნიქსარის რაიონი: ასარი (Asar) - შავშეთი; აქინჯი (Akıncı) - შავშეთი; დალქაია (Dalkaya) - აჭარა (ქედა); ქოქლუჯე (Köklüce) - მაჭახელი; მერჯიმექდუზი (Mercimekdüzü) - შავშეთი; მუსაფინარი (Musapınarı) - შავშეთი; მუხტარდუზი (Muhtardüzü) - კლარჯეთი; ოლუქლუ (Oluklu) - აჭარა (ქედა); ორენლერ (Örenler) - შავშეთი; ოსმანიე (Osmaniye) - შავშეთი; სორჰუნ (Sorhun) - შავშეთი; თეფეიათაქი (Tepeyatak) - შავშეთი; უმურლუ (Umurlu) - შავშეთი; უსტაჰასანი (Ustahasan)-შავშეთი.

ბ) ერზაას რაიონი: ზოღალიჩუქურ (Zoğallıçukur) - მაჭახელი.

გ) თურჰალის რაიონი: ბოიაჯილარ (Boyacılar), მუფთი მაჰალლესი (Mufti mahallesi).

დ) თოქათის ცენტრალური რაიონი: ექინჯიქი (Ekincik) - შავშეთი.

9. ქასთამონუს პროვინცია:

ჩათალზეითინის რაიონი: ჰამიდიე (Hamidye).

თურქეთში მცხოვრებ ქართველთა რაოდენობის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. ოფიციალურ ისტორიოგრაფიაში აღნიშნული საკითხი სხვადასხვაგვარადაა წარმოდგენილი. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ გადასახლებულთა ზუსტი რაოდენობის დადგენა ძალიან ძნელია, რაც თავის მხრივ, განპირობებულია რიგი ობიექტური მიზეზებით. უპირველესად, ის რომ ადრიანოპოლის საზავო ხელშეკრულების თანახმად, მოსაზღვრე ტერიტორიების მოსახლეობას უფლება ჰქონდა თავისუფალი გადასახლება-გადმოსახლებისა. ამიტომ რუსული მხარე აღწერას გადასახლებულთა

რაოდენობის შესახებ არ აწარმოებდა, თუ არ ჩავთვლით ცალკეულ გამონაკლისებს. საჭიროებიდან გამომდინარე კი, ოსმალეთის მხარე აღნუსხავდა. უნდა ითქვას, რომ ქართველი მეცნიერები იკვლევდნენ ადგილობრივ და რუსულ არქივებსა და წიგნთსაცავებში დაცულ დოკუმენტებსა და წყაროებს. აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ ქართულ სამეცნიერო ნაშრომებში საერთოდ არ არის მოცემული, თუ რა ბედი ეწიათ აქედან გადასახლებულ ქართველ მუსლიმებს. გარკვეული მიზეზების გამო, მათ არ მიუწვდებოდათ ხელი თურქულ საისტორიო წყაროებზე, არადა მათი გათვალისწინება, ქართული ისტორიოგრაფიისათვის უკვე ნაცნობ მასალასთან შეჯერება აუცილებელია.

ზ. ჭიჭინაძე გადასახლებულთა რაოდენობის შესახებ თავის ნაშრომში - „ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში“ განსხვავებულ ციფრებს ასახელებს, ხოლო გადასახლებულთა საერთო რაოდენობას, რომლის შესახებაც ცნობა ბათუმის მუფთის, ჰასან ეფენდი გვერდამეს მიუწოდებია, 150 000-ით განსაზღვრავს (ჭიჭინაძე, 1914:146,147). შ. მეგრელიძე ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ ქვემო აჭარის რამდენიმე სოფელში მთლიანად აფხაზები ცხოვრობდნენ და მათი ძირითადი ნაწილი მთლიანად გადასახლდა. გადასახლებულ აფხაზთა რაოდენობას ავტორი 2-3 ათასით განსაზღვრავს. გარდა ამისა, ბათუმის ოლქში ცხოვრობდნენ ლაზები, რომელთა ნაწილი, 2 000 კაცი აჭარაშიც იყო. შ. მეგრელიძე გადასახლებულთა რაოდენობას აკლებს 4 000 კაცს და იმ ქართველთა რაოდენობას, რომლებიც დაუბრუნდნენ სამშობლოს და აჭარიდან წასული მუჰაჯირების რაოდენობას 5 000-ით ვარაუდობს (მეგრელიძე, 1964:62-63). ვ.ლისოვსკის მიხედვით ბათუმის ოლქიდან ოსმალეთში გადასახლდა 38 000 ადამიანი (ლისოვსკი, 1887:51). თ. სახოკია ასახელებს 21 000 (სახოკია, 1985:148), ვ.იაშვილი კი, გადასახლებულთა რაოდენობას 21 500-ით ვარაუდობს (იაშვილი, 1948:154). ჯ.ვარდმანიძე არსებული საარქივო და სტატისტიკური მონაცემების შეჯერების საფუძველზე, მუჰაჯირთა რაოდენობას 28-30 ათასს ვარაუდობს (ვარდმანიძე, 2013:155).

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით ახლად აღმოჩენილი საარქივო დოკუმენტების და მომდევნო პერიოდის სტატისტიკის შედარების საფუძველზე დავადგინოთ გადასახლებულთა რიცხვი. ჩვენ ხელთ გვაქვს XIX საუკუნის 30-იანი წლების

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ოსმალური აღწერის მასალები. ეს არის პირველი და, როგორც ჩანს ოსმალთა იმპერიის შემადგენლობაში უკანასკნელი აღწერა ისტორიულ ქართულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისა. აღწერილია მხოლოდ მამაკაცები, იმდენად, რამდენადაც აღწერა ტარდებოდა ქვეყნის სამხედრო პოტენციალის შესასწავლად. მოსახლეობის რეალური რაოდენობის მისაღებად მათ ვუმატებთ შესაძლო ქალთა რაოდენობას. ამ მონაცემების შედარება შემდგომი აღწერის მონაცემებთან და ამ პერიოდებს შორის შუალედის გათვალისწინებით ვფიქრობთ მივიღებთ მუჰაჯირთა რიცხვს, რომელიც ყველაზე მეტად უნდა იყოს რეალურთან ახლოს.

აღნიშნული მონაცემებით დღევანდელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორია იმ პერიოდში ჩურუქსუს, ბათუმის, ზემო და ქვემო აჭარის (მთლიანად აჭარისწყლის ხეობის) და მაჭახლის სანჯაყების შემადგენლობაში შედიოდა, რომლებიც ერთიანობაში ჩილდირის ვილაეთის ნაწილს შეადგენდა.

1835 წელს ქობულეთში 1158 კომლია, სადაც 3255 მამაკაცი (NFS.d 02763), ანუ დაახლოებით 7000 კაცი ცხოვრობს. მაჭახელში 1145 კომლი და 3722 მამაკაცია (NFS.d 02769); ზემო აჭარაში (დღ. ხულო-შუახევი) 1638 კომლი 4734 მამაკაცით (NFS.d 02759); ქვემო აჭარაში (ქედა) 1638 კომლია 4874 მამაკაცით (NFS.d 02758);

ბათუმის სანჯაყი მოიცავდა ჩაქვს, მიმდებარე სოფლებს, ზღვისპირით ვრცელდებოდა მაკრიალის და ჭოროხის ხეობაში ბორჩხის ჩათვლით. დღევანდელი ქალაქის ტერიტორია ამ დროისათვის მხოლოდ მცირე ნავსადგურს წარმოადგენს და დაახლოებით 200 კაციანი დასახლებაა. მთლიანობაში ბათუმის სანჯაყის მოსახლეობა დაახლოებით 14000 კაცია. აქედან 500 კაცზე მეტი ჩამოსახლებული ქურთია, რომლებიც კახაბერში და მაკრიალში არიან დასახლებული.

მონაცემთა შედარების მიხედვით ირკვევა, რომ დღევანდელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე (თუ არ გავითვალისწინებთ თურქეთის ტერიტორიაზე მოხვედრილ რამდენიმე სოფელს) დაახლოებით მთლიანობაში 47000 კაცი ცხოვრობდა.

პეტრე უმიკაშვილის მონაცემები, რომელსაც ავტორი 1879 წელს მიაწერს, თითქმის ანალოგიურია ჩვენს მიერ მოტანილი ოსმალური აღწერის მონაცემებისა (ბგელაძე, 2014: 201-211).

1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდგომი არაერთი სააღწერო მონაცემი არსებობს (წერეთელი, უმიკაშვილი, პალგრევი, ფრენკელი...). ისინი მეტ-ნაკლები განსხვავებით ერთნაირ ინფორმაციებს გვაწვდიან. ზოგიერთი მონაცემი სრულიად ანალოგიურია და სავარაუდოა, რომ ერთი და იგივე წყაროს ეყრდნობა. ყველაზე ზუსტ და სანდო ციფრად ამ აღწერებში 1835 წლის აღწერა უნდა ჩავთვალოთ. აქედან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ რამდენიმე მონაცემის შედარებით მაქსიმალურად მივუახლოვდით მოსახლეობის ზუსტ რაოდენობას.

1835 წლის მონაცემების მუჭაჯირობასთან დაკავშირებით გათვალისწინების დროს აუცილებლად უნდა ვიგულისხმოთ მოსახლეობის ნამატი შუალედი დროის, ანუ დაახლოებით 50 წლის განმავლობაში. თუ გავითვალისწინებთ 1889-1895 წწ. შორის მოსახლეობის მატების დინამიკას, 10 წელიწადში დაახლოებით 20 პროცენტია (სახოკია, 1985: 206).

საერთო ჯამში, იქმნება ტენდენცია, რომ მუჭაჯირობის დროს ადგილობრივი მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი, ანუ სულ ცოტა 50% გადასახლდა. ამრიგად, ვიქრობთ, რომ მუჭაჯირობის პირველ პერიოდში, ე.ი. 1878 წლიდან 80-იანი წლების ჩათვლით, ამჟამინდელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიიდან დაახლოებით 25 000 კაცი გადასახლდა. ეს კი მაქსიმალურად არის ახლოს ჩვენს მიერ ქვემოთ მოტანილ, თურქული საარქივო მასალის დახმარებით დადგენილ ციფრთან.

ზემოთ მოცემული ციფრი უნდა იყოს ყველაზე უფრო მიახლოებული გადასახლებულთა რეალურ რაოდენობასთან. შემდგომში მსგავსი დოკუმენტების მოძიება და შესწავლა კიდევ უფრო დააზუსტებს ამ ციფრს. ეს უფრო საინტერესო ხდება იმ ფონზე, როდესაც ქართულ სინამდვილეში არ გვაქვს მსგავსი ზუსტი სტატისტიკა, თუ რომელი სოფლიდან თუ ტერიტორიიდან რამდენ ადამიანს მოუხდა საკუთარი სახლ-კარის დატოვება.

მუჭაჯირობის დიდმა ტალღამ გადაუარა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პირველი მსოფლიო ომის დროსაც, როდესაც საომარი მოქმედებები მიდიოდა

ჭოროხის აუზში. ეგრეთ წოდებული „მცირე მუჰაჯირობის“ დროს, არაერთი სოფლი გაპარტახდა და დაიცალა. მოსახლეობის მცირე ნაწილი ოსმალეთში გადაიხვეწა, თუმცა დიდი ნაწილი შემდეგ უკან დაუბრუნდა ადრინდელ საცხოვრებელს. ამის სტატისტიკა სამწუხაროდ არ არსებობს.

უკანასკნელ ათწლეულებში განვითარებულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ და კულტურულმა პროცესებმა შესაძლებელი გახადა სამეცნიერო ექსპედიციების განხორციელება ქართველ მუჰაჯირთა საცხოვრებელ ადგილებსა თუ თურქეთის არქივებში, რის შედეგადაც სამეცნიერო მიმოქცევაში შემოდის ახალი საყურადღებო მასალა, რომელიც მნიშვნელოვანია აღნიშნული საკითხის შესასწავლად.

2012 წელს თურქეთის შავი ზღვის რეგიონში ექსპედიციის დროს თურქოლოგ ზ.შაშიკაძის მიერ მოპოვებული იქნა ოსმალთა სახელმწიფო მოხელეების მიერ შექმნილი დოკუმენტი, რომელშიც დაწვრილებით არის გადმოცემული აღნიშნულ წლებში თურქეთის შავი ზღვის რეგიონში ქართველ მუჰაჯირთა დასახლების პროცესი. ეს არის რეესტრი, რომელიც ინახება სტამბულის მინისტრთა საბჭოს არქივის ე.წ. დიდვეზირის ფონდში 291/1 შიფრით. იგი დათარიღებული არ არის. მოიცავს სხვადასხვა რეგიონს და მასში გადმოცემული არის საინტერესო სტატისტიკური მონაცემები მუჰაჯირობის შესახებ. დოკუმენტში დაცული ინფორმაციები XIX-ის ბოლოს, აბდულ აზიზის (1861-1876) და აბდულ ჰამიდ II-ის (1876-1909) სულთნობის პერიოდს ეკუთვნის. ქართველების გარდა, მასში დაცულია ცნობები ჩერქეზი, აფხაზი, ყირიმელი და დაღესტნელი მუჰაჯირების შესახებ. დაწვრილებით არის აღწერილი, თუ რომელ სოფელში ან ქალაქში, რომელი სოფლიდან რამდენი პირი (სქესის აღნიშვნით) იქნა გადასახლებული. წარმოდგენილი მასალა მოიცავს მხოლოდ შავიზღვისპირა რეგიონს. არსებობს დოკუმენტები, რომლებიც შეიცავენ ინფორმაციას თურქეთის სხვა რაიონში ჩასახლებული ქართველი მუჰაჯირების შესახებ (შაშიკაძე, 2013:146). აქვე უნდა ვთქვათ, რომ სხვადასხვა დოკუმენტის და სავსე სამუშაოებზე მოპოვებული ინფორმაციის ანალიზით შეიძლება დავასკვნათ, რომ გადასახლებულები თავდაპირველად შავიზღვისპირეთში ჩასულან და, როგორც ჩანს, სახელმწიფო

პოლიტიკის შედეგად შემდეგში ხდებოდა მათი ნაწილის გაგზავნა უფრო დასავლეთით, მარმარილოს ზღვის რეგიონში.

წარმოგიდგენთ წყაროში მოცემულ სტატისტიკას: ბათუმის სანყაჯიდან აქჩაბადში (ტრაპიზონის მახლობლად - ზ.შაშიკაძე) გადასახლდა 160 კაცი (83 ქალი და 77 მამაკაცი), მათ შორის 13 დროებით.

ქობულეთიდან გორელეში გადასახლებულია 43 კაცი (15 ქალი და 28 მამაკაცი), ტირებოლუში 129 (50-79), შარლიში - 18 (10-8), იორმაში 29 (16-13), სურმენეში-37 (19-18), გუმუშჰანეში - 100 (58-42), ქეშაფში - 1124 (554-570), მათ შორის - 580 დროებით, ფირაზიზის სოფელ აქქოიში - 1483 (723-760), მათ შორის - 580 დროებით.

აჭარისწყლის ხეობიდან ფირაზიზის სოფელ აქქოიში რამდენიმე ნაკადად, მთლიანობაში 7286 (3877-3409) კაცი გადასახლდა, მათ შორის - 3637 დროებით დასახლებულად ფიქსირდება.

ბათუმიდან ოფში - 160 (85-75) და ხოფაში - 11 (6-5) ადამიანია გადასახლებული. ზემოთ ჩამოთვლილი რაიონები დღევანდელი რიზესა და ტრაპიზონის ილების შემადგენლობაშია.

ამ ცნობების შემდეგ უფრო კონკრეტული მითითებები იწყება იმ სოფლებისა, რომლებიც გადასახლებულებმა დატოვეს (შაშიკაძე, 2013:146).

სამსუნის ილი (თერმე): ქვემო აჭარის სოფელ ვაიოდან სოფელ ჯილდაურში - 140 კაცი (67-73). იგივე ვაიოდან სოფელ ქაჰრამანში - 74 (35-39) და აქმაზდეირმენში - 34 (16-18) ადამიანია გადასახლებული; სოფელ მახუნცეთიდან სოფელ იავაშინში 32 (22-10); ქობულეთის სოფელ კვირიკედან იფლანში - 66 (37-29) და იეშილში - 77 (30-47) კაცია გადასახლებული;

სოფელ ზედვაკედან იფლანში - 82 (40-42) კაცი; არტაანიდან ჩიქალლარში - 43 (23-20) კაცი;

ქვემო აჭარის სოფელ ბზუბზუდან ჯილარში - 176 (91-85) კაცი.

სამსუნის ილი (ჩარშამბა): ქალაქ ბათუმის დასახლებიდან ფეშმეში - 452 (214-238), აიაზმაში - 65 (33-32), ქუმქოლუში - 373 (188-185), ქესთანეფინარში - 414 (201-213), ბაიგინში - 28 (12-16), ქუჩუკბაიგინში - 83 (39-44), ჰაჯიბაჰჩეში - 551 (263-288), თეფეჯიქში - 14 (6-8), ოიუქბაიგინში - 50 (25-25), ქარაჯავირანში - 58 (24-34),

იუქარიენიჯეში - 45 (16-29), ბერექეთში - 17 (8-9) იუქარიქიშლაში - 129 (61-68), დეირმენბაში - 54 (27-27) კაცია გადასახლებული. გარდა ამისა დაფიქსირებულია კიდევ 53 (25-28) ადამიანი, რომელთა დასახლების ზუსტი ადგილი არ არის ნაჩვენები. ჩარშანბას რაიონში ქობულეთის ცენტრიდან სოფელ სუნგურლუში - 129 (61-68), ხოლო ქესთანეფინარში - 87 (42-45) კაცია გადასახლებული.

სამსუნის ილი (ჯანიკის სანჯაყი): ლიგანის ხეობიდან, კერძოდ ირსადან სამსუნ-ოიუმჯაში - 45 (18-27), აჯიში-46 (25-21), მამადუსში-60 (27-33), მორქში-7 (3-4) და აქსუში - 79 (36-43) კაცია გადასახლებული. იგივე ლიგანის ხეობიდან, სოფელ თორიქადან(?) მორქში - 28 (13-15) კაცი; ბათუმის ცენტრიდან ალანოსში - 13 (5-8) კაცი; მურღულიდან ქარაქულუნში - 47 (21-26) კაცი; ქობულეთის სოფელ კვირიკედან ბოზმულლუში - 92 (41-51), ჯანიქლიში - 24 (11-13), ხოლო აქსუში - 38 (14-24) კაცია გადასახლებული; დოლისყანიდან სამსუნის ცენტრში - 49 (21-28) კაცი.

ორდუს ილი (უნეი): ქობულეთის სოფელ ხუცუბნიდან უნიეს სოფელ საილანში - 139 (62- 77) კაცი; ქობულეთის სოფელ სამეზადან სოფელ ქენელიში - 153 (68-85) კაცი;

ქვემო აჭარის სოფელ აგარადან ქენელიში-97 (48-49)კაცი;

ქვემო აჭარის სოფელ დანდალოდან ქუშდოღანში-16 (9-7) საჯეში (ქალაქ უნიეს გარეუბანი-ზ.შ) – 76 (40-36), დარაჰათაში-16 (6-10), ხოლო ინჯირლიში-127 (68-59) კაცი გადასახლდა;

ქვემო აჭარის სოფელ მახუნცეთიდან ქორუქლუში (თექქირაზი-ზ.შ)-40 (16-24) კაცი;

ქვემო აჭარა, სოფელი ჩაქვი უნიეს რაიონის სოფელ ქორუქლუში გადასახლებულია-54 (26-28) კაცი;

მაჭახლის სოფელ მინდიეთიდან დიზდარსა და ნურედდინში - 137 (64-73), გარდა ამისა, კიდევ ცალკე დიზდარში - 135 (57-78), ნურეთთინში - 129 (74-55), ხოლო იაიჯიში (თექქირაზი-ზ.შ.) – 17 (8-9) კაცი გადასახლდა;

ქვემო აჭარის სოფელ ხოხნადან ჩათალთეფეში - 55 (28-27) და თაფლანჯიქში - 27 (18-9) კაცია გადასახლებული;

ქვემო აჭარის სოფელ არსინა (სავარაუდოდ დღევანდელი ქედის რაიონის სოფელი არსენაული-ზ.შ) ზიქრიბოლუში-72 (35-37) კაცი;

ქვემო აჭარის სოფელ ფაიზადან(?) სარიჯა ირმაქში -141 (37-74) კაცი;

ქვემო აჭარის სოფელ მახუნცეთიდან ქართალში - 14 (6-8) კაცი;

ქვემო აჭარის სოფელ წონიარისიდან ჯილადერში - 38 (17-21)კაცი;

ქვემო აჭარის სოფელ ვაიოდან ქადილარში - 92 (47-45), მათ შორის 18 დროებით, ხოლო თაბე არქასიში - 55 (28-27);

ქვემო აჭარის სოფელ კვაშტადან ქასთუმანში - 13 (4-9) კაცი, მათ შორის 5 დროებით.

ქვემო აჭარის სოფელ ქაბთადან(?) სოფელ ჩინარლიქში - 8 (3-5) კაცი;

ქვემო აჭარის სოფელ ზენდიდიდან დენიზ იოლუში - 19 (11-8), ინჯირლუში - 68 (34-34), მათ შორის 22 დროებით, ერდემლუში - 150 (66-84) და ლაჰთაში - 12(6-7) კაცი გადასახლდა;

ბათუმიდან ჩამბუქში - 10 (1-9);

ქობულეთის სოფელ ჭახათიდან კალეში - 103 (58-45) კაცი;

მაჭახლის სოფელ ჩიქუნეთიდან ზენბილში (ზემბექში) – 62 (29-37) კაცი;

ქვემო აჭარის სოფელ ზუნდაგიდან ქურნაში - 66 (29-37) კაცი;

ქობულეთის სოფელ სამებადან ნადირლუში - 93 (49-44), ჩურუმეზში - 82 (37-45), საილანში - 32 (15-17), ქორგანში - 137 (69-68) და ქინაჰორში - 70 (37-33) კაცია გადასახლებული; ქვემო აჭარის სოფელ მერისიდან იავიში-36 (17-19); მაჭახლის სოფელ ქვაბისთავიდან ნურეთთინში - 104 (48-56), ხოლო ქორაარასში (?) – 40 (25-15) კაცია გადასახლებული; ქვემო აჭარის სოფელ ბზუბზუდან ლაჰთაში-40 (25-15) კაცი; გონიოს სოფელ მარადიდიდან (მაშინდელი ადმინისტრაციული დაყოფით სოფელი მარადიდი გონიოს თემს ექვემდებარებოდა - ზ.შ) ქიზილჯაქისერში - 236 (123-113) კაცი;

ქვემო აჭარის სოფელ გულეზიდან სარაიჯიქში - 113 (50-63) კაცი;

ბათუმის სოფელერგედანქესენში - 35 (14-21)კაცი;

ქობულეთის სოფელ სორმოდან? გორემეზში - 38 (20-18) კაცი;

მაჭახლის სოფელ უჩხითიდან ქულედიბიში - 51 (26-25)კაცი;

ქვემო აჭარის სოფელ სამხედა (?) ინჯირლიში - 151 (72-79)კაცი;

ქვემო აჭარის სოფელ ახოდან ქუმდოდანში - 25 (13-12) კაცი;

ქვემო აჭარის სოფელ ორცვადან ქუმლუქში - 52 (24-28) კაცი

ბათუმის ცენტრიდან კალე დიბშიში - 4 (3-1) და ქინახორში - 40 (18-22) კაცი
გადასახლდა;

ქობულეთის სოფელ დაგვადან ქინახორში - 70 (37-33) კაცი;

ქობულეთის ცენტრიდან ქინახორში - 55 (29-26) კაცი;

ბათუმის ჩაქვიდან ქინახორში - 20 (9-11) კაცი;

ქობულეთის სოფელ კვირიკედან ქინახორში - 33 (19-14) კაცი.

ორდუს ილი (ფაცას ილჩე): ქობულეთის სოფელ კვირიკედან აშალი თეფეში - 25 (13-12) კაცი; ბათუმის სოფელ კაპნისთავიდან(?) უფაქსაში - 73 (38-35), ხოლო აშალი თეფეში - 50 (26-24) კაცია გადასახლებული;

ქვემო აჭარის სოფელ ბზუბზუდან აშალი თეფეში - 133 (74-59) კაცი;

ქვემო აჭარის სოფელ აგარიდან გონმექში - 70 (32-38) კაცი;

ქობულეთის სოფელ ზენდიდიდან (?) - 67 (43-24) კაცი;

ქობულეთის სოფელ ალანბარიდან ბოზდალიში - 12 (9-3), დუაიერიში - 110 (63-47), ჰაჯუკაში - 97 (44-53) და გეჩენში - 84 (49-35) კაცია გადასახლებული;

ქვემო აჭარის სოფელ მახუნცეთიდან აშალი თეფეში - 10 (8-2);

მაჭახლის სოფელ უჩხითიდან აშალი თეფეში - 71 (32-39) კაცი;

ქობულეთის სოფელ ქუდაურადან? (რამდენიმე სოფლის სახელწოდების დასაზუსტებია ზ.შაშიკაძე) ჰოილუში - 56 (29-27) კაცი;

ქობულეთის სოფელ აჭყვისთავიდან დუაიერში - 82 (48-34) კაცი;

ქობულეთის სოფელ აჭყვისთავიდან ჰოილუში - 16 (9-7) კაცი;

ქვემო აჭარის სოფელ საღორეთიდან აქჩაალანში - 52 (34-18) კაცი;

აჭარიდან (აჭარისწყლის ხეობიდან ზ.შაშიკაძე) ალივარასიში - 14 (9-5);

ქობულეთის სოფელ ნადაიდან? გოლლერში - 63 (39-24) კაცი;

ქობულეთის სოფელ ბაშნათხევიდან? ირექ უზგუნჯუქში - 127 (56-72), ხოლო დუგუნლუქში - 86 (48-34) კაცია გადასახლებული;

ქობულეთის სოფელ დაგვადან ბაშთარასში - 134 (74-60) კაცი;

ქობულეთის სოფელ სხვანთადან გოქალიში - 39 (20-19) კაცი;

აჭარის სოფელ შევაბურიდან სალიჭლუში - 44 (26-18) კაცი;

აჭარის სოფელ ხალვაშეთიდან (შესაძლოა იყოს ქობულეთის სოფელი სახალვაშო-ზ.შაშიკაძე) ქირიქჯიში - 20 (13-7) კაცი;

ქობულეთის სოფელ კეჭიეთიდან დუაიერსა და უმურდილში - 202 (111-93) და ჩემმარსა და ქარათაშში - 29 (13-16) კაცია გადასახლებული;

ქვემო აჭარის სოფელ ორცვადან ჩერქეზდაღიში - 13 (5-8) კაცი;

ქობულეთის სოფელ გვარადან და ალანბრიდან სუფინარსა და დუაიერიში - 489 (241-248) კაცია გადასახლებული; ვაიოდან და მახუნცეთიდან ქულარდისა და გურგენში - 155 (77-78) კაცია გადასახლებული

როგორც წყაროს ანალიზიდან ჩანს, მასში რამდენიმე სოფელია მოცემული, რომელიც დღევანდელი აჭარის ტერიტორიას არ მიეკუთვნება. ესენია: დოლისყანა, არტაანის ჩიქალლარი, მურღულის ხეობაში მდებარე ქარაქულუნი და ლიგანის ხეობის რამდენიმე სოფელი, გადასახლებულთა საერთო რაოდენობით 361 (164-197). დანარჩენ შემთხვევაში მოცემულია დღევანდელი აჭარის ტერიტორიაზე მდებარე სოფლები. ირკვევა, რომ აჭარისწყლის ხეობიდან, ქობულეთიდან და ბათუმის შემოგარენიდან დღევანდელი რიზეს და ტრაპიზონის ილის ზღვისპირა ტერიტორიებზე (ფირაზისში, ტირებოლუში და სხვა) გადასახლდა 10580 (5496-5084) მუჰაჯირი (შაშიკაძე, 2013:147).

სამსუნის ილის თერმეს ილჩეში 888 (444-444) კაცი გადასახლდა. ჩარშაბანას ილჩეში ძირითადად, ბათუმის ქალაქის მოსახლეობაა გადასახლებული. მათი საერთო რაოდენობა შეადგენს 2449 (1173-1276) კაცს. გარდა ამისა, აქ 216 (103-113) ადამიანია გადასახლებული ქობულეთიდან (შაშიკაძე, 2013:151).

ქალაქ სამსუნსა და მის მახლობლად ბათუმიდან და ქობულეთის სოფლებიდან 167 (71-96) კაცია გადასახლებული. ყველაზე დიდი რაოდენობა ქართველი მუჰაჯირებისა შავი ზღვის რეგიონში დასახლდა, დღევანდელი ორდუს ილის უნიესა და ფაცას ილჩეებში. წყაროს მიხედვით, აჭარის ტერიტორიიდან 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ თურქეთის შავი ზღვის რეგიონში დაახლოებით 22 ათასი ადამიანია გადასახლებული. შესაძლებელია, ეს ციფრი არ გამოხატავს ზუსტ

რაოდენობას იმ მუჰაჯირებისას, რომლებიც თურქეთის შავი ზღვის რეგიონში დასახლდნენ, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, შემდეგში ხდებოდა მათი მნიშვნელოვანი ნაწილის გადაყვანა უფრო დასავლეთით, მარმარილოს ზღვის სანაპიროზე. გარდა ამისა, მუჰაჯირობა არ იყო ერთჯერადი ფაქტი, ის გარკვეულ დროში მიმდინარეობდა. მიგრაციის ფაქტები მცირე ჯგუფების სახით თითქმის XX საკუნის 40-იან წლებამდე გრძელდებოდა. აგრეთვე ხშირი იყო ფაქტები, როდესაც გადასახლებულები, სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ ეგუებოდნენ ახალ გარემოს და უკან, სამშობლოში ბრუნდებოდნენ. აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება, რომ განსხვავებით ქობულეთის, აჭარისწყლის ხეობისა და მაჭახლის მოსახლეობისაგან, სადაც ეთნიკური სურათი მთლიანად იყო შენარჩუნებული, ბათუმის ქალაქის მოსახლეობა ბევრად უფრო შერეული უნდა ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, ბათუმიდან წასული მუჰაჯირების ნაწილი არაქართველი უნდა ყოფილიყო.

დოკუმენტში გამოყოფილია ცალკე სვეტი, სადაც დროებით გაჩერებული ხალხის რაოდენობაა აღრიცხული. ისინი გადასახლებულთა საერთო რაოდენობაში არიან აღრიცხულნი. გაურკვეველია ისინი დასახლდნენ იქვე, თუ სხვაგან გამოუყო მათ ტერიტორიები ოსმალეთის მთავრობამ. დასახლებული ფაქტორები დოკუმენტში მოცემულ ციფრებს ალბათ გარკვეულწილად შეცვლიდა.

თავი IV.

პოლიტიკური და კულტურული მეხსიერების საკითხები

IV.I. ზეპირი ისტორიები შავიზღვისპირეთის მუჰაჯირთა სოფლებში

მეხსიერება სუბიექტური გამოცდილებაა, რომელიც განასხვავებს ინდივიდს სხვებისგან და ეხმარება მას თვითიდენტიფიკაციაში, საკუთარი იდენტობის ჩამოყალიბებაში. ინდივიდუალური მეხსიერება არსებობს იმდენად, რამდენადაც ინდივიდი არის სოციალური ჯგუფების ურთიერთქმედების ობიექტი. იმისათვის რომ დაიმახსოვროს, ინდივიდი ჩართული უნდა იყოს კოლექტიური აზროვნების ნაკადში. კოლექტიური მეხსიერება კი ყოველთვის სოციალურადაა განსაზღვრული: სწორედ სოციალური ჯგუფი განსაზღვრავს, რა არის დასამახსოვრებელი და როგორ უნდა მოხდეს მისი დამახსოვრება. ინდივიდის მეხსიერება განსაზღვრულია სოციალური მეხსიერებით. მიუხედავად იმისა, რომ კოლექტიური მეხსიერება შეიცავს ინდივიდუალურ მეხსიერებებს, ის ყოველთვის განსხვავდება მათგან და საკუთარი წესებით ყალიბდება. მეტიც-გახსენების/მოგონების დროს ჩვენ წარსულის ხატებს აღვიდგენთ არა ისე, როგორც ისინი თავის დროზე იყო აღქმული, არამედ ჩვენი აწყმო მდგომარეობის შესაბამისად. კოლექტიური მეხსიერება შეიძლება გაჩნდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც ურთიერთქმედებენ ინდივიდუალური მეხსიერებები. კოლექტიური მეხსიერება სამი ძირითადი ფაქტორის ურთიერთქმედების შედეგია: კულტურული და ინტელექტუალური ტრადიციის, რომელიც განსაზღვრავს წარსულის რეპრეზენტაციის ჩარჩოს: მეხსიერების შემქმნელების რომლებიც ირჩევენ და იყენებენ ამ ტრადიციებს (ჩიქოვანი, 2012:4).

მუჰაჯირთა ტრადიციულ ყოფაში კოლექტიური და ინდივიდუალური მეხსიერების ფაქტებს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. მუჰაჯირობას ინსტიტუციონალურ მეხსიერებასთან ერთად უკავშირდება. მეხსიერების ალტერნატიული ფორმები. ცხადია, მოსახლეობაში დღემდეა შემორჩენილი კოლექტიური ხსოვნა იმ ტრაგედიების, რაც მუჰაჯირობას უკავშირდება. ეს კოლექტიური ხსოვნა ტრაგედიად იყო აღქმული ომის დამთავრების პირველ წლებში და მოგვიანო ხანაშიც. საბჭოთა პერიოდში ტარდებოდა აჭარის მოსახლეობის კოლექტიური ხსოვნის ჩამოყალიბების ინტენსიური პოლიტიკა თურქეთის, როგორც

მტრის ხატის ცნობიერების განმტკიცების თვალსაზრისით. ცხადია, ასეთი პოლიტიკა ხელს უწყობდა რუსეთ-თურქეთის ომის პერიოდის ტრავმების გაღვივებას, კოლექტიურ ხსოვნაში. აჭარის საქართველოსთან დაბრუნებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. მუდმივად ახსენებდა ხალხს განცდილ ტრაგედიას და ქვეცნობიერად აყალიბებდა, ეროვნულ ცნობიერებას ამავე დროს თურქეთის მიმართ უნდობლობის განცდის გაძლიერებას. მხედველობაში გვაქვს 1903 წ. რუსეთ-თურქეთის ომის დამთავრების 25 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და ხუცუბანში ამ მოვლენის ამსახველი ერთ-ერთი მემორიალი. შედეგად მივიღეთ ის, რომ აჭარის მოსახლეობას ჩამოუყალიბდა უნდობლობა თურქეთისადმი.

საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ სახელმწიფო პოლიტიკა თურქეთის მიმართ შეიცვალა და დამყარდა კეთილმეზობლური ურთიერთობა, თუმცა ხალხის კოლექტიურ მეხსიერებაში კვლავ რჩება ოსმალთა ბატონობით მიღებული ტრავმების განცდა. ეს განცდა სხვა პრობლემასთანაცაა დაკავშირებული. ცნობილია, რომ ოსმალებმა აჭარის მოსახლეობა ეკონომიკური ბერკეტების ზემოქმედებით გაამუსლიმდა. ქართველის ცნობიერებაში მუსულმანი გაიგივებული იყო თათართან, თათარი კი აღქმული იყო, როგორც დამპყრობელი, რადგანაც საქართველოს უხდებოდა მუდმივად ბრძოლა მუსულმური აგრესიისაგან თავის დასაცავად. რუსეთ-თურქეთის ომამდე, ომის მსვლელობისას თუ შემდგომ პერიოდში, აჭარის მოსახლეობის მიმართ მეომარი ქვეყნების დამოკიდებულება იყო ერთნაირი. მიზანი-ქართული ეროვნული სხეულის გახლეჩა იყო. მიუხედავად იმისა, რომ აჭარის მოსახლეობამ მიიღო ისლამი, თურქეთმა იგი თურქად არ მიიჩნია, არც რუსმა მიიჩნია იგი ქართველად და ქართველთა ეროვნული თავმოყვარეობის შემლახავი ეთნონიმი „თათარი“ უწოდა. მდგომარეობა არც საბჭოთა პერიოდში გამოსწორებულა. საბჭოთა იმპერიის პირველი აღწერის მასალებში აჭარლები ქართველებისაგან განსხვავებული ეთნოსის სახით არიან წარმოდგენილნი. აჭარლებისადმი ასეთი დამოკიდებულების რელიქტები დღესაც გვხვდება ყოფაში, რაც რეგიონალურ ტრაგედიად აღიქმება. სწორედ ამ დამოკიდებულების შედეგად იყო 1878 წლის შემდეგ განხორციელებული ე.წ. „ნებაყოფლობითი მუჰაჯირობა.“ ამდენად, მუჰაჯირობა-ალტერნატიული მეხსიერების ფორმად უნდა განვიხილოთ.

თავად მუჰაჯირთა შთამომავლები, დღეს მათ იქ ცხოვრებას კანონზომიერად მიიჩნევენ, რადგან მათ არ მიუწვდებათ ხელი ობიექტურ ისტორიაზე, მოსახლეობაში კი ოსმალთა ბატონობის და რუსეთ-თურქეთის ომის შედეგები დღემდე ახსოვთ. ეს ხსოვნა, ერთის მხრივ, მათი წინაპრების ტრაგედიას უკავშირდება, მეორეს მხრივ საქართველოსთან დაბრუნების სიხარულს, რაც რუსეთ-თურქეთის ომს მოჰყვა შედეგად.

კოლექტიური მეხსიერების ფაქტები ძალიან საყურადღებო ელემენტებია, განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ტრადიციულ ქართულ კულტურასთან დამაკავშირებელი კოლექტიური მეხსიერების ესა თუ ის მოტივი, სადაც თავმოყრილია თურქეთის სხვადასხვა რაიონში მცხოვრები ქართველის იდენტობა ქართველობასთან და ქართულ კულტურასთან. ჩვენ შევეცდებით წარმოვაჩინოთ თურქეთის შავი ზღვის რეგიონის ცალკეულ პროვინციებში მცხოვრები მუჰაჯირთა შთამომავლების ზეპირი ისტორიები, ინდივიდუალური და კოლექტიური მეხსიერების ცალკეული საკითხები, რომლებიც ძირითადად ჩვენს მიერ სავსე მუშაობის დროს მოპოვებულ მასალებს ეყრდნობა.


ა) გირესუნის პროვინცია: გირესუნის პროვინციის ქართველები ძირითადად აჭარისწყლის ხეობიდან (ახლანდელი ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის რაიონები; სოფლები: თხილვანა, ჭვანა, წონიარისი, ცხმორისი, ჯოჭო და სხვა) გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლებია. ქართული დასახლებებია: ფირაზისის (Piraziz), ქეშაპის (Keşap), დერელის (Dereli) რაიონებში, აგრეთვე გირესუნის ცენტრალურ რაიონში. ქართულ ენაზე ლაპარაკობენ უფროსი და საშუალო თაობის ქართველთა შთამომავლები. ახალ თაობას კი წინაპართა ენა აღარ ახსოვს.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ზოგადად გირესუნის რაიონის სოფლებში მცხოვრები მოსახლეობა თავიანთ თავს ყოფენ ზეგნელებად და აჭარლებად. ზეგნელებში ისინი მოიაზრებენ ზემო აჭარის (ხულო-შუახევის) მცხოვრებთ. აჭარლებში ისინი ქედის მოსახლეობას გულისხმობენ. სულთან შარდადი-ილდიზი (ბერიძე), ასე გადმოგვცემს ამ განსხვავებას: „ზეგნელები უფრო სოფლელები არიან, სოფლურად ლაპარაკობენ, ჩვენ როგორ ხართ ვიტყვით, ზეგნელები რაფერ ხარ ამბობენ, ზეგნელების რძალი ზურგს არ შეუბრუნებს კაცს ისე გეივლის, ზეგნელებმაც

კარგი გურჯული იციან, ჰამა ჩვენი გურჯული და იმათი გურჯული განსხვავდება ერთმანეთისაგან“ (ფუტკარაძე, საველი..2015). თქმულში ჩანს მუჰაჯირის ეთნომენტალობა, რომ განსხვავებაა როგორც აჭარის კუთხეებს, ასევე რაიონებს შორის, ეთნომენტალობის ეს ნიშნები კი სამშობლოდან წაიღეს და გადასცეს შთამომავლობას.

დამუდერე (ბულანჯაქის ილჩე) - სოფ. დამუდერეს მკვიდრი რეჯებ შარდალი (ბერიძე 70 წლის), ასე გადმოგვცემს დამუდერეს ისტორიას: „1877-78 წლების ომის შემდეგ ჩუენი ძველები სოფელ დამუდერეში აჭარიდან, წონიარისიდან (ქედის რაიონი) გადმოსახლებულან, ჩუენები რომ აქ ჩამოსულან, ქვეით ერთი მინდორი ალაგია იქ მიუციათ ადგილი, მაგრამ იქ კოლოებს შეუჭამიათ და უფრო ზემოთ წამოსულან, აქ იმისხო ტყე ყოფილა, ძირი კუთხეში მოსულან და იქიდან მოუვლიან, ტყე გაუკაფიათ და სოფელი გაუშენებიათ, აქ თავიდან 2 ძმა ამოსულა, შემდეგ გამრავლებულა. ჩემი დედე რომ წამოსულა, ნალიის გასაღები წამულია, რომ უკან დავბრუნდებო, ჰამა გზები ჩეიკეტა და ვეღარ დავბრუნდით“ (ფუტკარაძე, 2015:169).

სოფელში ცხოვრობენ: **არსლანოღლები, აიდინოღლები, თოსუნოღლები, დემიროღლები, გეჩიჩოღლები, ალიშანოღლები, ოდაბაშოღლები, დუმანოღლები, სეფეროღლები, ოსმანოღლები.** დღეისათვის დამუდერეში 150-მდე ოჯახია, ძირითადად წონიარისიდან გადმოსახლებულთა შთამომავლები. 5 კომლი დამუდერედან სოფ. ეზელთერეში წასულა და იქ გამრავლებულა, ზოგიც სოფ. გუნეიქოიში და თეფექოიში განაწილებულა (ფუტკარაძე, 2015:168). სოფელ დამუდერეს მცხოვრები სეფეროღლების გენიალოგიის გაკეთებაში დაგვეხმარნენ სოფლის მკვიდრი მემედ ალთუნი (ოდაბაშოღლი - 81 წლის) და ჰასან ილმაზი (სეფეროღლი - 87 წლის).



ეზელდერე - მოსახლეობის უმეტესობა წონიარისელ მუჰაჯირთა შთამომავალია.

ამბარალანი (გირესუნის ცენტრალური რაიონი) - ქედელ (წონიარისი) და ზემოაჭარელ (შუახევი, ხულო) მუჰაჯირთა შთამომავლების სოფელია 40 - მდე კომლით. გადმოცემით ძველი **ჩელებოღლების** შთამომავლებია (**ფუტკარაძე, 2015:169**). ამავე სექტორში მდებარეობს სოფელი **იჩმესუ**, სადაც სახლობენ ქედელ და შუახეველ მუჰაჯირთა შთამომავლები.

აქქაია (მგ. ბაშჩუქურ - დერელის ილჩე) - ამ სოფელში ქართველები ძალიან ცოტაა. ადრე 20 კომლი ყოფილა, დღეს უკვე სოფელი გათურქებულია. 5-6 კომლია სოფელში დარჩენილი.

იაიქინლიქი (გირესუნის ცენტრალური რაიონი) - სოფელში 60 კომლია. აჭარიდან-ჯოჭოდან გამოსული მუჰაჯირების სოფელია, ასახელებენ გვარებს თოვალოღლი/ თოვანოღლი და **კამპეროღლი**. აქვეა მეზობელი სოფლები - **ქეშაპფინარი** და **ქურბანფინარი** ადგილობრივთა გადმოცემით ამ სოფლებში უფრო გვიან პერიოდში ჩამოსული მუჰაჯირები ცხოვრობენ, მაგრამ რა მიზნით ჩამოვიდნენ ამაზე ვერ საუბრობენ. მოსახლეობის უმეტესობა ქართულად ვეღარ ლაპარაკობს.

ყიშლა - ჰაჯეთზე გარიგებული (გამოყოფილი) სოფელია, 15-20 კომლი გურჯი ცხოვრობს. ფატმა ილმაზის (თეთრაძე - 85 წლის) გადმოცემით, ამ სოფლებში ბათუმიდან **თხილვანიდან** (თხილვანა ხულოს სოფელია. ბათუმში მსგავსი ქდერადობის სოფელია თხილნარი. თუმცა, ბათუმს ხშირად იხსენებენ ზოგადად, ამ მხარის აღსანიშნავად). მოსული **ესედოღლები** ცხოვრობენ. ცხოვრობს 20 კომლი.

ჰაჯეთი - მდებარეობს ბულანჯაქიდან 13 კილომეტრში. მოსახლეობის უმეტესობა ჯოჭოელ (ხელვაჩაურის რაიონი) მუჰაჯირთა შთამომავალია. აიშე აინ ბეიაზის (60 წლის) გადმოცემით: „ჩუენი ძველები ანაი ბაბაი თლად (ყველა) გურჯები ყოფილან, ჩემი დედეი **ჯოჭოდან** წამოსულა. იქ **ლაზოღლი** იყო, ჯერ გაღმა (სოფ. ყიშლა) დასახლებულა, არ მოწონებია იქავრობა და აქ (ჰაჯეთი) გამოსულა, აქ კაი მიწები უძებნია, ჰამა ბათუმის მიწას დუნიაზე მიწა არ ჯობს“ (**ფუტკარაძე, 2015:170**).

ქარააღაჩი- შერეული სოფელია, სამასამდე კომლით. აქედან 100-მდე ოჯახი ზემოაჭარელ მუჰაჯირთა შთამომავალია (**ფაღავა, 2016:442**).

ქაიაბაში - ზემოაჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლების სოფელია. ცხოვრობს 140-150-მდე კომლი.

ქურუქდერე (ბულანჯაქის რაიონი) - ჭვანიდან წასულ მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ, თუმცა ქართულად მოსაუბრე ძალიან ცოტაა.

თეფექოი (ფირაზიზის ილჩე) – 75 წლის ისმეთ მიდელაშვილის გადმოცემით: „37 ოჯახი წამოსულა ჩურუქსუდან (ქობულეთი), მახუნცეთიდან, ქედადან. ჩვენი დედეები, დიდვანები ქვეით დამჯდარან, გირესუნში ზღვასთან. სიცხე იყო იქ, ბუზი კბენდა. დუუტოვებით ნესტიანი ადგილი მთის წყაროებზე შეჩვეულებს. მაღლა ამოსულან და ეს ადგილები შეურჩევიათ, სადაც წყაროებიც ყოფილა და ნაკადულებიც და რაც მთავარია, ტყე თავი თითქოს სახლში დუუგულებიათ, ტყეც ნაცნობი ყოფილა მათთვის-რცხილნარი, მუხნარი, წაბლნარი.“ მუჰაჯირებს თან წამოუღიათ ზოგიერთი ხილისა და ვაზის ნერგები (**შოშიტაშვილი, 2014, №12/48**). მუსტაფა ილმაზის (ხათიოლლი - 65 წლის) გადმოცემით: „1877-78 წლების ომის შემდეგ ბათუმში გემი მოსულა და ჩემი დედეი წონიარისიდან გამოქცევლა. აქ თავდაპირველად 40 კომლი მოსულა. თავიდან ჩუენი დედეები ქვემოთ დუუჟდუმლებიან, ჰამა იქ ავადმყოფობა, ბევრი ბუზი ყოფილა და წამოსულან ზემოთ წყარო წყალი უძებნიათ, აქავრობა ტყე ყოფილა გაუკაფიათ და აქ დასახლებულან, ჩვენს ზემოთ სოფლებში **ქარააღაჩ-ში და იუნემლე-ში** ზეგნელები ცხოვრობენ“ (**ფუტკარაძე, საველე.. 2015**). თეფექოიში - ხათიოლლები, ჩხაკოლლები (ალბათ ჩხიკვაძე), კამპეროლლები, ჩარიოლლები, მემედოლლები-მოლაიბრაიმოლლები, **თოფალოლლები** ცხოვრობენ. თეფექოიში შედის: ა) ბახაჯალის (Mahalle) უბანი - მზის კუთხე და ამიტომ დაურქმევიათ ეს სახელი; ბ) ქვედა უბანი (Alt Mahalle); გ) შუა უბანი (Orta Mahalle). დღეისათვის დაახლოებით 250-300 კომლი ქართველია, თუმცა ოჯახების უმეტესობა წასულია ქალაქებში.

იუნუსემრე - ცხოვრობს აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლების 40-50 ოჯახი.

გუნეიქოი - აქ ცხოვრობენ: **კვირტოლლები, ჰელიმოლლები, ყარამედოლლები, ემინოლლები, ქურქალოლლები, ქურდოლლები.** ადგილობრივთა გადმოცემით ქეშიშოლლებსიც იყვნენ. ვესილე **კვირტოლლი-ქურქალოლის** (67 წლის) გადმოცემით: „სოფელი გუნეიქოი ადრე დამუდერეში შედიოდა და იქიდან

გარიგებული სოფელია, ჩუენი წინაპრები ბათუმიდან **წონიარისიდან** წამოსულან, ომი რომ მომხდარა, ბათუმი არეველა, რუსები მოსულან, ჩუენები შეშინებულან, მუსლიმანები გადარჩეველან და აქეთ გამოქცეველან, ჯერ ბულანჯაქ მოსულან, ჰამა იქ ავადმყოფობა ყოფილა, იქიდან ზოგი გაღმა (თეფეორენი) დასახლებულა, ზოგიც ამოსულან და აქ დამჟდარან, ეს ადგილი დუუკავიან. წყალი სადაც იყო, ის ადგილი გამუურჩევიან. რომ მოსულან ამ ადგილს ადრე ავუთი რქმევიან. აქ ძროხას ავუთი (შხამიანი ბალახის სახელია) უჭამია და მომკვდარა, რის გამოც დაერქვა ავუთი, ჩვენებს სახელი შუუცვილიან. თანაც ძალიან მზიანი ადგილია და ამიტომაც გუნეიქოი (მზიანი სოფელი) დუურქმევიან.“ დღეისათვის სოფელში 45-50 კომლი ცხოვრობს. არის ვერსია, რომ გარდა წონიარისელებისა სოფელ გუნეიქოიში **თხილვანიდან** გადმოსახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლებიც ცხოვრობენ.

თეფეორენი - ბულანჯაქიდან 37 კილომეტრში მდებარეობს, შუახეველ (ჭვანა, წყაროთა, ნაღვარევი) და ხულოელ (თხილვანა, ცხემლნარა) მუჰაჯირთა შთამომავლების სოფელია 80-მდე ოჯახით (**ფაღავა,2016:443**). ცხოვრობენ: **ქუჩქალოღლები, თონიოღლები, მუთიოღლები, სარიოღლები, აჰმედოღლები.** ზენურე ილმაზის (ამედოღლი - 70 წლის) გადმოცემით: „აჰმედოღლები ვართ. ჩემი დედეი თხილვანიდან მოსულა და ბულანჯაქ დამჟდარა, ჰამა იქ ჯუერი (ავადმყოფობა) ყოფილა და ზეით გამოქცეველა ტყესთან და წყალთან ახლოს დასახლებულან. ბათუმ მუსლიმანობა უწევიან, ლოცვა უკრძალიან და იმიტომ გამოქცეველა“ (**ფუტკარაძე, 2015:171**). დღეისთვის ამ სოფელში 70-80 კომლია, მაგრამ სოფელი დაცარიელებულია. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი წასულია სტამბულში, ადაფაზარში, ბურსაში, დუზჯეში, ქოჯაელში და სხვა ქალაქებში და, როგორც თითქმის ყველა სოფელში, აქაც ზაფხულობით ივსება დაცარიელებული სახლები. ქართულის მცოდნე ძალიან ცოტაა, ახალგაზრდა თაობამ ძირითადად ქართული აღარ იცის.

თოქმადინი - (თეფეორენის განაყოფი სოფელია). ბულანჯაქიდან 39 კილომეტრში მდებარეობს. შუახეველ და ხულოელ მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებაა, ცხოვრობს 35-40 ოჯახი. **იენიქოი** - (თეფეორენის განაყოფი სოფელია) აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლების სოფელია 40-მდე ოჯახით (**ფაღავა, 2016:443**).

გირესუნის ილში მდებარე ქართულ სოფლებში ძირითადად აჭარიდან, ქედის რაიონიდან, ჯოჭოდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ. ცხრილის სახით წარმოვადგენთ სოფლების სიას. სოფლები დალაგებულია ცალკეულ რაიონებში არსებული ქართულენოვანი დასახლებების მიხედვით. ძირითადად ვეყრდნობით ცალკეულ სოფლებში მოსახლეობისგან მიღებულ ინფორმაციებს, თუმცა კომლთა მითითება მიახლოებითია. აღსანიშნავია ისიც, რომ სოფლებში „კომლი“ ხშირად პირობითი ცნებაა. მიგრაციის გამო ბევრგან მთელი ოჯახი ან ოჯახის წევრთა უმრავლესობა ქალაქში ცხოვრობს. ქალაქებში კი ქართული მოსახლეობის რაოდენობის დადგენა ძალიან რთულია. რესპოდენტებისგან მიღებული ინფორმაციები შეიძლება შეიცავდეს გარკვეულ უზუსტობებს. ზოგიერთ შემთხვევაში რესპოდენტები ვერ იხსენებენ წინაპართა გვარებს, სოფლებს და ასახელებენ ზოგადად „ბათუმიდან, აჭარიდან მოვსულვართ.“ ბათუმიდან მოსულში კი შეიძლება ვივარაუდოთ ზოგადად საქართველოდან წასული. მაგ. ზემო აჭარიდან, შუახევიდან, ხულოდან, ან ქობულეთიდან, ან თუნდაც შავშეთ-იმერხევიდან, კლარჯეთიდან და ა.შ. გადასახლებულიც.

გირესუნის პროვინციის ქართული სოფლები			
დასახლებული პუნქტი	ქართველი ოჯახთა რაოდ.	ძველი გვარი	წარმომავლობა
დამუდერე	150-მდე	არსლანორლები, აიდინოლლები, გეჩი-ჩოლლები, ალიშანოლლები, ოდაბა-შოლლები, დუმანოლლები, სეფეროლლები, ოსმანოლლები.	აჭარა, ქედის რაიონი
ეზელდერე	10-15 კომლი		წონიარისი
ანბარალანი	40-მდე	ჩელებიოლლები	შუახევი, ხულო

აქცია (ბაშჩუქურ)	5-6 კომლი	არ ახსოვთ	
იაიქინლიკი	60-მდე	თოფალოდლი/თოფანოდლი კამპეროდლი	აქარა, ჯოჭო
ყიშლა	15-20 კომლი	ესედოდლები	ბათუმი, თხილვანა
ჰაჯეთი	9-10 კომლი	ლაზოდლები	ხელვაჩაურ ის რაიონი, ჯოჭო
ქარაალაჩი	300-მდე		ზემო აქარა
ქაიაბაში	140-150		ზემო აქარა
ქუჩუკდერე	-		ასახელებენ ჭვანას
თეფექოი-	40-50 კომლი	ხათოდლები, ჩხაკოდლები (ალბათ ჩხიკვაძე), კამპეროდლები, ჩარიოდ- ლები, მემედოდლები, მოლაიბრაიმ- ოდლები, თოფალოდლები	ქობულეთი, ქედის, რაიონი
გუნეიქოი-	40-45 კომლი	კვირტოდლები, ჰელიმოდლები, ყარამედოდლები, ემინოდლები, ქუჩქალოდლები, ქურდოდლები. ქეჩიჩოდლები.	ბათუმი, წონიარისი
თეფეორენი	70-80 კომლი	ქუჩქალოდლები, თონიოდლები, მუთიოდლები, სარიოდლები, ამედოდლები.	შუახევი (ჭვანა წყაროთა, ნალვარევი), ხულო
თოქმადინი	35-40 ოჯახი		შუახევი, ხულო
იენიქოი	40-მდე		აქარა

ბ) **თოქათის პროვინცია** - თოქათის პროვინციის ქართული სოფლების უმრავლესობა **ნიქსარის** რაიონშია. რამდენიმე სოფელია **ერზასა** და **თურჭალში**, ასევე, თოქათის ცენტრალურ რაიონში. საინტერესოა, რომ ნაწილი დასახლებებისა შავშეთიდან, კერძოდ, იმერხევიდან (სოფლები: დაბა, უბე, ზიოსი, ხევწრული, ბაზგირეთი, ოთხკილდე და სხვა) წასულ მუჰაჯირთა შთამომავლებს ეკუთვნით. გვხვდება აგრეთვე აჭარიდან (უფრო ქედის რაიონიდან: სალორეთი, აგარა და სხვა) გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებებიც (**ჩოხარაძე, 2016:291**).

უსტაჰასანი - სოფელში ართვინიდან, მეიდანჯიქიდან, დიობანიდან (იმერხევი) მოსულები ცხოვრობენ. ბედრეთდინ დიქმენის ცნობით, უსტაჰასანში ობადან (უბედან) მოსულები ცხოვრობენ. ადგილობრივთა ცნობებით ირკვევა, რომ სოფლის მოსახლეობა იმერხეველი შავშელებია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უსტაჰასანის მოსახლეობა არ არის მუჰაჯირთა შთამომავლები. აქაურთა წინაპრები, ამ მხარეში XX საუკუნის ათიან წლებში მოსულან (**ფაღავა, 2016:445**). ამდენად, სოფელი უსტაჰასანი შიგა მიგრაციით დაფუძნებული სოფელია. საყურადღებოა, სოფლის უბნების, მაჰალეების დასახელებებს შორის ქართული სახელწოდებები: ჭიკიენთი, ტაშქოფრუ, კოვიენთი (უბელები) ფიქლოენთი, იენჩაროლლი. ფიქლოენთისა და იენჩაროლლის მცხოვრებლებმა არ იციან, საიდან მოვიდნენ (**ფაღავა, 2016:445**). მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ შავშეთის (იმერხევის) სოფლებიდან მოსულებს ახალ საცხოვრისში საკუთარი უბნები შეუქმნიათ. შესაძლებელია, უსტაჰასანის დღევანდელი მაჰალეები თავდაპირველად ცალკე სოფლები იყო, შემდეგ გააერთიანეს ისინი ერთ სოფლად, ერთი სამამასახლისოს (სამუხტროს) ფარგლებში.

მუსაფინარი - ადრე 30 კომლი იყო, დღეს კი 7 კომლია დარჩენილი. რესპოდენტები ამბობენ, რომ აჭარიდან ბათუმიდან მოსულან, მაგრამ კონკეტულად სოფელს ვერ გვისახელებენ, ქართულის მცოდნეც თითქმის არავინაა. **86 წლის თენზილე დოღანის** გადმოცემით: „ჩვენ ბათუმიდან ვართ, ამ სოფელში (მუსაფინარი) კი 60 წლის წინ შავშეთიდან მოვსულვართ (ასახელებს სოფლებს: ოთხკიდე, ბუთლუ, მირსილი, გედივერი). ჩემი დედი ბათუმიდან შავშეთში მოსულა, იქავრობა არ მოწონებია და ნიქსარში ამოსულა ეს სოფელი (მუსაფინარი) დუუკავია. ჩემი ბაბოი (მამა) და ემიები (ბიძები) **იდრისოლლი** იყვნენ, დედის მხარე კი **ქოსოლლები** იყვნენ“

(ფუტკარაძე, 2015:429). კითხვაზე, თუ რატომ წავიდნენ სოფელ მუსაფინარში, ასე პასუხობს: „გამოქცევლან, გიავრები მოსულან, მიეკლე'ნადა მეგერ. გადაგორვებულან და ისე გამოქცევლან. ქალები ლამაზები ყოფილან, უურთმევიან... ისენიც გამოქცევლან. დედი იტყოდა, ჩემი ქალი ისე ლამაზი იყო, ანათებდა ღამეში...ზოგი მუუკლიან, ზოგი გამოქცევლან. მემლექეთზე მოყვებოდნენ, მე დამაბიწყდა! ძველებმა წეილეს ძველი ამბები“ (ფაღავა, 2016:447,448).

ერენქოი - შავშ ემიგრანტთა სოფელია, კერძოდ, ვერხნარიდან, უსტამისიდან და ჩიხისხევიდან გადმოსახლებულთა დასახლებაა. ქართული არ იციან. აჰმედ თოფჩის (81 წლის) გადმოცემით: „გურჯიჯა ნამცოდნი ბერები, დიდი ხანია გევდენ გაღმა“, ჩვენებური ვართ, გადარევილი არ ვართ, ჰამა არ იციან გურჯული“ (ფაღავა, 2016:449).

ექინჯილიქი - ცხოვობენ შავშეთიდან წასული მუჰაჯირთა შთამომავლები, მაგრამ სოფელში ქართულის მცოდნე არაავინაა.

მერჯიმიქი - ამ სოფელში 20-მდე კომლია, ქართულის მცოდნეც არაავინაა, თუმცა ადგილობრივთა გადმოცემით, ადრე ქართული სოფელი ყოფილა.

ორენლერი - თავდაპირველად 4 ოჯახი მოსულა ვერხნალიდან, დანარჩენი სხვა ჩიხისხევიდან, უსტამისიდან, ართვინიდან, რამდენიმე ოჯახი ბაზგირეთელიც არის. 71 წლის ფადიმე თოფჩი-გეზერის გადმოცემით, მისი წინაპრები შავშეთიდან, ვერხნალიდან მოსულან და სავარაუდოდ ინუსოლლები ყოფილან, თუმცა ქართულის მცოდნე დღეს აღარავინაა, მხოლოდ ის შემორჩა მათ მეხსიერებას, რომ ოდესღაც მათი წინაპრები ბათუმიდან ყოფილან (ფუტკარაძე, 2015:430).

დალქაია - სოფელში სულ 23-24 კომლი ცხოვრობს, თუმცა ქართულის მცოდნე არაავინაა. სოფლის მცხოვრებლებმა არ იციან, საიდან მოვიდნენ მათი წინაპრები. 70 წლის დურდანე ქოჩაქი-მერჯანის გადმოცემით: „იმდენი არ ვიცი. მე ხოშ არ მოვსულვარ. ჭკვა მქონდეს არა! დაბერდა, დაბერდა თავი. ვერ ვამბობ, არ მახსენდება. აჭარული არ ვარ, ჰელებეთ მომაგონდება“ (ფაღავა, 2016:450).

ოლუქლუ - ძირითადად აჭარლებია. თავდაპირველად 7 კომლი მოსულა. დღეისათვის 20-30 კომლია, თუმცა სოფელი დაცარიელებულია. მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ქალაქებშია წასული, ქართულის მცოდნესაც იშვიათად თუ

შეხვედებით. ადემ სუმდულის (85 წლის) თქმით, მისი წინაპრები ხაჯიოღლები ყოფილან, აჭარაში ნათესავები არ ჰყავთ, ყველა ემიგრაციაში წამოსულა. ასახელებს ბათუმს, აჭარას და სალორეთს (ქედას სოფელია). წამოსვლის მიზეზს კი ასე ხსნის: „რუსს გამუქდია. თურქს უთქმია, აი იერი თუ მოგწონთ, იყავითო, წულუკიძე ვარ (არის), მუფთიოღლი ვარ, დვალიოღლი, წურწყაბელოღლი ვარ, ხაჯიოღლი ვარ“ (ფაღავა, 2016:452). მნიშვნელოვანია, რომ ძე-ზე დამთავრებული გვარი ახსოვთ, თუნდაც, წულუკიძე. მუფთიოღლი ალბათ - მუფთიშვილია, ცნობილი გვარი აჭარაში. დვალიოღლი - დვალიძე. საინტერესოა გვარ-სახელი წურწყაბელოღლი, ჩანს, მათი წინაპარი წურწყაბიდან მოვიდა აჭარაში (წურწყაბელი) და ოსმალეთის დროს წურწყაბელოღლი უწოდეს. შდრ. კირნათელი-კირნათიდან მოსულის შვილი (ფაღავა, 2016:452). აჭარიდან კი მუჰაჯირად წამოვიდნენ.

გედვედი - ფათლი, ამ სოფლებშიც ადგილობრივთა გადმოცემით აჭარელ მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ, თუმცა კონკრეტულად სოფლები და გვარები აღარავის აღარ ახსოვს, ქართულის მცოდნეც არავინაა.

სორჰუნი - შერეული სოფელია - ართვინიდან, არტანუჯიდან, იუსუფელიდანაც არიან. რეგისტრირებულია 30 კომლი, ისე კი 5-6 კომლი იქნება. ქართული საერთოდ აღარ იციან, ადრე ქართული სოფელი ყოფილა, თუმცა დღეს უკვე გათურქებულია, მხოლოდ იმას თუ გეტყვიან, რომ მათი წინაპარი გურჯი ყოფილა.

მუხტარდუზი - საათიე ერშიში (64 წლის) გვიყვება, რომ ამ სოფელში ზოგი არტანუჯიდან, ზოგი შავშეთიდან მოსულან. ქართულის მცოდნე დღეისათვის არავინაა.

ასარი - რასიმ გოლმეს (კოჭობიძე, 73 წლის) თქმით: „ამ სოფელში **კოჭობიძეები** ცხოვრობენ“, ხოლო უნზილე ქესკინი ილმაზის (64 წლის) გადმოცემით: „ამ სოფელში ართვინის **უბედან** (სოფ. იმერხევში - ნ.ფ.) გადმოსულა ჩუენი წინაპარი, ძველ დროში **ქორშეითანოღლებს** გვეტყოდნენ, ჰამა ბევრი აღარ მახსოვს ძველი ხებერი“ (ფუტკარაძე, 2015:431). 73 წლის ნევზათ ქორულლუს თქმით კი: „ართვინდან მოვსულვართ, შავშეთ, ბაბოი გურჯი იყო, ანამ არ იცოდა გურჯიჯა, ჩვენებური არიან სოფელში. გარეული არ ვართ, სუფთა გურჯები ვართ, მაგრამ გურჯიჯა არ ვიცით“ (ფაღავა, 2016:455).

ოსმანიე - შავშეთიდან, ართვინიდან გადმოსული მუჭაჯირთა შთამომავლების სოფელია, ასახელებენ სოფელ **ქოქლიენტს** და სოფელ **იაღლიქოის**. დღეისათვის 15-16 ოჯახი ცხოვრობს, თუმცა ქართული ენა საერთოდ დაკარგულია (**ფუტკარაძე, 2015:431**).

აქინჯი - რესპოდენტები ასახელებენ შავშეთის სოფლებს ობას და ზიოსს. აქინჯის მიწები სომხებიდან და რუმებიდან (ბერძნებიდან) იყიდეს ოთხმა ოჯახმა აღამ და ახლობლები დაასახლეს. ფიქნეთ თაქმინის (85 წლის) გადმოცემით: „ამ სოფელში ზოგი შავშეთიდან ამოსულა, ზოგიც სოფელ გაღმიენთიდან. ამ სოფელში ადრე ბერძნები და სომხები ცხოვრობდნენ, გურჯები რომ მოსულან ეს ადგილი ფართო უყიდიან, ჩვენი ძუელები ადრე ყველა გურჯები იყვნენ, ჩვენ ახლა გავთურქდით“ (**ფუტკარაძე, 2015:431**).

თოქათის ილში ძირითადად **შავშეთიდან** წასული მუჭაჯირთა სოფლებია: **უსტაჰასანი** - შავშეთი, იმერხევი, შემონახული აქვთ ტოპონიმები: ჭიკიენთი, კოვიენთი, ფიქლოენთი.

თოქათის პროვინციის ქართული სოფლები			
დასახლებული პუნქტი	ქართველ ოჯახთა რაოდენობა	ძველი გვარი	წარმომავლობა
უსტაჰასანი	20-მდე		იმერხევი-ართვინი, მეიდანჯიქი, დიობანი
მუსაფინარი	30 კომლიდან 7 კომლი	იდრისოღლები...	აჭარა, შავშეთი-ოთხკიდე, ბუთლუ, მირსილი, გედივერი.
მერჯიძე	20-მდე	-	აჭარა
ორენლერი	10-მდე	ინუსოღლები	ვერხნალი, ჩიხისხევი, უსტამისი, ართვინი
დალქაია	20-23 კომლი	-არ ახსოვთ	

ოლუქლუ	30-მდე	-	აჭარა
გედვედი ფათლი	-	-	აჭარა
სორჰუნნი	5-6 კომლი		ართვინი, არტანუჯი, იუსუფელი
მუხტარდუზი			არტანუჯი, შავშეთი
ასსარი	9-10 კომლი	ქორშეითანოლლი...	ართვინი, უბე, შავშეთი
ოსმანიე	15-16	-	შავშეთი, ართვინი
აქინჯი	-		შავშეთის-ობა და ზიოს-ი.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ ყველაზე მეტი მოსახლე გირესუნის პროვინციის სოფლებიდან დღეისათვის არის ბულანჯაქში დამუდრე და თეფეორენი, ამას მოყვება იაიქინლიკი და გუნეიქოი და ა.შ., სადაც ჯერ კიდევ შეხვდები ქართულის მცოდნეს. განსხვავებული ვითარებაა თოქათის პროვინციის სოფლებში, სადაც თითქმის აღარ დარჩნენ ახალგაზრდები. ყველაზე სამწუხარო რეალობა ისაა, რომ სხვა პროვინციებთან შედარებით თოქათის პროვინცია ქართული ენით მეტად ღარიბია. წინაპართა ენა თითქმის გამქრალია, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე გამონაკლის, აქაურ სოფლებში მხოლოდ ძველ თაობას ახსოვს ქართული და ისიც ცუდად. იმდენად, რამდენადაც ქართულს საურთიერთოდ აღარ იყენებენ, არავის ესაუბრებიან ქართულად, დაკარგეს ენის პრაქტიკულად გამოყენების უნარი. თუმცა, ცალკეულ სიტყვებს ამბობენ, მაგ: ღორი, ქათამი, ცოცხი, მაწონი, ძროხა, წყალი, პური, პური ჭამეთ. ხშირად იკვეთება, რომ ახალ თაობას აქვს სურვილი ისწავლოს ქართული - წინაპართა ენა, დაიბრუნონ ნაციონალური იდენტობა.

გ) ამასიის პროვინცია - ამასიის ქართული სოფლები მდებარეობს თაშოვას, სულოვას და ამასიის ცენტრალურ რაიონებში. სულ თორმეტამდე სოფელია მაჭახლიდან და ზემო აჭარიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლების (კლარჯეთი, 2016:267). გარდა ამისა, სულუოვას რაიონში არის ერთი სოფელი

ქილიჩარსლანი, რომელშიც ტაოდან, სოფელ ბალხიდან გადასახლებული ქართველების ათიოდე ოჯახი ცხოვრობს. ბალხელთა გადასახლება თურქეთის შიდა მიგრაციული პროცესების შედეგია. ისინი მეოცე საუკუნის 30-იან წლებში ჩასახლებულან სულუოვაში. რაც შეეხება ამასიის დანარჩენ ქართველებს, ისინი ძირითადად აჭარისწყლის და მაჭახლის ხეობებიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლები არიან. მათი ფუძე სოფლებია, ერთის მხრივ ბზუბზუ, ბელეთი, ბოძავრი, ღურტა, რიყეთი, დანისპარაული, დიოკნისი, ტაბახმელა; მეორე მხრივ - ეფრატი, ზედვაკე, ჩიქუნეთი, ჩხუტუნეთი, ცხემლარა (ჩოხარაძე, 2016: 293). ქართული მოსახლეობის უფროსი თაობა დღემდე საუბრობს წინაპართა ენაზე. ამასიის სოფლებში ძირითადად მაჭახლელები ცხოვრობენ, თუმცა არის აჭარული დასახლებებიც.

ამასიის პროვინციის (ილის) თაშოვას ილჩეში მდებარეობს მაჭახლელთა სოფელი **თათლიფინარი** - ადგილობრივთა გადმოცემით სოფელს ადრე დარმადერესი ერქვა. აქ 70-80 კომლი ქართველ მუჰაჯირთა შთამომავალი ცხოვრობს. ადგილობრივ მცხოვრებლები ასახელებენ თავიანთი წინაპრების სოფლებს: „ზედვაკე, ეფრატი, ჩხუტუნეთი, ჩიქუნეთი, ცხემლანა“ და მეორე მხრივ, ბზუბზუ, ბელეთი, ბოძავრი, ღურტა, რიყეთი, დანისპარაული, დიოკნისი, ტაბახმელა, ცხოვრობენ: ქავთარაძე, ქობულაძე, მუთიოღლები (მუთიძე), ომბაშოღლი, ვაცაძე, გუნდარიძე (კოსიოღლი), მოლოღლები, ებიოღლები, შევექეთოღლები, ფეიზოღლები, ბეშიროღლები, მურადოღლები, ფეიზოღლები, ჩელებიოღლები (ფუტკარაძე, საველე...2016:4). სოფელში შემონახულია ტოპონიმები: თაფლიკლდე, წყლის ყანა, ავჯიოღლების ყანა. სოფელში უფროსი ასაკის თაობამ ქართული კარგად იცის.

ილიფინარი (ძვ. ჩერმუქი) - მაჭახლელთა სოფელია, 15-20 კომლი ცხოვრობს. მუსტაფა ჩეთინის (65 წლის) გადმოცემით: „ბათუმიდან მაჭახლიდან მოსულან ჩვენი დიდვანები ახლებმა გურჯულაი არ იციან, მეც რომ მოვკდები, თლათ დეიკარქვის გურჯულაი“ (ფუტკარაძე, საველე.. 2016).

იუვა - მაჭახლელთა სოფელია. 10-15 კომლი ქართველთა შთამომავალი ცხოვრობს. ოსმან ეინმაიას (68 წლის) გადმოცემით სოფელ იუვაში „1877-78 წლების

ომის შემდეგ ზედა მაჭახლის სოფელ ეფრატისა და დედეს ბაბაი თოფალაჰმედი მოსულა. პირველად სოფ. დარმადერეში დასახლებულა, შემდეგ მისი ერთი შვილი აქ (სოფ. იუვაში) გადმოსახლებულა და გაუმენებია სოფელი“. ადგილობრივები ასახელებენ გვარებს: ქეშიშოდლი (ძველი ზალიმოდლები), სელიმოდლები, ლონგიროდლები (ფუტკარაძე, საველი..2016:8).

ბელდალი - აჭარელთა და მაჭახლელთა სოფელია. 110-115 ოჯახი ქართველთა შთამომავლებია. ასახელებენ წინაპართა სოფლებს: ცხემლანა, ჩხუტუნეთი, ზედვაკე და აჭარულ სოფლებს ღურტა და ბელეთი. სულთან შაჰინის (61 წლის) გადმოცემით: „პირველად 5 კომლი გურჯი მოსულა სოფელ ცხემლანიდან. აქავრობა ტყე ყოფილა ბათუმ მუსლიმანობა უწევთან და აქ გამოქცევლან, ეს ადგილი მოწონებთან და დასახლებულან. მტრობა მომხდარა. ერმენებს (სომხებს) სოფლის დაწვა უნდოდათ, მაგრამ გურჯებს გუუგდიან ერმენები. ცხოვრობენ: ბაირახტაროდლები, ფაშალოდლები, ყარამანები, უსტაბექიროდლები, შიმბაირახტაროდლები, ნაზიმოდლები, ხოჯიოდლები, ჭირიანები, ნადიროდლები. მათ შორის ყველაზე მეტი უსტაბექიროდლია. სოფელში თითქმის ყველა ქართულად ლაპარაკობს. შემონახული აქვთ ტოპონიმები: ვაკიები, ზემო ყანები, წისქვილის კარი, გაღმა ჭალა. ბელდალში შედის შემდეგი მაჰალე: 1) გაღმასირა, 2) ჯამიკარი, წიაპა მეჰელე, ყარანა მეჰელე, ყარაფუნყარის მეჰელე.

ჩათალჩამი - მაჭახლელთა სოფელია, ცხოვრობს 15 კომლი. ოთხი გვარი ცხოვრობს: რეშიდოდლები, სადიყოდლები, კოტოხოდლები, სულიოდლები.

თენექე (ძველი ალთინლი - თაშოვას ილჩე) - ქედის რაიონის სოფელ ბზუბზუდან გადასახლებული მუჰაჯირთა შთამომავლების 28 კომლი ცხოვრობს. ნურდან თურანის (ხოჯიოდლი - 79 წლის) გადმოცემით ადგილობრივთა გვარებია: მემიშოდლები, მუსოდლები, ხოჯიოდლები (იაჰიოდლები), ქოსიოდლები.

აქიაზი - აჭარელთა, ხულოელთა სოფელია. ასახელებენ ფუძე სოფლებს: ბელეთი, ტაბახმელა, ბოძავრი, პაქსამეები. სოფელში 50-60 კომლი ცხოვრობს. გულსუნ ავჯის (80 წლის) გადმოცემით: „სოფელში დღეს მხოლოდ გურჯები ცხოვრობენ, პირველი მოსულებიც გურჯები არიან. 4 ძმა წამოსულა, ხულოდან 2 აქ აქიაზიში დასახლებულა, ორიც სხვაგან წასულა.“ ადგილობრივთა გვარებია:

ხმალაძე- ბელლეთიდან; **კახაძე** -ბელლეთი და ტაბახმელა, **შავაძე** - ბოძავრი, **შანთაძე** (ავჯიოლლები).

ჩივი და თერზიქოი - ამ სოფლებში მცხოვრები ადგილობრივ მოსახლეობას არ ახსოვს თავის წინაპართა სოფელი და გვარები. სოფ. **ქაფლიჯაში** ტაბახმელადან მოსულთა შთამომავლები ცხოვრობენ. **ჩივიქოი** - ტაბამელადან, ღორჯომიდან მოსულთა შთამომავლებით არის დასახლებული. გვარებია: ხოჯიენთები, ქელეშოლლები, პიწოლლები, ღორჯუმელოლლები.

ზოდალიჩუქური (თაშოვას ილჩე) - მაჭახლელების სოფელია, 10 კომლია დარჩენილი. ესენია: ცვათიოლლები, ფასულოლლები, იბრაიმოლლები, მოლაჰასანოლლები.

ქილიჩარსლანი - ძველი გურჯიადილი. ქართულის მცოდნე არავინ აღარაა სოფელში. გვარებია: **ბასილოლლები, შირინოლლები, შალოლლები.** ჩათმა - მაჭახლელთა სოფელია - ქართული არ იციან.

ამასიის პროვინციის ქართული სოფლები			
დასახლებული პუნქტი	ქართველი ოჯახთა რაოდ.	ძველი გვარი	წარმომავლობა
თათლიფინარი	70-80	ქავთარაძე, ქობულაძე, მუთიოლლები (მუთიძე), ომბაშოლლი, ვაცაძე, გუნდარიძე (კოსიოლლი), მოლოლოლლები, ეიბიოლლები, შევქეთოლლები, ფეიზოლლები, ბემიროლლები, მურადოლლები, ფეიზოლლები, ჩელებიოლლები	აჭარა (ბზუბზუ, ბელლეთი, ბოძავრი, ღურტა, რიყეთი..) მაჭახელი (ზედგაკე, ეფრატი, ჩხუტუნეთი, ჩიქუნეთი, ცხემლანა)
ილიფინარი (ძვ.ჩერმუქი)	15-20	-	მაჭახელი

იუვა	10-15	ქეშიშოლლი (ძველი ზალიმოლლები), სელიმოლლები, ლონგიროლლები	მაჭახელი
ბელდალი	110-115	ბაიახტაროლლები, ფაშალოლლები, ყარამანები, უსტაბექიროლლები შიმბაიახტაროლლები, ნაზიმოლლები, ხოჯიოლლები, ჭირიანები, ნადიროლლები.	აჭარა მაჭახელი
ჩათალჩამი	14-15	რეშიდოლლები, სადიყოლლები, კოტოხოლლები, სულიოლლები.	მაჭახელი
თენეკე (ძვ. ალთინლი)	20-25	მემიშოლლები, მუსოლლები, ხოჯიოლლები (იაჰიოლლები) ქოსიოლლები.	ქედის რ-ნი (ბზუბზუ)
აქქიაზი	50-60	ხმალამე, კახამე, შავამე, შანთამე (ავჯიოლლები).	ხულოს რ-ნი (ბელეთი, ტაბახმელა, ბოძავრი, პაქსადეები)
ჩივი და თერზიქოი		არ ახსოვთ	
ჩივიქოი		ხოჯიენტები, ქელეშოლლები, პიწოლლები, ღორჯუმელოლლები.	ტაბამელადან ღორჯომიდან
ზოღალი- ჩუქური	5-10	ცვათიოლლები, ფასულოლლები, იბრაიმოლლები, მოლასანოლლები.	-
ქილიჩარსლა ნი	-	ბასილოლლები, შირინოლლები, შალოლლები.	-
ჩათმა	-	-	მაჭახელი

დ) ორდუს პროვინცია: შავი ზღვის რეგიონში შემავალ პროვინციებიდან ერთ-ერთია ორდუს პროვინცია. ორდუს პროვინციაში სულ 18 რაიონი ანუ ილჩეა. ჩვენებურთა ყველაზე მეტი სოფელი ჯერ უნიეს და შემდეგ ფაცას ილჩეებშია. რაც შეეხება სოფლებს, ზოგი მათგანი მთლიანად მუჰაჯირთა შთამომავლებითაა დასახლებული, ზოგიც ორი-სამი ოჯახია ქართველებისა. სულ ქართული დასახლებები, მეტ-ნაკლები ოდენობით, წარმოდგენილია 13 რაიონში (ილში). ორდუს ქართველთა უმრავლესობა აჭარისწყლის ხეობიდან (უმთავრესად ქედის რაიონი), მაჭახლიდან, ხელვაჩაურის და ქობულეთის რაიონებიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლებია. გოლქოში არის იმერხველთა სოფელი **იუვაფინარი**. იმერხველები ცხოვრობენ, აგრეთვე **ფაშაფინარში**, რომელშიც ასევე პირველი თაობის მუჰაჯირთა სოფელია, მაგრამ ბოლო წლებში ქალაქ გოლქოს შეუერთდა (**ჩოხარაძე, 2016:283**).

ორდუს პროვინციაში შემავალ ქართულ სოფლებში მცხოვრები ქართველების დიდი ნაწილი 1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ბათუმიდან, აჭარიდან და მაჭახლიდან ჩავიდნენ. თუმცა, გადასახლების (მუჰაჯირობის) პროცესი, ნელი ტემპით შემდგომშიც გრძელდებოდა. ორდუში მისულ ქართველებს დიდხანს უძებნიათ თავშესაფარი. მერე მალარიის შიშით ბევრს მაღალი ადგილები აურჩევია. თუმცა, მაშინ მაინც მშობლიურის მსგავს კლიმატს და ბუნებას ეძებდნენ: მაჭახლელები ყველაზე მაღალ, აჭარლები - ოდნავ ქვემოთ, ბათუმელები კი სანაპიროსთან დასახლებულან. ახალმოსახლე ქართველთა რაოდენობა თითოეულ სოფელში ხუთიდან ორმოც ოჯახამდე აღწევდა. მათ გარდა ბერძნები და სომხებიც ყოფილან. თავდაპირველად კარვებში ცხოვრობდნენ და ცხადია, ძალიან უჭირდათ.

უნდა აღინიშნოს, რომ ძალზე ბევრი შემთხვევაა, როდესაც ადგილზე ჩასულ მუჰაჯირებს დაპირებული კეთილდღეობის ნაცვლად გაუსამლისი პირობები დახვდათ. უამრავ მათგანს მიუღია კიდევ გადაწყვეტილება უკან დაბრუნებისა, მაგრამ ოსმალეთის ხელისუფლება ყოველგვარ ღონეს ხმარობდა, რათა ისინი უკან აღარ გამოეშვა. არსებობს უამრავი ბრძანება დიდვეზირისა, რომელშიც ნათქვამია, რომ არავითარ შემთხვევაში არ დაუშვან მუჰაჯირთა უკან დაბრუნება (**Göçler, 2012:141**). მიუხედავად ამისა, ხშირი იყო შემთხვევა, როდესაც მუჰაჯირად წასული

ცალკეული პირები, ან მცირე ჯგუფები ახერხებდნენ უკან, მშობლიურ ფუძეზე დაბრუნებას.

ორდულ მუჰაჯირებში „ჩვენებურთა“ რამდენიმე ნაკადი გამოიყოფა: ჩურუქსუელი (ქობულეთელი), მაჭახლელი, აჭარელი, ბათუმელი (ყველაზე მცირე). თითოეული ჯგუფი კომპაქტურადაა დასახლებული. თვალში საცემია, რომ დასახლება იშვიათადაა შერეული. ამ ფაქტს ყურადღებას მივაქცევთ იმიტომ, რომ საუკუნენახევრის წინ, როცა მოსახლეობა მუჰაჯირად წავიდა, მათ მენტალობაში „აჭარა სხვა, ჩურუქსუ სხვა, მაჭახლელი სხვა“ იყო. ასეთი გაგებაა დღესაც აჭარის მკვიდრთა შორის: ქობულეთელისათვის ყველა აჭარელია, გარდა ქობულეთელისა; ბათუმელისათვის აჭარელია აჭარისწყლის ხეობის (ქედა, შუახევი, ხულო) მკვიდრი. ბათუმელი გამოყოფს ასევე ქობულეთელს, მაჭახლელს, ბათუმელს. აღნიშნული მენტალობით წავიდა მუჰაჯირი ემიგრაციაში, იგივე გადასცა შთამომავლობას (**ფაღავა, 2013:14**). - „აჭარელი სხვა არი, მაჭახლელი სხვა არი, ჩურუქსუ სხვა არი!“ ასე „ჩვიან ქობულეთლები“, ასე ამბობენ აჭარლები და მაჭახლელებიც. თქმულში ჩანს მუჰაჯირის ეთნომენტალობა, რომ განსხვავებაა აჭარის კუთხეებს შორის. ტერმინ აჭარელში მუჰაჯირი აჭარისწყლის ხეობის მკვიდრს გულისხმობს, რაც ისტორიული ხსოვნაა, მუჰაჯირებთან შენახული. მისთვის აჭარის ქვეყანა სხვაა, ქობულეთის სხვა-მაჭახლის-სხვა, ბათუმის კიდევ სხვა (**ფაღავა, 2013:6**).

საინტერესოა როგორ აფასებენ ერთმანეთს მუჰაჯირთა შთამომავლები: „ჩურუქსუელებმა წმინდა ლაპარაკი იციან“ (სარი თოფალოლი, ქვაბითაველი მაჭახლელი); პაწაი ქიბარი არიან ჩურუქსუელები, არ მოწონდებიან. ჩვენები უფრო მუსლიმანები არიან, იგინი - არა (ქედა). ჩურუქსუელები ქიბარი არიან, კნაჭავენ, ქიბრობენ ჩურუქსუელები (ქობულეთელი ქაფაღდადიდან (**ფაღავა, 2013:14**)).

მუჰაჯირთა შთამომავლები საუბარში მიაწინებენ, რომ განსხვავებაა მათ მეტყველებაშიც. საინტერესოა მთხრობელთა დაკვირვება: „ჩვენ ბაწარ ვიტყვით, აჭარლები თოკვო//თოკვი იტყვიან (ქობულეთელი ჩათაღფინარიდან); ჩვენ თხილ ვჩივით, იგინმა კაკალი ჩივიან; ჩვენ ნიგოზი ვჩივით, იგინმა კაკალი ჩივიან“, ჩემი ლაპარაკი ქობულეთური ლაპარაკია - ამბობს ქემალ ტაკიძე (**ფაღავა, 2013:15**).

გურჯში მუჰაჯირი უპირველესად გულისხმობს ქართულად მოლაპარაკეს, ქართულის მცოდნეს: „ჩვენ მერე აღარ იქნება გურჯი: გურჯი ვარ იტყვის, ენა არ ვიციო“-განმარტავს მოხსუთ გოხიძე ქობულეთელი ორდუდან. გურჯობას გემო რომ გაუგო, ქართული უნდა იცოდეს: „გურჯი ვარო, ჩემ ბადიშ გუუხარდება, ჰამა გემოს ვერ მუუხდება, ვერ გეიგებს და... ამბობს ფიქრი ჩურუქსუელი კონწელიძე (კონცელიძე) (ფაღავა, 2013:15).

მუჰაჯირთა შთამომავლები ადგილობრივ თურქს სხვადასხვა ეპითეტით იხსენიებენ: „ბოლოკაი, კუდიანი: თურქებ ბოლოკებ ვეტყვით, კუდიან ვეტყვით, გადარცხილი არიან, კარგი ხალხი თურქებშიც არის, მაგრამ მაინც ერიდებიან: „ჩვენებურსავენ კაი ხალხი მათშიც არი, მარა გაქნევლ სიტყვას რომ იტყვიან, რაზე მუუხტება, ჩვენ რა ვიციოთ“(ფაღავა, 2013:15).

ორდუს ილის ერთ-ერთი ოლქია უნიე, რომლის ისტორია უძველესი დროიდან იწყება. უნიეში მცხოვრები ქართველების უდიდესი უმრავლესობა აქ ბათუმიდან, აჭარიდან, მაჭახლიდან 1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ გადასახლდა, თუმცა მცირე მასშტაბის გადასახლებები გვიანდელ პერიოდებშიც ხდებოდა. სულ ბოლოს კი - 1937 წელს ქედიდან 18 - კაციანი ჯგუფი გადასახლდა. ისინი, ვინც უნიეში მოსულთაგან პირველები იყვნენ გავრცელებული ციების გამო დიდხანს არ დარჩენილან და სვლა მაღალი ადგილებისაკენ დაიწყეს. მაჭახლელმა ქართველებმა ყველაზე მაღალი და მათი ძველი საცხოვრებელი გარემოს მსგავსი ადგილები შეარჩიეს. აჭარის ქართველობა უფრო ქვემოთ დასახლდა, ბათუმელები კი სანაპირო ადგილებისაკენ დასახლდნენ. ისინი სახლდებოდნენ ერთად. მაშინ უნიეში ბერძნები და სომხები სახლობდნენ. გადასახლებული 30 ოჯახიდან 15 **ქაბაქულაქში** (ესენტეფეში) დასახლებულა. **ექინჯიქში** - ჩხუტუნეთლები დაბინავებულან. **ქაბაქულაქში** -ქვაბითაველები, **ქირანქოიში** - ჩიქუნეთელები და **მინდიეთელები**. უნიეში მცხოვრები დანაჩენი ქართველები აჭარიდან და ჩურუქსუდან (ქობულეთიდან) არიან წამოსულები (**Şahin, 2013:103**).

საკუთრივ ქალაქ უნიეს ცენტრშიც ბევრი ქართველი ცხოვრობს. დღეს ისინი შემდეგ გვარებს ატარებენ: **გურჯუოღლები, ჯერაჰოღლები, მენტემოღლები, თორუნოღლები, ჩილოღლები, ირთემები, ხაშიმოღლები, ჩალოღლები,**

ხაზიბოღლები. ხოლო უნიეს მიდამოებში მდებარე სოფლები და დასახლებული პუნქტებია: **გულლუქის** დასახლებაში ჯერაპოღლების გვარის რამდენიმე ქართული ოჯახი ცხოვრობს. ეს არის დიდი და უნიეში გამორჩეულ გვართაგან ერთ-ერთი. ისინი აჭარიდან არიან ჩასულები (www.chveneburi.com). უნიელი აჰმედ ალთუნის (თვარიძე) თქმით: „თვარიძე ქედიდან, წონიარისიდანა. სამი ძმა ყოფილან აქ ჩამოვდენ, თურქეთში: ერთი აქ მოვდა, ერთი გირესუნშია, ერთი სინოპში. ოსმან, სულეიმან (ჩემი დედი იყო) მერჯან. ჩვენი გვარიდან იქ არავინ დარჩენილან. ქალებმა იქ დარჩენ, კაცებმა წამოვდენ“ (**ფაღავა, 2016:85**). მუჯაით გურენის გადმოცემით: „ჩვენ სოფელში ოთხი თურქული ოჯახი იყო, მოვდა ორმოცი ოჯახი ქართველი, ჩვენც ქართველი გავმხდარვართ. მე აქაური ვარ, არა ვარ ჩვენებური“ (**ფაღავა, 2016:85**). მნიშვნელოვანი ისტორიაა, მრავალი ფაქტი გვაქვს ქართველის გათურქების შესახებ, მაგრამ თურქის გაქართველების შემთხვევები ძალიან იშვიათია.

აღიდერე (უნიეს ილჩე) - ქედის რაიონიდან (დოლოგანი, ხოხნა) წასული 50 კომლი ქართველი ცხოვრობს. ლორქიფანიძე (ბერბეროღლი) და ყარამედოღლები. სოფელ აღიდერეს მაჰალეებია: ა) მეჰებუქი მაჰალე - 10-12 კომლი გურჯი; ბ) უიანის მაჰალე - 10-მდე კომლი; გ) მეჰლემის მაჰალე - 30-35 კომლი.

ბოზდაღი (ფაცას ილჩე) - ქობულეთელების (ალამზარი ლეღვა) დასახლებაა, 50-60 კომლია. ემინე ვასადის (78 წლის) გადმოცემით: „ამ სოფელში აჭარელი და მაჭახლელი არაა, თეელი (1877-78 წლების) ომის შემდეგ ჩურუქსუს სოფლებიდან მოვსულვართ. გოგიტიძე, შავიშვილი, ლომაძე, ვასაძე, სუქნიშვილი, მოლამედოღლი, ისტამბოლოღლი, კაკალოღლი, ცეცხლაძე, ვერულიძე, ელიმოღლი, ჩავუშოღლი, ჯინჭაროღლი, მჟავანაძე, ინაიშვილი, გოხიძე, ნაკაიძე არი“ (**ფუტკარაძე, საველე... 2016:39**). საშუალო და უფროსმა თაობამ კარგად იცის ქართული.

მიტროპოლი - უნიეს განაპირა სოფელია. სოფელში ცხოვრობს: ჯინჭარაძე, ქათამიძე, ანანიძე არი, მორჩილაძე არი (ფაცაში), ბედიანაძე, ყადიოღლი, მემიშოღლი, მოლლა მამუდ ოღლი, ინაიშვილი, ხახუტოღლი (ფაცაში), ნინიძე, ანანიძე (ფაცაში), ბეჟიოღლი, ბაჯელიძე (ფაცაში), კოპოღლი (აჭარელი), შაქაროღლი (**ფაღავა, 2016:95**).

ჩათალფინარი (ძველი სახელი - შენგული) - ქობულეთიდან წასული მუჰაჯირების სოფელია. ადგილობრივთა გადმოცემით: „ჩათალფუნარი მაღარიდან

მუა, იმის სახელი ქვია ამ სოფელს. აქ წყალი არიო, იმისთვის დარჩენილან. აქავრობაში ჩამოსულან, სულ ბზიკი იყო. ქართველები ასი კილომეტრი ზეით წასულან. იქ აჭარლები არიან. აქ აჭარლები და მაჭახლები არიან. ნინიძნები ხუცუბნიდან წამოსული ვართ, ბეჟანიძნები სოფელ ქობულეთიდან წამოვდენ, ისლამ ბეჟანიძე წამოვდა. ჩემი ნენეი შუბალიძე იყო. შუბალიძნები არიან იქა. ამ სოფელში გოგიტიძნები არის, თამაზასიშვილები არის, ბრეველი (ბევრი) არიან, ინაიშვილები არის ბრეველი. ფაცას ერთი ნინიძე ჯავათაი ჩვენი ბუძიასი შვილია, ფაცას ერთი სახლია. მოწყობილით არის ბრეველი, ბასილამძნებიც და კილამძნებიც არიან. სოფელ ჩათალფინარში სამასი სახლი არის, სულ ქართველია“ (მთქმელი: უსუფ იალიჩნი (ინაიშვილი), ხასან ნიჟარაძე) (ფაღავა, ბარამიძე, 2013:180).

ადგილობრივთა გადმოცემებით სოფელ ჩათალფინარში ცხოვრობს შემდეგი გვარები: ნინიძე, ბეჟანიძე, შუბლაძე, გოგიტიძე, თამაზაშვილი, ინაიშვილი, მოწყობილი, ბასილაძე, კილაძე. ხუსეინ ბილგინის (ნინიძე) გადმოცემით: „სოფელ ჩათალფინარში ხახუტოლლები არიან: ჟავანაძიები/ჯავანაძიები არიან. გოგიტიძეები არის. მელამოდოლლებიც (მოლააჰმედოლლები) არიან, ქობულეთში არიანო. ბეჟანიძეები ზეით არიან, მენგელში, იუჯელერ ქოიში სულ აჭარელი არიან, იქანაი. ჩვენ ბალნობაში აქ ერთი თურქი არ იყო, სულ, ჩვენები იყვენ. აქაურობა ყოფილა ტყეი, ტყეში ჩამოსულან, დამჯდარან. აქა რუმები ყოფილან. ფამას უთქმია, იქიდან მონავალი კაცები დაჟდენ, აგინი გავდენოთო. იქიდან ჯერ თამაზაიშვილები მოსულან მემრე ჩვენ. მემრე გაშენდა სოფელში ბალები: სხალი, ვაშლი ნიგოზი, წყავი, ჟოლი... ეიკიდი საქართველო!“ (ფაღავა, ბარამიძე, 2013:181).

ჯევიზდერე - აჭარელი ქართველებით დასახლებული სოფლებია.

ჩალოღლუ - ასევე XIX საუკუნეში აჭარიდან გადასული მუჰაჯირების სოფელია. ტოპონიმი მუჰაჯირთა უმრავლესობის გვარიდან მომდინარეობს. უმრავლესობა ქართულად ვეღარ ლაპარაკობს (შაჰინი, 2005:142).

ინიქენთი (არმუთლუქი) - მაჭახლელი მუჰაჯირები ცხოვრობენ. ორი ოჯახი ცხოვრობს არაქართველი. **ქელასი** - მუჰაჯირი აჭარლების (ქუროღლების გვარის) პატარა დასახლებაა. **თექქირაზის** მცხოვრებთა ნახევარი მაჭახლელთა შთამომავლებითაა დასახლებული. ცენტრში ჩილოღლები და სეფეროღლები

ცხოვრობენ. **არმუნთეფეს** უბანი მხოლოდ ქართველებითაა დასახლებული, მათი გვარებია: ილიასოღლები, თექეახმეთები, ქესქინები. სოფელი **ქირანი** აჭარელი მუჰაჯირების დასახლებაა, აქ ცხოვრობენ: ხასანოღლები (ქათამიძე), ხალილხოჯები. სოფელ **ქირაზარაში** ყველა ქართველია - ლომანების გვარს ატარებენ. სოფელ **ექინჯიქშიც** მაჭახლელები ცხოვრობენ: დაახლოებით 350 ოჯახია. ქართული იციან. აქ ცხოვრობენ შემდეგი გვარები: მეჯიდოღლები, მოლა სულეიმანები, ქაბაოსმანოღლები, ილიასოღლები, ჩილოღლები, ჩონგოღლები, იეთიზოღლები, ქეჭიები, მეჰმედუსტები (ლომანები), შაჰნაოღლები, ილდიზოღლები, ემრულოღლები, სეფეროღლები, ჩელებოღლები. **ესენტეფეც** (ადრე ერქვა ქაბაქულაკი) მაჭახლელთა სამოსახლოა. ექვემდებარება აქქუშის ილჩეს. სოფელში 125-მდე ოჯახია, თითქმის ყველა ქართველ მუჰაჯირთა შთამომავალია, გვარებია: დერვიშოღლები, ბექიროღლები, შერიფოღლები, ჰაჯიოღლები, ლეზიკოღლები, იმამოღლები, ცომოღლები, ლომიოღლები (**შაჰინი, 2005:143**).

აქბაბა - მუჰაჯირების შთამომავალთა სოფელია. მურად გელიოღლის (40 წლის) გადმოცემით: „მოლოღლი, ძველი სოიადი (გვარი) არ ვიცი. ბათუმიდან მოვსულვართ. ამას ზეით ვერ ნახავ ჩვენებურ. ხუთ-ხუთ ხანეს ნახავ. ჩილოღლები-შლაპოღლებ ეტყვიან. ყარაბდოღლები არიან, ჩვენ იქავრებ ქვაბითავლებ ეტყვიან. სახელი ქვაბითავლების არ მახსოვს. ემიია ასე მეტყოდა იშტა. ემიას ერქვა თახსიმაი, დედეს შევყი. ქვაბითავლებ ჭუხას დიგიდახებდენ აქა.“ (**ფალავა, 2013:187**). სარი თოფალოღლის (89 წლის) გადმოცემით სოფელ აქბაბაში თოფალოღლები ცხოვრობენ. ჩვენები რომ მოსულან, თურქებმა არ იცოდნენ მეგრემ სახლი გაკეთება, ყანი გათოხნა. აქ ერმენები ყოფილან მათ ურტყენ, ჩვენებმა, მემრე გეიქცენ. ერმენებმა მათი სახლები დაწვეს,“ ხოლო გურქან ჩილოღლუს (44 წლის) გადმოცემით: „ჩემი ბაბაი მაჭახლიდან ჩამოსულა. იმდონი არ ვიცი, ბათომიდან, მაჭახლიდან, ვინმე არ დარჩენილა ზღვის პირას, ზეით გამოქცევლან და დამჯდანან აქ რუმები ყოფილან“ (**ფალავა, ზარამიძე, 2013:189**).

დუაიერი - აქ ბევრი გვარები ცხოვრობენ: კონცელიძე, მჟავანაძე/ჟავანაძე, შავიშვილი, მორჩილაძე, კაკალაძე/კაკალოღლი, მამოლოღლი//მამულაძე, მეგრელიძე, ბეჟიოღლი (ბეჟანიძე), ცეცხლაძე, ანანიძე. ჩემი დიდი ნენეი თორმეტი წლის

ჩამოსულა იქიდან, იტყოდა, ალამბარში რომ ევდე, ჩემ ნასახლევ ვნახავო, გადმოგვცემს სოფ. დუაიერის მკვიდრი ასლან შავიშვილი (ფაღავა, 2016:131).

ქუმარლი - აქ სახლობენ: ოდუნჯოღლი, ნაჟვერდოღლი, მურადიშვილი, გურგენიძე (გურგენიშვილები), „აქა დიდი სოფელი არაა, პაწაი სოფელია, ოთუზ (ოცდაათი) ხანე. ბათუმიდან მერე აქ ვართ. ასი წელიწადი გეიარა აქ ვართ. ჩემი დიდი ბაბოები სამი ძმა ყოფილან, ორი და. ერთი და გათხოვებული ყავან მაშინ იქა, სოფელში. ნამეტარი რომენე ზორი დუუნახიან, ჯამეები რომ ჩუუკლიტვან, ვეღარ ილოცა, თექრენ ჩვენმა მუსლიმანობამ წევდა ხელიდან, აქ რაფედა ვიცხოვროთო და ადგენ და მოვდენ აქა. მაშინდელ თავრობამ ადგილი დაანახვენ, ამოვდენ აქა, დიდი ადგილი დეიკავენ და დეირიგენ.“ - მთხრობელი: ხუსეინ გურგენიძე, რემზი სალაძე (ფაღავა, 2013:229).

ბუჰარეთინი - ადგილობრივთა გადმოცემით: „ბათუმიდან მოვსულვართ, ბაბოს სოფელი იქავრობაა, აქ თლათ გურჯებია იშტე. ნენეი-შაქაროღლი, ბაბაი-გოხიძეა (ქობულეთი). ჩვენი სოფელი ეს არის ზეითაა ხასანჯული, ქორკუზი. ჩვენი დედები მოსულა, იმხელა ტყეი ყოფილა, ერთი ხარი დაკარქულა, სამი წელი ვერ უპოვიან, მერე მოსულა, ერთი თვალი დაქორებულა. ქორეკუზი (ქორქუზი) **დუურქმიან**“ (ფაღავა, 2016:178). საინტერესო ისტორიაა სოფლის სახელწოდებასთან დაკავშირებით, ტოპონიმების ეტიმოლოგიის დასადგენად მაშინ, როცა ტოპონიმი ახალია და ნიშანი, რომლის გამოც ეს სახელი შეერქვა, ჯერ კიდევ ახსოვთ, სხვაგვარად, გეოგრაფიული სახელი ჯერ არ ქცეულა სახელ სიმბოლოდ. სოფელ ბუჰარეთინში ცხოვრობს შემდეგი გვარები: **გოხიძე, ოთიაშვილი, ართმელაძე, ათაბაკი, ფეხიანოღლი, ქათამაძე, შავარდნაძე/შავართნაძე, ასანოღლი, გოგოლოღლი, სადარაძე, ჩოლოღლი, გოგიტიძე, სამკაცოღლი, გელაძე** (ფაღავა, ბარამიძე, 2013:237).

ბაჰარე - ადგილობრივთა გადმოცემით სოფელ ბაჰარეში ძირითადად ცხოვრობენ ქობულეთიდან და ჩაქვიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლები. ასახელებენ გვარებს: აფაქიძე, გორგილაძე, დიასამიძე, ნინიძე, ბაირახტაროღლი (ქურთოღლი). სოფელში მცხოვრები მემედ ალი აფაქიძის ცნობით: „აფაქიძე ვოცი მოსახლე არის, გორგილაძე - თხუთმეტი მოსახლე, დიასამიძე, ნინიძე არის.. ჩემი ქალი ქათამაძეა. აქა არაფერი არ ხონდეს, სახლი არ ხონდეს, მიწა არ ხონდეს.

ესქიბაზარში მუუციან, იქანაი კაი წყალი არ იყო, ამ სოფელში ამოსულან, ერი წყალი უნახავან, აქ კაიაო, დასახლებულან. აქანაი ტყეი ყოფილა, მთავრობას უთქმია ყველამ მისის გასტეხოს და მისის იყოსო. მერე ქალაღდი მუცემიან“ (ფალვა, 2013:241,242).

თონგელდუზი - ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებაა, ცხოვრობენ გავერბი: კენჭოშვილი, მიმინოშვილი, თამაზოღლი, ხოჯიოღლი, ინაიშვილი, შავიშვილი, ცენტერაძე, ხოლო სოფელ ჩაქაში (სოფელი აზიზიე) ჩელებოღლი, ქათამაძე, გოღმანიძე. (მთხობელი - ოსმან კენჭოშვილი).

გოღქოი, ჯიჰადიე - ძირითადად ცხოვრობენ მაჭახლელები: მოღოღლი, ლონკროღლი, საღიხოღლი, ბექიროღლი, ქოსოღლი (ფალვა, 2013:243).

იენი საიჯა (ულუბეის რაიონი, ორდუს პროვინცია) - ძირითადად აჭარიდან და მაჭახლიდან წასულ მუჰაჯირთა შთამომავლების სოფელია. სულაეთინ ქავთარაძის გაღმოცემით: „ამ სოფელში მაჭახლელები ბევრი არიან. ბაუჟოღლია ქობულეთიდან, დავთეროღლი არის, ქელაჰმეღოღლი, ქემიშოღლი, ფასიოღლი არის, ქავთარეთიდან მოღაოსმანი ჩამოსულა, ჩვენი დიდვანები აქ რომ ჩამოსულან, ესქი ბაზარი არია, იქ დუჟდუმლებიან, სივრისინეგი (ფუცუნცველა) ყოფილა, გუუგდიან, წესულან მაღლა ტყეიფში. ჩვენ მემრე ჩამუელთ აქ“ (ფალვა, 2013:238,239). გარდა ამისა სოფელ იენისაიჯაში ცხოვრობენ: ქათამაძეები, მჟავანაძეები, ტაკიძეები, ნათიძეები, ქამადაძეები, ჯინჭარაძეები (ნიკოლეიშვილი, 2016:44).

შირინ ქოი - შერეული სოფელია. შემდეგი გვარები ცხოვრობენ: ბაუჟაძე, ტაკიძე, რომანოღლი - ჩურუქსუელი, კიბორიძე, დავითელოღლი, ყავეჯოღლი - მაჭახლიდან, კოპიაშვილი - ორდუდან მოსული ჩუქუსუელი. ნიზამეთინ ბაუჟაძის გაღმოცემით: „ჩვენი დედები მუსლიმანობიზა აქ ჩამოსულან: შვილები, ქალები წამუყვანიან. იგინი კაი ყოფილან, ჩვენ კაი არ ვართ: არ იღოცვენ, არ იკითხვენ, სხვებს კიდევ ვჯობივართ, ჩვენებურები სხვისას არ შეჰამენ, კაი არიან“ (ფალვა, 2016:191).

რეფაიე - ძველი ქორქუზია. ადგიღობრივთა გაღმოცემით: „ჩვენები ასოცი წელიწადის წინ აქ ჩამოსულან. აქ ბევრი გვარი ცხოვრობს: ქავთაროღლი, ბექიროღლი, გუნდარიძე, აბესღამიძე, ვატასიძე (ქემიშოღლი) - ქემიში ყოფილა ერთი დიდი დედი, კობრიძე, დერიაღოღლი. დიდი ნენეი ბაუჟოღლი - ჩურუქსუელი“

(ჯემალ აბესლამიძე-სოფელ რაფაიეს მკვიდრი). თავდაპირველად სოფელში თორმეტი ოჯახი მოსულა და შემდეგ გამრავლებულა.

თაჭთაბაში - ქობულეთელ მუჭაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ: „გოგიტიძე, გოგიტიფხე, ბაუჟოლი, ცეცხლაძე/ცეცხლაიფხე, შევარდნაძე, ჟავანაძე/ჯავანაძე/მჟავანაძე. ბაჭრი შევარდნაძის გადმოცემით: „ბაბაი ექსი წლის ყოფილა, უნიედან მოსულა დიდნენის ერთგან. ჩემი ნენეი ცეცხლაძე იყო“ (ფაღავა, 2016:135).

ორდუს ილის უნიეს ილჩეში (რაიონში) აჭარლები ქობულეთელებთან ერთად ცხოვრობენ: ჩათალფინარი - ჩურუქსუ/ქობულეთი; ქუმჩა - აჭარა; მეტროპოლი-აჭარა, ქობულეთი; გუზელიალი - აჭარა; თეფეოი - ჩურუქსუ; ბაშქოი - აჭარა; გოლიანი - აჭარა; ჩუბუქლუ - აჭარა; დივანე-აჭარა; კუმარლი - აჭარა; ჩათალთეფე - აჭარა; ექინჯული - შერეული სოფელია. აჭარლები ცალკე უბნად ცხოვრობენ, არიან მაჭახლელებიც.

ორდუს პროვინციის ქართული სოფლები			
დასახლებული პუნქტი	ქართველი ოჯახთა რაოდ.	ძველი გვარი	წარმომავლობა
უნიე		გურჯუოლლები, მენტეშოლლები, ჩილოლლები, ირთემები, ჩალოლლები, ხაშიმოლლები, ჩაბიბოლლები...	აჭარა ბათუმი ქობულეთი
ალიდერე	50	ლორქიფანიძე (ბერბეროლი), ყარამედოლლები	ქედა დოლოგანი ხოხნა
ბოზდალი	50-60	გოგიტიძე, შავიშვილი, ლომაძე, ვასაძე, სუქნიშვილი, მოლამედოლი, ნაკაიძე კაკალოლი, ცეცხლაძე, ვერულიძე, ელიმოლი, ჩავუშოლი, ჯინჭაროლი, მჟავანაძე, ინაიშვილი, გოხიძე,	ქობულეთი ალამბარი ლეღვა

ჩათაღფინარ ი (ძველი შენგული)	-	ნინიძეები, ბეჟანიძეები, შუბლაძეები, გოგიტიძეები, თამაზაშვილები, ინაიშვილები, მოწყობილი, ბასილაძეები...	ჩურუქსუ/ ქობულეთი
მეტროპოლი		ჯინჭარაძე, ქათამიძე, ანანიძე, მორჩილაძე, ბედინაძე, ყადიოლი, მემიშოლი, მოლა მამუდ ოლი, ინაიშვილი, ხახუტოლი (ფაცაში), ნინიძე, ანანიძე (ფაცაში), ბეჟიოლი, ბაჯელიძე (ფაცაში), კოპოლი (აჭარელი), შაქაროლი	აჭარა, ქობულეთი
თექერაზი	-	ჩილოდლები და სეფეროდლები	მაჭახელი
არმუნთეფე		ილიასოდლები, თექეახმეთები, ქესქინები.	აჭარა
ქირანი		ხასანოდლები (ქათამიძე), ხალილხოჯები.	აჭარა
ექინჯიქში		მეჯიდოდლები, მოლა-სულეიმანები, ქაბა-ოსმანოდლები, ილიასოდლები, ჩილოდლები, ჩონგოლოდლები, იეთიზოდლები, მეჰმე-დუსტები, შაჰნაოდლები, ილდიზოდლები, სეფეროდლები, ჩელეზოდლები, მაჰმუდოდლები.	მაჭახელი
ქირაზარა	350-მდე	მეჯიდოდლები, მოლა-სულეიმანები, ქაბაოსმანოდლები, ილიასოდლები, ჩილოდ-ლები, ჩონგოდლები, იეთიზოდლები, ქეჰიები, მეჰმედუსტები (ლომანები), შაჰნაოდლები, ილდიზოდლები, ემრულოდ-ლები,	მაჭახელი

		სეფეროლლები, ჩელებოლლები.	
ესენთეფე (ქაბაქულაკი)	125-მდე	დერვიშოლლები, ბექიროლლები შერიფოლ-ლები, ჰაჯიოლლები, ლეზიკოლლები, იმა-მოლლები, ცომოლლები, ლომიოლლები	მაჭახელი
აქბაბა		მოლოლოლი, ჩილოლლები/შლაპოლლები ო თოფალოლლები	შავშეთი მაჭახელი
აქჩაი	-		მაჭახელი
დუაიერი		კონცელიძე, მჟავანაძე, შავიშვილი, მორჩილაძე, კაკალაძე, მამოლოლი (მამულაძე), მეგრელიძე, ბეჟიოლი (ბეჟანიძე), ცეცხლაძე, ანანიძე.	ქობულეთი ალამბარი
ქუმარლი	30 კომლი	ოდუნჯოლი, ნაჟვერდოლი, მურადიშვილი, გურგენიძე/გურგენიშვი ლი	ბათუმი
ბუჰარეთინი		გოხიძე, ოთიაშვილი, ართმელაძე, ათაბაკი, ფეხიანოლი, ქათამაძე, შავარდნაძე/შავა რთნაძე ასანოლი, გოგოლოლი, სადარაძე, ჩოლოლი, გოგიტიძე, სამკაცოლი, გელაძე.	ქობულეთი
თონგელდუ ზი		კენჭიშვილი, მიმინოშვილი, თამაზოლი, ხოჯიოლი, ინაიშვილი, შავიშვილი, ცენტერაძე.	ქობულეთი
გოლქოი, ჯიჰადიე		მოლოლოლი, ლონკროლი, სალიხოლი, ბექიროლი, ქოსოლი	მაჭახელი
ბაჰარიე		აფაქიძე, გორგილაძე, დიასამიძე, ნინიძე, ბაირახტაროლი (ქურთოლი).	ქობულეთი ჩაქვი

იენი საიჯა		ბაუჟოღლეზი, დავთეროღლი, ქელამედოღლი, ქეშიშოღლი, ფასიოღლი.	ნარევი: აჟარა, ქობულეთი, მაჟახელი.
შირინ ქოი		ბაუჟაძე, ტაკიძე, რომანოღლი, კიბორიძე, დავითელოღლი, ყავეჯოღლი-მაჟახლიდან, კოპიაშვილი-ორდუდან მოსული ჩუქუსუელი.	ქობულეთი მაჟახელი
რეფაიე	15-20 კომლი	ქავთაროღლი, ბეკიროღლი, გუნდარიძე, აბესლამიძე, ვატასიძე (ქეშიშოღლი), კობრიძე, დერიალოღლი.	ქობულეთი
თაჟთაბაში		გოგიტიძე, გოგიტიფხე, ბაუჟოღლი, ცეცხლაძე, შევარდნაძე, ჟავანაძე/ჯავანაძე /მჟავანაძე.	ქობულეთი

ორდუს ილის სოფლებში ძირითადად მუჟაჯირთა სამი ნაკადია დასახლებული. ესენია: 1) აჟარლები - აჟარისწყლის ხეობიდან გადმოსახლებული ქართველები; 2) ჩურუქსუელები (ქობულეთლები); 3) მაჟახლები და იკვეთება მუჟაჯირთა მეოთხე ნაკადიც - ბათუმელები. ამ ნაკადებს მნიშვნელობა აქვს აჟარის „ქვეყნებად დაყოფისა და აჟარული კილოს კილოკაური შემადგენლობის საკითხისათვის (ფაღავა, 2016:118). თითოეული ნაკადი კომპაქტურადაა დასახლებული და ცალკე სოფლები აქვთ შექმნილი. იშვიათადაა შერეული დასახლებები.

ე) ბოლუს პროვინცია: ეფთენი (გოლიაქას ილჩე) სოფელ ჰამამუსთუს და ჰაჯიააქუფის შემოგარენს ჰქვია. ეფთენის ქართველების უმეტესობა აჟარისწყალზე მდებარე სოფელ წონიარისიდანაა წასული. ასევე იხსენებენ ზეგანს, ქედას, ზვარეს, ლოდას, გულებს, ვანს და ა.შ. ზუსტად არავინ იცის, ქართველებმა როდის აითვისეს ეფთენის მიწები. გადმოცემით იციან, რომ 1877-1878 წლების შემდეგ, წონიარისელები გადასახლდნენ ეფთენში. როგორც თვითონ ყვებიან, ისინი ჯერ სტამბოლში, შემდეგ კი აქქოჯაში, სინოპში, სამსუნში, ორდუსა და გირესუნში ჩაიყვანეს. მიზანი მათი

გაფანტვა კი არა, ბათუმთან დამაკავშირებელი პორტების განახლება იყო. როგორც იმ დროის ქართული პრესა („კავკაზი“, „დროება“, „ივერია“) იუწყებოდა: „ადამიანებმა ჩალის ფასად გაყიდეს მიწა და ყველაფერი, რაც კი ხელთ ჰქონდათ. ჩავიდნენ პორტებში და თვეების განმავლობაში გემებს ელოდებოდნენ, ამ ლოდინში ბევრს ფული გაუთავდა და გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა.“ წონიარისელების ერთი ნაწილი გემ „იავუზით“ გირესუნის პორტში ჩავიდა და ქეშაფის ილჩეში დასასახლებელი ადგილის ძებნას შეუდგა. დუზჯეს პროვინციის სოფელ ეფთენში ცხოვრობენ: ჩელები- ჩელებიოღლები (ჩელებადეები), იავუზები-საქალარი (ისმაილადეები), ჩაქარები-ილდიზები (ქინდაშვილები) - გოგიტიძეები, გულები - აქაბები (გულაშვილები - კვირხილადეები), ქილიჩები (მოლააჰმედიძეები), მეზარჯიოღლები (დიასამიძეები) და ა.შ. მათ შერჩეული ადგილი მოეწონათ და დააფუძნეს სოფელი. აქ 10-15 კმ-ში მათ დასახლებული ჩერქეზები და ადგილობრივი თურქები დახვდათ. აქვე მცხოვრებმა რამდენიმე სომხურმა სოფელმა მალევე დატოვა რეგიონი. მართალია, მათ დასაწყისში სხვა დამხვდურებთან შეუთავსებლობამაც იჩინა თავი, მაგრამ ეს მალევე დაიძლია და დროთა განმავლობაში მათთან და ორდუს, ტრაპიზონისა და გირესუნის მოსახლეობასთან ერთად დაიწყეს მშვიდობიანი თანაარსებობა (ჩელები, 1998, №5). ბოლუს ილის ქართულ სოფლებში ძირითადად აჭარისწყლიდან, წონიარისიდან გადასახლებულთა შთამომავლები ცხოვრობენ.

ვ) დუზჯეს პროვინცია: ამ მხარეში ძირითადად აჭარისწყლის ხეობიდან (ხულოს, შუახევის და ქედის რაიონები) და ბათუმიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლების სოფლებია, მხოლოდ ორიოდე დასახლებაა მაჭახლელების და ნიგალელების. მათი ფუძე სოფლებია: ღორჯომი, ჭალა, ზემოხევი, ბრილი, ახალდაბა, წონიარისი, გონიო, მირვეთი და სხვა (ჩოხარაძე, 2016:289).

გურჯუჩიფთლიქი - მდებარეობს ქალაქებს დუზჯესა და იალლიჯას შორის. საქართველოდან წამოსულმა სოფლის მცხოვრებლებმა ახლად დაარსებულ სოფელს გურჯუჩიფთლიქი (ქართული სოფელი/მეურნეობა) უწოდეს. აი როგორ აღწერს საქართველოდან, სოფელ ახოდან გადმოსახლებული 80 წლის სელიმ მაჰაჰიროღლუ გადმოსახლების ამბებს: „ჩვენ სტამბოლში გემით ჩავსულვართ. გემს ღუზა ბათუმში

ერთი თვით ჩაუშვია და იქ გაჩერებულა. ვისაც სურდა წამოვიდა, ვისაც არა - საქართველოში, სოფელ ახოში დარჩა.. სახელმწიფომ ჩვენ ადგილი ადანაში გამოგვიყო. ჩვენ ის ადგილები მივატოვეთ და ჩვენი ხარჯებით დუზჯესთან დავსახლდით. ეს ადგილები მამაჩემს 60 ოქროდ შეუსყიდია. ზოგიერთი ჩვენი ნათესავი იზმითში და სხვა სოფლებში დასახლებულან. მათთან მიმოსვლა და ურთიერთობა ახლაც გვაქვს“ (ჩელები, 2003).

მუჯურლუ - სოფელში მოსახლეობის 40% ქართველია. სოფელ მუჯურლუს შემადგენლობაში შედის 5 უბანი (მაჰალე). ესენია: ბესნი, შაფსი, იშიქ მაჰალესი, ელმალიქ მაჰალესი, ესას მერქეზ მაჰალესი. მუჯურლუს ქართველობა **ღორჯომიდან, შუახევიდან და ჭვანიდან** მოსულთა შთამომავლები არიან.

ჩიფთლიქი - აჭარლების სოფელია: შუახევი, ახალდაბა, ქედა, ჩვანა (ჭვანა), ქობულეთი. ცხოვრობენ: მაკარაძე (მაკარაშვილები), ბერიძე, კობალაძე, კირხველა (კირხველი/კირჩხელი?) სოფელ შიმშირში მაჰმუდ მერჯანი/კობალაძის გადმოცემით: „ორმოცი სახლია ქართველების: შირინოღლი, ჯემტეროღლი, ხილაძე, კოკოლოღლი (ქარცივაძე), ასტანოღლი, კობალაძე, კარააბდოღლი“ (ფალავა, 2016:427,428).

იეშილ თეფე - დუზჯედან 15 კილომეტრშია. თახსინ ბირინჯის გადმოცემით, სოფელში ცხოვრობენ: ბირინჯოღლი, სეიდოღლი, ქაზანჯოღლი, ქარაქოშანოღლი, ქოშანოღლი, შავშეთლი. აგინი ლაყაბებია, იქიდან მოსული ლაყაბები. სოფელში იუზალთი (106) ოჯახია, აჭარლები ვართ. დედეი იქიდან მოვდა“ (ფალავა, 2016:430). ჩამოთვლილი სახელები, რა თქმა უნდა, გვარები არაა. ასეთი შერქმეული სახელებიც მათი წარმომავლობის სახელებია მეტსახელად ქცეული და თითოეულ მეტსახელს თავისი „წარსული ისტორია“ აქვს.

მახირაღა (დუზჯეს პროვინცია - ჩილიმლის უბანი) - სოფელში 70-მდე ოჯახია, აქედან 20% ქართული. ხუსეინ გელაძის (ქურთი) გადმოცემით: „ბათუმიდან წამოსულებს ამბობენ ჩვენზე, აჭარიდან. გელოღლი, ოდაბაშოღლი, ჯემტეროღლი, ჰელიმოღლი, ბაირაქი. მეტი არაა“. დუზჯეს ილის აქქოჯას ილჩეში მდებარეობს სოფელი **ჩიჩექფინარი** - 80-მდე ოჯახია, ქართული არ იციან (ფალავა, 2016:431).

დუზჯეს პროვინციის ქართული სოფლები			
დასახლებული პუნქტი	ქართველ ოჯახთა რაოდ.	ძველი გვარი	წარმომავლობა
გურჯაუჩი ფთლიქი			სოფ. ახო
მუჯურლუ	40%		ჭვანა ლორჯომი შუახევი
ჩიფთლიქოი	40 ოჯახი	მაკარაძე (მაკარაშვილები), ბერიძე, კობალაძე, კირხველი/კირჩხელი?	ქობულეთი შუახევი ახალდაბა ქედა
იეშილთეფე	106 ოჯახი	ბირინჯოღლი, სეიდოღლი, კაზანჯოღლი, კარაკომანოღლი, კომანოღლი, შავშეთლი.	აჭარა
მახირაღა		გელოღლი, ოდაბაშოღლი, ჯემტეროღლი, ჰელიმოღლი, ბაირაქი	აჭარა
ჩიჩქეფინარი	80 ოჯახი		აჭარა

ზ) სამსუნის პროვინცია - სამსუნის პროვინციაში ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებული 37 სოფელია, მათ შორის ერთი კლარჯული დასახლებაა, სოფელი იურთდაღი (ფუძესოფლები: ებრიკა, ვალაში, ბაგინი, დევსქელი), რომელიც ვეზირქოფრუს რაიონშია. შესაძლოა კლარჯებისა იყოს ბაფრას რაიონის ორი ქართული სოფელიც. სხვაგან ქობულეთიდან, ბათუმის მიმდებარე სოფლებიდან, მაჭახლიდან და ქედიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ. ბევრგან ჭირს ფუძესოფლების დადგენა, თუმცა შეიძლება დავასახელოთ დაგვა, ხუცუბანი, სოფ. ქობულეთი, ორთაბათუმი, ხელვაჩაური, მახო, მაჭახლისპირი, ჩხუტუნეთი, ზედვაკე, კვაშთა, ვაიო, მახუნცეთი, ბზუბზუ და სხვა.

ისევე, როგორც სხვა პროვინციების შემთხვევაში, სოფლები ზოგი შერეულია და ზოგიც მხოლოდ ქართველებით დასახლებული, ზოგი პირველი თაობის მუჰაჯირებს დაუარსებიათ და ზოგიც ქართველები გვიან ჩასახლებულან - შიდა მიგრაციის შედეგად (ჩოხარაძე, 2016:288).

ქუშჩა (თერმეს რაიონი) - სოფელში ძირითადად აჭარიდან - ქედის რაიონიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ. ხასან ჩიკვაიძის გადმოცემით: „ქუშჩაში ჩიკვაიძე ხუთი მოსახლე ვართ. აქ ლორთქიფანიძე (კარაჰმედოღლი), სირაბიძე - გონიოღლი//ღონიოღლი, გოგიაშვილი.. ძმები ყოფილან. პირველათ ქვეითებში ყოფილან. იქა ბუზი ყოფილა. მერე კაი იერი იყოსო და აქ ამოსულან. უნიეში ჩვენი ახრაბაები არიან. ენ ბევრი დევაძეა - სოფელში ოზდახუთია, გარეთ ასოზდახუთია. თქვენი ერთი დედეი გამოქცეული იყო, ორმოცი წელი აქ იყო, მოკტა. მაშინ იკავებდენ იმას რუსები, გამოიქცა, აქ დეიმალა. ქალ-ბაღანა დუუტეგია, გამოქცეულა. ორ წელიწად ტყეში ვიყავ. გამოვქეციო იტყოდა. ხასანა ტაიაი ქვიოდა ბათუმელ დედეს“ (ფაღავა, ბარამიძე, 2013:192,194). ხუსეინ ლორთქიფანიძის გადმოცემით: „დიდი სოფელია, ყველაი ქართველია, ერთი მეგრელია, ლაზია. სამსუნის ვილაეთი, თერმეს ილჩეს სოფელი ქუშჩა//კუშჩა. ყველაი აჭარელია. ლორთქიფანიძე არი, ფარსენაძე არი, ბერიძე არი, კალაჯიოღლი-ჩიკვაიძე. პირველი მოსულები არიან 1877-78 წლებში მოსულები. გურჯი სოფლები, რამდონი მახსოვს ჩამოგითლი. კვიდრე ქართული სოფელი არ არის, გადარეველები არიან: ქესიქკაია, კოზლუგი-ორი სოფელი (ფაღავა, 2013:196).

აქჩაი (თერმეს ილჩე) - ძირითადად მაჭახლელები ცხოვრობენ. ხუსეინ ნაგერვაძის (უზუნის) გადმოცემით: „დედის მამა, ომერი ჩამოვიდა ჩხუტუნეთიდან. უნიას ზეიდან ექინჯულში დასახლდა. მერე აქ გადმოვიდნენ. დედაი ჩელებაძე მყავს ემინე. ქალი ნიჟარაძე მყავს, ვაიოელი. ჩვენ სოფელში არიან: ლომინაძეები (ლომანოღლები), ხახუტაიშვილები, ჩელებაძეები (ფაღავა, 2016:59).

დუმანთეფე (მგ. ჯილარი - თერმეს რაიონი) - აჭარლების სოფელია. ძირითადად ქედის რაიონიდან წასულები ცხოვრობენ. 5-6 კომლია დარჩენილი. ასახელებენ გვარებს: დევაძე და ერისთავოღლი.

ქესიქქაია (თერმეს რაიონი) - სოფლის სახელი ქესიქქაია, ორად გაჭრილ ქვას ნიშნავს (**ნიკოლეიშვილი, 2016:110**). სოფელში ძირითადად ქედის რაიონის სოფელ კვაშტიდან გადასახლებულ მუჭაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ -150 მდე კომლი, თუმცა სოფლის ზემოთ არის რამდენიმე კომლი მაჭახლელი და ჩურუქსუელი. მემედ ქილიჩის (სირაბიძე-71 წლის) გადმოცემით: „აჭარიდან, ქედადან მოსულან ჩვენი დიდვანები, ამ ადგილას ერმენები (სომხები) ცხოვრობდნენ და გურჯებს გუუქცევან. ცხოვრობენ: სირაბიძე, ბერიძე, ანანიძე, ცივაძე, ქათამაძე, კონცელიძე, ერისთავოღლი, შარაბიძე, ხაჯიოღლი (ხაჯიშვილი), ჩხეიძე, გენჯალოღლი, ქარანოღლი“ (**ფუტკარაძე, საველე..2016:30**). სოფ. ქესიქქაის უბნებია: ა) დემირჯოღლი მაჰალე -10 კომლი გურჯი; ბ) ორმანქოი - 10 კომლი; გ) ყაიაჯიქ მაჰალე - 15 კომლი; დ) ულიდერე მაჰალა - 8 კომლი; ე) უჩფუნარ მაჰალე - 10 კომლი; ვ) ორთა მაჰალე - 40-50 კომლი; ზ) ქოზლუქ მაჰალე - 25 კომლი. ადგილობრივთა მეხსიერებაში შემორჩენილია რამდენიმე ტოპონიმი: კალოთა ყანა, წისქვილისკარი, დიდღელე, გაღმა ყანა, მაღლაჭალა.

ქოჯამანზაში (თერმეს რაიონი) - შერეული სოფელია, ლაზები, თურქები და გურჯები (50 კომლი) ცხოვრობენ. ქართულის მცოდნეს ერთი-ორს თუ შეხვდები, ისიც ძალიან მოხუცებულს. ვერ ასახელებენ გვარებს, იციან მხოლოდ ის, რომ მათი წინაპრები გურჯები ყოფილან (**ფუტკარაძე, საველე..2016:33**).

სალიფაზარის მიდამოებში ძირითადად ცხოვრობენ ჯაფარიძეები, ვარშალომიძეები, ფუტკარაძეები, ცენტერაძეები, პილპილაძეები და ჯინჭარაძეები, ჩახვაძეები. ომერ ილმაზის გადმოცემით: „ჩემი დედე (ბაბუა) რიზვან ალა წამოსულა ბათომის მხრიდან. ქვეით ალაგებში ზღვასთან ახლოს, დაბლობში უნდა დამდგარიყვნენ. რიზვან დედეს წყალი ამოულია და ცხენ არ დაუღევია. აქ ვერ დავდგებითო და ზემოთ, შეერში ამოსულა. აქ ტყეც ბევრი ყოფილა და ტყეებიდან წყაროებიც გამოდიოდა. ართვინ-მურღულიდან წამოსულებიც გვერიენ, ბევრი უკან გაბრუნებულა, ჩვენები დარჩომილან (**შოშიტაშვილი, 2015,№2/50**). ქართველმა ახალმოსახლებებმა მრავალი სიახლე ჩაიტანეს თურქეთში. საოჯახო და სამეურნეო იარაღები, საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობების მშენებლობის ხერხები, შრომითი ჩვევები. ბევრი რამე გადაიღეს თურქებმა ქართველებისაგან. სოფელ

სალიფაზარის მკვირდ ადემ ილმაზის მიხედვით: „სახლის აშენება აქაურ თურქებს ჩვენებურებმა დაასწავლეს. ჩვენამდე დაბალი სახლები ქონიათ, მთელი ოჯახი ერთ დიდ ოთახში, დატკეპნილ მიწაზე ცხოვრობდა, შუაცეცხლი ენთოთ. ჩვენგან დეისწავლეს ორყათიანი (ორსართულიანი) ხის სახლის აგება. ყანის გაფხეკაც (გამარგვლაც) ჩვენ დავასწავლეთ. დიდი ალა იყო აქოური ზიაბეგი. რო უყურა ჩვენების თოხნას ყანაში, დედესთან ჩამევიდა - კაცი მინახეთ და მეც გამაფხეკინეთ ყანაო. 15 წლისა ვიყავი და მეც გავყევი ჩემიანებთან ერთად დასახმარებლად, შევედით ყანაში, დევიწყეთ თოხნა. გვიყურებს ზიაბეგი და იძახის, ჰემ (თან) მღერიან, ჰემ მარგლიან, ჰემ სიმინდებსაც ჭრიანო... გაგიჟდა კაცი, რამე არ დატიეს, ყანა გაჭრენ სულო. ხმამაღლა ვერაფერი თქვა. ვერ გაეგო, სიმინდს რატომ ვათხელებდით, მარა სთველზე რო სიმინდი მოვიდა და ნალიამ ვერ ასწია, ამის მერე დეისწავლეს თოხები. თხილიც ბათომიდან გადმოუტანიათ. ბევრი სხვაც რამე წამოუღიათ: შავი ყურძენ, ბათომმსხალი, ბათომელა (ვაშლი), კავალი ვაშლი, ლეღვი“ (**შოშიტაშვილი, 2015, №2/50**). სალიფაზარში რვა სოფელია ქართული: ქესტანეფუნარი, კარადერე, ყარაჯვანის ნახევარი, იენი დოღანი, ფიდანჯული, ყარამანის ნახევარი, ოსარასანი, გა'რქერ, მუსლიბეი. ადემ ცენტერადის გადმოცემით კი: „დედის ბაბაი წამოვდა, სავაშზე წამოვდენო, ვოთხი ძმა წამოსულა. ზოგი იქა მუუკლიან, წამოსლიხან, ჭოროხზე მუუკლიან. ცოლიანები იყვენ, ბაღნებითურთ წამოსულან. ბათუმიდან, ორთაბათუმიდან მოსულან ჩვენი ძველები“ (**ფაღავა, 2016;163**).

მუსლიბეი (სალიფაზარის ილჩე) - მაჭახლელების (სინდიეთელები, ჩიქუნეთელები) და აჭარლების სოფელია. სოფელში ახალგაზრდობამ ქართული არ იცის. ორჰან იავუზის (კვირიტიძე) გადმოცემით: სოფელში ცხოვრობენ სხალაძე და კვირატიძე (კვირიტიძე). „თლათ ერთპილაი მოსულან გომპეროღლები არიან, მაჭახლიდან და.. ასდაორმოცდაათი წელიწადი გასულა, დავიწყებინ გურჯული. იმტე ჩიქუნეთიდან, სინდიეთიდან ჩამოვდენ. ერთი წყალი უნახიან, შკერის ფურცლით დუუმალიან, მერე გამოთხარეს, აქ დასახლდნენ“ (**ფაღავა, ბარამიძე, 2013:230**). მუსლიბეი სოფელ იენიქოიზეა მიბმული და ქართული დასახლებაა.

სოუქი (სალიფაზარის ილჩე) – 10 კომლი გურჯი ცხოვრობს - ტურიოლლები, ხოლო სოფელ ასთეფეში - 15 კომლი - ბაიხტარები, სოფ. ყარაჯაიდელებში - ცენტრაძეები 5-6 კომლი. მაჭახლელთა სოფლებია.

ქუმჭულაზი - ჩურუქსუელების (ხუცუბანი, სოფ. ქობულეთი, სამება) სოფელია. ოსმან ქილიჩის (ჩხაიძე - 78 წლის) გადმოცემით: „ბაბას ბაბაი ხულუსაი და მისი სამი ძმა გამოქცევლან ჩურუქსუდან. ერთი ძმა ოფში დასახლებულა, ერთი სალიფაზარ გასულა და ერთიც აქ (სოფ. ქუმჭულაზი) დასახლებულა. 120-130 კომლი გურჯი იქნება“, ასახელებს გვარებს: „გოგიტიძე, ჩხაიძე, ცივაძე, გოლომონიძე, გოლიაძე, ტაკიძე (ყარაბაჯიოღლი), ხაჯიშვილი (ხაჯიოღლი), კონცელიძე, ხინიკაძე, ხელიმოღლი, ჯესუროღლი, ჯაბოღლი, რუსუბოღლი, რამიზოღლი, მურადოღლი“ (ფუტკარაძე, 2016:24,25).

ქესტანეფინარი (ჩარშამბას ილჩე) - მაჭახლის სოფელ ზედვაკიდან წასული მუჰაჯირთა შთამომავლების სოფელია. ადგილობრივთა გვარებია: ჩოლოღლი, დემირსალოღლი, აბდიოღლი, სარიოღლი, სელიმოღლი. 150-200 კომლია, თუმცა მოსახლეობის უმეტესი ნაწილი დღეს ქალაქებშია გადასული.

გულიაზი - შერეული სოფელია. ძირითადად ცხოვრობენ მაჭახლელები (სოფ. ზედვაკე) და აჭარლები, თუმცა გვხვდება რამდენიმე ოჯახი ჩერქეზი და ლაზი. ბედრი ფინარის (ზაქარაძე) გადმოცემით: „ბათუმიდან, მაჭახლიდან მოვსულვართ, ჩვენ ადგილ ზედვაკეს ეტყოდენ. სულ 80 კომლი ქართველი ცხოვრობს, უმეტესობა ზაქარაძეა. სოფ. გულიაზიში ქართველთა შთამომავლები ცხოვრობენ: 1) მემიშოღლი მაჰალეში - 25 კომლი; 2) მურთაზოღლი მაჰალეში - 15 კომლი; 3) ჩერქეზლერ მაჰალეში - 2 კომლი; 4) სამსახიაზი მაჰალეში - 24 კომლი; 5) ჩელიკაევი მაჰალეში - 4 კომლი; 6) ემინჰან მაჰალეში - 24 კომლი; 7) დერვიშლერ მაჰალეში - 7 კომლი.

ჩათაქი - მაჭახლიდან (აჭარის აღმართი) გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლების სოფელია. 5 კომლია დარჩენილი. **ყარაბახჩე** - 4 კომლი ცვაბაძე ცხოვრობს. **აჰუბაბა** - 9-10 კომლია დარჩენილი, მაჭახლელების სოფელია. ცხოვრობენ ციობაძეები და ვაცაძეები. **ოვაჯიქი** - სოფელში ქართველთა შთამომავლები არიან, მაგრამ ქართული არ იციან და გაფანტულად ცხოვრობენ.

სამსუნის ვილაეთის ლადიქის რაიონში მდებარეობს ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლება **ჰაჯიალფინარის უბანი** და მასში ბათუმიდან გადმოსახლებულები ცხოვრობენ. გადმოცემის თანახმად, ეს უბანი დაუარსებია მაჭახლის სოფ. ჩხუტუნეთიდან გადმოსახლებულ 15 კომლს. ჰაჯიალფინარის უბანმა ეს სახელი („ფინარი“ თურქულად „წყაროს“ ნიშნავს) წყალუხვი წყაროსგან მიიღო. დასახლების ცენტრში მდებარე ეს წყარო ბათუმელმა ომერ ბაირაქთარმა განაახლა. მასზე ოსმალური წარწერა და თარიღი ჰიჯრით 1327 წელი წერია (1911/12 წ - ნ. ფ.) ზოგიერთ ოფიციალურ წყაროში ვკითხულობთ, რომ ბათუმიდან გადმოსახლებულნი ჰაჯიალფინარში 1878 წლის 13 ივლისს მოსულან (**ქორქუნთი, 2002, №43**). ჰაჯიალიფინარის უბანს სხვანაირად „გურჯუ მაჰალესი“ (ქართული უბანი) ჰქვია.

სამსუნის ილის მიმდებარე სოფლებში ძირითადად აჭარიდან და მაჭახლიდან გადასახლებულთა შთამომავლები ცხოვრობენ, თუმცა ასიმილაციის პროცესი ამ სოფლებში შორსაა წასული.

სამსუნის პროვინციის ქართული სოფლები			
დასახლებული პუნქტი	ქართველი ოჯახთა რაოდ.	ძველი გვარი	წარმომავლობა
ჰაჯიალფინარი			ჩხუტუნეთი
ქუშჩა	45-50	ლორთქიფანიძე, ფარსენაძე/ფასანიძე ბერიძე, კალაჯიოღლი/ჩიკვაძე, გურგენიძე, დევაძე	მაჭახელი
აქჩაი		ლომინაძე, ჩელებაძე, ნაგერვაძე, ნიჟარაძე	ჩხუტუნეთი
დუმანთეფე	5-6	დევაძე და ერისთავოღლი.	აჭარა ქედა

ქესიქაია	150	სირაბიძე, ბერიძე, ანანიძე, ცივაძე, ქათამაძე, კონცელიძე, ერისთავოლი, შარაბიძე, ხაჯიოლი (ხაჯიშვილი), ჩხეიძე, გენჯალოლი, ქარანოლი	ქედა (კვაშტა), მაჭახელი ქობულეთი
ქოჯამანბაში	40-50	არ ახსოვთ	მაჭახელი
სალიფაზარი		ჯაფარიძე, ვარშალომიძე, ფუტყარაძე, ცენტერაძე, პილპილაძე, ჯინჭარაძე, ჩახვაძე, მაჭუტაძე (იგიოლი)	ასახელებენ ბათუმს ორთაბათუმს
მუსლიბეი		სხალაძე, კვირატაძე (კვირიტიძე).	სინდიეთი ჩიქუნეთი
სოუქი	10	ტურიოლიები	მაჭახელი
ასთეფე	15	ბაიახტარები	მაჭახელი
ყარაჯაილელ ე	5-6	ცენტერაძეები	მაჭახელი
ქესატნე ფინარი	150-200	ჩოლოლი, დემირსალოლი, აბდიოლი, სარიოლი, სელიმოლი	მაჭახელი ზედვაკე
გულიაზი	80	ზაქარაძე	მაჭახელი (ზედვაკე) აქარა
ჩათაქი	5		მაჭახელი (აქარის აღმართი)
ოვაჯიქი			
ყარაბახჩე	4-5	ცვაბაძე	მაჭახელი
აჰუბაბა	9-10	ციობაძეები და ვაცაძეები.	მაჭახელი

თ) სინოპის პროვინცია - სინოპური დასახლებების თავისებურება ისაა, რომ სოფლების უმრავლესობა შერეულია. განსაკუთრებით სინოპის ცენტრალურ რაიონში იშვიათია წმინდა ქართული დასახლება. ქართველები უმეტესად ცხოვრობენ ან

ცალკე უბნად, ან მიმოფანტული არიან მოსახლეობაში. ქართველთა უმრავლესობა ნიგალიდან წასულთა შთამომავლებია. შეხვდებით ქობულეთ-ჩაქვიდან და მაჭახლიდან, ასევე, ზემოაჭარიდან გადასახლებულებსაც (**ჩოხარაძე, 2016:286**). ამ მხარეში, გარდა აჭარელი და მაჭახლელი მუჰაჯირების შთამომავლებისა, ბორჩხიდან, ართვინიდან და მურღულის ხეობიდან იმიგრირებულ ქართველთა მემკვიდრენიც ცხოვრობენ (**ნიკოლეიშვილი, 2016:114**). სინოპში 40-მდე ქართული სოფელია. ამას ემატება ის სოფლებიც, სადაც ქართველები თურქებთან, ჩერქეზებსა და სხვა ხალხებთან ერთად ცხოვრობენ, მაგრამ ზუსტი რაოდენობის დადგენა ქართული მოსახლეობისა ძნელია, რადგან თურქეთის სახელმწიფო ქვეყანაში მცხოვრებ ყველა ეთნოსსა თუ ეთნიკურ ჯგუფს თურქად მიიჩნევს და აღრიცხავს (**შოშიტაშვილი, 2015:№3/51**). სინოპიდან 29 კმ. დაშორებით მდებარეობს **ერფელიქის ილჩე**, რომელსაც სხვადასხვა დროს განსხვავებული სახელები ერქვა: ჯუნიანი, სალავათი, ქარასუ. რაიონის მოსახლეობის ნაწილი თურქია, აქვე მცირე რაოდენობით ცხოვრობენ ქურთებიც (www.chveneburi.net). ერფელიქში მოსახლეობის 40%-ზე მეტი ქართული წარმომავლობისაა, 17% ჩერქეზი, 3% ლაზი, დანარჩენი კი თურქია. ადრე ამ მხარეში ბერძნებს უცხოვრიათ. მათი უმეტესობა 1923 წელს წასულა ბალკანეთში, ბერძენთა სახელმწიფოში. ქართველთა ძირითადი ნაწილი 1878 წელს ჩასახლებულა აქ. მეორე შედარებით მცირე ნაწილი კი-პირველი მსოფლიო ომის შემდეგ (**შოშიტაშვილი, 2015, №4/52**).

1877-78 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად ბათუმიდან და ართვინიდან წასულმა ქართველებმა დააარსეს სოფლები: **ვეისელი** - 200 კომლი ქლასქურელი ცხოვრობს. იციან ქართული. **დერმანჯილი** - 80-90 კომლი ბორჩხიდან გასულ ქართველთა შთამომავლები. ჰიქმეთ იეშილი (გეგიდის) გადმოცემით: „თხილნარიდან ბორჩხას მოვსულვართ, იქიდან დოქსან უჩ³ წამოვსულვართ. ჩვენ დეგიძე/გეგიძე

³ დოქსან უჩ (doksan uç) - თურქულად 93-ს ნიშნავს. აღსანიშნავია, რომ ქართველი მუჰაჯირების პირველი თაობა თავს 93-ის მუჰაჯირებს, რუსეთ-ოსმალეთის 1877-1878 წლების ომს-93 წლის ომს (doksan uç) უწოდებდნენ. აღსანიშნავია, რომ ოსმალეთის იმპერიაში მოქმედებდა ჰიჯრის-ისლამური მთვარის კალენდარი. თანზიმათის რეფორმები კალენდარსაც შეეხო. 1840 წელს შემოღებული იქნა რომაული კალენდარი. პროფ.ზ. შაშიკაძის განმარტებით რეფორმის შედეგად რომაული კალენდრის დღეები გაუთანაბრეს გრიგოლიანული მზის კალენდრის დღეების რაოდენობას, ანუ ჰიჯრისა და რუმის კალენდრებს შორის თერთმეტ დღიანი სხვაობა გაჩნდა, მაგრამ წლების აღრიცხვა დარჩა ძველი. 1870 წლამდე მოქმედებდა ორივე-ჰიჯრის და რუმის- კალენდარი, მაგრამ ოფიციალური სტატუსი

ვართ. ქლასქურში ათანოლი მაჰალეში მოსულან, იქიდან აქ წამოსულან“**(ფალავა, 2016:437)**.

ინჯე მეიდან - სოფელში მაჰახლიდან და ისტორიული კლარჯეთიდან გადასახლებული ქართველების შთამომავლები ცხოვრობენ, რამდენიმე ოჯახი აფხაზიცაა. 82 წლის ოზგენჩ ბრეგვადის თქმით: „ბრეგვადეების ოჯახიდან სამი ძმა წამოსულა მუჰაჯირად ჭოროხის ხეობიდან, ხემა-მარადიდიდან და ქლასქურიდან“ **(შოშიტაშვილი, 2016, №4/52)**.

აბდურაჰმან ფაშა 70-80 ოჯახი ბორჩხელ მუჰაჯირთა შთამომავლები. **იენიჩამი** - 40 ოჯახი შერეული სოფელია. **ბაშარანი** - შერეული სოფელია, ნახევარი ქართველია, ნახევარი სხვა. ჰასან დერე - 30 ოჯახი ჩვენებურია. **ჰამიდიე** ყველა ქართველთა შთამომავლებია, ბორჩხელებიც არიან. ჰათუნქოი 40-50 ოჯახი ქართველია. ცხრა ილჩეა სინოპში მეტ-ნაკლები ოდენობით ქართველი ცხოვრობს. **ბოიაზადი, დურაანი, სარაიდუზი, გითმენი**-ამ რაიონებში ქართული სოფელი არაა. ადგილობრივთა გადმოცემით, შეიძლება ერთი-ორი ოჯახი იყოს. ოსმანიეში - **თოსუმბეი მაჰალეში** 20 ოჯახი ჩურუქსუელი მუჰაჯირთა შთამომავალი ცხოვრობს. **თეფნელიქ მაჰალეშიც** ცხოვრობენ ჩვენებურები. ქართული სოფლებია გურჯეს რაიონშიც: **აქქირაჯი** - ართვინიდან წასული ქართველები, **იუვალი** - 40 ოჯახი ქართველია. **იახადიბი** - ორი მაჰალე ქართველია, 20 სახლი. **ლომანიე** - მაჰახლელები, **დერნეგი** - სელამეთინ ბასილადის გადმოცემით: „სოფელში ცხოვრობს: ბასილაძე, შარაშიძე, კომახიძე **(ფალავა, 2016:438)**.

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ სინოპის ილი, ერფელიკის ილჩე - იენიჩამი - შერეული სოფელია, კლარჯები ცალკე უბნად ცხოვრობენ, ჰასან დერე - შერეული სოფელია, ჰამიდიე-ბორჩხადან წასულები, ჰათუნქოი-შერეული სოფელია, ბორჩხელები ცალკე უბანში ცხოვრობენ. სინოპის ილი, გურჯეს ილჩე: აქქირაჯი - ართვინიდან და ნაჯვიადან, იუვალი - ართვინიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა სოფელია.

რუმის კალენდარს ჰქონდა. ჰიჯრის 1293 წელი ევროპული კალენდრის 1876 წლის 28 იანვრიდან-1877 წლის 16 იანვრამდე პერიოდს შეესაბამება. რუმის 1293 წელი კი-1877 წლის 13 მარტიდან-1878 წლის 12 მარტამდე პერიოდს. შესაბამისად გამოთქმა „დოხსან უჩ“ რუმის კალენდრის გამოძახილია და დღემდე იყენებენ მუჰაჯირთა შთამომავლები **(ჩოხარაძე, 2016:24)**.

სინოპის პროვინციის ქართული სოფლები			
დასახლებული პუნქტი	ქართველ ოჯახთა რაოდ.	ძველი გვარი	წარმომავლობა
ერფელიქი			
ვეისელი	200 კომლი		ართვინი ქლასქური
დერმანჯილი	80-90	დეგიძე//გეგიძე	თხილნარი- ბორჩხა
ინჯე მეიდანნი		ბრეგვაძე	მაჭახლი კლარჯეთი ქლასქური
აფთურაჰმან ფაშა	70-80		ბორჩხა
ჰამიდიე			ბორჩხა
ვეისელი			ქლასქური
თოსუმბეი	20 ოჯახი		ქობულეთი
აქყირაჯი			ართვინი
იუვალი	40 ოჯახი		
იახადიბი	20 ოჯახი		
ლომანიე	20 ოჯახი		მაჭახელი
დერნეგი		ბასილაძე, შარაშიძე, კომახიძე	

მუჰაჯირთა შთამომავლების მონათხრობში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქალაქ ბათუმის შესახებ შემონახულ ეპიზოდებს. თურქეთელი ქართველებისათვის, ტოპონიმი „ბათუმი“ ხშირ შემთხვევაში მოიცავს მთელ საქართველოს, სამშობლოს, „მემლექეთის“ კრებსითი სახელია. როდესაც ამბობენ, „იმ თეფედან ბათუმი ჩანს“ - აქ არა კონკრეტულად ქალაქი ბათუმი და მისი სანახები, არამედ საზღვარს მიღმა დარჩენილი სამშობლოს მიწა-წყლის ესა თუ ის მონაკვეთი

იგულისხმება (გუჯეჯიანი, 2013:297). ბათუმთან (საქართველოსთან) დაკავშირებულია წინაპართა პატივისცემა. მუჰაჯირთა შთამომავლებისათვის „ბათუმი“ ისეთად რჩებოდა, როგორც მას იქიდან მოსული წინაპრები აღწერდნენ: „ჩუენი წინაპარი ბათუმიდან მოსულა“, „ჩემი დედე (ბაბუა) რიზვან ალა წამოსულა ბათუმის მხრიდან“ (სოფ. სალიფაზარი, სამსუნის ილი), „ბათუმიდან წამოსულებს ამბობენ ჩვენზე, აჭარიდან“ (დუზჯეს ილი - ჩილიმლის უბანი), „ბათუმიდან მოვსულვართ, ბაბოს სოფელი იქავრობაა“ (სოფ. ბუჰარეთინი - ორდუს ილი). თურქეთელ ქართველთა მოგონებებში კარგად ჩანს ბათუმთან ძველად არსებული სავაჭრო-ეკონომიკური კავშირ-ურთიერთობების კვალი: „ჩუენი დედები გადადიოდნენ, ფურ-მურ წაიყვანდნენ ბათუმამდე, საჭმელი მიქონდენ, გაყიდნენ, ფარა მოქონდენ. „დედეები ბათუმ წევდოდნენ, იყიდევდენ ჩასაცმელებ“ (გუჯეჯიანი, 2013:299).

ქართველობა, „ბათუმიდან“ მოსულობა ზრდილობასთანაც არის ასოცირებული: „ჩემი ბაბა „დაჯექი“-ს არ იტყოდა, „მობრძანდი“, „აბრძანდი“, - ამბობდა, ბათუმიდან იყო და იქ ასე ლაპარაკობენო“ (გუჯეჯიანი, 2013:300).

ბათუმის ხატება ხშირად ჩანს მუჰაჯირი ქართველების ლექს-სიმღერებშიც. ერთ-ერთი ასეთია სიმღერა „ლალე“. ტექსტიდან ჩანს, რომ მუჰაჯირად წასულს აჭარაში, კერძოდ, ქედაში დარჩენია დედა და სატრფო. ეგონა, საზღვარი არ ჩაიკეტებოდა და დაბრუნდებოდა უკან. მაგრამ საზღვარი ჩაიკეტა და ველარ ნახა საყვარელი ადამიანები:

„ბათუმი და ქედა, რომ დიმირჩა დედა,

წეველ გავხდი ფირალი, დედა დავტყე ტირალი,

მემლექეთის მტრედი, გოგოც დამრჩა ერთი,

იმიტება დერდი, შიმიბრალეებს ღმერთი.

ამოსულო მთვარევ, დედა შემეფარე,

ამოსულო ზითვალო, რამდენი თვე ვითვალო?...

საყვარელი ველარ ვნახე, ბათუმს დიმიფინეს მახე,

ლოცვით თები გადავლახე, გამჩენელო, შიმიინახე“ (ფუტკარამე, მალაყმაძე,

2013:245).

ბათუმის სახე კარგად ჩანს მუჰაჯირი ქართველების შთამომავალთა ლექსებში. ერთი-ერთი ასეთია ნური ეფენდი თავდგირიძის ლექსი „ბათუმიდამ მიდის გემი“, სადაც ვკითხულობთ: „ბათომიდამ მიდის გემი, წყალს მიაპობს კვნესა... გვემით..

აქეთ მრჩება გული ჩემი. ოსმალეთში მიაცილებს, სევდა სულის გადამრჩენი.

ოსმალეთში მივალ მარა, სული სახლში გემეპარა;

სახლი ემიას (ბიძას) მიეზარა, ჯიფეს მიწვავს სახლის ფარა...

ბათუმიდან ვეღარ გვხედვენ, გემი თვალებს მიეფარა.

აჭარლებო თქვენმა შვილმა, მუჰაჯირათ წევდა მარა,

ცხელი ცრემლით დანაცრული, სელამები დიგიზარა...

მომაბრუნე გემო უკან, მომენატრა ჩემ წყლის გემო“ (ფუტკარაძე, მალაყმაძე, 2013:245).

მუჰაჯირთა შთამომავლების მიერ გადმოცემული ისტორიები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მუჰაჯირებმა რთული პერიოდი გამოიარეს. მიდიოდნენ უმძიმეს პირობებში - გემებით, ურმებით, თან მიჰქონდათ მხოლოდ აუცილებელი რამ, რაც შეეძლოთ ეზიდათ. მათი მთავარი იმედი იყო ერთმანეთის თანადგომა და ტრადიციული გამოცდილება ყოფასა და მეურნეობაში, ხელოსნობის სხვადასხვა დარგში, შრომითი ჩვევები, რაც წინაპართაგან მოჰყვებოდათ (შოშიტაშვილი, 2015:24). ჩანს დიდი გაჭირვებით მიაღწიეს გადასახლებულებმა „აღქმულ მიწაზე“, ნაწილმა ვერც მიაღწია, გზაში დაიღუპა. ახალმოსულები პირველად დაბლობში დასახლეს, სადაც ციება და კოლო-ბუზი ბატონობდა, ვერ გაძლეს მუჰაჯირებმა ზღვისპირეთში, ახალი მიწების ძიება დაიწყეს. ადგილმონაცვლეობა ეკონომიკური და ტრადიციული ფაქტორითაც იყო განპირობებული. მოახალშენეები ახალ სამშობლოში ეძებდნენ ისტორიული სამშობლოს მსგავს მიწებს, სადაც შეეძლოთ მოეწყოთ მათთვის ტრადიციული მეურნეობა. მუჰაჯირები სამშობლოს მსგავს ადგილებს არჩევდნენ სახლდებოდნენ და აშენებდნენ სოფლებს. მუჰაჯირები ცდილობდნენ ახალ სამშობლოში მშობლიური კუთხე მოეწყოთ: ახალ სოფლებს და სოფლის ადგილებს ქართული სახელები დაარქვეს. მუჰაჯირები ახალ სამშობლოში დასახლდნენ ხეობებისა და სოფლების მიხედვით. ასე შეიქმნა ოსმალეთის პროვინციებში ქობულეთელთა (ჩურუქსუელთა), აჭარელთა (აჭარისწყლის ხეობა),

ბათუმელთა, შავშთა (და მაჭახელთა), კლარჯთა (იშვიათად შერეულიც) სოფლები (ფალავა, 2016:481).

ზეპირი ისტორიების კვლევა კვლავაც უნდა გაგრძელდეს. ხშირია შემთხვევები, როცა მუჰაჯირთა შთამომავლებს აღარ ახსოვთ წინაპრის ზუსტი გვარი, ანდა სოფელი, საიდანაც გადასახლდა მათი წინაპარი და მოითხოვს დაზუსტებას, მაგრამ ასეთი გადმოცემები ფაქტებზე დაფუძნებულ ისტორიასთან მჭიდრო კავშირშია და ხალხის მეხსიერებაშია დალექილი.

IV.2 ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ეთნომენტალური მარკერები

ა) საქორწინო ტრადიციები. ტრადიცია არის თაობიდან თაობაზე გადაცემული ადათები, წესები, ყოფაქცევის ნორმები, რომელიც ინდივიდში თავისებურად ვლინდება, როგორც მემკვიდრეობით მიღებული ფენომენი და იმდენად ძლიერია, რომ დროს მისი გაუფასურება არ შეუძლია, თუმცა, დროთა ვითარებაში გარკვეულ ცვლილებებს განიცდის, მაგრამ იგი ადამიანის ფსიქიკაში ღრმად იდგამს ფესვებს და მერე მისი მოსპობა თითქმის შეუძლებელია. ამდენად, დრო პერიოდულად ახდენს ტრადიციების გადაფასებას ხოლმე საზოგადოების ცვლილებასთან ერთად, თუმცა ის, რაც ღირებულია დროს უძლებს. ხშირად ტრადიცია ძველდება და თანამედროვეობას ვეღარ უწყობს ფეხს. ხდება მათი გაუფასურება და უარეს შემთხვევაში მათი გაქრობაც კი, მაგრამ მშობლიური მიწიდან გადასახლებულ მუჰაჯირებმა, უცხო ეთნიკურ გარემო პირობებში ცხოვრების მიუხედავად, შეინარჩუნეს ეროვნული თავსებადობა, ყოფისა და კულტურის ბევრი ტრადიციული ელემენტი, რომლებიც გადასცეს შთამომავლობას და დღემდე მოიტანეს.

ამ ტრადიციათაგან საქორწინო ურთიერთობის შესწავლას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო საკუთრივ ქორწინების ფორმების დასადგენად, მისი ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე, არამედ მასთან ახლო მდგომი სოციალური ინსტიტუტების ბუნების გასარკვევად. ქორწინების ინსტიტუტის შესწავლის ხარისხზე ბევრადაა დამოკიდებული საზოგადოებრივი

ურთიერთობის განვითარების ძირითადი მომენტების განსაზღვრის შესაძლებლობა (გიორგაძე, 2005:209).

ქორწინების ფორმებისა და საქორწინო წეს-ჩვეულებების შესახებ უამრავი ცნობაა დაცული. ამ მხრივ საინტერესო მონაცემებს ვხვდებით საისტორიო წყაროებში, სამართლის ძეგლებში, მხატვრულ ლიტერატურაში, ფოლკლორულ მასალებში, მაგრამ აღნიშნული საკითხის შესწავლისათვის ძირითადი და მნიშვნელოვანი წყაროა ხალხში შეგროვილი ეთნოგრაფიული მასალა.

ქორწინების საკითხის კვლევისას ირკვევა მოსახლეობის ყოფისა და კულტურის მრავალი მხარე. თურქეთში მცხოვრებ ქართველთა საქორწინო წესების შესწავლის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ აქ შენარჩუნებულია განვლილი საფეხურის სხვადასხვა ძირძველი ქართული გადმონაშთი, ხოლო მათი ურთიერთმერწყმის არეალი მეტად საინტერესო და მრავალფეროვანია.

საოჯახო-საქორწინო ტრადიციები საკმაოდ კონსერვატორული ბუნებისაა. როცა იცვლებოდა საზოგადოებრივი ურთიერთობები და კულტურის არაერთი ელემენტის მოდერნიზაცია ხდებოდა, ოჯახი და ქორწინების ინსტიტუტი პირიქით, ეთნიკური თვითმყოფადობის შენარჩუნების სოციალურ უჯრედად ყალიბდებოდა. საქორწინო ტრადიციების ეროვნული ფუნქცია განსაკუთრებულად მაშინ იზრდებოდა, როცა ეთნოსის განმსაზღვრელი ეთნოგრაფიული სეგმენტები იძულებით უცხო კულტურის გავლენის სფეროში მოექცეოდა ან სხვადასხვა მიზეზით მიგრაციის საფუძველზე ახალ დასახლებულ გარემოში ადაპტაციას გადიოდა (მგელაძე, 2013:82). საქორწინო ტრადიციის შემადგენელ ელემენტებზე, როგორც წესი, ზეგავლენას ახდენს არა მხოლოდ კონკრეტული ეთნოსისათვის დამახასიათებელი ადათობრივი სივრცე, არამედ რელიგია. აჭარის მუსულმნი ქართველებისა და აჭარიდან მუჰაჯირობის დროს თურქეთში წასულ ათასობით ადამიანის საოჯახო თუ საქორწინო ტრადიციებზე თავისებური გავლენა მოახდინა, როგორც საერთო ქართულმა-კავკასიურმა, ისე მაჰმადიანურმა, თურქულმა გარემომ. საბოლოო ჯამში კი, შედეგად მივიღეთ ქართულ-თურქულ-ისლამური ნაერთი (ოქროსცვარიძე, 2014:176).

საქორწინო ურთიერთობის შესახებ ქართულ ეთნოლოგიაში მრავალი სტატია თუ სამეცნიერო ნაშრომი დაიწერა. ჩვენი მიზანია, გამოვავლინოთ თუ რა ცვლილებები განიცადა საქორწინო ურთიერთობებმა უცხოურ გარემო პირობებში. როგორ იყო ადრე ეს ტრადიცია და რა ფორმით ვლინდება დღეს. ჩვენი ამოცანაა წარმოვაჩინოთ თურქეთის შავი ზღვის რეგიონში მცხოვრებ მუჰაჯირთა შთამომავლების საქორწინო ურთიერთობებში ზოგიერთი ქართული ჩვეულებებისა და რიტუალების კვალი, ერთმანეთს შევადაროთ თურქეთის საქართველოში მცხოვრებ სხვა კუთხის მოსახლეობაში არსებული საქორწინო წეს-ჩვეულებანი, მოვძებნოთ მსგავსი მაგალითები საქართველოს სხვადასხვა კუთხის სინამდვილიდან. ზოგჯერ ამა თუ იმ რიტუალს აქვს თურქული სახელწოდება, შინაარსი კი ქართულია. ამიტომ, ისეთი რიტუალებისა და წეს-ჩვეულებების დაფიქსირება გვიხდება, რომლებიც ქართულ ყოფაში ტრანსფორმირებულია ან სრულიად გამქრალი, მაგრამ შემორჩენილია თურქეთის ქართულ მოსახლეობაში.

ქორწილი, როგორც წესი, იმართებოდა სოფელში, მაგრამ დღეს ქალაქური ცხოვრების შემოჭრამ, საქორწინო ცერემონიალი ქალაქებში გადაიტანა. თუმცა, თანამედროვე ახალგაზრდები ზოგიერთ შემთხვევაში მაინც ცდილობენ დაიცვან ტრადიციები და ჯერ სოფელში გადაიხადონ და შემდეგ ქალაქში გააგრძელონ საქორწილო მხიარულება. ძველად, როგორც ასაკოვანი თაობის წარმომადგენლები აღნიშნავენ, მტკიცედ იყო დაცული საქორწინო ტრადიციები.

დაქორწინების პროცესში ადრე მრავალი ბარიერი არსებობდა. მათ შორის მნიშვნელოვანი რელიგიური, წოდებრივი, ქონებრივი და ეთნიკური იყო. მუჰაჯირი ქართველები თვლიდნენ, რომ ცოლად არ შეირთავდნენ, ან ქალს არ მიათხოვებდნენ გიაურს, ანუ არაქართველს. ზოგადად ქრისტიანს, რადგან ისინი განსხვავებული აღმსარებლობის იყვნენ. ისინი ქორწინებას თურქებთან ერიდებოდნენ, თუმცა ასეთ ფაქტებს ადგილი მაინც ჰქონდა (**მგელაძე, 2013:86**). ადრე ქართველები გოგონებს მხოლოდ ქართულ ოჯახებში ათხოვებდნენ, უცხოელებზე კი ძალიან იშვიათად. სოფლებში თანამედროვე ცხოვრების წესის შეცვლასთან ერთად ეს ტრადიციაც დაირღვა. თუ ადრე მუჰაჯირი ქართველი ცდილობდა არ აღრეულიყო უცხოში, დღეს ამ ტრადიციას აღარ იცავენ. დღევანდელი ქორწილი ძალიან განსხვავდება

ტრადიციულისგან. დღეს ქალ-ვაჟი სიყვარულით ქორწინდება. ეს კი არ მოსწონთ ბევრებს, რადგანაც სასწავლებლად ქალაქებში წასული ახალგაზრდები სხვა ეროვნების თანატოლებზეც ქორწინდებიან. ადრე სხვა ქალს ოჯახში არ შემოიყვანდნენ, არც თავიანთ გოგონებს გაათხოვებდნენ სხვა ეროვნების მამაკაცებზე. საუბრისას ასე ამბობენ: „ადრე გოგოს თურქებს არ მივცემდითო.“ ასეთი ვითარება დღეს შეიცვალა და მთხრობელებიც დასძენენ: „ჰამა (მაგრამ) ახლა თურქებში გვერით, გავსხვაფერდით (გავთურქდით), ჩემმა ბაღმა (იგულისხმება ბავშვმა-შვილი), ქალიც თურქი მეიყვანა და გოგოც თურქებში წევდა“ ე.ი გოგოც თურქზე გათხოვდა, სწუხან და ამბობენ, რომ ახლა ჩვენებური ჩვენებურს აღარ მიჰყვება (ფუტკარაძე, საველი...2015). ან კიდევ: „თურქს გოგოს არ მივცემდით, არც თურქ გოგოს ვითხოვდით, გლახა საქმეა, იგინის ადათები არ მოგვეწონება (ფაღავა, 2013:181).

ადრე ქართველი მუჰაჯირები ქორწინებას თურქეთში მცხოვრები ეროვნული გარემოცვის ფარგლებში ამჯობინებდნენ, თუმცა, სასურველად მიაჩნდათ რძალი „ბათომის“ მხარიდან ყოფილიყო. ის რომ თურქეთში მცხოვრები ქართველების წრეში ამჯობინებდნენ ქორწინებას, ამას თავისი ლოგიკური ახსნა აქვს. იგი იმთავითვე ემსახურებოდა თვითმყოფადი კულტურისა და ტრადიციული სტერეოტიპების შენახვისა და გადარჩენის ამოცანებს. როცა საქორწინო არჩევანი უცხო გარემოში შეზღუდული იყო, ქართველი გაურბოდა განსხვავებული ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელთან ქორწინებას, თუნდაც ეროვნული მენტალობისა და ლოკალური თავსებადობის გადარჩენის მიზნით (მგელაძე, 2013:87). „გემიხარდება გელინებ ქართველ რომ მეიყვანებენ, ოჯახობა ქართული იქნება, გურჯიჯე არ გედევრევა, არ გადავსხვაფერდებით“ (ფუტკარაძე, 2016:326). მუჰაჯირი ქართველების შთამომავლები ასე ცდილობენ ქართული ოჯახისა და ქართული ენის შენარჩუნებას. ამასთან დაკავშირებით ამერიკელი მეცნიერი პ. მაგნარელა წერს: „ქართველები უპირატესობას ანიჭებენ ქართველებზე ქორწინებას. მათში კატეგორიულადაა აკრძალული ბიძაშვილ-მამიდაშვილებზე ქორწინება და შერეულ ნათესავებზე შეუღლებასაც არ ხვდებიან დიდი მოწონებით. ამის გამო ქართველების

უმეტესობა, ამავე მხარის სხვა სოფლებში მცხოვრებ ქართველებზეა დაქორწინებული (მაგნარელა, 1999).

ქორწილისთვის მზადება დილიდანვე იწყებოდა. სოფლის მოსახლეობა და სტუმრები დედოფლის სახლში მიდიოდნენ. როგორც წესი, ქალები და კაცები ცალ-ცალკე იყვნენ. გაშლილ სუფრაზე ქართული კერძები მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენდა, რაც ეთნიკური სივრცის განცდას ქმნიდა. ამ მნიშვნელოვან დღეს ბუნებრივია, მონაწილეობას მთელი სოფელიც იღებდა და საკუთარი წვლილი შეჰქონდა თანასოფელის გაბედნიერებაში. ნათესავ-მეზობლების თანამონაწილეობა როგორც ქორწილებში, ისე ტირილსა და სიხარულში, საერთო ქართული ტრადიცია იყო და მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა მათ ცხოვრებაში. ამით სოფელი ერთ მთელ ორგანიზმს ქმნიდა. სწორედ ამ თვისებითაც განარჩევენ იქაური ქართველები საკუთარ თავს სხვა ეთნიკური ელემენტებისგან. თანასოფლელები ამზადებდნენ კერძებს, შლიდნენ სუფრას (ოქროსცვარიძე, 2014:177).

თურქეთის შავი ზღვის რეგიონში და ზოგადად თურქეთში მცხოვრები ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები ქორწილს ტერმინ „დუგუნი-თ აღნიშნავენ. საქორწინო ტრადიციებში რამდენიმე ეტაპი გამოიყოფა: ა) წინა საქორწინო ურთიერთობები-წყვილთა შერჩევა; ბ) საქორწინო სუფრა და ცერემონიალი, გ) ქორწინების შემდგომი-დამოყვრებულ ოჯახთა ურთიერთ დაახლოვებისა და გადაპატიჟების პერიოდი (მგელაძე, 2013:87). ადრე სიძის მხრიდან მამაკაცთა ერთი ჯგუფი გოგოს სახლში მის წამოსაყვანად მიდიოდა. ადრე აჭარაშიც, ქალის წამოყვანა სადამომდე უნდა მომხდარიყო. სიძე ამ საქმიანობაში მონაწილეობას არ იღებდა. მიდიოდნენ მაცრები, ბიძები, ძმები, ნათესავ-მეგობრები. მათ თან მიჰყავდათ ქალი ანუ “დადე,” რომელსაც პატარძლის წამოყვანა ევალებოდა, ბუნებრივია მიჰქონდათ საჩუქრებიც. თურქეთში ამას ”ქალის წამოყვანას” უწოდებენ, რაც თურქულად ასე გამოიხატება:“Gelin Alma”, “kız alma”, “gelin götürme, ”მაგრამ დღეისათვის ეს წესი, როგორ აჭარის მოსახლეობაში, იქ მცხოვრებთა ყოფაშიც თანდათან მივიწყებულია და პატარძლის წამოსაყვანად ჩვეულებრივად სიძე თავად მიდის.

გირესუნის პროვინციის ქართულ სოფლებში ჩაწერილი მასალებიდან ჩანს, რომ: გოგოს და ბიჭის ერთმანეთი თუ მოეწონებათ, ბიჭის მხარე, როგორც წესი ბიძას აგზავნის ელჩად. ელჩობასთან დაკავშირებული რიტუალის ცალკეული ელემენტები როგორც შავშეთის, კლარჯეთისა და სხვა ქართულ სოფლებიც, აჭარაშიც არის შემონახული, რომელიც სპეციალურ ლიტერატურაში დეტალურადაა აღწერილი და საფუძვლიანად შესწავლილი (ბექაია, 1966:228; მგელაძე, 1996:218; ფუტყარაძე, 2009:9). ქალ-ვაჟის ბედის გადაწყვეტის საქმეში, ისე როგორც აჭარაში, დიდ როლს ასრულებს დედის ძმა, რომელიც მიდის ქალის ოჯახში. პირველი მისვლის შემდეგ გოგოს მხარე იტყვის, რომ სჭირდებათ თავიანთ ასაკოვან ხალხთან მოლაპარაკება, შემდეგ მათ და გოგოს დაელაპარაკებიან. მეორე მისვლაზე პასუხს იღებენ. პასუხი უარყოფითიც რომ იყოს, ერთმანეთს არ გაუწყობიან. ასეთ შემთხვევაში გოგოც და ბიჭიც საქმის საბოლოოდ გადაწყვეტამდე ერიდება მეორე მხარის ხალხს. ორივე მხარის თანხმობის შემთხვევაში, მესამე მისვლაზე სიტყვას დებენ და დაინიშნება ნიშნობის და ქორწილის თარიღები. ადრე ვაჟს და ქალს ქორწილამდე ერთმანეთის ნახვის უფლება არ ჰქონდათ, სირცხვილად ითვლებოდა, ასე იყო აჭარაშიც, მაგრამ დღეს ამ ტრადიციულ ჩვეულებებს აღარ იცავენ, იგი მხოლოდ ხანდაზმულთა მეხსიერებაში არის შემორჩენილი.

წარსულში ქალი ცხენით მიჰყავდათ, თუმცა დღეისათვის მას მანქანა ჩაენაცვლა. მაყრიონის გამოჩენისას, დედოფალი სამზარეულოში შედიოდა და ტირილით ემშვიდობებოდა ოჯახის წევრებს, ნათესავებს. ტირილის რიტუალი „ინის დადების“ და ქორწილის დროსაც სრულდებოდა, რაც მის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა (ოქროსცვარიძე, 2014:177). მსგავსი შავშეთშიც შეინიშნება: „სრულდება დედის, მამისა და ქალიშვილის რიტუალური ტირილი. ტირიან ახლობლებიც. პატარძლის მამა ერთხელ კიდევ მოეფერება თავის ქალიშვილს“ (შავშეთი, 2011:126).

ადრე ტრადიცია იყო მაყრიონისთვის გზის გადაკეტვა და ფულის გამორთმევა. ამ წესს “kapı harcı” ანუ ”გზის გახსნას”, ”კარის ხარჯს”, უწოდებდნენ (ოქროსცვარიძე, 2014:178). მსგავსი მოვლენა ადრე აჭარაშიც იყო გავრცელებული. კერძოდ, საპატარძლოსთან ოთახში შესული მამამთილი გარკვეულ რიტუალს ასრულებდა,

რომელსაც სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა. მამამთილი სარძლოს სამჯერ ეტყოდა: „აბრძანდი, დაბრძანდი!“ რასაც იგი უსიტყვოდ ასრულებდა. ამის შემდეგ ხმამაღლა ეტყოდა: „მარჯვენა ფეხი წადგიო.“ ეს კი იმას ნიშნავდა, რომ მამამთილს იგი უნდა დაესაჩუქრებინა. ამ ფულად საჩუქარს „ძუძუს ფარა“ (მგელაძე, 1996:230), ანდა “რძის ფარა” ეწოდებოდა. ორდუს და სამსუნის ვილაიეთებში რძის ფარის გვერდით ამ ჩვეულების აღმნიშვნელად ტერმინები **სუფარა-ც** (უნდა იყოს სუთფარა - ნ.ფ.) და **სანდული-ც** გამოვლინდა (მგელაძე, 2013:95). ბოლოს დედოფალი მიჰყავდათ კარისკენ. ამ დროს სრულდებოდა კიდევ ერთი აუცილებელი რიტუალი - ქალის ძმა, ან ბიძაშვილი გარედან კარებს კეტავდა და მამამთილს ევაჭრებოდა, კარის გაღების თანხას თხოვდა. ამას “ქაფი ხარჯი” ანუ “კარდასამყრელო” ეწოდებოდა. თურქეთში მსგავსი მოვლენა “ქაფიჩექირმექი“-თ არის ცნობილი (ოქროსცვარიძე, 2014:178). “Kapı harcı”- ის რიტუალი შავშეთის ქართველებშიც გვხვდება. დედოფლის მამისეული სახლიდან გამოყვანას წინ უსწრებს ე.წ. გარიგება-ვაჭრობა. საპატარაძლოს მხარე მოითხოვს ყოჩს ან მისი ღირებულების თანხას, რომელსაც უმრავლეს შემთხვევაში რძალს დაუბრუნებენ (“რძლის სახელზე იქნება”). აქაურ ყოფაში დღემდე შემორჩა “სეისხანა” - კარის დაყრის რიტუალი. ბორჩხაში იგი “ყაფი ხარჯის” სახელითაა ცნობილი. ვაჟის მხარემ უნდა გადაიხადოს აგრეთვე “რძის წილი” (რასაც აჭარაში “ძუძუს ფარას” ეძახიან)” (ფუტკარაძე, 2009:21; შავშეთი, 2011:127). აღნიშნული რიტუალი გვხვდება დუზჯეს პროვინციის ქართველებშიც: „პატარძლის წყვანისას გოგოს სახლის კარი იკეტება და ყველა სტუმარი შიგნით ჩაკეტილი რჩება. ეს საჩუქრის მოთხოვნის მიზნით კეთდება. მზითვის ყუთზე ერთ-ერთი ბიცოლა ჯდება. ძმა ყუთს დაეპატრონება. მამამთილი პატარძალს ყუთზე სამჯერ სვამს და აყენებს. სტუმრებს კანფეტს და ფულს სთავაზობენ. ფულს იხდიან და ყუთს იღებენ, შემდეგ ბიჭის ხალხი გარეთ გადის (www.chveneburi.com). პატარძალი ოთახიდან მამას ან ძმას გამოჰყავს. ეს ტრადიცია ზემო მთიანი აჭარის ზოგიერთ სოფლებში დღესაცაა შემორჩენილი. ფაცას ილჩეს სოფელ **ბოზდაღში** ჩავიწერეთ ასეთი რიტუალი: „როცა მყარი მიდის დედოფლის სახლთან ეზოში, ხეზე დაკიდებული ხვდება კვერცხი, რომელიც სასიძომ ან მყარმა რამდენიმე გასროლით უნდა ჩამოაგდოს, თუ არ ჩამოვარდება, დედოფალს ოთახიდან არ გამოიყვანებენ“ (ფუტკარაძე, 2016:39). მისი

არსი კი პროფ.ნ.მგელაძის განმარტებით პატარძლის მაყრებსა და მასპინძლებს შორის კონფლიქტის მოწყობაში მდგომარეობდა. წესის მიხედვით მაყრიონს პატარძლის წაყვანის უფლება კვერცხის ჩამოგდების შემთხვევაში ეძლეოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში მაყრიონს პატარძლის წაყვანისათვის საფასური უნდა გადაეხადა (მგელაძე, 2013:97). ესეც ერთ-ერთი საინტერესო ტრადიციაა, რომელიც დღესაცაა შენარჩუნებული მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლებში, ხოლო ქართულ ყოფაში ეს ტრადიცია გამქრალია.

მრავალრიცხოვან საქორწინო წეს-ჩვეულებებს შორის არსებობდა ე.წ. „გზის გადაღობვის“ ტრადიცია. ამ დროს ვაჟის სახლისკენ მიმავალ დედოფალს, სოფლის ახალგაზრდობა თოკით ან ჯოხით გზას გადაუღობავდა და გზის გათავისუფლების საფასურად გარკვეულ თანხას ითხოვდა. ვაჟის სახლთან მისვლამდე „გზის გადაღობვა“ შეიძლება რამდენჯერმე მომხდარიყო. მუჰაჯირთა შთამომავლების საქორწინო ტრადიციებში მაყრიონისათვის „გზის გადაკეტვა“ უცხო მოვლენას დღესაც არ წარმოადგენს და ანალოგიური წესი ზემო მთიანი აჭარის სოფლებში დღესაც არის შემორჩენილი.

სიძის ოჯახში მისული პატარძალი ოჯახში შესვლის დროს აუცილებლად მარჯვენა ფეხით უნდა შესულიყო და შუშის თევში უნდა დაემტვრია. ამ ტრადიციას ზოგიერთ სოფლებში დღესაც იცავენ. ასე იყო აჭარაშიც. ბექაია წერს: „კიბეზე დედოფალს პირველად მარჯვენა ფეხი უნდა შეეღვა“ (ბექაია, 1974:65). შავშეთშიც „სახლში შესვლამდე პატარძალმა მარჯვენა ფეხის ერთი დარტყმით უნდა დაამტვრიოს ყავის ჭიქა“ (შავშეთი, 2011:127). შემდეგ, დედამთილი ტკბილეულობით გაუმასპინძლდება სახლში შესულ პატარძალს, კალთაში ვინმე ახლო ნათესავის ბიჭს ჩაუსვამენ, პირველი შვილი გვარის გამგრძელებელი დაიბადებაო, ანალოგიური წესი დაფიქსირებულია მარმარილოს ზღვის რეგიონის სოფელ ჰაირიეში (ოქროსცვარიძე, 2014:180). ეს ტრადიცია აჭარის სოფლებშიც დღემდეა შენარჩუნებული. ბექაია წერს: „აჭარაში რძალს „კალთაში ვაჟს ჩაუსვამდნენ-წლისთავზე შენც გეყოლოსო. ეს ბიჭი დედოფალს უნდა დაესაჩუქრებინა პერანგით ან ფულით. ამ საჩუქარს „საჯიფო“ ეწოდებოდა“ (ბექაია, 1974:66). მაგალითად, უნიეს ქართველებში ქალის სახლში შეყვანისას მას ფეხთით ცხვრის ტყავს უგებდნენ, რათა ოჯახში ახლად შესული

რძალი ცხვარივით დამყოლი და მორჩილი ყოფილიყო. დიდ მნიშვნელობას იძენდა დედოფლის კერასთან მიყვანის რიტუალი. მას ცომი უნდა მოეზილა და ცომიანი ხელი ბუხარზე უნდა დაეკრა. თუ ცომის ფენას ბუხრის კედელი დაიჭერდა და არ ჩამოვარდებოდა - კარგ ნიშნად ითვლებოდა. დღეს ცომის ნაცვლად კედელზე კანფეტს კიდებენ. მოხელილი ცომის საქმროს სახლში მიტანის ტრადიცია არსებულა სვანეთში (ხარაძე, 1939:85). როგორც ჩანს, პურს, როგორც უპირველეს და უმთავრეს საზრდოს, დიდი დატვირთვა ეძლეოდა როგორც სიმბოლური, ისე პირდაპირი გაგებითაც. ზუსტად ასეთი ტრადიციები შემონახულია აჭარის მოსახლეობაშიც, რაც აშკარად მიუთითებს ამ წეს-ჩვეულებების ზოგადქართულ ხასიათზე. უნიეს ქართულ მოსახლეობაში, გავრცელებული ყოფილა შემდეგი ტრადიცია: როდესაც პატარძალი ახალ ოჯახში შედიოდა, მას ხელში ყურანს და პურს აძლევდნენ. ტრადიციად ჰქონდათ წყლით სავსე თასის მიცემაც, რომელიც სვლით უნდა დაეცალა, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ საქმეები მომავალში წარმატებით წაუვიდოდა (შაჰინი, 2005:6). სოფელ თეფეორენის მკვიდრი ვესილე ქუჩქალოდლი (ფუტკარაძე, 73 წლის) გვიყვება: „ქმრის კართან რომ მიმიყვანეს, შესასვლელში კარებზე ძაფი გააბეს. თუ ძაფს გაწყვიტავდი, ძალიან კაი გენილი (რძალი) იქნებოდი, მემრე სახლში შემიყვანეს ერთი თასი წყალი დადვეს და ფეხი მომატანებინეს, წყალი დეიქცა, ბერექეთი მოვიდეს ამ სახლშიო. სახლში შესვლამდე შექერ გეიქნევდი, ახალ გენილმა სიტკბო მეიტანოსო, ბრინჯს მოვაპნევდით, ხვაფი და ბარაქა რომ შესულიყო, ახლა ახალები გაქიბრდა და ამ წესებ ადარ კადრულობენ (ასრულებენ)“ (ფუტკარაძე, 2015:9). ბოლუს ოლქში, ეფთენში (სოფელ ჰამამუსთუსა და ჰაჯიიაქუფის მიდამოები) დედამთილი პატარძალს კარების წინ წყლით სავსე ჯამს უდგამდა, რომელიც უნდა გადაებრუნებინა ან ხელში კარაქს აძლევდა, რათა კერისთვის წაესვა (ჩელები, 2004:5). გირესუნის სოფელ დამუდერეში ერთი ასეთი წესიც ჩავიწერეთ. ხასან ილმაზი (სეფეროდლი, 87 წლის) გვიყვება: „ქორწილის დროს ჩემ ქალ პირველად ფეხი დავაბიჯე, მემრე ჩემ ჭკვაზე რომ გეიაროს მეთქი, ჰამა ახლაც არ მიჯერებს, ჩემ ჭკუაზე არ დადის“ (ფუტკარაძე, საველი.2015:4). ამგვარი ტრადიცია ზემომითიანი აჭარის ზოგიერთი სოფელშიც გვხვდება.

საყურადღებოა თურქეთის შავი ზღვის რეგიონის ორდუს პროვინციაში მცხოვრები ჰაიდარ თებიძის (ზოროლლი) მონათხრობი საქორწინო ტრადიციების შესახებ, რომელიც ჩაიწერა პროფ. მ.ფაღავამ: „ხებერ გუუგზანი (გოგოს ბაბას), ამაღამ შენთან მოვალ. რატომ მოვალ, იცი? ღმერთის ემრით, შენი გოგო ამა და ამ ბიჭისთვინ'და მოგთხვონ'და. მოდიო თუ გეტყვის, მიხვალ. მიხვალ ეტყვი, რომ ღმერთის ემრით, შენი გოგო ამას'და მივცეთ. მიცემა თუ უნდებიან ელჩ სუფრას დუუდგამენ, თუ არ უნდებიან, შიერი წამოხვალ და მიხდები, არ მაძლევსო. ერთხელ, ორჯერ მივდიოდით, მესამეზე სიტყვას გადავწყვეტდით, ბოხჩა'და ვიყიდოთო ვეტყოდით. ხუთი-ექვსი კაცი მივიტანთ ნიშანს. ზოგი იქდა, ზოგი არ იქდა ნიშან-დუგუნს. 2-3 წელიწად იქნებოდა დანიშნული, სიძე ვერ გეკარებოდა.

ქორწილზე კაცის სიზენგილეზე გორე წევდოდენ. დადე წევდოდა. დადე მისი ხისიმი იყო: ია ბიბი, ია ძმის ქალი, ია ხალაი (ხალა - დეიდა ეტყოდნენ), გათხვებული დაიც იქნებოდა. დუგუნი პაწაი იქნებოდა, ია არ იქნებოდა. წამოიყვანდნენ დედოფალს, ცხენით, ფეხით წევდოდენ. დედოფალ ცხენზე შააჟდუმლებდენ, კაცები - ფეხით. გოგოს წამოყვებოდა: დადე, ემიაი, სიძე, ძმა, ერთი ან ორი ქალი, 20-25 კაცი, ნამეტარიც იქნებოდა. ქალის მხარე მოითხოვდა ბახშიმ: ძროხას, ცხვარს... მემრე გელინს აჩუქებდა.

მემრე შეახვედრებდნენ. ძველი კაცები გეიბჯგენდნენ ფეხს (გაჯიუტდებოდნენ). მემრე გადააყრიდნენ ფულს. მემრე მისი ხისიმი ჩამოიყვანდა (ცხენიდან), შეიყვანდა ოდაში. სიძე მივერე საღამოს შევდოდა. იმ საღამოს დუგუნია. დედოფალ ცავს დადე. საჭმელ ჭამდენ, სუფრას დეიკავებდენ. ზოგი რახ მეითხოვდა, ზოგი ცხვარ მეითხოვდა, იდელებდნენ... გათენდებოდა, კუდდაგლეჯილი წევდოდენ. ქორწილის მეორე დღეს ნიქახს (ხელისმოწერა) გახდიდენ.

ორმოც დღეს უკან გოგოს ხისიმი მოვდოდა, გოგოს წეიყვანდა: სადილს მეიტანდა, გოგოს წეიყვანდა. ოც დღეს უკან სიძეს დაპატიჯავდენ, გოგოსაც წამოიყვანდა..“ თუცა მხარეებს შორის შეთანხმება ყოველთვის ვერ ხერხდებოდა. ზოგჯერ საქმე ქალის მოტაცებით, „აწევით“ მთავრდებოდა: „ერთ იერზე წევდით, არ იქნებაო, კაცმა. ბიჭის ბაბას ვუთხარი, აგაწევიეფ-მეთქი. ბიჭის ბაბას შეემინა გოგოს ბაბიდან.. იმას მემრე ვარი ვთქვი. მევსვენე. კაც თუ უნდა შენი თავი

კარქობით მოქცემს“ (ფალავა, 2013:10). მონათხრობში კარგად ჩანს მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების მეხსიერებაში შემორჩენილ საქორწილო ტრადიციებში ქართული, აჭარული წეს-ჩვეულებები, რომელთაც მეტ-ნაკლები ცვლილებებით ჩვენამდე მოაღწია.

დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქალის გამზითვებას. მზითვეის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს პირუტყვი წარმოადგენდა. მშობლები ქალს უმეტეს შემთხვევაში მეწველ ძროხას ატანდნენ. დღეს უკვე მზითვეში ავეჯის და სხვა საყოფაცხოვრებო ნივთების გატანება ჩაენაცვლა. მზითვის ტრადიცია ასევე სახეცვილი ფორმით შენარჩუნებულია ზემომთიანი აჭარის მოსახლეობაში. „გზითვი“ თავისი შინაარსით მსგავსებას ავლენს ფშავურ „სათავნოსთან“ (მაჩაბელი, 1976:56,57).

საქორწილო კერძებად გვხვდება: „საცივი“, „ფლავი“, „მაკარონი“, „კორკოტი“ (ადრე ეს კერძი აუცილებლად უნდა ყოფილიყო სუფრაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში წყვილი უშვილოდ დარჩებოდა) „ჰასუთა“ (სიმინდის ფქვილის ერბოიანი ფაფა), „ხორცი“, „hoşaf“-ი (კომპოტი), „bekmez“-ი (ყურძნის წვენი) და სპეციალურად გამომცხვარ პური („katmer“), „ლუხუმი“, „ბაქლავა“, „ზორეგი“, „ერიშტა“. სასმელები: აირანი, კომპოტი. აგრეთვე ტკბილეულობა და კომბოსტოს სალათები. მთხრობელი გადმოგვცემს: „ქორწილში კეთდება: ყაურმა, ბურიანი (კარტოფილით და ხორცი), ბორელი, სარმა, ფილავი, ტათლი. ღვინო არაა. დედოფალ რომ წეიყვანებენ, სუფრას დეიკავებენ. ფილავში კოვზს დაასობენ, მოითხოვენ: ახლა მოვდოსდა ქათმები (ხუსეინ ბილგინი/ნინიძე). ქორწილებში აუცილებლად ჰქონდათ ბრინჯის ფქვილისა და რძის თხელი ფაფა, რომელსაც „ჰასუთა“ ერქვა. ამ კერძს ზემომთიანი აჭარის ზოგიერთ ოჯახში დღესაც აკეთებენ, მაგრამ არა ქორწილებში.

თურქეთის შავი ზღვის რეგიონში და ზოგადად თურქეთში ქართველებით დასახლებული სოფლების საქორწილო ტრადიციებმა, მიუხედავად იმისა რომ ისლამური გავლენა განიცადა, მაინც შემოინახა ზოგადად ქართული, უფრო ზუსტად კი, აჭარული ელემენტები, რითაც ქართველები განარჩევენ საკუთარ თავს სხვა ეთნიკური ერთეულებისაგან ანუ ახდენენ განსხვავებას - ჩვენ და სხვები.

საქორწინო ტრადიციებს ერთგვარ კვალად გასდევს ქართული ფაქტორების გავლენა, თუმცა თანამედროვე ყოფაში ბევრი ცვლილებაა. დღევანდელ საქორწინო ურთიერთობებში ისე ძლიერად აღარ დომინირებს მშობელთა ცალსახოვანი გადაწყვეტილება. წყვილთა შორის ქორწინება ეფუძნება ქალ-ვაჟის ურთიერთ შეთანხმებას, გამარტივდა ქორწინებასთან დაკავშირებული ისეთი ელემენტები, როგორცაა „კარდასამყრელო“, ნიშანლობა, „ძუძუს ფარა“ და სხვა. ქართველები შვილებში ვაჟებს გამოარჩევენ. ბიჭის დაბადებას იარაღის სროლით აღნიშნავენ, გოგოს დაბადებისას კი, სახლში პურის ფაფას აკეთებენ. ეს ტრადიცია დღესაც გრძელდება. იგი მთიან აჭარაშიც არის შემორჩენილი.

ქართველთა ქორწინების ინსტიტუტი ეროვნული და ეთნიკური თვითშეგნების ის ნათელი გამოხატულებაა, რომელმაც ხელი შეუწყო თურქეთში გადასახლებული ქართველების, ანუ მუჰაჯირთა შთამომავლების ყოფაში ძველი ქართული წეს-ჩვეულებების შენარჩუნებას. წლების განმავლობაში, თურქებთან ერთად თანაცხოვრებამ ვერ შეძლო ძირეული ცვლილებები მოეხდინა ქართველთა ნათესაობის სისტემაზეც, რომელიც საქორწინო ურთიერთობის დამყარების ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი პირობა იყო.

ამრიგად, ჩვენ შეძლებისდაგვარად წარმოვაჩინეთ თურქეთში მცხოვრებ ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებში დღემდე შემორჩენილი ზოგიერთი საქორწინო ტრადიცია და შევადარეთ ქართულ ჩვეულებებს, რაც მათ მუჰაჯირობამდე გააჩნდათ. ხაზი გავუსვით იმ ფაქტს, რომ საქორწინო ურთიერთობების ყველა საფეხურზე შეინიშნება ქართული-კერძოდ კი, აჭარისათვის დამახასიათებელი საქორწინო ელემენტები, საქორწინო ტერმინოლოგია და წეს-ჩვეულებები შემოინახეს იმ სახით, როგორი სახითაც გადასახლების წინა პერიოდში არსებობდა. საქორწინო წეს-ჩვეულებების ის ნაწილი, რაც კიდევ შემორჩა მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების მეხსიერებას, საერთოდ ყოფას, დასტურია იმისა, რომ ამ ტრადიციებმა შეინარჩუნა საერთო ქართული ნიშან-თვისება. ეს კი ამ ტრადიციების გამძლეობაზე მიუთითებს. ეს კარგად ვლინდება ქორწინების ციკლის ძირითადი ეტაპების თანმიმდევრობაში, საქორწინო ტერმინოლოგიაში, ქორწილთან დაკავშირებულ გართობა-სანახაობებში და სხვა. ჩვენს მიერ წარმოდგენილი

მონაცემები კი, მხოლოდ ნაწილია ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ქორწინებასთან დაკავშირებული საკითხების კვლევაში. ბევრი საკითხი მოითხოვს შემდგომ შესწავლასა და შესაბამისი დასკვნების გაკეთებას.

ბ) ხალხური სამზარეულო - მუჰაჯირთა შთამომავლებმა თაობებს შემოუნახეს წინაპრების მიერ სამშობლოდან წაღებული ცოდნა მრავალფეროვანი კერძების მომზადებისა და მოხმარების წესებში. სამზარეულო ჩვენებურთა იდენტობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია. მუჰაჯირები და მათი შთამომავლები დამხვედურთაგან იმითაც განასხვავებდნენ (და დღესაც განასხვავებენ) თავს, რომ მათი კერძები, მათივე რწმენით, სრულიად განსხვავებული და მრავალფეროვანი იყო. სხვადასხვა რაიონიდან (ქობულეთი, ჩაქვი, მაჭახელი, ზემომთიანი აჭარა) გასული მუჰაჯირების კერძების ძირითადი ნაწილი (მაგრამ არა ყველა) ერთმანეთის მსგავსია, თუმცა მომზადების წესებში შეინიშნება მცირეოდენი განსხვავებები (**ჩოხარაძე, 2013:115**).

სამზარეულო მესაქონლეობა - მიწათმოქმედებაზე დამოკიდებულ ხასიათს ატარებს. კვების რაციონში, ყველაზე პროდუქტულია რძის პროდუქტების გამოყენება, რომელიც სპეციალურად ამ საქმისათვის განკუთვნილ ოთახში მზადდება, სადაც შესაბამისი გარემოა შექმნილი. რძისგან მზადდება კაიმალი, იალი, ყველი, ნადული, ნარეკა (ქედიდან წასულელები „ჩალხამას უწოდებენ“..), ყურუთი, მაწონი და ა.შ. მათი დამზადება საკმაოდ შრომატევადი საქმეა, რომელიც დიდ ცოდნას და გამოცდილებას მოითხოვს. რძის პროდუქტებს ხშირად ოჯახის უფროს ქალი ამზადებს.

მუჰაჯირთა შთამომავლებში განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ისეთი კერძები, როგორცაა: ჩილბური (ნიგვზით, კარაქით და კვერცხით მზადდება), გევრეგი (ზოგიერთ სოფელში „იალიჭადს“ ეძახიან. ესაა კაიმალში მოხელილი მჭადი); ხაპიშორვა (მზადდება კვახით, რძით და მჭადის ფქვილით), ერიშტა (პურის ფქვილისაგან აცხობენ ფირფიტებს და შემდეგ დაჭრიან წვრილად და მოხარშავენ), დოხავიწი (მზადდება ნადულის კაიმალისა და ფქვილისაგან), ხაპიანი ფხალი, ჭინჭრის ფხალი, ჭარხლიტანი - ზემომთიან აჭარის მსგავსად „წოწოლა“-ს ეძახიან. სოფელ დამუდერეში ჩავიწერეთ აგრეთვე ველური ბალახების ძველებისგან

გამოყენების ტრადიცია, რომლის მომზადების წესები, მხოლოდ ხანშიშესულ ადამიანთა მეხსიერებას შემორჩა, ესენია: „აჯორიკა, დვალური, კოკომჟავა“, მთხრობელი სულთან ილდიზი (ბერიძე) გვიყვება: „ადრე თიებში წევდოდით, დვალურს მოვჭუჭკავდით (მოვაგროვებდით), მოვხარშავდით და საჭმელ ვაკეთებდით, ჰამა ახლა ახალბემა აღარ იციან გურჯული საჭმელები გაკეთება“ (ფუტკარაძე, საველე..2015:4). ლობიოსა და სხვა კერძებზე საინტერესო მასალები ჩაუწერია მ. ფაღვას: „ჩვენ საჭმელებში ბევრ ნიორ, ხახვ, ქინძ, პრასას ვურთობთ, იგინმა არ იციან. აქ ახლა ისე ვაკეთებთ, თქვენთან რომ აკეთებენ ამოღესილ ლობიას. მოხარშავენ, კაკალაი იყოს’ და ლობიაი, ქინძი, ნიორი, პიტნა-მიტნა, კაკალაი უნდა იყოს, კიტრის ერთად იჭმება.“ თურქეთის ქართველები თვლიან, რომ ისინი უფრო კარგ და გემრიელ, თურქებისაგან განსხვავებულ და მრავალფეროვან კერძებს ამზადებენ. მოთრეველა ლობიოს აკეთებენ. მოთრეველაი მალახტოი იშტე. ფხალით სალმას გააკეთებენ. ჟავე გაკეთდება, ზამთარში იჭმის იშტე. პურს დააფქვევ წისქვილზე, მოხელავ, წიხას გააკეთეფ: მოხელავენ, სუფრაზე გაწევენ, შექერ დააყრიან, ნიგოზ გაჭიჭყავენ, დააყრიან, გემრიელი იქნება. ბახლავას კაკლით გავაკეთებთ, თხილ გუურევთ“ (მურად გელიოღლი, სოფ. აქბაბა, ორდუს ილი) (ფაღვა, 2013:188).

მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების გარკვეულ ნაწილს დღესაც აქვთ შენარჩუნებული მჭადის გამოცხობის წინ ცომის ოთხად დაჭრის წესი. ბევრი ამას გაუაზრებლად აკეთებს და იმით ხსნის, რომ წინაპრები ასე იქცეოდნენ, თუმცა, არ იცის რატომ. ამ შემთხვევაში, წესებს ასრულებენ ტრადიციულად და არა რელიგიურად. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც თვლიან, რომ ეს ჯვრის სიმბოლოს წარმოადგენდა, რათა ოჯახში ბარაქა ჰქონოდათ. ჩვენი რესპოდენტი სოფელ თეფეორენის მკვიდრი ზენურე ილმაზი (73 წლის) გვიყვება: „სიმინდი ფქვილს ჩაყრი გობში, მარილ ურთავ, ცოტა თხილ წყალ დასხამ, კარგად ბევრს მოიზილავ, უფრო გემრიელი (გემრიელი) გამოვა, კეცში ჩააკრავ თუ გინდა ოთხად გაჭრი, გამოაცხობ და ცხელ ჭად და მოხრაკულს (ბორანს) ჭამ ერთად“ (ფუტკარაძე, საველე..2015:5). მჭადის ბორანთან ერთად ჭამის ტრადიცია ზემომთიან აჭარაში დღესაცაა შენარჩუნებული. მჭადს დღეს ბუხრის ნაცვლად ღუმელში აცხობენ.

მუჰაჯირ ქართველებში მჭადის გამოცხობის ტრადიციაზე მიუთითებდა აგრეთვე მეჰმედ არიფი: „მათი საჭმელი საზოგადოდ მჭადია. სიმინდს უწინდებურად მდინარის ნაპირზე თავიანთი ხელით აგებულ და საერთო მფლობელობაში მყოფ წისქვილში ფქვავენ, შემდეგ მოხევენ და ბოლოს კეცზე დებენ, რომელიც წრიული ფორმისაა და შუაგულამოდებული ქვისგანაა გაკეთებული, ზემოდან ფოთლით ფარავენ, ცეცხლზე დებენ და ერთი ორი საათით ტოვებენ. ჭადს ასე აცხობენ და ცხელ-ცხელს მაგიდაზე ალაგებენ. „ქარა გიოზ“-ად წოდებულ ლობიოსაც წიწაკით ამზადებენ და მიირთმევენ. ვინც ჭადს არაა შეჩვეული, შეიძლება ცოტაოდენმა მოუსვენრობამ შეიპყროს, საჭმელი კი ნამდვილად მშვენიერი და გემრიელია. დღეში სამჯერ ჭამენ იმ ფქვილის საჭმელს. ჭადი ყოველთვის ცხელი და ახლად გამომცხვარი უნდა იყოს“ (სვანიძე,1996:108).

საინტერესოა, რომ აჭარის რომელიმე რაიონში მომზადებული კონკრეტული კერძი, იმავე რაიონიდან წასულ მუჰაჯირთა შთამომავლებში მომზადებული ანალოგიური კერძისგან მცირედით განსხვავდება. ეს არცაა გასაკვირი, რადგანაც კერძების მომზადების წესებიც სამშობლოდან წაიღეს და ახალ საცხოვრებელ უცხო გარემოში შემოინახეს. ეს კარგად ეს ამკარად ჩანს ქობულეთიდან, ჩაქვიდან, ზედა და ქვედა აჭარიდან, მაჭახლიდან წასული მუჰაჯირების სამზარეულო ყოფაში. როგორც აღინიშნა, კერძების მომზადების წესებში შეინიშნება მცირე განსხვავებები. ამ მხრივ საყურადღებოა თ. ჩოხარაძის ჩაწერილი მასალა. მაგალითად, სხვაობა მაჭახლელი და აჭარელი მუჰაჯირების მიერ „ფხალ-ლობიას“ მომზადებას შორის (ჩოხარაძე, 2013:116).

ქართველ მუჰაჯირებს ქართული ხეხილის ჯიშებიც შემოუნახავთ. ესენია: სასელაი, ბოქშვაი, ხეჭეჭური, სელაპი ვაშლი, ტყემალი, ნიგოზი, წყავი, ჟოლი, ბალი, იციან და ახარებენ ყურძნის ჯიშებს, რომელთა სახელებიც ქართულის იდენტურია. იქ ბევრი შავი ყურძენიც ხარობს, რომელიც მუჰაჯირებს თან წამოუღიათ. როგორც ნ.შოშიტაშვილი შენიშნავს: „მუჰაჯირების გადასახლების დროს, კი აქცენტი რატომღაც ახლად შემოსულ იზაბელაზე გაკეთდა, რომელიც გემოვნური თვისებებითაც აკმაყოფილებდა და სურნელებითაც. თანაც გამძლე აღმოჩნდა მე-19 საუკუნის ბოლოს შემოსული ვაზის დაავადება ფილოქსერას მიმართ. შედეგად:

პარადოქსია, მაგრამ რეალობა ისაა, რომ მარმარილოს ზღვის რეგიონშიც და შავი ზღვის ნაპირებშიც გურჯი უზუმი, სწორედ იზაბელაა. ასე აღნიშნავენ: „სოფელში რომ შეხვალ, თუ იზაბელას სურნელი გეცა, ქართველი სოფელია, გურჯი სოფელია“ (შოშიტაშვილი, 2015:25). ხილიდანაც ნაირნაირი კერძები მზადდება. „ყურძნის წვენიდან ფაფას ვიქთ. ჟოლიდან, ვაშლიდან ყურძნიდან, ბეთმეხს გავაკეთებთ. ბიას ლეჩერი კაია. ლეღვის ლეჩერ გავაკეთებთ, ძალუან კაია“ (ფაღავა... 2013:181).

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენებურები ქართული კერძების მომზადების ტრადიციებით და მრავალფეროვნებით, ერთი ან ორი კერძის ერთმანეთთან შეზავებით, გემრიელ კერძებს ამზადებენ, რაც განსაკუთრებით უცხო თვალს-მოსულ სტუმარს ადამრთოვანებდა. საჭმლის მომზადებისთვის აუცილებელი საოჯახო ნივთების უმრავლესობაც ქართული სახელით არის ცნობილი და მათი წინაპრების მიერ საქართველოდან არის წამოღებული, ამას ადასტურებს ასეთი გადმოცემები: „ჩვენებურები იქიდან წამოსულან, შვიდი დღის დაქორწინებული ქალი ყოფილა, აი „სუფრაც“ ნენეს მუუცია, უთქმია, გქონდეს, ვინმე რომ გესტუმრება, ამ სუფრაზე მიართვი საჭმელიო. ქალმა იგი ზურგზე მოკიდული წამოიღო. სუფრა ასოზდათხუთმეტი წლისაა. ქალს სახლი გაახსენდებოდა, გამოიტანდა, დადგამდა და იტირებდა. ძმის, დედის უნახავი მომკტარა“ (ფაღავა, 2016:112). ამასიის ილის სოფელ აქიაზიში, 76 წლის იუნუს ხმალამეს ძველ საცხოვრებელ სახლში დაცული აქვს თავისი წინაპრების ნაქონი ყველა ნივთი: ვარია, სკივრი, აკვანი, ლამბა, საათი და სხვა თითქმის ყველა საოჯახო ნივთი, რომელიც თავის წინაპართან და გურჯობასთან ასოცირდება. მართალია ამ ნივთებიდან ბევრმა დაკარგა თავისი პირვანდელი დანიშნულება, მაგრამ მოსახლეობა მაინც ინახავს, რადგანაც ქართულთან და წინაპართა სახელთან არის დაკავშირებული.

ამრიგად, ჩვენს მიერ წარმოდგენილი მასალები ადასტურებს მუჰაჯირთა შთამომავლების სამზარეულოს მსგავსებას აჭარულ, ზოგადქართულ კულინარიულ ხელოვნებასთან, რაც მიუთითებს ერთიან გენეტიკურ ფესვებზე. მუჰაჯირებმა დროთა განმავლობაში სათუთად შეინახეს ქორწინებისა და დაკრძალვის ადათ-წესები, საკარმიდამოს მოწყობისა და მეურნეობის ტრადიციები. მაგრამ განსაკუთრებით გამძლე დარჩა ეროვნული სამზარეულო. დიდი ხნის შემდეგაც

მუჰაჯირთა შთამომავალი ოჯახში იმავე კერძებს ამზადებს, რასაც მისი წინაპარი: ფხალი, ლობიო, ფხალობიო, ჩირბული, დო, მაწონი, ბორანი და სხვა. გარდა სამხარეულო ტრადიციებისა, მუჰაჯირთა შთამომავლებმა, მიუხედავად უცხო ეთნიკურ გარემო პირობებში ცხოვრებისა და დღეს მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესების ფონზე დაიცვეს და არ დაივიწყეს ქართული ენა (დიალექტები), ცხოვრების წესები, სიმღერები, ანდაზები, სტუმარმასპინძლობის წესები და სხვა ქართული კულტურული ფასეულობანი.

გ) **სტუმარმასპინძლობა** ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების ყოფაში განსაკუთრებული ადგილი უკავია სტუმარმასპინძლობის ტრადიციას. სწორედ აქ ვლინდება ყველაზე საუკეთესოდ ხალხის ყოფა-ცხოვრების თავისთავადობა, მისი ეროვნული იერი (**შიოშვილი, 2009:3**). შეიძლება ითქვას, რომ ქართველისათვის კულტად ქცეული სტუმრის პატივისცემა, გამორჩეულ ხიბლს ანიჭებს ქართულ ხასიათს. სწორად არის ნათქვამი, რომ: „სტუმარმასპინძლობა თავისი ბუნებით უნივერსალური ხასიათისაა, ვინაიდან ის ყველა ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრებისთვისაა დამახასიათებელი, ადამიანთა საზოგადოების წარმოშობიდან დღემდე“ (**მოწერელია, 1987:4**). მიუხედავად იმისა, რომ სტუმართმოყვარეობა თითქმის ყველა ხალხისთვისაა დამახასიათებელი, თურქეთში მცხოვრები ქართველისათვის ის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და დღემდე ხელშეუხებელ წესად ითვლება. სტუმარმასპინძლობის ტრადიცია, რომელიც ორი მხარის უფლება-მოვალეობათა ჰარმონიულ ნაერთს წარმოადგენს, ქართული სულიერი კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია. მასში ყველაზე საუკეთესოდ არის წარმოჩენილი იქ მცხოვრებ ქართველთა ქართული ხასიათი და არეკლილია საზოგადოებრივი ურთიერთობის განვითარების პროცესი. სტუმართმოყვარეობა დღესაც მოქმედი და შენარჩუნებული ტრადიციაა თურქეთის ქართველებში. მიუხედავად იმისა, რომ მრავალი ტრადიცია შეიცვალა და თანამედროვე ცხოვრებას მოერგო, არ შეცვლილა სტუმრისადმი დამოკიდებულება.

სტუმარ-მასპინძლობის ტრადიცია უპირველეს ყოვლისა ნდობის ფაქტორზე იყო დაფუძნებული და მისი შელახვა ღვთის რისხვად და სირცხვილად ითვლებოდა. სტუმრის ოჯახში შეშვება და მიღება მისდამი ნდობით იყო

განპირობებული. ეს იყო სტუმრისა და მასპინძლის ურთიერთობის უმაღლესი ფორმა და ერთმანეთისადმი ნდობის გამოხატულება. მუჰაჯირთა შთამომავალი ქართველები ქართველი სტუმრის მიმართ განსაკუთრებულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს. როგორც რესპოდენტები გვიყვებიან: „გონჯიც რომ იყოს, მაინც ჩვენია, სხვის დანახვაზე იმდონი არ გიმიხარდება, გურჯი დევნახო გიმიხარდება, იქავრობას მეყყაჟირებ, ჩვენებურ დევნახავთ, ჰაიქი დევნახე იქავრობა“. ქართველობა და საქართველოდან სტუმრობა სტუმრის საუკეთესოდ მიღების საფუძველს წარმოადგენს. ქართველის სტუმრად მიღება მათთვის დიდი პატივია. ქართველი მათი „ხისიმია“ ანუ ნათესავია, ერთი „სისხლის“ მატარებელია. ამიტომაც არჩევენ „სხვა“ და „გურჯ“ სტუმარს ერთმანეთისაგან. ისინი „გურჯისტანიდან“ ჩასული სტუმრის მიმართ განსაკუთრებულ ემოციებს გამოხატავენ. ქართველებისთვის სტუმარი მაშინაც მისაღებია, როცა სახლში არაფერი არ აქვს. იგი არ იკადრებს სტუმართან თავის შერცხვენას, რამე თუ აქვს გადანახული, სტუმარს მიაართმევს: „თლად რომ რამე არ მქონდეს ჰაზირი (ანუ გამზადებული), მუსაფირ გენილმა გაცინებული'ნა შეხდე, შინ'ნა შეიყვანო“ ან კიდევ: „შინ მობრძანდით, ჩაი-მაი (მაინც) სვით და ისე წეით, პირგუტეხელი არ წეისლება (ფუტკარაძე,საველე..2015), ხოლო თურქეთში მცხოვრები ქართველები გამოთხოვებისას ერთმანეთს ასე მიმართავენ: „გამშვიდობოს ღმერთმა!“ (ფუტკარაძე, 2016:18). თქმულში კარგად ჩანს, ქართული მენტალობა, ქართული ხასიათი და სტუმრისადმი დიდი პატივისცემა.

როგორც მთიან აჭარაში, ისე თურქეთის ქართულ სოფლებშიც საცხოვრებელ სახლებში სტუმრისთვის დათმობილია ცალკე ოთახი. მასპინძლის სახლში მოწყობილ ამ ცალკე ოთახს თურქეთში მცხოვრები ქართველები „მუსაფირ“ ოთახს უწოდებენ, ზემომთიან აჭარაში კი მას „მეიდან ოდას“ ემახდნენ. აჭარული სტუმართმოყვარეობის ტრადიციებზე ყურადღებას ამახვილებდა არაერთი მოგზაური თუ მკვლევარი. დ. ბაქრაძე წერდა: „ყოველ სახლს აუცილებლად აქვს სასტუმრო ოთახი. სტუმართმასპინძლობა აქ წმინდა საქმედ ითვლება, რა ეროვნებისა და რჯულისაც არ უნდა იყოს სტუმარი. უფლება აქვს პირველსავე შეხვედრილ სახლში გაჩერდეს. მასპინძელი ვალდებულია მიიღონ,

გაუმასპინძლდნენ და სუფთა ლოგინი გაუშალონ“ (ბაქრაძე, 1987:44). აჭარულ ოჯახში სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციები აღწერილი აქვს თედო სახოკიას. იგი წერს: „გამასპინძლება ყოველ მოლოდინს აღემატება. მეტისმეტი სიფრთხილე და ცდა მართებს უცხო კაცს, რომ აქაურ სუფრაზე ადგილობრივი ეტიკეტი პირნათლად აღასრულოს და თავისი ქცევა უზრდელობაში არ ჩამოერთვას. საჭმელთა სიმრავლეა, რომ კაცს ოფლს აწურინებს“ (სახოკია, 1985:266). მოსულ სტუმარს საუკეთესო კერძებით უმასპინძლდებიან და განსაკუთრებით მრავალფეროვან სუფრას უშლიან, ქართული სუფრა კი, ქართული ყოფითი და შეიძლება ითქვას, სულიერი კულტურული ტრადიციის მნიშვნელოვანი მონაპოვარია, იგი უცხო ეთნიკურ გარემოში მცხოვრები ქართველობის ერთ-ერთი ძლიერი საიდენტიფიკაციო ნიშანია.

ამრიგად, სტუმრის მიღება მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლისთვის დღესაც ღვთის წყალობად ითვლება და პატივისცემასთან ასოცირდება, რა ეროვნებისა თუ რელიგიური აღმსარებლობისაც არ უნდა იყოს მოსული სტუმარი. მუჰაჯირთა შთამომავლებს მიაჩნიათ, რომ სტუმარ-მასპინძლობის წესები მათი წინაპრების მიერ „გურჯისტანიდან არის წამოღებული.“ საუკუნეთა განმავლობაში სტუმარ-მასპინძლობის ქართული ტრადიციები მათი ყოველდღიური ცხოვრების შემადგენელ ნაწილად იქცა და მას, როგორც ქართულ ტრადიციას, ურყევად ინახავენ და გადასცემენ შთამომავლობას. მატერიალურმა გასაჭირმა, ხელმოკლეობამ ქართული სუფრა შეიძლება შეზღუდოს, მაგრამ მის არსს ვერ შეცვლის, იგი ყოველთვის ინარჩუნებდა და დღესაც ინარჩუნებს თავის საზრისს. ამის ნათელი დასტურია, ის რომ სტუმარ-მასპინძლობის ქართული ტრადიციები თურქეთის ქართულ სოფლებში დღესაც შენარჩუნებულია.

დ) ანდაზები და ლექსები მუჰაჯირთა შთამომავლებმა ქართული ეროვნული ყოფისა და კულტურის სხვა მნიშვნელოვან ელემენტებთან ერთად შეძლებისდაგვარად დღემდე მოიტანეს ეროვნული ზეპირსიტყვიერების თითქმის ყველა ჟანრი, რასაც უდავოდ ხელი შეუწყო თავის დროზე მუჰაჯირთა კომპაქტურად დასახლებამ. ამ მხრივ განსაკუთრებით კარგად არის დაცული უნიეს, ორდუს, სამსუნის, დუზჯეს, ფაცას გუბერნიები. დავიმოწმებთ საკვლევ რეგიონში დღემდე შემონახულ ანდაზებს:

- 1) თავისი ქებელი კიტრი ფასადა, თავისი უქებელი ქალაქ ფასადა.
- 2) ყვავს რა აქ რომ ყორანს მისცეს.
- 3) ყორანს უთქმია მაღლა თეთრ კვერცხს დავდეფო.
- 3) კბილი მაღლს არ უკბენს.
- 4) ადრეველაი ადგები, საქმეს მალე დალევო.
- 6) ამოსულ ბზეს დილაზე დეეტყობა.
- 7) აყოლას დაყოლა ჯობს, გონჯობით რა იქნება?
- 8) გელი რომ დაბერდება, მაღლის საცინარი გახდება.
- 9) დათვ ბოკრები (ბარტყები) მოწრია წყალი ვედარ უსმია.
- 10) დედაბერ საქმე დალევია, შალვარი უუნგრია, შუუკერია.
- 11) დიდ სიცილს დიდი ტირილი ექნება.
- 12) დუნია იქცევო და ჭყყელის თვალევი დუუქორია.
- 13) ერთი ენა ერთი კაცია.

(მთქმელები: ერქან ოზი (მუჟოდლი)-57 წლის, მცხოვრები სოფ.ჩათალფინარში; ასიე ქესკინი (ჩიკვაიძე)-65 წლის, მცხოვრები სოფ.ქუმჩაში; ოსმან ყარაყაში-65 წლის, მცხოვრები სოფ.ექინჯულში; ახმედ ილმაზი-37 წლის მცხოვრები სოფ. ქესთანეფუნარში. მასალები ჩაიწერა პროფ.თინა შიოშვილმა).

- 21) ამოსულ ბზეს დილაზე დეეტყობა.
- 22) ქვა ქვაზე მიქორდება.
- 23) კატამ კულზე დასაქმა.
- 24) ატეხვას თავის გატეხვა აქ
- 25) ბერი ხარის ქრაც ხნის.
- 26) სხვის ხელით გველი დეიკავო ის ის ბრალია.
- 27) სხვის კტარი, სხვას მინარე ეგონა.
- 28) სახლის გოგო რომ შინ მოვა, ჭალი ქვაც დეიმაღვის (Shahin, 2013:108).

მართალია, ჩვენებურთა ზეპირსიტყვიერებამაც დღეისათვის თანდათან ევოლუცია განიცადა, მაგრამ მუჰაჯირ შთამომავალთა შორის დღემდე შემონახულ ანდაზებში შემორჩენილია ზოგადქართულისათვის დამახასიათებელი ნიშნები, რაც ცხადყოფს, რომ ისინი ერთიანი ქართული სივრცის ნაწილია დღემდე. მუჰაჯირთა

შთამომავლების ზეპირსიტყვიერებაშიც ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უჭირავს ხალხურ პოეზიას, რომელიც მრავალთა მიერ განცდილსა და გულისნადების გამოვლინებაა და კარგად გამოხატავს ხალხის თვალსაზრისს საზოგადოებრივ მოვლენებზე (შოიშვილი, 2011:148). მოვიყვანოთ საკვლევ რეგიონის ზოგიერთ სოფლებში ჩაწერილ ლექსებს:

„დეღესავით გადმომდგარა
თავჭუჭულა თეთრი ქალი,
ხელსა მიქნევს: - აქ ამოი,
შინ არ არის ჩემი ქმარი!
ავუყევი და ქი ევედი,
ამოვკოცნე თვალებიო.
-იგერ მუა ჩემი ქმარი,
რაფერ დუუღღურზავს თვალებიო!
ღმერთო, იგი მომიკალი,
დაგიკლა'და უღლად ხარი“.

(მთქმელი ჯელალ ქარასუ (შავარდენიძე), 60 წლის, მცხოვრები სოფ. ტახთაბაშში - ჩაიწერა პროფ. თ. შოიშვილმა 2012 წლის 14 ივლისს, სოფ. ტახთაბაშში).

„ეწერს ცეცხლი ეკიდება,
მუხასაც ებრიალება.
მე რომ ლამაზი გოგო მინდა, შენაც ხომ არ გეპრიანება“?

(მთქმელი აჰმედ ქუთლუ (საფელიძე), 80 წლის, მცხოვრები სოფ. ჩათალფინარში. ჩაიწერეს თინა შოიშვილმა და გიორგი მახარაშვილმა 2012 წლის 4 ივლისს, სოფ. ჩათალფინარში).

„გინცარ, გინცარ, გინცარა,
გინც იყოს და გინც არა.
ახლანდელი სახლის გელინი
გინს იყოს და გინც არა.
წამოჯდება კერიასა, ატირტილებს ენასა,
ეზოს დახვეტავს, სახლს,-არა
ჯამს მორეცხს, ჭურჭელს-არა,
გამუაცხობს ნაცრი კერას,
წამწარებს ყველასა“.

(მთქმელი ფატმა დირილი (ძველი გვარი მუთლი), 70 წლის, მცხოვრები სოფელ ქუშჩაში. ჩაიწერა თ. შიოშვილმა 2012 წლის 6 ივლისს, სოფ. ქუშჩაში).

ამრიგად, მუჰაჯიტა შთამომავლების მეხსიერებაში შემონახული ხალხური ლექსები, ანდაზები და გამონათქვამები, თემატიკით საერთო ქართული სამყაროს ნაწილია და კარგად გამოხატავს წლების განმავლობაში თურქულ გარემოში მყოფ ჩვენებურთა ქართულ ხასიათს, რაც მათი იდენტურობის ერთერთი დამახასიათებელი ნიშანია.

IV.3. ქართული ენა მუჰაჯირთა შთამომავლების მეხსიერებაში

დროთა განმავლობაში, უცხო სახელმწიფოში ცხოვრების მიუხედავად, საკვლევ რეგიონში მცხოვრებ ქართველთა არცთუ ისე მცირე ნაწილმა, მაინც შეძლო წინაპართა ენის შენარჩუნება და დაცვა. ეს ფაქტი კიდევ უფრო მნიშვნელობას იძენს, თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, როდესაც ეთნო-დემოგრაფიული თვალსაზრისით მცირე ეთნოსთა ან კიდევ უმცირესობათა ენები ქრება, ან უკვე გაქრა. საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე მთელი რიგი პროცესების მიუხედავად, ქართული ენა ძალზე მყარი ბერკეტი აღმოჩნდა, რომლის მოშლა და დარღვევა ვერც პოლიტიკურმა ვითარებამ და ვერც

დრომ ვერ მოახერხა, რადგანაც ეს იყო ქართველთა ეთნიკური ერთობისა და კულტურის უწყვეტობის განმაპირობებელი. ეთნიკურმა ქართველებმა, ქართული ენა საუკუნეებს გამოატარეს და დღემდე შემოგვინახეს, როგორც ეთნოკულტურული ინფორმაციის უნიკალური წყარო **(ღუტიძე, 2008:3)**.

ჩვენებურთა გადმოცემებში ხშირად ესმება ხაზი იმ გარემოებას, რომ გურჯები დღეისათვის „თელ თურქიეში არიან მოთესილი, სინათლეს აძლევენ თურქიესა“ **(ფუტკარაძე, 1993:109)**. მიუხედავად ასეთი სიმრავლისა, დღევანდელი ჩვენებურების დიდი ნაწილის წინაშე რეალურად დგას ეროვნული თვითმყოფადობის დაცვა-შენარჩუნების პრობლემა. თავად მათივე განმარტებით, ეს გარემოება უპირველეს ყოვლისა, იმითაა განპირობებული, რომ ისინი ძველებურად კომპაქტურ ცხოვრებას უკვე ნაკლებად ახერხებენ. ერთი მათგანის გადმოცემით: „ერთი ნათქვამია: ყურძენი ყურძენსა შეხედავს და გაშავდებაო. ჩუენც ისე ვართ. თურქებში გავერიეთ და გავშავდით, ასიმილე გავხდით“ **(ნიკოლეიშვილი, 2009:141)**. ის ფაქტი, რომ ქართულს საურთიერთოდ აღარ იყენებენ, ამას იმითაც ხსნიან, რომ უფროსი თაობის შემდეგ არავის ესაუბრებიან ქართულად, დაკარგეს ენის პრაქტიკულად გამოყენების უნარი: „მე ქართული ასო არ დიმიანახია, ქართული ჩემ ბაღანამ არ იცის, ქუჩაში არა, სოფელში არა, საიდან'და დეგსწავლოს ქართული?“ **(ფალავა, 2013:185)**. ან კიდევ: „გენჯებმა დეივიწყეს გადაბრუნდნენ“ **(ფალავა, 2013:137)**. მიუხედავად ამისა, იმედს არ კარგავენ რომ ახალგაზრდები ისწავლიან ქართულს: „ჩვენ დიდვანებმა ვიცით, თვარა წვიტებმა არ იციან, დეიკარქა-და ქართული, წვიტი არიან, გეიზდებიან, ვასტავლი“ **(ფალავა, 2016:124)**. ზოგიერთი რესპოდენტი კი გულისტკივილით აღნიშნავს რომ ქართული აქამდე ვერ ისწავლა და არ იცოდა სიტყვა „ქართულის“ მნიშვნელობაც. ასე მაგალითად: „ქართველი გლახა რაცხა მეგონა, თურმე ქართველი ვყოფილვარ და ხებერი არ მქონია. ქართველი არ ვიცოდით, კარი, რომ გეილო, მერე გეგვეთ“ **(ფალავა... 2013:186)**.

რ.თოფჩიშვილის აზრით, თურქეთში მცხოვრები ქართველების გათურქების პროცესმა დროთა განმავლობაში იმდენად ფართო მაშტაბებიც კი შეიძინა, რომ „დღევანდელი თურქული ეთნოსი გაჯერებულია ქართული წარმომავლობის ჯგუფებით“ **(თოფჩიშვილი, 2008:49)**. თუმცა, მიუხედავად ამისა,

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ასიმილაციის პროცესმა ჩვენებურების უმეტესობის ცნობიერებიდან ბოლომდე მაინც ვერ ამოძირკვა მათი ეროვნული იდენტობა და მათ კვლავაც კარგად „ახსოვთ თავიანთი ქართული წარმომავლობა“ (ნიკოლეიშვილი, 2008:141).

თურქეთში მცხოვრები ქართველები თავიანთ თავს „ჩვენებურს“, „თელი ჩვენებურს“ (მთლიანად ჩვენებურს), „გურჯს“, ანუ გურჯისტანიდან (საქართველოდან) მოსულს უწოდებენ. ასევე უწოდებენ მათ სხვა ეთნოსის წარმომადგენლები: თურქები, აფხაზები, ჩერქეზები და სხვები. სხვებს ვეუბნებით გურჯები ვართ და ეს გურჯობა ყველაზე მაღალი რამეა აქ. მათი აზრით, თუ გურჯი ხარ, უნდა თქვა, თუ არ იტყვი, მაშინ ადამიანიც არ ხარ. გურჯების შეფასებით, გურჯობა ყველაზე აღმატებული ცნებაა: „ჩვენმა შვილმა რომ თქვას, გურჯი არ ვარ, მის თავ ჩამოაგდებ.“ შესაბამისად, სოფელიც გურჯია ანუ ქართულია. ასევე იყენებენ საკუთარი თავის გამოსახატავად შესატყვისებს: „გურჯის სისხლი ვარ“, „ჩვენი სისხლის კაცია“. ზოგიერთი იმასაც მიუთითებს, რომ თურქები მათ გაიურსაც უწოდებენ, მათი მუსლიმანობის მიუხედავად, რადგან იგი არამუსლიმანს ნიშნავდა. „ქართველიშვილო“-ს გაბრაზების ჟამს იყენებდნენ და ის, რასაკვირველია, უარყოფითი დამოკიდებულების შემცველი იყო. ქართველი იქაურთა გაგებით, არამუსლიმანია, ქრისტიანია. არამუსლიმანს კი ცუდი თვალთ უყურებს მუსლიმანობისთვის დევნილი: „ჩვენი დედები იტყვიან: ეიკიდი, ქართველო, ქართველი აქა გიავრ ეტყვიან, ქართველი გიავრ ჩივიან“ (ფაღავა, 2016:32). ეთნონიმ ქართველის ხმარება მოგვიანებით დაიწო და შესაბამისად, ახალი ლექსიკური ერთეულებიც გაჩნდა: **ქართული (ქართველი), გაწურული ქართველი, სუფთა ქართველი** (დუტიძე, 2012:32). სიტყვა „გურჯი“ თურქეთის ქართველობაში, როგორც ისტორიული სამხრეთ საქართველოს მოსახლეობაში, ასევე, შიდა პროვინციებში მცხოვრები მუჰაჯირების შთამომავლებში უფრო ინტენსიურად გამოიყენება. „ქართველის“ აღმნიშვნელი ეს ტერმინი თურქეთში ადრევე დამკვიდრდა და ქართველები გურჯებად, საქართველო, კი გურჯისტანად იწოდებოდა. თანდათან იგი ოსმალეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიის ქართულ მეტყველებაშიც დამკვიდრდა და ნაციონალური ვინაობის გამომხატველ

ტერმინად იქცა. ზოგჯერ ეს სიტყვა ვიწრო მნიშვნელობით, მხოლოდ მუსლიმ ქართველებზე მიანიშნებდა, მაგრამ რეალურად იგი თითქმის არასდროს გულისხმობდა მაინცდამაინც მხოლოდ მუსლიმ ქართველს. რაც შეეხება მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველებას, ბევრგან შეიძლება გაიგონო, რომ თანამედროვე საქართველოში ცხოვრობენ „ქრისტიანი გურჯები და მუსლიმი გურჯებიც“ (ჩოხარაძე, 2016:30).

თურქეთში მცხოვრებ ქართველთა შთამომავლებს განსაკუთრებული განცდა აქვთ სამშობლოს მიმართ. ეთნიკური ქართველებისთვის საქართველო, ანუ გურჯისტანი, მემლექეთია, სამშობლოა. ცნობიერებაში ასე განასხვავებენ თურქეთსა და საქართველოს: ვათანი თურქეთია, სამშობლო-გურჯისტანია. საქართველოს დედასამშობლოსაც უწოდებენ. ქართული ლექსიკური ერთეული სამშობლო მხოლოდ საქართველოს მიემართება. ფორმულირებას კი ასე ახდენენ: „მე გურჯი ვარ, მემლექეთი გურჯისტანია, მაგრამ თურქეთის ვათანდამი (მოქალაქე) ვარ, შესაბამისად, თურქეთი ვათანია, მემლექეთი-საქართველოა. მშობლიური ენის აღსანიშნავად ეთნიკური ქართველები რამდენიმე სიტყვას იყენებენ: ჩვენებურა // ჩვენებური, გურჯულა//გურჯული, გურჯი//გურჯიჯა, ქართულა//ქართული, ქართველურა. მაგრამ, უპირატესობა მაინც, ჩვენებური//ჩვენებურა-ს გამოყენებას უფრო ენიჭება. ამ ტერმინებით ახდენენ ისინი თვითიდენტიფიკაციას. ეს ტერმინი მათ სხვებისგან გამოარჩევს თურქეთში. ეთნიკური ქართველებისათვის ეთნიკურობა ძირითადი ჩარჩოა, რომელსაც მათი იდენტობა ეფუძნება ენა კი, ამ იდენტობის გამომხატველი უმთავრესი საშუალებაა. ჩვენებური//გურჯულა//ქართულა//ქართველურა მათი ღირებულებების, ურთიერთობების გამომხატველია. ჩვენებური-მოიცავს ადამიანური ურთიერთობის ყველა სფეროს, რასაც შემდეგნაირად გამოხატავენ: ენა გურჯიჯა მექცევა, ანუ ენა ქართულისკენ გამიბის (ღუტიძე, 2012:35).

მუჰაჯირთა შთამომავლების მიხედვით გურჯი ის არის, ვინც ქართული ენა იცის. „ესქი (ძველად, წინათ) გურჯები ვიყავითო“, თუ გეტყვის ჩვენებური, გულისხმობს, რომ წინაპრები ქართველები იყვნენ, ჩვენ კი აღარ ვართ ქართველებიო. ქართული ენის დავიწყება გურჯობაზე უარის თქმის ტოლფასია: „მე

გურჯი ვარ, ჩემი შვილი არ არის გურჯი“ - იგულისხმება, რომ შვილმა ქართული ენა არ იცის. ან კიდევ: „ჩვენი ღარჭები (ბავშვები) რომ გეიზრდებიან, გურჯები იქნებიან... სისხლი ექნებათ, ენა არა“ (ჩოხარაძე, 2015:151). გურჯში ისინი გულისხმობენ ქართულად მოლაპარაკეს, ქართულის მცოდნეს და ერთგვარ გულიტკივილს გამოხატავენ, რომ ახალმა თაობამ ქართული ძირითადად დაივიწყა: „ჩვენ მემრე აღარ იქნება გურჯი: გურჯი ვარ იტყვის, ენა არ ვიციო“, გურჯობას გემო რომ გაუგო, ქართული უნდა იცოდეს: „გურჯი ვარო, ჩემ ბადიმ გუუხარდება, ჰამა გემოს ვერ მუუხდება, ვერ გეიგებს'და“ (ფაღავა, 2013:15). სოფელ ჩიფთლიქქოს (დუზჯეს ილი) მკვიდრის ბეითულა მაკარაძის მონათხრობი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მათი ერთ-ერთი ტკივილია ის, რომ სუფთა ქართულით ვერ ახერხებენ საუბარს: „აქავრობას ლაპარაკი ათასი წლის ძველია, შენი ლაპარაკი ახალია, ბაღნებმა ვერ იციან წინაპართა ენა, ჩვენებურაი არ იციან. თლათ ჩვენებური იყვენ, ჰამა გედერიცხენ. ჩვენც ვირეცხვით. ჩვენ რომ წევალთ, აქ გეირეცხება. ჩვენ მოკვდით, დამთავრდა აქა ქართული“ (ფაღავა, 2016:413,428). ან კიდევ: „ჩემი გურჯიჯა და შენი გურჯიჯა აინია, ჰამა ჩემი სიტყვა და შენი სიტყვა მაინც სხვა სოია, ვერ უდგება ერთმანეფ“ (ფუტკარაძე, 2016:328).

სხვა ფაქტორებთან ერთად ენა ცოცხალია მანამ, სანამ ხალხის მეხსიერებაში შემონახულია ტოპონიმები და ადგილთა სახელები. მართალია, დღეს ადგილთა სახელები ოფიციალურად თურქულია, მაგრამ, როგორც საკვლევი რეგიონის ქართულ სოფლებში, ასევე თურქეთის სხვა რაიონებშიც, ხშირად შეხვდები ქართული წარმომავლობის ტოპონიმებს: „ზემოყანა, წიფლნარი, ბარდნალი, ქერიელი (ქეიერი), ჯოლო ბახჩა (ფაღავა, 2016:106). ტოპონიმებით შენახული ენა კი ერთ-ერთი საშულებაა ეთნიკური ჯგუფისა და კულტურული მემკვიდრეობის გადასარჩენად. ენის გადარჩენას ხელი შეუწყო სოფლად მუჰაჯირთა კომპაქტურმა დასახლებამ, ურბანული ცენტრებიდან მოშორებით ბინადრობამ.. ერთად დასახლებული ჯგუფი უკეთ ინახავს ენას, ვიდრე იმავე რაოდენობის ჯგუფი, ოღონდ სხვადასხვა ადგილზე გაფანტული (ლუტიძე, 2008:3/3).

ქართულ ენასთან და ქართველობასთან (გურჯობასთან) დამოკიდებულების თვალსაზრისით თურქეთის ქართველობას რამდენიმე ჯგუფად ყოფს პროფ.

მაღხაზ ჩოხარაძე. ეს ჯგუფებია:

ა) ქართულ ენას ფლობენ, საკუთარ ვინაობას განასხვავებენ თურქეთის სხვა ეროვნებათაგან. ქართველობა მათთვის მნიშვნელოვანი ღირებულებაა და სიამაყის საფუძველია;

ბ) ქართულ ენას ფლობენ, გურჯები რომ არიან იციან, გურჯსა და სხვა ეროვნების წარმომადგენლებსაც მიჯნავენ ერთმანეთისაგან, მაგრამ როგორც სახელმწიფოს ერთგული ქვეშევდრომები, თავს თურქებად მიიჩნევენ. გურჯობა მათთვის გარკვეული ღირებულებაა;

გ) ქართულ ენას ფლობენ, თავს გურჯად მიიჩნევენ, მაგრამ ზოგჯერ „გურჯი“ „თურქის სახეობა ჰგონიათ. ქართველობა, როგორც ღირებულება მათთვის არსებობს, თუმცა ეს გრძნობა მინელებულია;

დ) ქართულ ენას არ ფლობენ, იციან, რომ ქართული წარმომავლობისანი არიან, თუმცა თავს თურქებად მიიჩნევენ.

ე) ქართული ენას არ ფლობენ, დავიწყნიათ ქართული წარმომავლობის შესახებაც, თუმცა ზოგჯერ შეიძლება შესაძლებლად მიიჩნიონ გურჯი წინაპრები რომ ჰყავდათ. ეს შესაძლებლობა მათთვის თითქმის არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს. ბუნებრივია თავს თურქებად მიიჩნევენ;

ვ) არც ქართულ ენას ფლობენ და არც ქართული წარმომავლობის შესახებ იციან და თურქებად მიიჩნევენ თავს (**ჩოხარაძე, 2016:41**).

ეთნიკურ ქართველებში კი პროფ. ინგა ლუტიძე გამოყოფს სამ ჯგუფს:

1. ეთნიკური ქართველები, რომლებიც ყოველთვის ხაზგასმით მიუთითებენ თავიანთი ქართული წარმომავლობისა და ენის შესახებ, რაც ყველაზე არსებითი და ძვირფასია მათთვის;

2. ეთნიკური ქართველები, რომელთათვისაც ყველაზე დიდი მნიშვნელობა რელიგიას ენიჭება, მაგრამ ყოველთვის აღნიშნავენ, რომ გურჯები (ქართველები) არიან;

3. ქართველები, რომლებიც ასიმილირებულნი არიან თურქულ ეთნოსთან და მათთვის უკვე არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ეთნიკურ წარმომავლობას (ლუტიძე, 2010, ასევე <https://iberia.wordpress.com/iberiana.ghutidze-muhajir/>), ხოლო

ქართულის ცოდნის თვალსაზრისით ი. ლუტიძე გამოყოფს შემდეგ ჯგუფებს:

1) 80 წელს გადაცილებული ქალები (მათი რაოდენობა დიდი არ არის), რომელთაც ცუდად იციან თურქული ენა და ძირითადად ქართულ ენაზე ლაპარაკობენ. ქალები ძირითადად ოჯახში საქმიანობდნენ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას არ იღებდნენ. ეს ტენდენცია მეტ-ნაკლებად დღესაც გრძელდება. გურჯი ქალების საქმიანობა თურქეთის სხვადასხვა რაიონში ოჯახის მოვლით, დიასახლისობით შემოიფარგლება. ზემოაღნიშნული ასაკის ადამიანებისათვის ქართული პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც მშობლიური ენაა;

2) 60-75 წლის ეთნიკური ქართველები, რომელთაც ცხოვრება სოფლებში აქვთ გატარებული, ძირითადად ქართულად ლაპარაკობენ. მათი თავშეყრის ნებისმიერ ადგილას სასაუბრო ენა მხოლოდ ქართულია; თურქულს იმ შემთხვევაში იყენებენ, როდესაც სხვა ეთნოსის წარმომადგენლებთან უხდებათ ურთიერთობა ან კიდევ საზოგადოებრივ ცხოვრებაში იღებენ მონაწილეობას რაიმე ფორმით. ამათგან გარკვეულ ნაწილს სკოლაშიც არ უვლია გასაგები მიზეზების გამო;

3) 35-60 წლის ეთნიკური ქართველები, რომელთაც განათლება თურქულ ენაზე აქვთ მიღებული. ეს ნაწილი მიუთითებს, რომ თურქული ენა მხოლოდ სკოლაში წასვლის შემდეგ ისწავლეს, რაც მათ პრობლემებს უქმნიდათ და თითო კლასში ზოგჯერ ორი წელი უხდებოდათ ჯდომა; რაც შეეხება ეთნიკურ ქართველებს 35 წელს ქვემოთ, აქ შემდეგი ჯგუფები გამოიყოფა: ა) საუბრობენ ქართულად და ერთმანეთთან ურთიერთობა ქართულ ენაზე მათთვის პრობლემა არ არის; ბ) ჯგუფი, რომელიც დამტვრეული ქართულით ლაპარაკობს; გ) ესმის რასაც ეუბნებიან, მაგრამ ვერ ლაპარაკობს; დ) არ ესმის ქართულად არცეთი სიტყვა და შესაბამისად, ვერც ლაპარაკობს; ე) ჯგუფი, რომელმაც ქართული 18 წლის შემდეგ ისწავლა (**ლუტიძე, 2010**, ასევე <https://iberia.wordpress.com/iberiana.ghutidze-muhajir/>).

სივრცე, სადაც XIX საუკუნეში ქართული ენა ისმოდა, შემცირებულია. ამასთან: ა) საგრძნობლად გადარიბებულია ლექსიკა; ბ) ლექსიკაში გაზრდილია თურქიზმების წილი; გ) იშვიათად შეხვდები ახალი თაობის წარმომადგენელს, მშობლიური ენა რომ იცოდეს: საშუალო და უმცროსი ასაკის ყმაწვილებმა აღარ იციან (**ჩოხარაძე,**

2015:144).

მიუხედავად იმისა, რომ მუჰაჯირთა შთამომავლების მნიშვნელოვანი ნაწილი ახერხებს ქართულად საუბარს, მათ შორის წინაპართა ენაზე წერა-კითხვის მცოდნენი იშვიათად არიან. წინაპართა ენაზე უფროს და საშუალო თაობათა ის წარმომადგენლები საუბრობს, რომლებიც ქართველებით კომპაქტურად დასახლებულ სოფლებში ცხოვრობენ. გვხვდება ისეთი სოფლები სადაც, მხოლოდ ერთ-ორს თუ შეხვდები ქართულის მცოდნეს, ისიც ძალიან მოხუცებულს. ენის დავიწყების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია თანამედროვე გარემო და ცივილიზაციის მონაპოვრები აგრეთვე ის, რომ ქართული ენის გამოყენების აუცილებლობა აღარ არსებობს. თუმცა ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ასიმილაციის პროცესმა მუჰაჯირთა შთამომავლების მეხსიერებიდან ბოლომდე მაინც ვერ ამოშალა მათი ეროვნული იდენტობა და უმეტეს მათგანმა არა მარტო თავისი ქართული წარმომავლობა, არამედ იცის მისი წინაპრების ქართული გვარიც.

დასკვნები

არსებული სამეცნიერო ლიტერატურა, საარქივო დოკუმენტები აგრეთვე, თურქეთის შავი ზღვის რეგიონში, მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებებში მოპოვებული საველე-ესპედიციების დროს შეკრებილი მასალები, მათი შესწავლა და ერთმანეთთან შეპირისპირება საშუალებას გვაძლევს გავაკეთოთ შემდეგი დასკვნები:

1. როდესაც ვსაუბრობთ მუჰაჯირობის ისტორიის შესწავლაზე, უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფია აღნიშნულ საკითხების ანალიზში ბევრად თავისუფალი იყო ვიდრე თურქული. მუჰაჯირობის მიზეზებზე საუბრისას ობიექტურად განიხილებოდა რუსეთის იმპერიის და ოსმალეთის როლი ამ პროცესში, რასაც ვერ ვიტყვით თურქ ისტორიკოსებზე.

მუჰაჯირთა ისტორიული მეხსიერების საკითხებზე საუბრისას ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ახალ მიწებზე გადახვეწილებს აბსოლუტურად სხვა გარემო დახვდათ. ოსმალეთის იმპერიის სახელმწიფოებრივი, რელიგიური და შემდგომში თურქეთის რესპუბლიკის იდეოლოგიური გავლენის შედეგად, მათ მთლიანად ცალმხრივად აქვთ გააზრებული მუჰაჯირობის მიზეზები და შედეგები. მოვლენების ჭეშმარიტი ანალიზისგან ისინი ჯერ კიდევ შორს არიან და მუჰაჯირობის მიზეზებად მხოლოდ რუსულ და რელიგიურ ფაქტებს მიიჩნევენ. ამის შედეგია ის, რომ მათ მხოლოდ გარკვეულ ტერიტორიებზე შეინარჩუნეს ქართული თვითმყოფადობისა და მსოფლმხედველობის ელემენტები.

თუმცა, აქვე უნდა ითქვას, რომ მუჰაჯირობაზე არანაკლები გავლენა იქონია სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა პირობებმა, ვიდრე რელიგიურმა.

2. მუჰაჯირობის შედეგად სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით ნახევარმა მიატოვა საკუთარი საცხოვრებელი და ანატოლიის ცენტრალურ პროვინციებში გადასახლდა. ისინი ძირითადად თურქეთის შავიზღვისპირეთის და მარმარილოს ზღვის რეგიონებში დასახლდნენ.

გადასახლების პროცესს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ხელს უწყობდა როგორც რუსეთის, ისე ოსმალეთის ხელისუფლება. რუსეთის

კოლონიზატორულ პოლიტიკას ემატებოდა ოსმალეთის გეგმები, რაც გამოიხატებოდა ანატოლიის აუთვისებელ ტერიტორიებზე ახალი დასახლებების შექმნაში.

3. მუჰაჯირობის შედეგად გადასახლებულმა ქართველებმა ოსმალეთის შიდა პროვინციებში ახალი დასახლებები შექმნეს. ხშირ შემთხვევაში ადგილზე მისულები აწყდებოდნენ სხვადასხვა სახის წინააღმდეგობებს, მათ შორის დამხვდური მოსახლეობის მხრიდან. მიუხედავად იმისა, რომ ძალზე რთული იყო ახალ მიწებზე დამკვიდრების პროცესი, დროთა განმავლობაში მათ შეძლეს უცხო გარემოსთან ადაპტაცია და საკუთარი, ტრადიციული მეურნეობის გამართვა.

ახალ გარემოში ცხოვრების მიუხედავად, შეძლეს დღემდე მოეტანათ ეროვნული თვითმყოფადობის უამრავი ელემენტი.

4. საერთო ჯამში, იქმნება ტენდენცია, რომ მუჰაჯირობის დროს ადგილობრივი მოსახლეობის დაახლოებით ნახევარი, ანუ სულ ცოტა 50% გადასხლდა. ამრიგად, ვიქრობთ, რომ მუჰაჯირობის პირველ პერიოდში, ე.ი. 1878 წლიდან 80-იანი წლების ჩათვლით, ამჟამინდელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიიდან დაახლოებით 25 000 კაცი გადასახლდა. ეს კი მაქსიმალურად არის ახლოს ჩვენს მიერ ქვემოთ მოტანილ, თურქული საარქივო მასალის დახმარებით დადგენილ ციფრთან.

ზემოთ მოცემული ციფრი უნდა იყოს ყველაზე უფრო მიახლოებული გადასახლებულთა რეალურ რაოდენობასთან. შემდგომში მსგავსი დოკუმენტების მოძიება და შესწავლა კიდევ უფრო დააზუსტებს ამ ციფრს. ეს უფრო საინტერესო ხდება იმ ფონზე, როდესაც ქართულ სინამდვილეში არ გვაქვს მსგავსი ზუსტი სტატისტიკა, თუ რომელი სოფლიდან თუ ტერიტორიიდან რამდენ ადამიანს მოუხდა საკუთარი სახლ-კარის დატოვება.

5. ყველაზე დიდი რაოდენობა ქართველი მუჰაჯირებისა შავი ზღვის რეგიონში დასახლდა, დღევანდელი ორდუს ილის უნიესა და ფაცას ილჩეებში. ნაშრომში მოყვანილია დღემდე უცნობი ოსმალური წყარო, რომლის ანალიზის მიხედვით, აჭარის ტერიტორიიდან 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ მარტო თურქეთის შავი ზღვის რეგიონში დაახლოებით 22 ათასი გადასახლებული პირია რეგისტრირებული. ამდენად, ჩვენს მიერ ზემოთ დასახელებული ციფრი, კიდევ

უფრო დამაჯერებელი ხდება.

შესაძლებელია ეს ციფრი არ გამოხატავს ზუსტ რაოდენობას იმ მუჭაჯირებისა, რომლებიც თურქეთის შავი ზღვის რეგიონში დასახლდნენ, რადგანაც მუჭაჯირობა არ იყო ერთჯერადი ფაქტი, ის გარკვეულ დროში მიმდინარეობდა. მიგრაციის ფაქტები მცირე ჯგუფების სახით თითქმის XX საკუნის 40-იან წლებამდე გრძელდებოდა. გარდა ამისა ხშირი იყო ფაქტები, როდესაც გადასახლებულები სხვადასხვა მიზეზების გამო ვერ ეგუებოდნენ ახალ გარემოს და უკან სამშობლოში ბრუნდებოდნენ.

6. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ:

ა) **გირესუნის პროვინციაში** მცხოვრები ქართველები ძირითადად აჭარისწყლის ხეობიდან (ახლანდელი ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის რაიონები; სოფლები: თხილვანა, ჭვანა, წონიარისი, ცხმორისი, ჯოჭო და სხვა) გადასახლებულ მუჭაჯირთა შთამომავლებია. ქართული დასახლებები გვხვდება პირაზის (Piraziz), ქეშაპის (Keşap), დერელის (Dereli) რაიონებში, აგრეთვე, გირესუნის ცენტრალურ რაიონში. ქართულ ენაზე ლაპარაკობენ უფროსი და საშუალო თაობის მუჭაჯირთა შთამომავლები. ახალ თაობას კი წინაპართა ენა აღარ ახსოვს.

ბ) **თოქათის პროვინციის** ქართული სოფლების უმრავლესობა **ნიქსარის** რაიონშია. რამდენიმე სოფელია **ერბაასა** და **თურქალში**, ასევე, თოქათის ცენტრალურ რაიონში. ნაწილი დასახლებებისა შავშეთიდან, კერძოდ, იმერხევიდან (სოფლები: დაბა, უბე, ზიოსი, ხევწრული, ბაზგირეთი, ოთხკილდე და სხვა) წასულ მუჭაჯირთა შთამომავლებს ეკუთვნით. გვხვდება აგრეთვე, აჭარიდან (უფრო ქედის რაიონიდან: საღორეთი, აგარა და სხვა) გახიზნულ მუჭაჯირთა შთამომავლების დასახლებებიც. თოქათის პროვინცია ქართული ენით მეტად დარბია. წინაპართა ენა პრაქტიკულად გამქრალია და თუ არ ჩავთვლით რამდენიმე გამონაკლისს, აქაურ სოფლებში მხოლოდ ღრმად მოხუცებულებს ახსოვთ ქართული და ისიც მწირედ.

გ) **ამასიის** პროვინციის ქართული სოფლები თავმოყრილია ამასიის ცენტრალურ რაიონში, ძირითადად თაშოვას და სულოვას ილჩეებში. აქ ძირითადად მაჭახლიდან და ზემო აჭარიდან გადასახლებულ მუჭაჯირთა შთამომავლები ცხოვრობენ. უფროს თაობას ახსოვს წინაპართა ენა, მაგრამ ცუდად.

დ) **ორდუს პროვინციაში** მუჰაჯირთა სამი ნაკადია დასახლებული. ესაა: ა) აჭარლები-აჭარისწყლის ხეობიდან გადმოსახლებული ქართველები; ბ) ჩურუქსუელები (ქობულეთლები); გ) მაჭახლელები. თითოეული ნაკადი კომპაქტურადაა დასახლებული და ცალკე სოფლები აქვთ შექმნილი. იშვიათადაა შერეული დასახლებები.

ე) **ბოლუს პროვინციის** ქართულ სოფლებში ძირითადად აჭარისწყლიდან, წონიარისიდან გადასახლებულთა შთამომავლები ცხოვრობენ.

ვ) **დუზჯეს პროვინციის** სოფლებში ძირითადად აჭარისწყლის ხეობიდან (ხულოს, შუახევის და ქედის რაიონები) და ბათუმის რაიონიდან გადასახლებულ მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებებია, მხოლოდ ორიოდ დასახლებაა მაჭახლელებისა და ნიგალებებისა. ფუძე სოფლებია: ღორჯომი, ჭალა, ზემოხევი, ბრილი, ახალდაბა, წონიარისი, გონიო, მირვეთი და სხვა.

ზ) **სამსუნის პროვინციის** მიმდებარე სოფლებში ძირითადად აჭარიდან-ქედის რაიონიდან, მაჭახლიდან და კლარჯეთიდან (ორი სოფელი) გასასახლებულთა შთამომავლები ცხოვრობენ. უფროს თაობას ჯერ კიდევ ახსოვს ქართული ენა. უმცროს თაობაში ქართულის მცოდნეს იშვიათად შეხვდები.

თ) **სინოპის პროვინციაში** სინოპში ცხრა რაიონია, ქართველთა კომპაქტური დასახლებები კი ხუთშია. სინოპური დასახლებების თავისებურება ისაა, რომ სოფლების უმრავლესობა შერეულია. იშვიათია წმინდა ქართული დასახლება. ქართველები უმეტესად ცხოვრობენ ან ცალკე უბნად, ან მიმოფანტული არიან მოსახლეობაში. ქართველების უმრავლესობა ნიგალიდან წასულთა შთამომავლებია. არიან ქობულეთ-ჩაქვიდან და მაჭახლიდან, ასევე, ზემო აჭარიდან გადასახლებულთა შთამომავლები.

7. მუჰაჯირთა შთამომავლებში ოჯახი და ქორწინება განიხილება, როგორც ქართველობის შენარჩუნების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანი. ოჯახის შექმნისას მუჰაჯირთა შთამომავლები უპირატესობას ქართველებს ანიჭებენ. საქორწინო ურთიერთობების ყველა საფეხურზე შეინიშნება ქართული, კერძოდ კი, აჭარისათვის დამახასიათებელი ელემენტები. საქორწინო ტერმინოლოგია და წეს-ჩვეულებები შემოინახეს იმ სახით, როგორი სახითაც გადასახლების პერიოდში

არსებობდა. საქორწინო წეს-ჩვეულებების ის ნაწილი, რაც კიდევ შემორჩა მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლების მეხსიერებას და ყოფას, დასტურია იმისა, რომ ეს ტრადიციები საერთო ქართული სივრცის ნაწილია. ჩვენს მიერ წარმოდგენილი მონაცემები კი, მხოლოდ ნაწილობრივ წარმოაჩენს ქორწინებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ბევრი პრობლემა მოითხოვს შემდგომ კვლევას და განსჯას.

8. მუჰაჯირთა შთამომავლებმა ქართული ეროვნული ყოფისა და კულტურის სხვა მნიშვნელოვან ელემენტებთან ერთად შესაძლებისდაგვარად შეინახეს ეროვნული ზეპირსიტყვიერების თითქმის ყველა ჟანრი, რასაც უდავოდ ხელი შეუწყო თავის დროზე მუჰაჯირთა კომპაქტურად დასახლებამ.

9. დროთა განმავლობაში უცხო სახელმწიფოში ცხოვრების მიუხედავად, საკვლევ რეგიონში მცხოვრებ ქართველთა არცთუ ისე მცირე ნაწილმა მაინც შეძლო წინაპართა ენის შენარჩუნება. ეს ფაქტი კიდევ უფრო მნიშვნელობას იძენს, თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს, როდესაც ეთნო-დემოგრაფიული თვალსაზრისით მცირე ეთნოსთა ან კიდევ უმცირესობათა ენები ქრება, ან უკვე გაქრა. საუკუნეების განმავლობაში მიმდინარე მთელი რიგი პროცესების მიუხედავად, ქართული ენა ძალზე მყარი ბერკეტი აღმოჩნდა, რომლის მოშლა და დარღვევა ვერც პოლიტიკურმა ვითარებამ და ვერც დრომ მოახერხა, რადგანაც ეს იყო ქართველთა ეთნიკური ერთობისა და კულტურის უწყვეტობის განმაპირობებელი. ეთნიკურმა ქართველებმა ქართული ენა საუკუნეებს გამოატარეს და დღემდე შემოგვინახეს, როგორც ეთნოკულტურული ინფორმაციის უნიკალური ნიმუში.

10. ქართულად თითქმის ყველგან მხოლოდ უფროსი და საშუალო თაობა ლაპარაკობს. ქართული ენის დავიწყების მიზეზად ყველაზე ხშირად იმას ასახელებენ, რომ ქართული ენის საარსებო სივრცე შევიწროებულია და პრაქტიკული აუცილებლობა აღარ არსებობს. ენის დავიწყების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია თანამედროვე გარემო და ცივილიზაციის მონაპოვრები. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ასიმილაციის პროცესმა მუჰაჯირთა შთამომავლების მეხსიერებიდან ბოლომდე მაინც ვერ ამოშალა მათი ეროვნული იდენტობა და უმეტეს მათგანს კვლავაც ახსოვთ, რომ მათი წინაპრები ქართველები,

„ გურჯები“ იყვნენ.

11. მიუხედავად ყველაფრისა, თურქეთში დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს ასიმილაციის პროცესი და თანდათანობით იკარგება სხვადასხვა ეთნო-კულტურული ფასეულობანი. ამიტომ მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ საქართველო-თურქეთს შორის დღეს არსებული კეთილმეზობლური ურთიერთობა მუჰაჯირთა შთამომავლების თანამედროვე ყოფითი კულტურის შესწავლის მიზნით. მუჰაჯირთა შთამომავლებს შორის, დღეისათვის ჯერ კიდევ არის თაობა, რომელსაც „ახსოვს“ ბებია-ბაბუების „ცოცხალი“ მოგონებები მუჰაჯირობის ეპოქაზე, მაგრამ მათი რიცხვის შემცირებასთან ერთად ამ ცოდნის მოპოვებაც შეუძლებელი იქნება.

ტექსტში გამოყენებული სიტყვების განმარტება:

ა

ადგომა (თურქ. Kalkmak - კალკი) - საცხოვრებელი სახლის მიტოვება.

ანჯახ (თურქ. Ancak) - მხოლოდ, ძლივს.

აინი (თურქ. Ayni)-იგივე, ისეთივე.

აირი (თურქ. Ayri)- სხვა, ცალკე

არაბა (თურქ. Araba) - ურემი, ავტომანქანა

აღა (თურქ. Ağa)- ბატონი

აღება (თურქ. Almak - კალკი) - ყიდვის მნიშვნელობით

ახრაბა (თურქ. Akraba) - ნათესავი.

ბაბაი/ბაბოი (თურქ. Baba) - მამა

ანაი (თურქ. Anne) - დედა

ბ

ბარგი (თურქ. Bark)- სახლი, კერა, ოჯახი

ბაღვი-ბავშვი

ბეღიავა (თურქ. Bedava) - მუქთად, უფასოდ, უშედეგოდ, უმიზეზოდ

ბეთი (თურქ. Bed) - ცუდი.

ბელა (თურქ. Bela) - უბედურება, სადარდებელი

ბეთმეზი (თურქ. Betmez) - ხილის დადუღებული წვენი, ბექმაზი

ბიბი (ძვ. თურქ. Bibi)- მამიდა, ბიბიაშვილი-მამიდაშვილი, მამის დის შვილი

ბოლოკაი - ხშირად ასე მოიხსენებენ თურქებს და იმ ქართველებსაც, ვინც ქართული ცუდად, ან საერთოდ არ იცის

ბოხჩა - საპატარძლოსათვის მირთმეული საჩუქრები, ტანცასმელი..

ბრეკლი-ბევრი

გ

გადარეკლი - შერეული, „თურქებში გადავერიეთ“

გაბჯგენა - გაჯიუტება

გარში - გარეთ

გავსხვაფერდით - შევიცვალეთ, იგულისხმება თურქებში შერევა

გადაპატიჯავს - გადაპატიჟებს
გამოვიბარგეთ - გადმოვედით/წამოვედით
გაფხეკილი - ხრიოკი
გაფხეკა - გამარგვლა
გაწევა - ცომის გაბრტყელება
გელინი (თურქ. Gelin) - რძალი
გენჯი (თურქ. Genç) - ახალგაზრდა, გენჯობა-ახალგაზრდობა
გერჩექ (თურქ. Gerçek) - სიმართლე, ჭეშმარიტება
გვალი-მრგავლი
გიავრი- ურჯულო, გიაური
გითდი (თურქ. Gitti) - წავიდა
გურჯი - ქართველი, გურჯიჯე-ქართული/ქართულად
გლახობა-სიგლახე
გონჯა-ცუდათ

დ

დაჟდუმლება - დაჯენა, საცხოვრებელი ადგილის არჩევა
დაჯდომა (თურქ. Oturmak - კალკი) - ცხოვრება, დამკვიდრების
მნიშვნელობით
დასახლებული - დაქორწინებული
ქორი (თურქ. Kor) - ბრმა, დაქორება -დაბრმავება
დემექ (თურქ. Demek ki)- მაშასადამე, ესეიგი
დენიზი (თურქ. Deniz) - ზღვა
დეიკავა/დეირიგა - დაიჭირა/დანაწილება, ადგილის არჩევის, დასახლების
მნიშვნელობით
დეიკონწლა (ხურმა) -კარგად მოისხა
დიდვანები - დიდები, უფროსები, წინაპრები
დუგუნი (თურქ. Düğün) - ქორწილი, წვეულება
დუშმანი (თურქ. Düşman) - მტერი

ე

ეზბედი (თურქ. Ebedi)- უსასრულო, სამარადისო

ევლე - ავიდე

ელჩი - შუამავალი, მაჰანკალი

ემიაი (ძვ. თურქ. Emi) - ბიძა, მამის ძმა, ემიაშვილი-ბიძაშვილი

ეიკიდი ჰაი- ჰაი გიდი

ესქი (თურქ. Eski) - ძველი

ემრით (თურქ. Emr/ri) – ნება, ბრძანება; ღმერთის ემრით - ღვთის

წყალობით/ნებით

ერმენი (თურქ. Ermeni) -სომეხი

ეტყვიან - უწოდებენ

ეფეიჯა (თურქ. Epeyce) - საფუძვლიანად, საკმაოდ

ვ

ვარი - უარის თქმა

ვჩივი - ვამბობ

ზ

ზათინ/ზათი (თურქ. Zaten/Zati) – არსებითად, სულაც, სწორედაც

ზამანი (თურქ. Zaman) -დრო

ზორი (თურქ. Zor) - ძნელი

ზორით - ძნელად, ძალით

ზორში - გაჭირვებაში

ზოფა - კეტი, ზოფას ჭამ -იცემები

ზენგილი (თურქ. Zengin) - მდიდარი

თ

თავაღმა - ზევით აღმართში

თეელი - მთელი, მთლიანი, ყველა, ადრე თეელი გურჯები იყვნენ

თექრენ (თურქ. Tekren) - ისევ

თეფე (თურქ. Tepe) - ბორცვი, გორა

ო

იბრეთი (თურქ. İbret) - უცნაური

იერი (თურქ. Yer) -ადგილი

იმდონი - იმდენი

იმხელა/რამისხელა - იმდენად, რამოდენ.

ილლე (არაბ. თურქ. İlla/İlle) -აუცილებლად, ყოველ მიზეზ გარეშე

იშტე (თურქ. İşte) - აი (ჩვენებითი)

იაღი (თურქ. Yağ) - კარაქი, ცხიმი

იუხა -პურის ფქვილის გაბრტყელებული ცომის ფენა

პ

კარი (თურქ. Kapı) - კარი, საზღვარი, კარის გაღება - საზღვრის გახსნა

კაცი - იგულისხმება ქმარი

კითხვა (თურქ. Okumak - კალკი) - კითხვა, სწავლა

ლ

ლეჩერი (თურქ. Reçel) - მურაბა

მ

მაიდამაი - მაინც და მაინც

მალახთო - ნიგვზიანი ლობიო

მაჰალე (თურქ. Mahalle) -უბანი

მემრე-მერე

მეგემ-თურმე

მემლექეთი (თურქ. Memleket) - სამშობლო

მილლეთი (არაბ. თურქ. Millet) - ხალხი

მირთმევა-ჭმევა

მივერე-მეორე

მოსაქმე-მშრომელი

მოყაჟირება-მონახულება,სურვილის შესრულება.

მუსაფირი (თურქ. Misafir) - სტუმარი

ნ

ნიქახი (თურქ. Nikah) - ქორწინების გაფორმება, ხელისმოწერა

ნიშანი (თურქ. Nişan) - სასიძოს მიერ საპატარძლოსთვის მირთმეული სამკაული (ბეჭედი)

ო

ოდა (თურქ. Oda) - ოთახი

ოღლუშადი (თურქ. Oğul – uşak) - ოჯახი-ცოლ-შვილი

ჟ

ჟავე - წნილი

ჟამი - ჭირი

რ

რაფერ - როგორ, რანაირად

რუმი (თურქ. Rum) - ბერძენი

ს

სავლელაი - მოსანახულებლად წასვლა

სარმა (თურქ. Sarma - შეხვეული, გახვეული) - ტოლმა

საქმოზა - მუშაობა, სამსახური

სივრისინეგი (თურქ. Sivrisinek) - კოლო

სოიადი (თურქ. Soyadı) - გვარი

სურუნჯი - წიწაკა

ტ

ტაია (თურქ. Dayı) - ბიძა, დედის ძმა; ტაიაშვილი - ბიძაშვილი-დედის ძმის შვილი

უ

უნდებიან-სურთ

ფ

ფაციანი - გოგო

ფიშმანობა (თურქ. Pişman) - დარდი, წუხილი, ფიქრი

ფუხარა (თურქ. Fukara) - ღარიბი

ქ

ქალი - ცოლი

ქი (სპარს. თურქ. Ki) - რომ (კავში)

ქიბარი/ქიბრობა (არაბ. თურქ. Kibar) - კეთილშობილი, წარჩინებული, თავმომწონე

ქითაბი (არაბ. თურქ. Kitap) - წიგნი, წერილი

ქილისე (თურქ. Kilise) - ეკლესია

ქოი (თურქ. Köy) - სოფელი

შ

შექერი (თურქ. Şeker) - შაქარი

შეაჟდუმლებ ცხენზე - ცხენზე შესმა.

ჩ

ჩაჯდომა (თურქ. Oturmak) - ჩასახლება

ჩუუკლიტავენ - დახურვა/დაკეტვა

ჩურუგაი - აგვისტო

ჩიჩეგი (თურქ. Çiçek) - ყვავილი

ჩივიან - ამბობენ

წ

წაკიდება/წაკიდებიან - წაჩხუბება

წვიტი - პატარა

წინ-წინ - უწინ, ადრე

ხ

ხალა (თურქ. Hala) - დეიდა

ხანე (თურქ. Hane) - კომლი, სახლი „თხუთმეტი ხანე გამეგვარგეთ“

ხებერი (თურქ. Haber) - ამბავი

ხემ/ჰემ (თურქ. Hem) - თან ახლა

ხისიმი (თურქ. Hısm) - ნათესავი

ხიჩ/ჰიჩ (თურქ. Hiç) - სულ არ

ხონდეს - ქონდეს

ჯ

ჯდომა (თურქ. Oturmak - კალკი) - სახლობა, ცხოვრება

ჯერულობ - იჯერებ

ჯუერი - ავადმყოფობა

ჰ

ჰალა (თურქ. Hala) - ჯერაც

ჰამა (თურქ. Ama) - ამა

ჰასუთა - რძიანი კერძი

ჰევესი მაქ (თურქ. Heves) - სურვილი, ნატვრა, ინტერესი მაქვს

ჰესაფ (თურქ. Hesap) - ანგარიში

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა:

წყაროები:

1. სცსსა, ფ. 5, ან.1, საქმე 7089, ფურც. 1-3
2. სცსსა, ფ. 5, ან. 1, საქმე 7089, ფურც. 3
3. სცსსა, ფ.7, ან. 1, საქმე 3165, ფურც. 4-7
4. სცსსა, ფ. 5, ან.1, საქმე 622
5. სცსსა, ფ.7, ან. 1, საქმე 2066, ფურც. 43-45
6. სცსსა, ფ.7,ან.1, საქმე 1107,ფურც. 2-5
7. სცსსა,ფ.7. ან.4 საქმე 1293,ფურც.1-2
8. სცსსა, ფ. 7, ან. 3, საქმე 1970, ფურც. 7-9
9. სცსსა ფ.2,ან. 2, საქმე 263
10. სცსსა, ფ. 229, ან. 1, საქმე 30, ფურც. 62.
11. სცსსა, ფ. 229, ან. 1, საქმე 30, ფურც. 8.
12. სცსსა, ფ. 229, ან. 1, საქმე 30, ფურც. 85
13. სცსსა, ფ. 229, ან. 1, საქმე 30, ფურც. 80-84.,
14. სცსსა, ფ. 229, ან. 1, საქმე 12, ფურც. 2-4
15. სცსსა, ფ. 229, ან. 1, საქმე 48, ფურც. 1
16. სცსსა, ფ. 416, ან. 3, საქმე 163, ფურც. 27
17. სცსსა, ფ. 416, ან. 3. საქმე 819, ფურც. 1, 2, 3.
18. სცსსა, ფ. 416, ან. 3, საქმე 163, ფურც. 11
19. სცსსა, ფ.416 ან. 3, საქმე 172,ფურც 4
20. სცსსა, ფ. 416, ან. 3, ფ. 9-19
21. სცსსა, ფ. 545, ან.1, საქმე 191
22. აცსა,ფ.13, ან.1, საქმე 41, ფურც. 55-63
23. აცსა, ფ.83, ან.1, საქმე 1, ფურც.348
24. აცსა,ფ. 83, ან.1, საქმე 1, ფურც.353
25. აცსა,ფ. 83, ან.1, საქმე1, ფურც.354-355
26. ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ს.№ 94.
27. ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმის რუსულ ხელნაწერთა ფონდი, ს.№223

28. ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმის ქართულ ხელნაწერთა ფონდი, ს.№247
29. ხარიტონ ახვლედიანის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ს. №122
30. აჭარის სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, ს.№640
31. ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივი ფონდი №20,ან.1, ს.№74
32. Göçler – Osmanlı Belgelerinde Kafkas Göçleri I, İstanbul 2012.
33. Nfs.d - Başbakanlık Osmanlı Arşivi (BOA), Nüfus Defteri – 02758
34. Nfs.d - BOA, Nüfus Defteri – 02759
35. Nfs.d – BOA, Nüfus Defteri -01170
36. Nfs.d – BOA, Nüfus Defteri – 02769
37. Nfs.d – BOA, Nüfus Defteri – 02763
38. კვალი, 1895, №49
39. ივერია, 1879,№ 2
40. ივერია, 1879,№149
41. დროება,1878, № 41, 129, 189, 190, 247, 239, 253, 267.
 1879, №14, 24, 32, 35, 40, 127, 145, 177, 208.
 1880,№ 4, 95, 118, 131, 151, 168, 196, 228, 234.
 1882,№59
 1883,№ 245
42. Голос, 1878, N 5-6
 1879, N 102,158
 1881, N 95
43. Обзор, 1878 N 231
44. სახალხო გაზეთი, 1912, №108.

ინტერნეტ რესურსები:

45. ამირანაშვილი 2011: ამირანაშვილი ლ., „მუჰაჯირობა კავკასიაში,” ნაწილი I-II (განთავსებულია 11 დეკემბრიდან, 2011);
მის: www.youtube.com/watch?v=obxx9Iei3TY
46. კვაჭაძე 2009: კვაჭაძე ნ., „ბათუმის ნავსადგურიდან ოსმალეთისაკენ-მუჰაჯირობის ისტორია პრესაში” (განთავსებულია 22 ნოემბრიდან, 2009); მის: <http://oldbatumi.wordpress.com>
47. ქათამაძე 2015: ქათამაძე ა., ფილმი-„დედის ენა ქართული“ (განთავსებულია 21 ივლისიდან, 2015);
მის: <http://ajaratv.ge/show/ge/21/dedis-ena-qartuli.html>
48. ლუტიძე 2010: ლუტიძე ი., „მუჰაჯირ ქართველთა იდენტობის საკითხები” (განთავსებულია იანვრიდან, 2010); მის: www.iberia.wordpress.com
49. შაჰინი 2005: შაჰინი მ., „უნიელი ქართველები“, (განთავსებულია 4 ივლისიდან, 2005); მის: www.chveneburebi.net
50. ჩელები 2003: ჩელები ნ., „გურჯუჩიფთლიქი“, (განთავსებულია 11 მარტიდან, 2003); მის: www.chveneburebi.net
51. ჩელები 2004: ჩელები ფ., „ეფთენის ქართველები-დუზჯე“, (განთავსებულია 15 იანვრიდან, 2004); მის: www.chveneburebi.net
52. ჩიქოვანი 2012: ჩიქოვანი ნ., „ისტორიის აღქმა და რეპრეზენტაცია-მეხსიერების პოლიტიკა” (განთავსებულია 12 დეკემბრიდან, 2012);
მის: <http://interculture.ucoz.com/load/ist-39>

ლიტერატურა:

53. **ბარამიძე 1999:** ბარამიძე ი., საადგილმამულო ურთიერთობათა ისტორიიდან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (XIX ს-ის 70-80-იანი წლები), ბათუმი.
54. **ბარამიძე 2013:** ბარამიძე რ., ქართველი მუჰაჯირების თვითმყოფადობის ზოგიერთი საკითხი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ინსტიტუტის კრებული, VII, ბათუმი.
55. **ბარამიძე... 2013:** ბარამიძე მ., ფალავა მ., ცინცაძე მ., ორდუელ მუჰაჯირთა მეტყველება, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ინსტიტუტის კრებული, VII, ბათუმი.
56. **ბავრელი 2008:** ბავრელი (ასლანიშვილი) ს., წერილები „ოსმალის საქართველოზე, ტექსტი გამო-საცემად მოამზადეს, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებლები დაურთეს ლელა ქურდაძემ და გოჩა საითიძემ, თბილისი.
57. **ბაქრაძე 1987:** ბაქრაძე დ., არქეოლოგიური მოგზაურობა, გურიასა და აჭარაში, ბათუმი.
58. **ბექაია 1974:** ბექაია მ., ძველი და ახალი საქორწინო ტრადიციები აჭარაში, ბათუმი.
59. **ბენდიანიშვილი 1999:** ბენდიანიშვილი ა., საქართველოს ისტორია, თბილისი.
60. **ბოსტაშვილი 1991:** ბოსტაშვილი ნ., იასე რაჭველიშვილი-მეხუზლა, “მეცნიერება”, თბილისი.
61. **გიორგაძე 2005:** გიორგაძე თ., ქორწინების ინსტიტუტი ხევში, ქართული ეთნოლოგია, I, თბილისი.

62. გოგოლიშვილი...2008 გოგოლიშვილი ო., ბერიძე ბ., საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის განვითარების ისტორიის საკითხები აჭარაში (XIX-XX საუკუნეთა მიჯნა), ბათუმი.
63. გოგოლიშვილი 2009: გოგოლიშვილი ო., ბერლინის კონგრესი და მისი შედეგები, სამხრეთ-დასავლეთი საქართველო მეზობელ სახელმწიფოთა გეოპოლიტიკური ინტერესების კონტექსტში, აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 130 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათუმი.
64. გუჯეჯიანი 2012 გუჯეჯიანი რ., სოციალური მეხსიერების ფაქტები თურქეთელ ქართველთა ტრადიციულ ყოფაში, თსუ-ს ისტორიის ინსტიტუტის შრომები, სპეციალური გამოშვება „კლარჯეთის დიდებულთა უდაბნოთა“, თბილისი.
65. გუჯეჯიანი 2013: გუჯეჯიანი რ., ბათუმთან დაკავშირებული სოციალურ-კულტურული ასპექტები თურქეთელ ქართველთა ტრადიციულ ყოფაში, „ბათუმი-წარსული და თანამედროვეობა IV, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათუმი.
66. დალეჯიო...1990: დალეჯიო დალესიო ე., ქართველები კონსტანტინეპოლში და სპარსეთში,“ გ.შარაძის გამოცემა, თბილისი.
67. დერმიში 2001: დერმიში ბ., უსტამისი (ესქილე), ჟურნალი „ჩვენებური“, №4

68. ვარდმანიძე 2013: ვარდმანიძე ჯ., მუჰაჯირობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში (XIX საუკუნის 30-80-იანი წლები), ბათუმი.
69. ვარშანიძე 2005: ვარშანიძე ნ., ბათუმი საერთაშორისო პოლიტიკის კონტექსტში (XIX საუკუნის ბოლო მეოთხედი), საისტორიო მაცნე, XIV, ბათუმი.
70. ზოიძე 1993: ზოიძე ვ., მგზნებარე მამულიშვილები, გამომც. „აჭარა“, ბათუმი.
71. თოფჩიშვილი 2008: თოფჩიშვილი რ., ქართველთა ეთნოგენეზისა და ეთნიკური ისტორიის პრობლემები, თბილისი.
72. თოფჩიშვილი... 2008: თოფჩიშვილი რ., ხუციშვილი ქ., გუჯეჯიანი რ., თეორიული ეთნოლოგია, თბილისი.
73. კახიძე 2008: კახიძე ნ., მუჰაჯირობის ასახვა ქართულ პრესაში (გაზეთ „დროებაში“ აჭარაზე დაცული ცნობების მიხედვით), კრ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ეთნოლოგიის პრობლემები, II, ბათუმი.
74. კარალიძე 2009: კარალიძე ჯ., აჭარა 1878-1903 წლებში (პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ვითარება), ბათუმი.
75. კომახიძე 1998: კომახიძე თ., ქალაქ ბათუმის ქუჩების ისტორია, გამომც. „აჭარა“, ბათუმი.
76. კლარჯეთი 2016: ჩოხარაძე მ., კლარჯ მუჰაჯირთა სოფლები შავი ზღვის რეგიონში, ბათუმი
77. ლისოვსკი 1887: ლისოვსკი დ., ჭოროხის აუზი, თბილისი.
78. იაშვილი 1948: იაშვილი ვ., აჭარა ოსმალთა ბატონობის პერიოდში, ბათუმი.

79. ილდიზთაში 2012: ილდიზთაში მ., საქართველო და ქართველები ოსმალურ საარქივო დოკუმენტებში, სტამბოლი.
80. მაგნარელა 1999: მაგნარელა პ., თურქეთში მცხოვრები ქართველების ასიმილაცია-სიტუაციის კვლევა, ჟურნ. „ჩვენებური“ №31, იანვარ-მარტი (იხ.აგრეთვე: <http://www.chveneburi.net>).
81. მაჩაბელი 1976: მაჩაბელი ნ., ქართველი ხალხის საოჯახო ყოფის ისტორიიდან, მზითვის ინსტიტუტი აღმოსავლეთ საქართველოში, თბილისი.
82. მეგრელიძე 1956: მეგრელიძე შ., აჭარის განთავისუფლება თურქთა ბატონობისაგან, ბათუმი.
83. მეგრელიძე 1963: მეგრელიძე შ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან, თბილისი.
84. მეგრელიძე 1964: მეგრელიძე შ., აჭარის წარსულიდან (მუჰაჯირობა 1878-1882 წწ) თბილისი.
85. მესხი 2000: მესხი ს., წერილები აჭარაზე 1875-1882 შეადგინა, კომენტარები, შენიშვნები და საძიებლები დაურთო რამაზ სურმანიძემ, ბათუმი.
86. მოწერელია 1987: მოწერელია მ., სტუმარმასპინძლობის ტრადიციები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბილისი.
87. მგელაძე 1996: მგელაძე ვლ., ქორწინება და საქორწინო წესჩვეულებანი აჭარაში, კულტუროლოგიური და ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი საქართველოში, I, ბათუმი.

88. მგელაძე 2013: მგელაძე ნ., ქორწინება და საქორწინო ტრადიციები თურქეთის შავი ზღვისპირეთის ქართველ მუჰაჯირებში (ორდუსა და სამსუნის გუბერნიებში), ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ინსტიტუტის კრებული, VII, ბათუმი.
89. მგელაძე 2014: მგელაძე ვლ., პეტრე უმიკაშვილი და ოსმალობის დროინდელი სამხრეთ საქართველო, ბათუმი.
90. ნიკოლეიშვილი 2009: ნიკოლეიშვილი ნ., ქართული კულტურის კერა და ქართველები თურქეთში, ქუთაისი.
91. ნიკოლეიშვილი 2011: ნიკოლეიშვილი ა., დავით წერეთელი (სხვიტორელი), ქუთაისი.
92. ნიკოლეიშვილი 2016: ნიკოლეიშვილი ნ., თურქეთის შავი ზღვისპირეთში-ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლებთან, ქუთაისი.
93. ოქროსცვარიძე 2014: ოქროსცვარიძე ნ., ოჯახი და საოჯახო ყოფა თურქეთელ ქართველებში (ინეგოლის რაიონის სოფელ ჰაირიეს მაგალითზე), სადოქტორო დისერტაცია, თბილისი.
94. ოქროსცვარიძე 2016: ოქროსცვარიძე ნ., ეთნიკური თვითაღქმის საკითხის გააზრებისთვის ჰაირიესა და ინეგოლის ქართველებში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია), საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, VI, თბილისი.
95. პალგრევი 2012: პალგრევი ჯ., „აჭარა ლაზეთი,“ თარგმნა, გამოსაცემად მოამზადა, ავტორის ბიოგრაფია, კომენტარები და სამიუზეო დაურთო რ. სურმანიძემ, ბათუმი

96. სამხრეთ... 2008: სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ტ. III, ბათუმი.
97. სახოკია 1985: სახოკია თ., მოგზაურობანი, ბათუმი.
98. სვანიძე 1996: სვანიძე მ., ქართველები თურქეთში, თბილისი.
99. სიჭინავა 1958: სიჭინავა ვლ., ბათუმის ისტორიიდან, ბათუმი.
100. სიხარულიძე 1959: სიხარულიძე ი., აჭარის ტოპონიმის, I-II, ბათუმი.
101. სურგულაძე 1978: სურგულაძე აბ., განმანათლებლებელი მოძრაობის ისტორიიდან აჭარაში, ბათუმი.
102. ფაღავა ...2008: ფაღავა მ., ბარამიძე მ., ცინცაძე მ., ორდულ მუჰაჯირთა მეტყველება (მასალები), ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ინსტიტუტის კრებული VII, ბათუმი.
103. ფაღავა 2013: ფაღავა მ., ქობულეთურის ზოგიერთი თავისებურება მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების მიხედვით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ინსტიტუტის კრებული, VII, ბათუმი.
104. ფაღავა 2013: ფაღავა მ., ქართველი მუჰაჯირები ორდუსა და სამსუნის გუბერნიებში (ილებში), ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ინსტიტუტის კრებული, VII, ბათუმი.
105. ფაღავა... 2013: ფაღავა მ., შაშიკაძე ზ., ჩოხარაძე მ., მგელაძე ნ., ექსპედიცია მუჰაჯირთა შთამომავლებთან, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ინსტიტუტის კრებული, VII, ბათუმი.


106. ფალავა 2016: ფალავა მ., „მუჰაჯრთა შთამომავლებთან,“ ბათუმი.
107. ფუტკარაძე 1993: ფუტკარაძე შ., „ჩვენებურების ქართული,“ ბათუმი.
108. ფუტკარაძე 2016: ფუტკარაძე შ., „ჩვენებურების ქართული,“ წიგნი მეორე, ბათუმი.
109. ფუტკარაძე 2005: ფუტკარაძე თ., აჭარის მოსახლეობის მიგრაცია და დემოგრაფიული პრობლემები პოლიეთნიკურ რეგიონებში, ბათუმი.
110. ფუტკარაძე 2009: ფუტკარაძე თ., ქორწინება შავშეთ-იმერხევის ქართველებში, ბათუმი.
111. ფუტკარაძე 2016: ფუტკარაძე ე., ქართული ენა ტაო-კლარჯელთა ცნობიერებაში, „ჩვენი სულიერების ბალავარი,“ VIII, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი.
112. ფუტკარაძე 2015: ფუტკარაძე ნ., ქართველ მუჰაჯირთა სოფლები თურქეთის შავიზღვისპირეთში (გირესუნის პროვინცია), „ბათუმი წარსული და თანამედროვეობა, VI, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი.
113. ფუტკარაძე 2015: ფუტკარაძე ნ., მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებები თოქათის პროვინციაში, სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები V, თბილისი.
114. ფუტკარაძე 2015: ფუტკარაძე ნ., საველე-ექსპედიციის რვეული, გირესუნის პროვინცია, სოფელი თეფეორენი, 23 ივლისი.

115. ფუტკარაძე 2016 ფუტკარაძე ნ., საველე ექსპედიციის რვეული, ამასიის პროვინცია, სოფ. აქქიაზი, 19 აგვისტო.
116. ფრენკელი 2012: ფრენკელი ა., ნარკვევები ჩურუქ-სუ-ზე და ბათუმზე, გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები, ლექსიკონი და სამიებლები დაურთო რამაზ სურმანიძემ. თბილისი.
117. ქორქუნთი 2002: ქორქუნთი ფ., ჰაჯიალფინარის უბანი (ქირიმთჰანე)-ლადიქი-სამსუნი, ჟურნალი „ჩვენებური“, №43 იანვარი.
116. ლუტიძე 2008: ლუტიძე ი., „ეთნიკურ ქართველთა ენის შენარჩუნების სოციოლინგვისტურ ასპექტთა შესახებ თურქეთში, კრ: „იბერია გუმინ, დღეს, ხვალ“, თბილისი.
118. ლუტიძე 2012: ლუტიძე ი., თურქეთის მუჰაჯირი ქართველები (ეთნო-ლინგვისტური მიმოხილვა), თსუ-ს საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები სპეციალური გამოშვება „კლარჯეთის დიდებულთა უდაბნოთა“, თბილისი.
119. შაშიკაძე 2013: შაშიკაძე ზ., ქართველთა მუჰაჯირობა თურქეთის შავი ზღვის რეგიონში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერ-სიტეტის ქართველოლოგიის ინსტიტუტის კრებული, VII, ბათუმი.
120. შავშეთი 2011: შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერ-სიტეტი ქართველოლოგიის ინსტიტუტი, გამომცემლობა „ჭოროსი“, თბილისი.
121. შაჰინი 1998: შაჰინი მ., მეჯიდე ერთი ქართული სოფელი, ჟურნალი „ჩვენებური“, №30.


122. შიოშვილი 2009: შიოშვილი თ., სტუმარმასპინძლობა ქართულ ფოლკლორში, თბილისი.
123. შიოშვილი 2016: შიოშვილი თ., ისტორიული სამხრეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება I, შავშური ფოლკლორი, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი, ბათუმი
124. შოშიტაშვილი 2015: შოშიტაშვილი ნ., მუჰაჯირთა „სამეურნეო აკადემია, “მოგზაური ეთნოლოგის ჩანაწერები, ჟურნალი „ისტორიანი,“ №2/50.
125. შოშიტაშვილი 2014: შოშიტაშვილი ნ., მოგზაური ეთნოლოგის ჩანაწერები, ჟურნალი „ისტორიანი,“ №12/48.
126. შოშიტაშვილი 2015: შოშიტაშვილი ნ., მოგზაური ეთნოლოგის ჩანაწერები, ჟურნალი „ისტორიანი,“ №3/51
127. შოშიტაშვილი 2015: შოშიტაშვილი ნ., მოგზაური ეთნოლოგის ჩანაწერები, ჟურნალი „ისტორიანი“ №4/52
128. შოშიტაშვილი 2015: შოშიტაშვილი ნ., მეურნეობის და ხელოსნობის ტრადიციული დარგები თურქეთის რესპუბლიკის შავი ზღვის სანაპიროების რეგიონის ეთნიკური ქართველებით დასახლებულ ტერიტორიაზე, სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბილისი.
129. ჩალიშქანი 2001: ჩალიშქანი ს., სოფ.იენი საიაჯა (ულუბეის რაიონის ორდუს ვილაეთი), ჟურნალი „ჩვენებური“ №42

130. ჩელები 1998: ჩელები ფ., ეფთენის ქართველები-დუზჯე, ჟურნალი „მამული“, №5
131. ჩიტაძე 1999: ჩიტაძე ზ., დამპყრობთა წინააღმდეგ აჭარის მოსახლეობის ბრძოლის ისტორიიდან, ჟრ., „სხალთის ზარები“, ბათუმი.
132. ჩოხარაძე 2013: ჩოხარაძე თ., ჩვენებურთა სამზარეულო, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ინსტიტუტის კრებული, VII, ბათუმი.
133. ჩოხარაძე 2015: ჩოხარაძე მ., ხანძთა და „ათორმეტ სავანეთა“ მხარის ძველი სიძველენი, ბათუმი.
134. ჩოხარაძე 2016: ჩოხარაძე მ., ქართული ენის გეოგრაფია თურქეთში (მარმარილოს ზღვის რეგიონი), ბათუმი.
135. ჩოხარაძე 2016: ჩოხარაძე მ., მასალები ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლების დასახლებებისათვის თურქეთის შავიზღვისპირეთში, კრ: სამხრეთ-დასავლეთი საქართველო (ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია) საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები VI, თბილისი.
136. ჩიქოვანი 2012: ჩიქოვანი ნ., ისტორიის აღქმა და რეპრეზენტაცია. „მეხსიერების პოლიტიკა“, მასალები, თბილისი.
137. ჭიჭინაძე 1908: ჭიჭინაძე ზ., ქართველ მაჰმადიანთა ცხოვრება და ალი ფაშა თავდგირიძე, თბილისი.
138. ჭიჭინაძე 1915: ჭიჭინაძე ზ., ქართველების გამაჰმადიანება, თბილისი.


139. ჭიჭინაძე 1914: ჭიჭინაძე ზ., ქართველ მაჰმადიანთა დიდი გადასახლება ოსმალეთში, მუჰაჯირი-ემიგრაცია, თბილისი.
140. ხარაძე 1939: ხარაძე რ., დიდი ოჯახის გადმონაშთები სვანეთში, თბილისი.
141. ხორავა 2012: ხორავა ბ., მუჰაჯირობა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან 1878-1882 წწ. საქართველო და თურქეთი: კულტურულ ურთიერთობათა ისტორია, დღევანდელი და პერსპექტივები, კონფერენციის მასალები, თბილისი.
142. Andrews 1989: Andrews Peter Alford, "Ethnic groups in the Republic of Turkey."
143. Mammer 2009: Dr. Demirel Demiiier. Atatürk Üniversitesi Turkiyat Araştırmaları Enstitüsü Dergisi.
144. Çilo lu 1993: Çilo lu F., „Gürcülerin Tarihi”, İstanbul.
145. Şahın 2013: Şahın M., Ünyeli Gürcüler, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ინსტიტუტი კრებული, VII, ბათუმი.
146. Dani mend, 1972: Dani mend M., Osmanlı Tarihi Kronolojisi, cilt 3, stanbul
147. Uzunçar ılı, 1954: Uzunçar ılı . H. Osmanlı Tarihi, VI cilt, Ankara
148. Hammer, 1998: Hammer İ, Büyük Osmanlı Tarihi, cilt 4, stanbul



თურქეთის შავი ზღვის რეგიონი




1. ამასიის პროვინცია




2. ართვინის პროვინცია




3. ბართინის პროვინცია



4. ბაიბურთოს პროვინცია



5. ბოლუს პროვინცია




6. ჩორუმის პროვინცია




7. დუზჯეს პროვინცია




8. გორესუნის პროვინცია



9. გუმუშანეს პროვინცია




10. ყარაბუჯის პროვინცია




11. კასტამონუს პროვინცია



12. ორდუს პროვინცია



13. რიზეს პროვინცია



14. სამსუნიის პროვინცია



15. სინოპის პროვინცია



16. თოქათის პროვინცია



17. ტრაპიზონის პროვინცია



18. ზონგულდაქის პროვინცია

